№ 14
1931/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

7–8

1 9 3 1

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ყოველთვიური
საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ორგანო

№ 7—8

ივლისი-აგვისტო

Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

7905
8778

წელიწადი შერვე

სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი 1931 წ.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიგრაფტრესტის 3-ლი
სტამბა
შეკ. № 1427. ტირ. № 2100.
მთავლ. № 1989

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბელის ქ. № 13
ხელოვნების სასახლე. ტელ. № 1—65
კანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამ. № 22, პერიოდსექტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაბათოკბაზე

დიდ არხისათვის ჩვენ მიწას ვთხრიდით.
ენტუზიაზმით ვიყავით სავსე.
ხელში მეჭირა წერაქვი დიდი
და ნამდვილ მუშას მე დავემზგავსე.
ჩემს არსებაში როგორც სტიქია
წინაპარ გლეხთა ნებივრობს ჟინი.
საღამოს მოსვლა არ გამიგია,
მზე ჩაესვენა როგორც ლენინი.
თითქოს ეს იყო გრძნობა ფარული
და გადახდილი ჩემი დღეობა.
შრომის სიმძიმე და სიხარული
ვიგრძენი როგორც მემკვიდრეობა.
ჩვენთან შრომობდენ მოხანძარენი,
მიწაში ჰპოვეს მათ ცეცხლის ბგერა.
ჩვენ გუთნის ხარებს დავედარენით
და თან დავსძახეთ შრომის სიმღერა.
თუმც ჩემი შრომა მცირეა მეტად,
მშენებლობაში მეც შემაქვს წვლილი
და ისახება ჩემთვის იმედათ
ქვეყნიერების ბაღი გაშლილი.
ეს შაბათობა—როგორც მდინარე
შედის ოქტომბრის მღელვარე ზღვაში,
ეს დღე დარჩება სხივმომფინარე
ჩემს ოკნებაში.

. ᲙᲐᲚᲔ ᲑᲝᲒᲝᲮᲘᲫᲔ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲦᲐᲛᲔ ᲡᲐᲒᲣᲨᲐᲒᲝᲖᲔ

შემომესია შრიალი ხეთა,
არსაით მოჩანს კამკამი თაღის
და ხეივანში ბუნდოვნად ვხედავ
წითელი მხედრის მღელვარე სახეს.
დღე მანევრებზე ოფლი დავღვარე,
ღამის გუშაგათ ვდგევარ ამ ღამით,
თვალებში შავად ჩამოწვა ღამე
და იერიშებს მისცა საზღვარი.
ახლა—მოისმის ღმუილი მგელის,
მე მაინც ვიცი ადგილზე ვიდგე;
მხეცის თავდასხმას ხალისით ველი
ალბათ დამესხმის და შემომიტევს.
ქვევით—ღრიალებს პირქუში ხრამი
და ქარტეხილი დრეკს ლამაზ ნაძვებს.
უკვე ფითრდება თვალები ღამის
და დღის ლოდინი ფიქრს ალამაზებს.
მე, ისევ ვიცავ ბანაკს და ამ ბაღს,
მხედართა ველს და სამხედრო ფარანს,
და შორით ვხედავ წყვდიადის გალმა
ხანძარის შუქი მწვერვალებს ფარავს.

მანგლისი. სამხედრო ბანაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტის საქმე

ეს წვიმა მწარე
ეს თქეში, მეხი,
ვერ შემაჩერებს
ვერ დამდებს სალტეს!
მივმართავ ისევ
აჟღერილ ხეხილს,
ჩემი ლექსები
რომ გამოწალდეს.
ვეტყვი:—მძიმეა
თქეშის ტვირთები,
ვეტყვი:—მწარეა
მეხის ტკაცუნი,
მაინც იფეთქებს
თქვენი კვირტები,
და ჩემი ლექსი—
ხმა ვაქკაცური.
გაზაფხულიდან—
შემოდგომამდე,
შემომიჩნდება
სიტყვის კრაზანა;
დიდო ბუნებავ
სიტყვა მომანდე,
შენი დიდების
გამოსატანად,
ჩემო ქვეყანა
დამსვი პოეტათ
შენი შრომის და
მიწის საქებად,
და რაც კი ძალა
მომეპოება,
მინდა ლექსებათ
გადმოლაგება.
მიწავ, ახალი
დაღით დაგტორეს,
მთებო მოგასკდენ
რკინის ჯარები,
მეც ვუმღერ ველად
გაჭრილ ტრაქტორებს,
და ოქროს მადნებს
მივეჩქარები.
მეც, გაზაფხულო
შენის დიდებით
სავსე, ყოველდღის
საქმეს ვეხები,
და მწერლის შრომას
მოვეკიდები
როგორც ჰკიდიან
გუთანს გლეხები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანგრევთა შორის

სდგას ფრიალო კლდე
და ჩანჩქერის ზვირთნი დიანო.
—ფრიალო კლდეზე ძველი კოშკის ნანგრევი მოსჩანს.—
ნანგრევთა შორის თუ დგრიალებს სადარიალო
თერგი შელმუის კლდეებს,
კლდენი—
თემსა და კოშკსა!
მაგრამ თემიდან ვინ უშველის გამტყდარ რაინდებს, —
თუ კი მათგანი ვერ მოიქნევს ბევრი იარაღს.—
განდეგილივით თერგის ღმუილს თავს გაარიდებს
და ბეთლემს—შიგნით შეეფარვის მხეცურ ღრიალით!—
და, როგორც მთების მომღერალმა ვიცოდე მინდა
ფრიალო კლდეზე გადმოკიდულ კოშკის ლეგენდა
ვით ჩამოსული ეს საღამო სოფელში მშვიდად,
ვით ქალების ხმა — თულუხებით ახლოს გერგეტთან!...
კოშკს ლურსმნებივით მისდევს ირგვლივ სათოფურები...
კოშკია ქვის და წინანდელი მთების სიმაგრე.
—შენ ახალგაზდავ! შვილო ამავ მთების ბუნების,
მიხვალ მთებში და სიძნელეებს ქუსლით მიანგრევ!...
შენ ხარ ის კაცი, ვისაც მთა-კლდე არ მიგაჩნია—
გარდა იმად რომ ადამიანს ემონოს უნდა,
რომ ანდეზიტი გამოსული გალმა არშიდან
დაედოს მთაშიც სოციალიზმს მტკიცე აგურად!...
გაუჭლი კოშკს და იქ მოხუცი ხევს გადმოჰყურებს,
როგორც კოშკიდან უკანასკნელ მთების დარაჯი.
გსურს მოუხმო მას —
ხმას წაიღებს კლდეების ყურე
და შიგნს მოხუცი აჩრდილივით გადმოალაჯებს!..

მ ო ხ უ ც ი

ჰეი, გზებო, გზებო!
დასამხობო და სატიალოვ,
სად მოიტანე ქალაქების ცეცხლი და შიში?—
თუ მამა-პაპის საფლავს დასთხრის ინდუსტრიაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიჭრება იქ, სადაც კლდეში ორბებად ვიშვით —
და გადმოანგრევს მყინვარიდან ლითონის დინგით
ბეთლემს, სადაც „მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის,"
სადაც ისრწნება გაბზარული კედლების შიგნით
გოჩას თემის ხმა, — ერისთავთა ტყვიით გახრული!..
ჩემო დროებავ, (გადასულო ჭიუხებს გალმა)
ახალგაზდობა აღარა გვყავს,
შემოგვეფანტა.
იმის მაგიერ, რომ ურჯულო გულ—გაეფატრა —
შვილის პატრონამ მამის „კუბოს ფიცარი" გაჭხრა!..
მე, ეს მოხუცი — პირმშო შვილსაც აღარ დავინდობ,
თუ მას მოითხოვს არსებობა ჩვენი ხვალისა.
და ვყვირი მთებში ამ კოშკიდან:
—გულზე დანითო
ან მე კოშკითურთ, ან და მთებში სოციალიზმი!..

ახალგაზრდა

ჰაუ, მოხუცო! შენი სიბრძნე როგორც ყოველთვის
ეს, ხომ მომაკვდავ თაობისა ბოდვაა მხოლოდ!

მოხუცი

ვნახოთ! და მაშინ ვინ აავსებს ძვლების ყორეთი
კლდეებს, ჭალებს და ჩამოკვეთილ კოშკების ბოლოს!..

ახალგაზრდა

შენი ქადილი — სიკვდილის წინ თამაში არი.
კაცს, მხოლოდ ერთხელ შეატოკებს ბედი —მდევარი;—
იზიდავს სადღაც დაბრმავებულ ძალის წინაშე,
სადაც სივრცე აქვს გადახრული დროის მირაჟებს...—
თვით საუკუნეც ლითონისა, რომელმაც გახრა
შენი ნება და ბებერ მთების ჭეშმარიტება —
მეტყველებს მხოლოდ მოძრაობით აქ და გალმა,
აქ და გალმა ანდეზიტის არშის კლიტედან!..
თქვენ თუ ეპოქებს მთებით ზურგში მისჩანჩალებდით
გწამდათ თემი და რომანტიკა შიშველ გორდაის!

მოხუცი

ბევრჯელ ვიელვეთ ხმლებითა და ჩვენი ჩალმები
მთვარესთან ერთად, როგორც დროშა ამოდიოდა!..

ახალგაზრდა

თქვენ თუ იელვეთ — მაშინ ბევრმა არც კი იცოდით,
თუ რად იბრძოდა ავარიის მთებიდან შამილ.
გარჯა ვის გქონდათ?
სივრცეებში გორდას იქნევდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატყდა გორდა და ჩამოგტოვათ დროებამ ფშანში!...
ჩვენ — თქვენთან გრძნობით არ გვაერთებს არც ერთი ნერვი.
— თქვენ კვლავ მისტირით ყაზისა და შამილს. ჰამზატებს
— ჩვენ ახალ მთების ქუხილისთვის სივრცეს ვამზადებთ
და გამარჯვების მოლოდინში გრიგალებს ვმღერით...
გზები არ გინდათ?
გულის ტკივილს მიგიხვდი ბერო —
— გზებით გაივლის მთებში რკინის ქარავანები,
რომ მოისმოდეს ლაწა-ლუწი წინაპართ ძვლების,
როცა იღრღნება ინდუსტრიით მთების ქარხნები.
შენ მოხუცი ხარ! — პირმშო შვილსაც აღარ დაინდობ,
თუ კი მოითხოვს — მას ადათი მშობელ მხარეში...
შვილმა სთქვა:
— ჩვენი საუკუნის ცეცხლის ღვარითო
გავტორავ მთებს, რომ სხივოსნობდეს სოციალიზმი!..
მშობელ ის არის ვინაც მშობა ცეცხლში და ქარში —
შემასწავლა მე — მათი ენა ნიაღვარული,
ვინც გზას მინათებს კომუნიზმის დამკვრელთა ჯარში
და მოაქვს ისევ ბრძოლის ჟინი და სიხარული.
და ვიბრძვი,
წიგნი — გასროლილი ნაღმის ხმებია.
მე კი: პირისპირ სასიკვდილო შეხლის მდომელი,
ჩემთვის კოშკითურ დასაპყრობი ჭიუხებია
და ჭიუხიდან მოღრიალო თერგის მორევი!..

მ ო ხ უ ც ი

არვის წავართმევთ სამშობლოის ციხე - სიმაგრეს,
მაგრამ არც ვისმე ჩვენს დაუთმობთ განთიადის წინ.
— შენ თუ მაგ რკინის ქუსლით მთებში მადანს მიაგენ
ვერ გავატანოთ ქვა—ნაპერი მშობელი მიწის.
მყინვარებიდან იმდენი გვყავს ჯერ კიდევ მოძმე,
რომ შეგვიძლია გაყინული მაჯის გალხობა...
— სად გაგონილა,
ბებერ მთების მუხლ მაგარ ბოძებს
ტყვიას უშენდეს გუშინდელი ახალგაზრდობა.
— სად გაგონილა, რომ დედის წინ მარბენალა კვიცს
მგელისთვის კბილი მოეტეხოს უნალო წიხლით?!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა

თქვენ მგლები ხართ და —
(თქვენი სიტყვით) ჩვენ კვიცნი არა!
ძრწოდეთ არ ნახოთ — არ გაგონილ, — დარბევა ციხის!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხუცი

მთების არწივად ცნობილი
მთებში დავბერდი ბერდია,
მაგრამ ჯერ სიტყვა ორპირი
არავის გაუბედია.
ბერი ვარ, იმად მაშინებ
ბიჭავ ხევ და ხევ მავალო? —
მუხლიმცა მოგტყდეს მთაშივე,
რომ რისხვა დაიალალო.
ბერი ვარ, მაგრამ მთებიდან
თუ ძველებრ ამოგორდაის... —
ჩემთვის მშობელი თემია
მიამხანაგებს გორდაი!..

ახალგაზრდა

გორდაით ნუ ხარ ლალადა
გორდა გადგიტყდა ყუაში.
გალმა მდინარეს გახვალ და
ცრემლად იცლები ყუროში.
ძრწოდე მოხუცო ბერდიავ,
მთებში ცნობილო არწივად.
შენ შვილმა ოხერ—ხევიდან
კოშკებთან ერთად გაგწირა.
გაგწირა, როგორც მტერი და
როგორც კოშკების თავადი

მოხუცი

იქ, რა ბული და მტვერია
არშის მთებიდან—ბარამდი?!

ახალგაზრდა

ეს გვირაბიდან ამონალის გუგუნი არი, —
ლოდებს ისვრიან კიდობანას, ნალმზე—ნალმები.
და ხვეულებში დატვირთული ავტო — გრიალით
ეშვება ძირს და
მოაქვს მთების ღალა—ნაღები!..

მოხუცი

ნალმის გუგუნი უფრო ხშირად გამიგონია
კოშკების ბოლოს ტყვიით დაჭრილ ვეფხვის ღრიალად,
მაგრამ კოშკიდან—მე ერთხელაც არ მიფიქრია,
თუ მყინვარის ქვეშ მოხევენი ნალმით თხრიან რას?!.
მე, აქ ჩავკეტე კოშკი და მთებს ასე ვდარაჯობ,
რად მინდა კიდევ გავიჩინო სხვა სატკივარი,—
როცა შემდგომი დარტყმა ვხედავ—პირველს ისეც სჯობს
ლა ისმის ხევ—ხევ ლალუმების ხმები—მკივანი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა

ჩაკეტილი ხარ, მთის თავადო, საკუთარ კანში
როგორც ეპოქის მოლალატე მხდალი მთიელი.
შორს კი **კომუნის** სიმღერა ჰქუხს თიბვაში, მკაში,
სადაც იმარჯვებს მეცხვარეთა კოლექტივები.
ჩვენ გამძაფრებით ძველ და ახლის მიჯნაზე ვიბრძვით,
როცა მოისმის ხმა არშიდან ნაღმის სანგრებით. —
იფშვნება მთები გვირაბიდან —
და აღარ იცი
რომელს მიმართო:
— მყინვარებს თუ კოშკებს დანგრეულს!..
ნგრეულ არიან აქ წარსული დროის ნაშთები —
წასული დროის ტაძარნი და სიმაგრე კოშკნი...
ნგრეულ არიან ჭიუხები და შავი მთები
დარიალამდე—ხევსურეთის სოფელი რომკით!..
პირისპირა ვართ, ვით კლასიურ შეხლის მდომელნი,
მაგრამ კოშკიდან ჩრდილი სადღაც გადაირეკა...
დარეკა დრომ და დავრჩებით ჩვენ მთებში რომელიც
შრომის ფრონტიდან ამას იტყვის მშობელ მთის დრეკა!..
პირისპირა ვართ, სადაც კოშკი „ფრიალოსაებრ
ჩამოთლილია“, ვით ბეთლემი ყინვის მდელოში.
— კრულ იყავ ბალღო! —
მკიცხავ ძველი ქვეყნის მოზარე,
უკანასკნელი პატრიოტი საქართველოსი!..
— კრულ იყავ! — მთები გიბრუნებენ შენს გულის წადილს.
— კრულ იყავ! — თიქოს შემოგკვნესენ გორით ბინდები...
მხრებზე გაწვება ცხრაას ოცდა ცხრა წელიწადი
და კოშკის ბოლოს განდევნილი აქვითინდები!

— —

ასე დასრულდა
მთებში მათი ხმა საუბარის —
მოხუცის ლანდი მიჰყვებოდა დროის განაჩენს.
— ახალ სიმღერებს ისმენდა მთას ჩვენი უბანი,
ჩვენი უბანი გუგუნებდა: „მთები ბარბაცებს“...
იქ კი, სად მოხუცს ახალგარზდა გაეკამათა
აღმოსავლეთით რა სხივ დადგა ცეცხლის ბორბალი-
დანგრეულ კოშკზე მზის სხივებმა შეჰკრეს კამარა
და მოისახა ყუა გამტყდარ ხმალი გორდაის!
...გავიდა დრო და მდინარენი ისევ ღმუიან,
ისევ ისე სდგას კლდე ჩადგმული მთათა ჩარჩოში.
გაღმა—გამოღმა ლაღუმების ბოლი გვხურია
სამყინვაროის უბანში და ნანგრევთა შორის!..

ბრუნო იასენსკი *)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალიციური ჟაკერია

უგზო-უკვლოდ მინდორზე
ძმა-ბიჭები მოვიდენ—
დიდი შეთქმულებისთვის
დაბალ გოჟეოვიდან.
სჩანს მეჯოგე ვალიუს,
როგორც ქარი მღელვარე,
მას ამშვენებს ნაჯახი,
და ცელი მოელვარე.
დაინახეს ქოხებმა
ეს ბიჭები ცელებით,
ცეკვით გამოედევნენ
ღარიბ ტანთსაცმელებით.
ქარის აფრამ დაიწყო
ცეკვა განმარტოებით—
და შორს მიიჩქარიან
აჯანყებულთ ბრბოები.
ცეკვა არის მთლიანი,
ცეკვა არის კოცონი,
მარდი, დაუდგრომელი
ცეცხლივით სხივოსანი.
ჯანყის ცეკვა გრძელდება—
აბა, ხალხო, ხაბარდა!
და ბატონის სასახლე
უკვე პატრონს ჩაბარდა.
ტრიალებდენ ცეცხლივით.
იქით-აქეთ გოგავდენ,
ცეკვით გატაცებულნი
ჩექმებს ალარ ზოგავდენ.

ცეკვა ყველგან გამართეს—
მიწას მტვერი სდიოდა—
ნაპერწკლები—ალები
ფეხებიდან სცვიოდათ.
იყო ცეკვა დიადი,
კივილი და არული.
პანი გამოათრიეს,
ასწავლეს სიარული.
თოვლის ველზე გაიგდეს:—
ხალხმა გაიჯირითა.
მაგრამ პანი წაიქცა,
წასკდა სისხლი პირიდან.
და ხიდს გალმა
როგორც ბალღი
გაშმაგებით
ცეკვავს ხალხი;
სმაჟოვიდან
სედლისკამდე—
ვინ გაუძლებს
ცეკვას ამდენს!
ბრძოლა არის
სისხლით, დანით.
ყმა და პანი
სწვდენ ერთმანეთს.
ყველა არის
სისხლიანი—
მოურავი,
მასთან პანი.

---

*) **ბრუნო იასენსკი** დაიბადა პოლონეთში. პირველად მიიქცია ყურადღება რომანით „მე ვწვავ პარიზს“, რომელიც დაწერილია წინაალმდეგ წიგნისა „მე ვწვავ მოსკოვს“. როდესაც ეს რომანი („მე ვწვავ პარიზს“) იბეჭდებოდა „იუმანიტეში“, იასენსკი, რომელიც ამ დროს მუშაობდა საფრანგეთის კომპარტიის რიგებში, დაატუსაღეს და გააძევეს საფრანგეთიდან. ახლა ცხოვრობს საბჭოთა კავშირში და მუშაობს „საერთაშორისო რევოლიუციონურ მწერლობის ბიუროში“. ყურადღების ღირსია აგრეთვე მისი პრემა „სიტყვა იაკობ შელის შესახებ“ ანუ “გალიციური ჟაკერია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა არის
სადმე ხსნა?
ის წაიქცა
როგორც ძნა...
ვიღაც კივის,
ვიღაც სძლევს,
ფანჯრის შუშებს
დაამსხვრევს.
აი ცეკვა გათავდა—
ღამე ცას ერიდება.
ახლა გდია მიწაზე
პანის ავლა დიდება.
მოდიოდა ზეცაზე
მთვარე როგორც სარდალი,
და ცხენის ტერფს მოსავდა
ვერცხლი მართლაც-მართალი.
სადაც სისხლის წუმპეა,
ცხენი ჩუმად აბიჯებს
მტერი ბლომად მოუკლავთ
აჯანყებულ ძმა-ბიჭებს.
ოი თავისუფლებავ,
იყავი ნიღვარი.
ახლა ნუ გეშინიათ
სვეტისა და საზღვარის.
ჩვენ ყანაში უფასოდ
აწი აღარ ვიშრომებთ.
ბატონის და ჟანდარმის
ჩაგვრა გადავიშორეთ.
ყმავ, წელში გაიმართე,
სთქვი სიმღერა ნადური
გეხვდა ჩვენ თავისუფლება,
ბატონებს—ნიშადური,
ახლა მხოლოდ ჩვენია
მთელი ყანის მშვენება,
ხვნაში გამოვიყენოთ
პანი, კსენზდი ცხენებად.
ბიჭო, აბა,
იყავ ჩქარი,
არ დაბა
ჯანყის ქარი!
წინ-წინ გასწით,
პანი დასცით.

ბატონების
დიდ ქონებით
გაიხარეთ
შინ და გარეთ.
ბატონების პალატებში
თუნდ ირბინე,
თუნდ იძინე.
ბოქლომები ქვევით გდია—
მიწა თავისუფალია.
მაშ წაიღე!
ბატონებს მიდენიდენ—
ნაჯახით და ცელებით.
ბატონებო! ვერ წახვალთ—
ყველა გაითელებით.
იყო გამოსადეგი
ყოველი იარაღი.
ნიკაპიდან სდიოდათ
სისხლი—როგორც არაყი.
პანთან ყმები ცეკვავდენ.
აშღქებდათ ალები.
ღამე ისევ ბრწყინავდა
ღღიური ბრწყინვალებით.
ცეცხლი კედლებს ანგრევდა
ცეკვით, გათამაშებით
და ქულები ელავდენ,
ხმაურობდენ ტაშები.
ცეცხლი როგორც ჯამბაზი
წითელი თმით ბრიალებს,
სახლი გასკდა შუაზე—
გვრგვინვასავით გრიალებს.
იმ ხანძარს შემოერტყენ
სმაქოვიდან რაზმები,
და ირგვლივ არე-მარე
ცეცხლით გაითასმება.
სადაც ცეცხლი ნელია,
არის დასაშუშები,
რომ იგი კვლავ გაჩაღდეს—
უბერავენ ტუჩებით.
წყალი მოაქვთ საცერით—
დარჩეს მეტი ნაცარი—
ცეცხლს აქრობენ ნავთით,
შმაგობს ხანძრის ზავთი.

ღმერთი და კაიზერი
პანებს, კსენდზებს წყალობენ,
და მიტომაც ისინი
ხოტბას მას უგალობენ.
ყმა მეფის ხმას მიენდო,
პანი მტრად გადიკიდა.
კაიზერმა პანებს ყმა
ვით იუდამ მიჰყიდა.
და მოგებულ ფულით ის
შლიახტასთან ქეიფობს.
დე, გლეხების ცრემლები
მას ტყვიებად შეერგოს.
გავილაშქრეთ პანებზე,
გული მათ არ მონებდა.
გვაქეზებდა კაიზერ,
დაობდა ბატონებთან.
ოთხი დღე მათ ივაჭრეს
და შემდეგ კი მორიგდენ.

ჩვენზე მოკავშირენი
მათრახებით მოვიდენ.
ვიცნობთ ჩვენ აზნაურებს,
ვიცით მათი ხრიკები,
არ დაუთმობთ არას დროს,
მათთან ვერ მოვრიგდებით.
ჩვენი მინდორ-ყანები
გადასწვეს, დაარბიეს.
ჩვენ ვიბრძოლებთ პანებთან,
ვნახავთ ჯანყის სარბიელს.
ჩვენ ქამები არა ვართ,
ავდექით გრიგალივით.
და პანების სამეფოს
შემოვერტყით ალივით.
თავსა დავდებთ ფიცისთვის:—
ჩვენ ვიბრძოლებთ მიწისთვის!
ძირს, ყოფავ დაგმობილო,
აბა, დასცხე ძმობილო!

თარგმანი ვალ. **გაფრინდაშვილის.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა მთებში

თუ უამბობენ—
მამაჩემს ამ ლექსის შინაარს,
ვიცი დამწყევლის
ძველ რაინდულ მთის მოგუშაგე,
და ამ ლექსისთვის
ის უთუოდ მიწოდებს მშიშარს
და შეგვაგინებს—
ახალი მთის ერთგულ მუშაკებს.
ის მარიგებდა:
„ურჯულონი არსად დაინდო,
ერთ-ურთს მტრობს სისხლი--
სვანისა და ყაბარდოელის“...
მაგრამ როს მთებშიც
საბჭოების მზენი აინთო,—
მის დარიგების
შესრულების არ ვარ მდომელი.
დაე, მოძმენი
ერთგულობით ვიყოთ ყოველთვის
და შუღლს გულებში
კვლავ შხამივით ნურვინ ჩავიტანთ;
გვედგას მხარშივე
ბალყარია, ყაბარდოეთი
და სიყვარულით
შეგვხვაროდენ ყარაჩაიდან.
ვხედავ, გულდაგულ
და გმირული გამბედაობით
ახალი ხალხი
ახალ, დიად ცხოვრებას მართავს.—
და მოხუც მთების
მოხუცებო!—თქვენ თუ დაობლდით,
ნუ სტირით დროზე,
დაუჯერეთ ჩვენს სიტყვას—მართალს.
ნულარ გგონიათ:
ვაჟკაცობა იმით ჰქრებოდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შვილმა თქვენი
წესი წესად აღარ გასწიოს.—
განა ცოტა გვაქვს
ვაჟკაცურად სანაქებო დღეს;—
როს მშენებლობის
ცეცხლ-ალმურში ვხვევთ კავკასიონს!..
კავკასიონის
ნაპრალებში დღესაც გვხვდებიან
ჩასაფრებული
მოშუღლენი ხარბ ორბებივით.
და ხშირად ფარავს—
მშობლიურ მთებს,—თეთრკალთებიანს
უაზროდ სისხლი—
გულებიდან გადმორბენილი!..
ძმებო! დრო არი:
გადავხადოთ მთებს ადათების—
ნაბადი მძიმე
და მუდმივად შავლამიანი!
ეროვნულ შუღლის
წინააღმდეგ თავგადადებით
ვიბრძოლოთ რომ არ
გაისმოდეს ძმების ღრიალი...
სვანეთში ეხლაც,
სადაც ხოლმე გრგვინავს ფერხული
ისმის ლაშქრული:
„შგარი დო ი ლაშგარ რისვოდა“—
—დღეს ნულარ გვინდა
მთა ამ ხმებით შეფერხებული,—
საბჭოთა მთებში
სხვა ლაშქრული რისხვას ისროდეს!
რისხვას ისროდეს!—
კლასიური ბტრებზე მყვირალი
და ერთგულობა
მშრომელ ძმების სთქვას სიყვარულით!..
მაშინ ის მღერა
სულ იქუხებს—გაუყინავი
და სვანის შრომას
ქებით იტყვის ხმა ბალყარული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაქოს პროლეტარიატს

მოძრაობს სწრაფად შრომის ბორბალი
კუნთები ძლიერ დაჭიმულია
და ტუმბოები ნავთით გამძღარი
რკინის მილებთან გადამბულია.
სიცოცხლე შფოთავს გამძლე ლომივით
და გაქანებით ღვედზედ ედება,
ბაქოს გმირები ორ ნახევარ წლით
ხუთწლედის გეგმას წინ მიეგება..
ნავთს ველარ იტევს ბაქოს მიდამო
გმირულად მიდის, მიაპობს საზღვრებს,
მსოფლიო ბაზა რომ დაიკავოს
ამერიკაშიც შეაღებს კარებს.
დარწმუნდენ ეხლა რომ ს. ს. ს. რ.-კა
გმირული წლებით მომავალს აგებს,
საუკუნეებს წინ გადაეკრა
ხუთწლედის გეგმა ოკეანეებს.
ამ ჩვენ გიგანტებს ვინ დააკავებს
დეე იღრიალონ გველეშაპებმა,
ბაქოს მუშებო დროს ნავთი მიეც;
ვასრულებთ გმირულ ხუთწლედის გეგმას,
ჩქარი ტემპებით მატულობს დონეც.
გეგმები თვითონ ტალღებს გააპობს
დასახულ მიზანს ემსახურება,
დღეს ს. ს. ს. რ-კა ნავთით ამაყობს
სხვებს კი მოელის განადგურება.
ბაქოს მუშების გმირულ საქმეებს
პროლეტარული მიაქვს ალამი
და ბაქოს მუშების გამოჭრილ დღეებს
სოციალისტური ჩვენგან სალამი.

სიმონ ფეფრავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაჭრილი მუხლი

მოთხრობა

სოფელი ლებალარათუა მთის ძირშია დასახლებული. სახლები მოფენილია მთების მიღმა ვაკეებზე. გულუბრყვილოთ ეკითხები თავს:

—ამ გადაწოლილ კლდოვან მთას ვინ მიაჭრა ფესვები, რომ შეუჩერებია ზრდა და დაბლობ ადგილებისათვის მიუცია თავისუფლება სწორად გადაშლილიყო ბორცვების გარეშე?

გაოცება სამართლიანია. მიეცით გზა, ნუ შეაჩერებთ, მაგრამ ცოტა დაიცადეთ, აგერ ვიღაც იძახის უფრო გაკვირვებით:

—შეჩერდით, თვალები ფართედ გაახილეთ! გონება აამოძრავეთ! ნუ თუ ვერ ხედავთ ამ ხალხის გულებზე ამოვარდნილ ბორცვებს?! ეს ბორცვები არ გვანან მთის მწვერვალებზე ამობურთულ ადგილებს. არც მდინარე აბაშის მიერ შლამით მოსილულ რიყეებს. იგი უფრო დიდია თავისი სიძლიერით, გამძლეა მოქმედებით. გინდათ გაიგოთ, რა არის? პატარა წერტილებია, რომელიც ლურსმნებივით არის მიბჯენილი ამ სოფლის ღარიბ გლეხების გულებზე. ნურც იმით შეშფოთდებით, რომ ის პატარა წერტილია. კარგად დაუკვირდით: მასში ბაჯაღლო ოქროს ბუდობებებია მოქცეული? იგი კარპატის მთებივით დიდი არ არის, მაგრამ ამ მთებში ამოხეთქილ მადანზე უფრო ძვირფასია.

მართლაც კარპატის მთები არ გეგონოთ და არ დაუწყოთ წერაქვით ძირის გამოთხრა, ნალმებით აფეთქება, თუმცა არც მათ შეუშინდება ეს პატარა წერტილები. ვერ ამოაგდებთ, თუნდაც ზარბაზნები დაუშინოთ.

და ამ წერტილებში შემოსალტული სიღარიბის ძარღვები, დაგუბებული გაზები, გაჭირვება, უკულტურობა, სიცივე და გადასარბენი უღელტეხილი ებრძვიან ერთმანეთს, და იგი ახლა მთელი სიმძლავრით იღვენთება ღვედივით, იკრებს ძალღონეს, რომ გაიკვლიოს გზა.

აი, უკვე ირღვევა ნაპრალები, გაზები აწვებიან კიდეებს ამოსახეთქად. ეს ხომ სტიქია იქნება და ბურუსი ჩამოწვება გზებზე? კარგად დაუკვირდით; ამ წერტილებში მძლავრია: მოქმედების გაზომვა, ბილიკებზე სწორად სვლა, ახალი ღონისძიება ცხოვრების დაგეგმვის, ამიტომ ვიწროვდებიან სიღარიბის ბუდობებისაგან მოწვდილი სტიქიური ტალღები, პატარავდებიან და სადღაც მიიპარებიან.

თითქოს ეს წერტილები მოგჯა ყველას გულებზე და ბათლომე ლომიას ჩაუდგა მკერდში მთლიან რგოლად. ბათლომე თითქოს მთელი სოფლის ღარიბი მოსახლეობის მესაიდუმლეთ გადაიქცა. მათი სურვილი, ნდომა და დაგეშილი ხედვა მომავლისაკენ, ბათლომეს გულში ჩაუჯდა ტყვიასავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ბათლომეს უფლება აქვს ილიპარაკოს მათი სახელით.

თქვენ ამისი ნუ შეგეშინდებათ, ნუ დაფრთხებით, წერტილები ... დაიშლებიან, არამედ უფრო გამაგრდებიან.

ბათლომე ღიმილში, სუნთქავს, ალბად მასაც უხარია.

— სანამდის ვიყოთ ჩემო ჯოტო ასეთ ცხოვრებაში? მარტო, სოფლის ნახირის საბალახოზე გარეკა, მეველეობა და მთებიდან ხეების დაცურება გვეყოფა?? სანამდის უნდა მიყურებდეს დამცინავი თვალებით ბარდლა ბარათელია? იმას ხომ მუდამ შესაჭმელად უნდოდი? განა მე მარტო? სრულებითაც არა, ყველა ჩემისთანები, თითქოს არაფერი შეცვლილა: თუ წინედ მიწებს ფლობდა, ახლა სახლების პატრონია, ფულები შემოუდის, სარგებელში აძლევს. მიწა ოთხი ჩემოდენი აქვს. ცხენების ძველი ვაჭარია, რამდენსაც მაგი ერთ თვეში დალალობიდან აიღებს, მთელს წელიწადში ვერ ვიშოვნი, სულ რომ გადავთოხნო, რაც აბაშის პირას ყანებია და ამიტომ ვკითხულობ: სად არის გამოსავალი?? თითქოს აფეთქდენ წერტილები, რომელიც ბათლომეს გულში გლეხებმა წისქვილის ქვებივით ჩადგეს. არ შემცდარა სოფლის ღარიბი მოსახლეობა, თუ მათი სახელით ლაპარაკობს ბათლომე. უხვი სურვილი ახალი გზების გამონახვისა ბათლომეს აქეზებს ბარათელიას წინააღმდეგ და იგი პირდორბლიანი, თვალებ განიერი, ჯოტოზე დაშაქრებულ შთაბეჭდილებას ახდენს.

სად არის გამოსავალი?—გაკვირვებით უბრუნებს ამ შეუწყვეტელ კითხვას ჯოტო ბათლომეს.

შუბლ გახსნილი, ოდნავი ღიმილით დანისლული ჯოტო, ახედ-დახედავს ბათლომეს. უდიდესი სიფრთხილით, ფეხი სადმე გულის სიღრმეში ამოსულ მუწუკს არ დავადგაო, ხელს მხარზე ჩამოადებს და თვალებში ჩახედვით უპასუხებს:

—გამოსავალი შენშია და იმათში, ვისი სახელითაც შენ ლაპარაკობ ახლა!

—ვერ გავიგე ჯოტო, რას მეუბნები.

—იმას, რომ ციდან არაფერი ჩამოვარდება! თავი ხომ გაბია?!

—ა? ა? ა? არ ვიცი, ეგები არც კი მამბია!—შეაწყვეტინა ლაპარაკი ბათლომემ ჯოტოს და თავზე მოისვა ხელი.

ჯოტომ სიცილი გადმოღვარა.

—ჰო, და მაგ თავს ცოტა შეწუხება უნდა, ხელებსაც ამოძრავება!

—რას ამბობ კაცო, ჩემს თავს თუ შეწუხება აკლია და ხელებს განძრევა, მაშინ რუსის ბარაბანს ცემა ჰკლებია—უპასუხა ბათლომემ მოსწრებულად, თავი მაღლა ასწია და ჯოტოს პირდაპირ შეხედა თვალებში.

გაიფიქრა:

—„ჩემი გაზრდილი ბალანე რას მეუბნება ამას?"-ო.

უცებ ხელი მოიჭირა თავზე, კარგათ დააკვირდა ჯოტოს წითელი მეთაურის ტანსაცმელს, უფრო ყელზე ამოჭრილ ვარსკვლავს და სანდომიანი თვალები ერთხელ კიდევ შეანათა ჯოტოს შინაგან სამყაროში ამხედრებულ სურვილებს.

—ბათლომე, მე ის კი არ მინდა გითხრა, რომ შენ ზარმაცი ხარ, ან არ გინდოდეს მუშაობა. შენზე თუ ეს ვთქვი, მაშინ სხვაზე რა ითქმის? არა, საქმე იმაშია, რომ შენი შრომა სულ ფუჭია ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, თუ სხვანაირად არ წარმართე ეს მუშაობა. რამდენი ქცევა ყანა დაგითხნია...

—წრეულს მექნება გათოხნილი ბიჭთან ერთად ათ ქცევამდის ჩემი ყანების გარდა—კიდევ გააწყვეტინა სიტყვა ბათლომემ.

—მაცალე კაცო სიტყვის თქმა. რა მოგვიდა? ჰო და, შენსავით ათ ქცევა სხვასაც გაუთოხნია. ახლა ამას დაუმატე ცოლშვილის შრომა, სჩანს რაიმე გაკეთებული? არაფერი. ეს იგივეა, როგორც გაზაფხულის მიწურულში დათესილი ყანა, რომელსაც ადიდებული აბაშა თან წაიღებს, როგორც ნაბოლარს. უხვავია ასეთი დაცლა ძალღონის. არ სჩანს ის, არც შეიძლება გამოჩნდეს, რადგან ყოველ დღიურად ქუცმაცდებით. ერთ კვალ მიწაზე ვავებს უხეთქავთ ერთმანეთს. საზღვარს ყოველ მხრიდან თლით თოხებით, რომ ამით რაიმე მოემატოს თქვენს მოსავალს. ერთმანეთს აწუხებთ, სჭამთ, გაფიცხებულ მიწას დანასავით ლესავთ, რომ უფრო გამოგზრასთ შიშველი ფეხის გულები, ამას ვერ გრძნობთ თქვენ.

—რას ამბობ მაგას, ჯოტო?—კიდევ გამოგლიჯა სიტყვა პირიდან ჯოტოს ბათლომემ.

—გრძნობთ, მაგრამ ისე არა, როგორც საჭიროა. მიჩერებიხართ გამოცარიელებულ სასიმინდეში თაგვების მალაყზე ხტუნვას. ვერ იხედებით ცხვირს იქეთ, რა ხდება ქვეყანაზე, ამიტომ იძახით: „სად არის გამოსავალიო“!

—ახლაც გეკითხები, ჯოტო, სად არის გამოსავალი?

ბათლომემ ეს სიტყვები ღრმა დამაჯერებლობით სთქვა, მასში ისმოდა ძიების დაუდეგარი სურვილი. ამიტომ იყო ეს უკანასკნელი კითხვა რკინის ბოძსავით ურყევი, მასში დულაბივით ჩაკირულა ბათლომეს ძლიერი ნებისყოფა. ეს სიტყვა არ იყო ბათლომეს მახვილი გონების ნაყოფი, არამედ ამით მან ერთხელ კიდევ აამოძრავა პატარა წერტილები, ასე ულმობელად რომ მოუგლიჯავთ ძარღვებიდან ღარიბ გლეხებს და მის გულთან რომ გადაუნასკვავთ ცხელი გრძნობებით.

ამას ახლა ჯოტოც ამჩნევს. დაფიქრებულია, პასუხი ენის წვერზე აზის, ზედმეტი სიფრთხილით ათვალიერებს ბათლომეს გაოცებულ სახეში ჩამჯდარ გამოუცნობ აზრს. მეტი სიძლიერით აწვება ტანში მხურვალე სისხლი, და განუზომელი სიმძლავრით, ერთხელ კიდევ მოხაზა ფიქრებში სწორი გზა. წარბები აათამაშა, შუბლზე დაღარული ნაოჭები გაშალა. შურდულივით ამოისროლა პირიდან:—გამოსავალი კომუნაშია!!

ჯოტომ ზურგისკენ დაიწია, თითქოს ბათლომეს დატაკებოდეს ეს სიტყვა და უკან გამორტყორცნილი ლამობდეს ისევ ჯოტოს მუცელში ჩაბრუნებას. ბათლომეც შეინძრა, დაბარბაცდა. თითქოს ადულებული ლითონი ჩაესხას ვინმეს, ისე ჩაეშვა ის ბათლომეს ყელში, მას ვერც რკინის ბერკეტით ამოაგდებთ. ბათლომემ, მოინერწყვა და გადაყლაპა თბილად. რად გაფითრდა ბათლომე? რად დაიხია უკან? ხომ არ შეშინებია ამ უბრალოთ მოკვეთილ სიტყვის? ან რად უყურებენ ასე გაოცებულად ერთმანეთს? შეიძლება ეს სიტყვა არც კი გაუგონია ბათლომეს?

გამოსავალი კომუნაშია! გამოსავალი კომუნაშია!—გაიმეორა ბათლომემ ჯოტოს სიტყვები ქვევრიდან ამოძახილივით.

შეგეშინდა ბათლომე ამ სიტყვების? აბა რად იმეორებ უაზროდ! კარგად დაუკვირდი: ამ სიტყვებში თავგანწირული ბრძოლის ძირებია გადგმული, ჩაიკარი მკერდში ვით საკუთარი მარჯვენით მოწეული ჭირნახული!

ჯოტო განმეორებით ჩააცქერდა ბათლომეს სახეში. უნდოდა ამოეცნო მისი გულის თქმა, სწყუროდა დაეჭირა ბათლომეს თავში გარბენილ ფიქრთა ხვეულებში გამოუცნობი აზრი და დაეუფლებია გაფითრებულ გაოცებულ ადამიანის მისწრაფება და სურვილი. იგი ცხოვრების ვითარებას, ახალ მიჯნაზე მიუყენებია. დამუხრუჭებულ მდგომარეობიდან, გამოსავლის ძებნაში გაორებულა. წარსულის ძაგებაში გამახვილებულა. ახალის დამკვიდრებაში გამობრძმედილა.

და, აი ჯოტო დაიგრიხა წელში, აედევნა ბათლომეს სახეზე ფერების სახეცვლილებას, ძარღვებში მხურვალე სისხლის მჩქეფარე დენას და წარბთა ხშირ თამაშს ტურბინებივით ჩამდგარ თვალებში.

ჯოტომ მათ მაგივრად დაიჭირა ბათლომეს მიერ გამოშვერილი ხელი. მას ეკალივით გამოედო ხელის გულიდან ამდგარი ხორცი გამაგრებული თოხის ტარზე მუშაობით. სრულებით არ უკვირს ჯოტოს ეს ამბავი, მხოლოდ მოგონებები წამოიშალენ ჯარისკაცებივით, მაშინ ჯოტო ბათლომესავით ადნობდა ყანებში ამოცვენილ ყამირ ბელტებს. ეს მხოლოდ მოგონებაა შავი დღეების, ის გულუბრყვილო სიხარულით და უფრო კი მწუხარებით არის გადასერილი.

ახლა რა დროს მწუხარებაა? რა დროს მოგონებებია? მის წინ დგას ბათლომე წარსულის დარჯაკში გამოვლებული და გაკაჟებული. მას ესაჭიროება თბილი გრძნობა, ხელმძღვანელობა და მაგარი ხელის შეხება. ბათლომეც მაგრად ჩაფრენია ჯოტოს ხელში. რბილად ედება მისი ხელის გულები. წუთი და, გაოცებულ თვალთა თამაში შეჩერდა.

—ჯოტო, შართალი ხარ შენ! კომუნაშია ჩვენი ხსნა. მე გამიგონია, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კომუნები არის დაარსებული. ამ ორი კვირის წინ, ჩემმა მეზობელმა გაზეთიდან ამოიკითხა, რომ სადღაც სამთავისში ყოფილა კომუნა და კარგი ცხოვრებაც ქონიათ. არ მესმის კარგად, რა არის კომუნა? როგორ შეიძლება ერთად ცხოვრება?

—ყოჩაღ, ბათლომე! მიუხვდი, რაშია საქმე? მიაგენ ამომავალ მზის ფსკერს?— გახარებული უთხრა ჯოტომ.

—მიუხვდი, მაგრამ ისიც გითხარი, რომ კარგად არ მესმის თქვა!

—ეგ არაფერია, სურვილი ხომ არის მადანივით ულევი? მეტი ჯერ არ არის საჭირო, დანარჩენს ჩვენ გავაკეთებთ.

—როგორ უნდა დაარსდეს კომუნა? ვინ ჩაუდგება სათავეში?—იკითხა ბათლომემ და ჯოტოს სამხედრო ტანსაცმელს შეავლო თვალები, მერე ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და თავის ფაცხას, გაშლილ მინდვრის ბოლოში რომ არის აშენებული, დამცინავი გრძნობით აღსავსემ აუწყა!

—დღეიდან დაინგრევი. ამოვარდება კერიაში ჩადგმული აგურები, რომელიც მხოლოდ კუდ დამწვარ კატის თბილი ლოგინია, ჩემთვის „კი თვალების ამომწვავი, წყლით გაჟღენთილი, თხემლის ფოთლისაგან აბოლებული, და შენც, ბარდღა, რომ წამოგიჭიმავს ატაჟებათ სახლები, ამოგიშენებია ჩვენდა გულმოსაკლავად ციხე სიმაგრესავით ძირ გამდგარი კედლები, მაშინ სად წახვალ, მაშინ საით გადაიხედავ, შე ქვეყნის მჭამელო, თვალებიდან ცრემლის მაგივრად ზეთი რომ მოგტირის??

ბათლომემ ახედა ჯოტოს. ჰკითხა მეორედ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ჯოტო, ვინ უნდა ჩაუდგეს სათავეში კომუნას?

—შენ ბათლომე!

—რას ამბობ, ჯოტო ხომ არ მეცინი?

—რათა?

—აბა სად მაქვს იმდენი სწავლა! მე ხომ დიდი პარტიული სკოლა არ მაქვს განვლილი, რომ ყველაფერი ვიცოდე.

—ეს არ გიშლის. კომუნის გლეხებს მოელაპარაკები, ჩსინი აღფრთოვანდებიან სიხარულით, მხარს დაგიჭერენ, დაგეხმარებიან, გაიგე ბათლომე?

—შენ უნდა იქნე ჯოტო, ამ საქმის დამწყები! მე არ შემიძლია, ჯერ არც, კი ვიცი რა არის კომუნა რიგიანად, მერე ვინ დამიჯერებს მე ამას? მართალია, მთელი სოფლის გლეხობა მიცნობს, როგორც გარედ გასულს, ომიანობის დროს სხვადასხვა ქვეყნებში ტყვეთ მყოფს, რაღაც რაღაცეებში გაგებულს, მაგრამ მე ხომ უკიდურესი ღარიბი ვარ? ან საიდან შემეძლო გამდიდრება? სალდათობა, ტყვეობა, სამოქალაქო ომი და რა ვიცი სად არ ყოფილა ეს დაღუპული ჩემი თავი? როდის შემეძლო რაიმეს შეძენა? აქ რომ ჩამოვედი, მივაჩერდი ამ მიწას. ურტყამ რაც ძალი და ღონე მაქვს სამ ოყიან თოხს. ვხნავ ნაძველახ მიწებს ნაწვიმარზე ლეღვივით რომ იშლება მიწის პირი, მაგრამ რაა მერე ამით?? არაფერი და ამას ვამბობ: ეგება ხალხი არც კი გამომყვეს, არაფრის მქონეაო.

საქმეც მაგაშია, რომ ღარიბი ხარ, აბა მდიდარი რომ იყო, მაშინ კომუნაში კი არ შეხვალ. ან ვინ მიგიღებდა? ეგ არაა საკმაო მიზეზი. თუ არ იცი რა არის კომუნა, აგიხსნი. ვიცი როგორ უნდა დაარსდეს კომუნა. თუ გადაწყდება ეს საკითხი, მაშინ შეიძლება რამოდენიმე გლეხი გაიგზავნოს ზემო ქედის, სამთავისის და მართლა, აგერ ახლა მომაგონდა, ფახულანის კომუნაში. გაგიგონიათ ფახულანის კომუნები ალბად. ჰო და ასეთი იქნება ისიც, რომ, დავაარსებთ. დამეთანხმე ახლა. წადი ამაღამ, ათამდე მოსახლეს მოუყარე თავი, მოელაპარაკე ამის შესახებ, ხვალ კი ჩემსას მოაგროვე ხალხი. იქ გაგაცნობთ დაწვრილებით, თუ რა არის კომუნა და როგორ დავაარსოთ ის.

—ჰო, ჩემო ჯოტო, ასე მოვიქცეთ. მე შენი იმედი მაქვს, როგორც ნასწავლის და წითელ არმიაში მომუშავის.

* * *

დაშორდენ ერთმანეთს.

ბათლომემ ზევით აუხვია. გაჰყვა დაკლაკნილ ბილიკებს. გზაში ფიქრობდა: როგორ იქნება აწი მისი ცხოვრება, მუშაობა, სიხარული, და როგორ მოელაპარაკოს გლეხებს, ან ვის შეუერთდეს, როგორ გაანდოს ეს ფრიად სათუთი და მეტად საპასუხისმგებლო საქმე? გაუგებს, დაუჯერებს და გამოყვება ვინმე ბათლომეს? ასეთი კითხვები დატრიალებს ბათლომეს თავში და აღმოსავლეთის მგლეჯავ ქარს მიარღვევს ბეჭებით. პირი დამუწული აქვს. წარბები თვალებზე გადმოშვებული. სუნთქვა მხოლოდ ცხვირის ნესტოებში ასქდება კიდეებს. ირგვლივ მთები გადმომდგარა ატეხილი ტყეებით.

აწი ხომ არ იქნება ბათლომე მათზე დამოკიდებული? აწი ხომ არ აიბარგება ამ წასაქცევად გამზადებულ ფაცხიდან ტყეში სამუშაოდ, მორების დასაჭრელად, ნაძვის, ფიჭვის, ცაცხვის, წიფლის და სხვა წიწვიანი ხეების მთებიდან დასაცურებლად? თუმცა ბათლომეს ამ ტყეებში კარგი დრო გაუტარებია. გაუვა-

ლი, ჩამოხურული ღამე ლეკურ ნაბადში გაუთენებია. დღისით დაფენილი, დაგორებულა ფერდიდან-ფერდზე. მაინც არ უნდა, რადგან ყველაფერი ეს მისი სურვილების გარეშე ხდებოდა, ბარდღა ბარათელიას სასარგებლოდ იყო.

რად უნდა მოიგონოს ბათლომემ ამ ტყეებში მუშაობა სიხარულით და დიდი პატივის ცემით?

მართალი ხარ ბათლომე. ახლა ნება შენია. გახსოვს, რა საქმეზე მიდიხარ? არ დაგავიწყდეს! დაანებე მაგ ტყეებზე ფიქრს თავი, მერე მოიცლი. თუმცა როგორ გგონია, არ მოგიხდება მაგ ტყეებში შეჭრა ველურივით? მოგიხდება და მერე, როგორ! ის შენი ფაცხა უნდა დაინგრეს. იგი ძვილი ცხოვრების და სიღარიბის ნაშთია. ჰო და სახლის ასაშენებლად მაგ ცაცხვებს, ფიჭვებს, წიფლებს და მუხებს უნდა მიადგე. ახედო მის აშოლტილ ტანს: გამოვა თუ არა ერთ ძირში სახლის კედელი, მეორეში საძირკვლები? გასწიე ახლა, ჯერ მთავარი საძირკველი არ არის გადასკვნილი. მისი ნაწილები შენი სოფლის გლეხებშია წერტილებად გულზე მიბჯენილი.

მოდი! შეუნთე ცეცხლი! ააფეთქე! ლაღუმები არ დაგჭირდება. წერტილები სავსეა სისხლით. მასში კი ნდომა, სურვილი, თავის დაღწევა გაჭირვებულ მდგომარეობიდან, ეძებს გამოსავალს. ხსნა კი კომუნაშია. მაშ მიაწექი ბათლომე ცხოვრებას! კიდევ აქ ხარ? მიუსწარ! სისხლის სიმხურვალისაგან წერტილები გაფიცხებულია, მოგასწრებენ ვულკანივით ამოხეთქვას. მერე რა შეაერთებს ამდენი ხალხის გულიდან გადმოღვრილ ნდომას და სურვილებს? ისინი ულევია, დაუშრეტელია, ბაჯაღლო ოქროზე უფრო ძვირფასია.

მიდის ბათლომე ღრმა ფიქრებით დატვირთული. თან მიაქვს ჯოტოსაგან დარიგება, მითითება, მიყვება ეს მთა, ეს მიწა, მდინარეები, ტევრი და ღრუბლებით დატვირთული ზეცა.

მიდის და ჯოტოს სახე წინ უდგას, ღრმა აზროვანი სიტყვა: „გამოსავალი კომუნაშია“-ო, მიაქვს ხელუხლებლივ, სათუთად.

არავინ წაგართვას ბათლომე! მაგრად ჩაიხუტე მკერდში. ჩაინერგე გულში. ბარდღას მაცდურმა თვალებმა არ დაინახოს, თორემ ბარათელია შეეცდება ამოაგდოს ძირ-ფესვიანად კომუნის სახელის ხსენება, მაშინ დაწყდება ძარღვები. კომუნა ამოვარდება საბუდარიდან. ეცადე ბათლომე, ბარდღას თვალების გამოხედვა ჩააბნელო. ცხელი ღადარი შეაყარე თვალებში.

მიდის ბათლომე.

სად მიდის?

* * *

იმ ღამეს, სოფელ ლებაღარათუას ზოგიერთი მოსახლის კარზე რაღაც უცნაური კაკუნი ატყდა, იგი არ გავდა ჩვეულებრივად მეზობლის ეზოდან გადმოსულ ქალის ან კაცის ფეხის ხმას, სურვილებით დამძიმებულს, რომელსაც სურს ილაპარაკოს მამლების ყივილამდე, ოღონდაც კერიაში გუზგუზებდეს რცხილის ცეცხლი და ზედ კი გაისმოდეს ახალი თუ ძველის, ზღაპრის თუ ნამდვილი ამბების დაგრძელებული თქმა.

არც შიშნაკრავ მწუხარების და თავზარდამცემი ზარის ხმა იყო, და არც უეცრივ ამოვარდნილი ზენაქარის გრიალი—არამედ, აქ ისმოდა უფრო ახალი, გაუმეორებელი, ზოგიერთებისათვის მოულოდნელი, გაბედული და ძვირი ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ადამიანის გაბრაზებული სულისთქმა, კარების ცივ ხმასთან ერთად. აქ ღმუოდა იმ გულთა ძგერანი, აბრეშუმის ქსოვილივით რომ შეუერთებიათ პატარა წერტილებში მოთავსებულ სურვილებს, მისწრაფებებს, ბრძოლებს და გაურკვეველ შფოთვას.

ყველაფერი ეს ბათლომეს მკერდში, მოძრაობს უცნაური სტუმარი, მოულოდნელი კაკუნით, ბათლომე ლომიაა.

არ შეგეშინდეთ, არ გაიკვიროთ, თუ ამ მდგომარეობიდან გამოსავალის ძებნაში მშფოთვარე ადამიანის დაუდეგარი სურვილი, თქვენს ისლით ჩამოხურულ სახლის კედლებს მოაწვა! გაუღეთ კარები! მიიღეთ სინამდვილის ცეცხლით აბობოქრებული აზრები! მოუსმინეთ! დაუჯერეთ!

ნუ აყოვნებთ! კარები ჩქარა გაუღეთ; რათ გაჩუმებულხართ, ყაჩაღები არ გეგონოთ ფულის წასართმევათ მოსული. რა გაქვთ წასართმევი?!

— ვინ არის?—მოისმა სახლიდან ხმა. კერიას პირად შეწყდა ტკბილი საუბარი. ცეცხლმა სიმხურვალე პირში შეატაკა ბათლომეს კარების გაღებისთანავე.

— დაუპატიჟებელი სტუმარი ვარ არა?—უპასუხა ბათლომემ.

— გლახა ამბავი ხომ არაფერია?—შეშინებული ხმით უთხრა ბათლომეს ლუკა წულაიამ.

სახეზე ყველას გაკვირვება აეკრა.

— რა შეგეშინდათ კაცო, ამ დროზე თქვენსას არავინ მოსულა?? გვიან თუ არის, მაშინ უნდა გეძინოთ!

ბათლომე ლუკას გვერდით დაჯდა. ყველას სათითაოდ გადახედა. უნდოდა დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ არ იცის სად არის გაწყვეტილი საუბრის ბოლო. რათ უნდა მას, თუ რას ლაპარაკობდა ლუკა ამ ცეცხლის პირად შვილებში? მას ხომ სულ სხვა რამ აინტერესებს?

და ფიქრობს ბათლომე, საიდან დაიწყოს ლაპარაკი. ლუკა ვერ უბედავს თქმას, რატომ მოვიდა ის, ამ გამოუსახველ ყოყმანში გარბენილი წუთები, მყუდროებით არის მოცული. მხოლოდ საპირეზე დაბმული ხარების მიერ ჩალის ღეროების ხვრემა ისმის. ხარები აბრიალებენ თვალებს. იმზირებიან ლამურებივით გარბილის ფიცრებით აშენებულ სახლის კედლების ჭუჭრუტანებში. თვალების ტრიალი მიბნელებულ კუნჭულებში ციცინათელასავით ანათებს.

ბათლომე კიდევ ჩუმად ზის. თითებს იმტვრევს, პირს აღებს. ყელზე მომდგარ ნერწყვს ყლაპავს. ემზადება რაღაცის სათქმელად, ამ დროს სხვენიდან მჭვარტლის მტვერი ჩამოცვივდა მიწაზე, მან აიხედა ზევით. თხილის გამხმარ ჩელტზე, აფართხალებული დედლის ფრთები და ბუმბული, თვალებში ჩააცვინდა.

— შეგეშალა ტურამ, რა დროს გადმოფრენაა!—სთქვა ლუკამ.

ბათლომეს მიეცა ლაპარაკის დაწყების საბაბი. ახლა შეუძლია ფიქრებით დამძიმებული თავი გაანძრიოს, გამოაფხიზლოს დროებითი მიყუჩებული წერტილების დულილი, ლუკას ოჯახის სულიერ მღელვარების წინასწარ დასაზვერავად.

ახლა დრო გაქვს ბათლომე! გააღე პირი, სთქვი, ხომ არაფერი დაგვიწყებია?

— ლუკა, ერთ რამეს გეტყვი: არ გაგიკვირდეს. არც დამძრახო, კომუნისტი კაცი ხარ, გაზეთები წაგიკითხავს, უჯრედში გაგივლია, ქალაქშიც ნამყოფი ხარ, მგონი ავსტრიის ფრონტზედაც გაგითენებია ყინვიანი ღამეები, ერთი სიტყვით, ჩვენს წინ რომ ტაბაკელას მთაა, იქედან დაწყებული დარდანელამდის ყოფილხარ. ამ მანძილზე რამდენ ადამიანს შეხვედრიხარ, რამდენი ახალი რამ გინახავს, რამდენი დაგვიწყებია, მაგრამ გაჭირვება ძმაო, ხომ მუდამ დაუვიწყარია? ბარათელიას ყანებში და ტყეებში მუშაობა არ დაგავიწყდება არასოდეს. ამდენის მნახველი და გამომცდელი ხარ. არც მე ჩამოგივარდები. ბევრი მწარე მიჭამია ამ ცხოვრებაში, მაგრამ ახლა ისეთ ახალ რამეს გეტყვი, რომ არ დაგსიზმრებოდეს შენს სიცოცხლეში, ტყულა ნუ დაფიქრდები ლუკა, თავი არ შეიწუხო, ვერ მიხვდები.

— რა არის ბათლომე ისეთი, რომ ვერ მოიფიქრებს კაცი შენს გარდა? რა ისეთი განათლებული მყავხარ, რომ მხოლოდ შენ შეგიძლია მოიფიქრო? ან და ამ ღამეში რა მოგაგონდა ისეთი, ხომ არ გადარეულხარ?—ოდნავი გულმოსულობით უთხრა ლუკამ ბათლომეს. წელში მოიხარა, კერაში ჩანთებულ ცეცხლს შეშა მიუმატა. ყალიონი თუთუნით გატენა. ზედ ნაკვერცხალი დაადო და მოწევისთანავე გადააპურჭყა.

ლუკას ცოლშვილი მიჩერებია ბათლომეს, მათი სახეები კვამლში იხლართება. ურყევ ბოძივით გაქვავებულან, უცდიან ბათლომეს, როდის იტყვის იმ ახალს, რომელიც თურმე მხოლოდ მან იცის.

ბათლომემ დაიწყო ლაპარაკი.

— გითხრა, რა არის?

— სთქვი ბათლომე, სანამ სული ყელში ამოვიდოდეს.

ინტერესი ბათლომესადმი გაიზარდა. მხოლოდ საჭიროა ითქვას ამ ახალის შესახებ, რა არის ის.

— შენ ხომ გიჭირს ლუკა ცხოვრება?

— აგი რა პასუხია კაცო, მე რას გეუბნები და შენ რას როშავ?

— მოიცა, რასაც გეუბნები იმაზე მიპასუხე!

— არ მესმის რა გინდა ამით?

— ლუკა, სთქვი სწორედ: ასე ცხოვრება შეიძლება? გიჭირს, ნუ იტეხავ ენას, ყველა ჩვენიანები ვართ, სთქვი კომუნისტი რომ ხარ, შენ გაჭირვებაზე რომ ილაპარაკო, ამით პარტიას კი არ უღალატებ, მე ვიცი რას ფიქრობ ახლა. სწორია, რასაც გელაპარაკები. ძველი პარტიული არა ვარ, მაგრამ მეც მინახავს რაღაც ამ ქვეყანაზე. საბჭო ყველაფერს მანდობს მუშაობაში თუ რაიმეს გაკეთება შემიძლია და შენ დიდი რამე იქნება მითხრა: გიჭირს თუ გილხინს? არა, მე რას გეკითხები, განა არ ვიცი გიჭირს თუ არა? მაგრამ მინდა შენი პირით იყოს თქმული.

— ვერ გევიგე კაცო, ამ შუალამეში რას ჩამაცივდი და მალაპარაკებ პოლიტიკაზე? სახლში მაინც მოვისვენო, არ შეიძლება?

— ლუკა, მოისვენე, ვინ გიშლის, მაგრამ პასუხს რა უდგია წინ?

— ჰო, გვიჭირს, ერთად კი არ იქნება ყველაფრის გაკეთება!

— მერე, სად არის გამოსავალი?

— შრომაში! აბა ზარმაცობაში? რას კითხულობ სულელივით?

— თუ შრომაშია, შენ ხომ მუშაობ? რატომ არ მოეწყო ცხოვრება უკეთ? აქ რაღაც სულ სხვა რამეშია საქმე.

— აბა რაშია?—ჩაერია მათ ლაპარაკს ლუკას უფროსი შვილი ხუტუნია. მასაც ჩაუჯდა მკერდში, რაღაც ახალის საიდუმლოება, რომელიც ჯერ არ არის ახსნილი რა უნდა იყოს? ფიქრობს ხუტუნია და თან აკვირდება ბათლომეს. მის სახეზე არაფრის ამოცნობა არ შეიძლება. მაშ რა ქნას, რით დაიკმაყოფილოს ამ შუალამით მოწოლილი ცნობისმოყვარეობა?

— გამოსავალი კომუნაშია!

და ეს სიტყვა ბათლომეს ყელიდან შურდულივით ამოსროლილი, ყველას მკერდზე გადაუგორდა კამათელივით, ვერსად მოიდგა ფეხი, ვერსად იშოვა სანგარში ჩასაჯდომი ადგილი.

— გამოსავალი კომუნაშია! ხომ გესმით!?—გაიმეორა მეორეჯერ ბათლომემ. აიმღვრა ადამიანის სხეულში, სადღაც მოთავსებულ წერტილების სიძლიერე, მოთმინება, ბოლმანი და იგი ლამობს ახლა ამოხეთქვას. ნიაღვარივით წამოვა მისგან ამოვარდნილი ლავა. მაშინ ვინ დაუდგება მას წინ? მაშინ ვის შეუძლია შეაჩეროს ის? ხომ ვერ დააბამენ გემივით ქარიშხლიან ზღვაში? ჯერ ადრეა. ლუკას არც კი, გაუგია რაზეა ლაპარაკი.

— ბათლომე რავა ნაცარქექიასავით ოცნებობ. რას ამბობ, რა არის კომუნა, რა შუაშია გამოსავილი? იცი, რას ლაპარაკობ?! შე კაი კაცო, ამიტომ აგვაწრიალე დასაწოლათ გამზადებული ხალხი?

ბათლომეს არ მოეწონა ლუკას ამ კილოთი ლაპარაკი. ლუკას არ ესმის ბათლომეს ფიქრთა სინამდვილე და ამ ფიქრებში მოქცეული ღრმა აზრი, ამიტომ ბათლომე უფრო დამაჯერებლობით ცდილობს მოახდინოს გაკლენა ლუკაზე და მის ცოლშვილზე.

— გამოსავალი კომუნაშია?—მესამედ გაიმეორა ბათლომემ. ეს სიტყვა მიწაში გავლებულ ელექტრო დენივით შეიჭრა ლუკას ძვალსა და რბილში. იგი ახლა უფრო დაფიქრდა, ღრმად ჩასწვდა ამ სიტყვას, თან რცხვენია, ძველ პარტიულ კაცს, ახალი პარტიის წევრი როგორ მასწავლის, სად არის გამოსავალიო.

— გაზეთში ამომიკითხავს, რომ რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებობენ მძლავრი კომუნები. შიგ გაერთიანებულია ღარიბი ხალხი, მაგრამ ბათლომემ საიდან გაიგო? სირცხვილი არ არის მაგი მეუბნებოდეს გამოსავალი კომუნაშიაო?—გაიფიქრა ლუკამ და უთხრა ბათლომეს:

— შენ რა იცი რა არის კომუნა?

— თუ არ ვიცოდე, არც გეტყოდი!

— ბათლომე! კომუნა ჩემთან უფრო არ არის დაახლოებული?

— შენთან? გაკვირვებით კითხა ბათლომემ.

— მე კომუნისტი ვარ ხომ?

— ხარ! მერე რა? მეც კომუნისტი ვარ!

— შენ ახალი კომუნისტი ხარ!

— მე ეს არ მიშლის ხელს!

— ჰო და სიტყვა კომუნა, ხომ გავს სიტყვა კომუნისტს? მაშასადამე, ჩემთან ახლოს ყოფილა კომუნა!

— რა გულუბრყვილო კაცი ხარ ლუკა! მე რომ ძველი კომუნისტი არა ვარ, აბა არ უნდა ვიცოდე რა არის? შენ მითხარი, თუ დაახლოებული იყავი კომუნასთან, რათ დაიბენი? არ იცოდი, მოკაკვე თითი! არ იტეხ იხტიბარს კიდევ?

— კარგი ბათლომე, მაინც რა გინდა სთქვა?

— ის, რომ შეუდგეთ ახალ საქმეს, რომელსაც სახელად ეწოდება კომუნა. უნდა გამოგიტყდე: შენზე უფრო დავიბენი, როცა ჯოტომ დამისვა ასეთი კითხვა:

— „გამოსავალი კომუნაშია“-ო—რასაკვირველია, შენ უფრო ხშირად გაიგონებდი კომუნის სახელს და ჩემზე კარგად უნდა იცოდე, რა არის ის! ჯოტო წითელი მეთაურია. ქალაქიდან ჩამოვიდა. შენთან გამომგზავნა მოგელაპარაკო, თანახმა ხარ?

— ყაბულ!

— მაშ მოიტა ხელი!—და მაგრად ჩამოართვეს ხელები.

ახლა ხუტუნიაც გამოერკვა. მასაც უნდა ჩაერიოს, მონაწილეობა მიიღოს ლაპარაკში. უხარია სატყვა კომუნის წარმოთქმა, ფიქრობს, ამცდება ბარათელიას ყანების დათოხნა სიცხიან დღეებშიო. უდიდესი სიხარულით გასჭრა ხელი, თითქოს ბათლომე და ლუკა ენაძლევებოდენ ერთმანეთს.

ბათლომემ ერთხელ კიდევ აიხედა მაღლა. თვალებში შემოეფეთა გაჭვარტლული სვენი, ქათმებით დაბუდრებული. გაახსენდა შემოსვლის დროს ქათმის სხვენიდან ამოკაკანება და ბუმბულის თვალებზე მიყრა.

— ლუკა! კარგი საქმეა: ჩემი ფაცხა და შენი ეს დაღრენცილი ქუხნა უნდა მაშინვე დავანგრიოთ. ამ ხარებსაც ცალკე მიუჩენთ ადგილს. ამ ქათმებსაც თავზე რომ გვაფრინდებიან ცალკე, დავაბუდრებთ. მართლა, კინაღამ დამავიწყდა: ხვალ დილით ჯოტო ჯიქიასას მოდი. ბონდოს, ლაზარეს, გიორგის და მაქსიმეს გამოუარე, ხომ გესმის?

— მესმის და მეტი არა?

გამოვიდა ბათლომე ლუკას სახლიდან.

მიდის ქვებით მოფენილ შუკაზე.

მარტო ლუკასთან შეთანხმება არ კმარა.

— ვის მივადგე?

ა ჩევს ამას ბათლომე.

აი, შეუხვია ამ ღამით ერთ ოჯახში. იქაც გაკვირვება, დუმილი, გამოფხიზლება, ამოძრავება და მერე თანხმობის სურვილით დატვირთული მხურვალე გრძნობის ნაკადი. ეს ნიაღვარია, მაგრამ არ გავს გაზაფხულის წვიმიან დღეებში მთებიდან მოვარდნილ ქარიშხალს, რომელიც რეცხავს მინდორ-ველებს, შუკებს, მიწებს და მასზე დათესილ სიმინდის ყანებს. ეს ზარალის მომყენებელი ტალღა კი არაა, არამედ მრავალ წლობით დაგროვილი ბოღმა, ამ სოფლის ღარიბ გლეხების გულებზე პატარა წერტილებში შემოტბორილი.

ბათლომე ამ ნიაღვარის ერთი ღელეთაგანია, რომელიც აწვება ამ გაუვალ სიბნელეში, სოფელ ლებაღარათუას ზოგიერთ მოსახლეებს. მერე, როგორ აწვება? მიაქვს თან ცა და მიწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქონქილი თხმელის, ან თხილის წნელის ჭიშკრები რას დაუმაგრდება და აი, ბათლომე გადადის ღობეებზე მაგარი სუნთქვით, ღრმა ფიქრებით და დიდი სიფრთხილით.

ასე შემოიარა ბათლომემ ოციოდე ღარიბი ოჯახის სახლკარი. შიგ შეიტანა რაღაც უცნაური სიცოცხლე, ფიქრი და ხვალინდელი დღისათვის დაუსრულებელი ლოდინი.

* * *

თუმცა იმ ღამეს, მშფოთვარე ძარღვები ძილის მოთენთილმა წყურვილმა დაიმორჩილა და დააყუჩა მათი გაოცებული, დარღვეული ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ამ დილა უთენიას, ჯერ ბონდოს მკრთალი ოხშივარი, რომ არ არის აორთქლებული და გადაყლაპული ქურდულად შემოპარულ სინათლის მიერ— სოფელი ლებაღარათუა ახმაურდა ჩვეულებრივზე უფრო მეტად. ამ ხმაურში ბათლომეს გულთან შეერთებული ძარღვები, პატარა წერტილებთან ერთად უფუფრო გაიშალა, გადაიხსნა ბაგეები და ამ ძახილს მისცა გაუტეხელი სიმძლავრით ატალღებული ლტოლვა, ჯერ შეუბოჭავი, გაფანტული: მთებში, ტყეებში და მოჭარბებული დუღილით ბათლომესავით ღარიბ გლეხობაში.

დაიწყო დენა გლეხებმა ჯოტოს ეზოში.

ჯოტოს, სკამების მაგივრად, გრძელი ფიჭვის ფიცარი ჩამოუდვია სიპის მაგვარ ქვაზე.

თვითონ დადის ეზოში, ხან წინ და ხან უკან. ფიქრები იწეწებიან, უერთდებიან: დარჩეს, ჩაუდგეს სათავეში ამ ხალხს. ჯერჯერობით მორცხვს, გაუბედავ ტალღას, თუ წავიდეს, იქ, სადაც მას ელიან მისი გულწრფელი ამხანაგები, წითელარმიელები?

დარჩეს, და მაშინ, ხომ დააგვიანდება?

წავიდეს და ვინ დაიჭერს ხელში სადავეებს ამ მკრთალად მომავალ ადამიანების გაუბედავ სურვილებს?

ეს ანდამატივით მიმზიდველი საქმე ჯოტომ წამოიწყო, ბათლომემ მოიტაცა, აანთო ცეცხლით, აამოძრავა და ააღელვა ზღვასავით. ახლა ის ვერ გაექცევა ჯოტოს მიერ დანთებულ ცეცხლს, თუნდაც დასწვას ამ სიმხურვალემ, მაინც მასთან უნდა ყოფნა, მაინც მასთან სჯობს დარჩენა. არ უნდა სხვა. დაანებეთ თავი, თქვენ ეი! ძველი ქვეყნის ულონო ლეშებო, ჩამძვრალხართ სადღაც საკუთარ ტყავის ნაჭუჭში! ბათლომე ჯოტოს ეკუთვნის. ის ჯოტომ მოიტაცა. წაიყვანს იქ, სადაც საკუთარი გული ეტყვის.

აი, ბათლომე შემოვიდა ჯოტოს ეზოში. სახე გაბრწყინებული, გახარებული, თითქოს მის ბეჭებზე იყოს ჩამოწოლილი: ეს მთა, ეს მიწა.

გრძნობს სიმძიმეს ცხოვრებისას.

— გამარჯობა ჯოტო!

— გაგიმარჯოს, პირობაზე, როგორ ხარ?

— კირით და დულაბით აშენებული ციხე, ხომ გინახავს, ისე ვარ ჯოტო, კარგია ხომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორედ, რომ მისწრებაა!

— სხვები?

— ზოგი რკინასავით არის.

— ზოგი?

— ზოგი კი მავთულივით იღვენთება.

— რკინასაც მოვდრეკთ და მავთულსაც გავამაგრებთ, ბათლომე! მაშ საქმე კარგად ყოფილა! გახურებული რკინის ბოძი ჩაუდგათ გულში მათ, ვინც მავთულივით იღუნება. რკინა დადნება და შიგ ჩაისხმება ცივად სიმაგრე, ეს იქნება მათი ძვლების დამსხვილება, ახალი ძალით, რომელსაც კომუნის სიყვარული ჰქვია.

ანაცრისფერდა მიდამოები.

და ამ გაცრეცილ ღრუბლებში შეანათა მზის მწველმა სხივებმა.

— ეგ არის სულ?—იკითხა ჯოტომ.

— მოდიან! რა გეჩქარება?

მართლაც შემოდიან ჯოტოს ეზოში გლეხები, დამძიმებული და დაფიქრებული: გარემო ბუნებით, ტყეებით, მჩქეფარე სისხლით და ახმაურებულ მდინარის დინებით, რომელიც შლის კალაპოტს, არღვევს, რეცხავს და მიაქვს თანდათან სადღაც დაბლობებისაკენ. იგი მიბღავის და სოფელ ლებაღარათუას მოსახლეობის ახმაურებული კუნთები რბილდება სინესტით მოცულ ტბაში.

ოდნავ მონაცრისფერო ნისლით დაფარული მიდამოები, ნაძვების სურნელებით, სიცოცხლის მღელვარებით, ლურჯი და ლილისფერი ღრუბლებით დამუქული ნელთბილი ნიავით დამჩატებული, რომელიც შავიზღვის სანაპიროებიდან მონაბერ ქარს მოუტანია. ყველაფერი ეს, შედუღებულა, გარდაქმნილა და ამ პირდამწვარ, კისერ მოწითლებულ, მუხლებ მაგარ, ფეხშიშველ გლეხებში შურდულივით შეჭრილა, მოუნახავს შიგ ბინა საბუდარივით და ამიტომ არის, რომ: ეს გიორგი, ეს ბონდო, ეს მაქსიმე და სხვები ჩაკეცილან წელში მათი სიმძიმით და მათ ორგანიზმში გამჯდარ სიძლიერით.

ამიტომ არის ალბათ ამ ხალხის გულები მძიმე და ურყევი, გამძლე და მოქნილი, გამოცდილებით სავსე, გაჭირვების გამო მოთმინება დაცლილი.

კიდევ მოთმინება, კიდევ ლოდინი.

ჯოტო ათვალიერებს მათ.

— სანამდის?—და გაიშვირა ხელი ბათლომესაკენ. იგი დიდი მონდომებით და ინტერეს გაღვივებით რაღაცას უმტკიცებდა ბონდოს. მის მოუხეშავ აზრს, ასე ადვილად რას შეასმენინებდა ბათლომე?

ბონდო მდინარე აბაშის პირად ნახირის მწყემსამ მოაშორა ადამიანურ ცხოვრებას, იგი შეეზარდა მოტიტვლებულ მინდვრებს, წყლით დაფარულ რიყეებს და რასაც ბათლომე გაცხარებით, შუბლზე ოფლ-მოხეთილი უმტკიცებს, ჯერ ბონდოს ყურამდისაც არ მისწვდენია. ჯერ, მხოლოდ, ქარის და მზისაგან დახეთქილ პირის კანს ეხახუნება, ექავლება და ეხიციანება, შიგ კი ვერ შეუბედავს.

შებედავს კი?

ნურც ასე გაიკვირვებთ! პირის კანი მზისაგან არის დამწვარი, ალმურისაგან გატრუსული. იგი დაშუშდება. პირს მოიბანს, დარბილდება, მაშინ ბონდოც სხვა ყოფაში იქნება. არ გაუჭირდება ბათლომეს ნათქვამის გაბება.

* * *

ოცამდე გლეხი მოგროვდა.

მათში თავსაფარიანი ქალებიც მოსჩანს.

რაღაცას ჩურჩულობენ. აკვირდებიან. იცინიან და როცა ბათლომესაკენ გაიხედავენ, სახეს დაიდინჯებენ, დამშვიდებულ იერს მიიღებენ, ეს მხოლოდ წუთში ხდება. რადგან ბათლომეს წუთებიც გამოთვლილი აქვს და დაიჭერს სიცილში, ლაპარაკში.

და ასე გროვდებიან.

— კიდევ არ ჩამოთავდა?—იკითხა ჯოტომ და ბათლომეს უთხრა.

— ზევით ავიდეთ. საკმარისია, მთელი სოფელი ხომ არ მოვა?

ბათლომე გლეხებს შეუძღვა სახლში.

— აივანზე ნუ გაჩერდებით, შიგ უკეთესია!—დაუძახა ჯოტომ.

— მართალია, რატომ გამოვძგვიტინდეთ გარეთ ამ დილაზე დაგვიანებულ მაყრებივით?—დაუმატა ლუკა წულაიამ.

ჯოტოს ქვის შენობის ოთახი. ისე გაივსო გლეხებით, რომ ნემსიც არ დავარდებოდა ძირს. მეორე ოთახი პატარაა. შუა კარები გააღეს. ჰაერი ამოძრავდა. დილის გრილი ნიავი შემოვიდა.

ერთმანეთს ათვალიერებენ.

ყველა მოელის, მათთვის ჯერ არ ნახულს, არ გაგონილს. სადღაც ქვესკნელიდან ამოღებულ ძვირფას მადანს.

ქალების ირიბული ხედვა, ჩაკრული ლაპარაკი, მარდი მიმოხვრა, ერთმანეთში ირევა და ქმნიან შეხამებულ ქალურ ქცევის რიტმს. ამაში მახვილად გამოსჭვივის: გამოუცნობი სიყვარული ცხოვრებისადმი და ამ ყოფაში ჩამარხული იმ მადანივით ულეველ წერტილებისადმი, რომელშიაც მოთავსებულია გარბენილ წელთა ბოლმისაგან ასაფეთქებელი მხრჩოლავი გაზები.

იგი ახლა ემზადება სამყაროს გადმოსაბრუნებლად.

იგი დაბმულია ამ ხალხის გულებზე სისხლიანი ძარღვებით.

იგი ჯერ შებოჭილია, რათა სტიქიურად არ გადმოტეხოს ნაპირები.

ამიტომ ჯოტო ათვალიერებს მათ. ხელში იგდებს სადავეებს, თითქოს გასაქცევად გამზადებული ეტლის ცხენები მოეთოკოს ხელში.

— მაშ, ამხანაგებო, დავიწყოთ! თავმჯდომარედ ვინ გინდათ? მიმართა ჯოტომ თავმოყრილ ხალხს.

— ჯოტო, შენ თვითონ!

— არა, მე არ შემიძლია.

— აბა ბათლომე, შენებურად დაგვიდექი თავმჯდომარედ!

— მე კენჭს უყრი: ვინა ხართ მომხრე!—სთქვა ჯოტომ, და ამართა ზევით ხელები.

ბათლომემ დაიკავა თავმჯდომარის ადგილი.

— კაცო, რაზე დამიბარეთ არ იტყვით? რათ გვინდა თავმჯდომარე!

— მოიცა ლაზარე, აწი გაიგებ ყველაფერს!—უთხრა ბათლომემ.

ლაზარე ხან მარჯვნივ გადასწევს თავს, ხან მარცხნივ. რაღაცას ბუტბუტებს.

— შენ რომ არ აურიო, ისე რავა დადგები!

— წისქვილში ხომ არ გგონია შენი თავი მაქსიმიასთან...

ამ დროს იქვე მყოფი მაქსიმე შეინძრა.

— ჩემთან რა გინდათ? მაგი პირში ენა'ს ვერ იკავებს და?

— დაწყნარდი კაცო, რა ამბავია. თუ არ გინდა ლაზარია მოცდა, რას გვიშლი ხელს? მოგვშორდი აქედან, თვარა და დაჯექი კაცურად!—გაბრაზებულმა ბათლომემ თვალები გადმოატრიალა და ეს სიტყვები ზედ პირში მიახალა. მერე განაგრძო:

— ამხანაგებო, აქ ლაზარიას დასანახავად არ მოვსულვართ, არა, თქვენ არ მომიკვდეთ, არ შევიწუხოთ თავი მაგისთვის, აქ უფრო დიდი საქმისათვის მოვედით და მოუსმინოთ ჩვენ ჯოტოიას რას გვეტყვის.

ჯოტო წამოდგა ზეზე. ხალათი გაისწორა. ცალი ხელით ქამარი შეანძრია. მეორე თავზე გადაისვა. თმა გადაიწია. მერე ორივე ხელებით დაეყრდნო მაგიდას.

ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა.

ქალებს კი ღიმილი ტუჩებზე აეკრათ.

ზოგიერთებს პირების დაუმუწავთ. ღორის ქილივით გადმოყრილი კბილები გარეთ დარჩენიათ.

ჯოტო მისჩერებია მათ.

— ამხანაგებო, ნუ გაგიკვირდებათ და ნურც გაოცდებით, თუ ახლა ისეთ რამეზე დავიწყო ლაპარაკი, რომელიც ზოგიერთებს არც გაეგონოს.

ლაზარეს გულმა არ მოუთმინა. დაუდგრომლობა ყელზე მოებჯინა. წამოიძახა:

— თუ ქვეყანას არ მოსწრებია, ჩვენ რას გევიგებთ?

გლეხებმა ლაზარე ჩასწიეს ძირს. ჩააჩუმეს.

— და გეტყვით ახლა: მე, ხომ თქვენსავით, ამ მიწაზე გავზრდილვარ? მითოხნია, მიხნავს. არ დამვიწყებია მე გლეხების გაჭირვება და მიწასთან დაუსრულებელი შებმა, სახნისით, თოხით, ბარით და რავიცი რით, არა! მერე რა გამოვიდა აქედან?! ეს მიწა მაინც ასე არის. ჩვენ კი მკლავები და ხელები კინაღამ მოგვძვრა ტანიდან. რაც ძალი და ღონეა, ამ ოხერ მიწაში მიდის, გამოფუტარებულ მიწიდან ვერაფერ სახარბიელოს ვღებულობთ. ვჩუღნით თხუნელასავით ამ ვაკეებს, ამ ფერდებს, ნაძველახებს, ბეგებს. ზერელე მოხნულს და უფრო კი კატის კლანჭებივით მოპორჭყილ მიწაში, თესლი ვერ ხეირობს, ვერ იკიდებს ძირს. ხარებს ჯანი უწყდებათ, ტყდებიან წელში, მაინც არაფერია.

აღმასკომი გეხმარებათ. მოგდით თესლი, აქა იქ მანქანა, ეს არ გყოფნით. ყველაფერი, რომ მოგცენ რას **უ**ბრუნებთ სამაგიეროთ? არაფერს. ასე სანამდის იქნება? ასე სანამდის იხოხებთ მუცლით ამ კრიახ მთებში ბარათელიას და მაგისთანეების სასარგებლოდ? იძახით მთავრობა დაგვეხმაროსო. გეხმარებათ, არც

ასე შეიძლება ჩამოეკიდოთ მთავრობას და თქვენ თითონ არ იზრუნოთ. რამდენი ხელი და ფეხი, რამდენი ხარი და ურემი, რამდენი სახლი და კარი იქნება რომ შეაერთოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ დეითვალე! გააწყვეტინა სიტყვა ლაზარემ.

— გაჩერდი ლაზარე!—თვალები ისე გადმოუბრუნა თითქოს გადაყლაპაო.

— ჰო, და ცალკ-ცალკე არაფერი ხართ. აბა ერთად ჩადექით ყანაში, რა სიმღერით და რა სიხალისით ამოათავოთ თოხნა! წინეთ ნადი იცოდენ, ალბათ გეხსომებათ. ჰო და, ერთიანდებოდენ და ისე მუშაობდენ. იგი არ იყო ისეთი, როგორიც მე მინდა. კარგი, დოუშვათ, უფრო დაგეხმარათ მთავრობა, სულ ხომ ვერ გათრევთ? თქვენი მეურნეობიდან არაფერი გამოვა სასიკეთო. აბა დაუკვირდით: მარტო მიწის მოხვნიდან, რიყეებზე ნახირის მობალახებიდან, ტყეებში დათვივით კოტრიალით და მგელივით წანწალით და კიდევ რაღაც რამოდენიმე დღით საქირაოზე გასავლით გაქვთ რაიმე?

— არაფერი!

— ხომ? და ტანი, ფეხი არ შეიძლება დასტოვოთ უყურადღებოთ. ჩაცმა, დახურვა, ჭამა, სმა, რა საშუალებით გინდათ? კიდევ დაუფიქრდით: შეიძლება ასე ცხოვრება? შეიძლება ასე იყოთ მიჩერებული ხვალინდელ დღეზე ცარიელი ხელებით! ნუთუ ერთხელაც არ შეეკითხეთ თქვენ თავს, სად არის გამოსავალი.

— სად არის გამოსავალი!!!—გაიმეორეს ზოგიერთებმა.

ჯოტოს დამაჯერებელი საუბრის მომაჯადოებელი გავლენით, დაბჩენილი პირები უფრო გაშალეს და გააღრმავეს.

— ჰო და გეკითხებით, სად არის გამოსავალი?

დაჭიმული ნერვებით, მთელი სიძლიერით, თითქოს ხელებში მოეთოკა გლეხების დაფანტული ყურადღება, ჯოტომ ხმა აიმაღლა. სათითაოდ ჩახედა ყველას თვალებში. აამოძრავა მათ სხეულში ჩამარხული ლტოლვა, რაღაც ახალისაკენ, ჯერ გამოუცნობისაკენ, რომელიც, ესეც არის, უნდა სთქვას ჯოტომ, თორემ ეს კაცი და, ეს ქალი, შემოსვლის დროს მშვიდად რომ ისხდენ, ახლა ჯოტოს თქმების გაძლიერებასთან ერთად ამდგარან ზევით. წელში სწორდებიან. აი, აიმართენ. სანამდის უნდა ამაღლდნენ? ცერებზე დგებიან. ჰაერში ვერ აფრინდებიან, მერე რა უყოთ, თუ ზოგიერთები წელს ვერ იღებენ. ზოგი მოხუცია, ზოგს ალბათ არ ესმის, ან არ უნდათ გაიგონ. ჯერ არ იციან, რა უნდა სთქვას ჯოტომ. მოთმინება არ ყოფნით, გაისმა მათგან ძახილი:

— სად არის გამოსავალი?

და ეს დაძახილი დატრიალდა ოთახში. დაიკუმშა და ყველას მოხვდა პირზე, მუცელში ჩასაბრუნებლად.

— სად არის გამოსავალი?—დაიძახეს მეორეთ.

— გამოსავალი კომუნაშია!!

და ამ ქანდაკებასავით მოკვეთილმა სიტყვამ, უფრო გააფითრა, უფრო გააოცა მათი დაშლილი სახეები, აამოძრავა ტუჩები, ხელები და სხეულის ყოველი ნაწილი.

გლეხებში ხმაურობა ატყდა.

რაღაცას ამბობენ. ჩურჩულობენ. ხელებს ატრიალებენ.

ქალები ბაღდათის ყურივით გამოსკვნილ თავსაფარის ბოლოებს ხელში იტევენ, ზოგი კი პირში იდებს, წიწკნის, რომ კარგად გაიგონ, რას ნიშნავს ჯოტოს პირიდან ოქროსფრად გადმოცვენილი მარგალიტი სიტყვები.

ბათლომე აწყნარებს შეშფოთებულ გლეხებს, თითქოს ტბაში გადაეგდოთ დიდი ლოდი, ქვა და ტალღები ნაპირებს ასქდებოდეს თანმოყოლებით,—ისე ზანზარებს და ირხევა ჯოტოს ოთახში ამ ადამიანების გამლხვარი ლტოლვა სიტყვა კომუნის გამეგისაკენ.

და, აი უკვე გაირღვა.

— რა არის კომუნა?

— რას ნიშნავს კომუნა?

— აგვიხსენი!

— გაგვაგებინე ჯოტო!

ჯოტო შეჩერდა. მასში დატრიალდა უჩვეულო ენერგია. დაიძაბრა ძარღვები. სისხლმა ჩქარა იწყო დენა სხეულში. ჯოტო სახეზე წამოწითლდა, თითქოს ნაღველმა გადმოუარა პირზე. ხელები გაშალა. მოინერწყვა და ფართედ გადაადგა მაგიდას. წელწაფერდილმა ხედვა გაამახვილა, განაგრძო.

— კომუნა ნიშნავს, ერთად ცხოვრებას...

— არ გვინდა! არ გვინდა! რაიო? ბათლომესთან ან შენთან ვიცხოვრებთუ?!.

გააწყვეტინა სიტყვა ჯოტოს ლაზარემ.

ყველა შეირხა ტევრში აშოლტილ ვერხვებივით. შეეჭვიანდენ, ჯერ გაუხსნელი საკითხი ჩამოაბნელა ლაზარეს წამოძახილმა.

ჯოტო მიუბრუნდა ბათლომეს და მწყრალად უთხრა:

— ვინ მოგიყვანია?

— მე არაფერი მითქვამს მაგისათვის?

— გაჩუმდი ლაზარე! არ შეგიძლია ერთი დაჯდე ხეირიანად?

ჯოტომ განაგრძო!

— მაცალეთ, აგიხსნით, მერე თუ არ მოგეწონებათ, არავის გაძალებთ. არც ვინმეს დავალებით გეუბნებით. ერთად იცხოვრებთ, ესე იგი, მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხი სრული თანხმობის საფუძველზე ერთიანდებიან. აერთებენ მიწებს, სამუშაო იარაღებს, ცხოველებს, ფრინველებს, მიწის მოსავალს, სახლებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს რაც საჭიროა ადამიანის ცხოვრებისათვის.

ქალებში დაბალხმოვანი ჩურჩული შეიჭრა.

— და მერე არ იკითხავთ, რა უპირატესობა ექნება ამას!

მიწებს ერთ ფარგალში მოაქცევთ. ერთად გახვალთ სამუშაოდ. ბევრს დათესავთ. ბევრს მოიწევთ. კავებით რომ ჩიჩქნით მიწებს, ასე კი არ იქნება. დაინახავს მთავრობა, რაღაცას რომ ვაკეთებთ, მაშინ მოგვცემენ ტრაქტორს, გუთნებს, მანქანებს და საერთო საცხოვრებლის ასაშენებლად ამ ულრან ტყეებში ნებას დაგვრთავენ მოვჭრათ ხეები. ალმასკომის ქარხანა დაგვიხერხავს ხეებს, სახლს ავაშენებთ ისეთს, რომ არ მოგლანდებოდეთ სიზმარშიც კი. მაგ ფაც-

ხებს, მოდგმულებს, მაშინ არ იკადრებთ. მათ გამოვიყენებთ ღორების, ქათმების, მეწველ ძროხების და მუშა საქონლის სადგომებათ. მარტო სიმინდით რომ იხრჩობით,—დავთესავთ: პურს, ქერს, ჭვავს, ჭარხალს, კარტოფილს. გავაშენებთ ვენახებს, ჩაის ბუჩქებს. ჩაი მაინც ბევრი მოდის აქ. ჩაის მამულების უფროსად შენ დაგაყენებთ ბონდო! ჭარხლის მეურნეობის ხელმძღვანელად შენ ლაზარე.

— არ მინდა, დამანებე თავი!

— კარგი, ნუ გინდა, გიორგის ჩავაბარებ, გავანაწილებთ მუშაობას დარგების მიხედვით. ქალებს ბოსტანს ჩავაბარებთ!

— ბავშები?

— ბავშებისთვის გავხსნით სკოლებს. პატარეებს მოხუცები მოუვლიან. უჩინარი კი არ უნდა გააჩინოთ. ყველაფერი გვექნება: პური, სიმინდი, ლობიო, საპონი, ტანისამოსი და, ერთი სიტყვით, რაც საჭირო იქნება. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ აქედანვე იცოდეთ, როგორ მოეწყობა მომავალში ცხოვრება. დღეს უნდა გადავწყვიტოთ კომუნის დაარსება ამ სოფელში!

ერთი სიტყვით, თუ თანახმა იქნებით, დღესვე მივიღებთ წესდებას. ხვალიდანვე მუშაობას შეუდგებით. პირველად, რასაკვირველია, ყველა ერთად ვერ იცხოვრებთ. სახლები უნდა აშენდეს. სანამდის ეს იქნებოდეს, ზოგიერთებს ერთი და ორი თვალიანი სახლები რომ აქვს, ერთ ადგილზე გადმოვიტანთ. მერე ამას დიდი სახლები მოყვება. დამავიწყდა მეთქვა, ასეთი კომუნები ბევრია, რუსეთში, უკრაინაში და საქართველოშიც. თუ გაგიგონიათ: შირაქის, სამთავისის, პატრიკეთის ან აგერ, ზუგდიდის ახლო ფახულანის კომუნა, და გეუბნებით მე გლეხებო, გამოსავალი კომუნაშია! დაამთავრა ჯოტომ სიტყვა ამაღლებული ტონით. სიტყვაში სჩანდა: ათრთოლება და შიში, ვაი, თუ არაფერი გამოვიდესო.

ეს ენერგია, ეს სურვილი, ჯოტომ რომ გადმოალაგა სიტყვაში, დამსწრე გლეხებმა შეისრუტა წყალივით. ბევრმა, რაღაც ახალი, ჯერ არ ნახული მომავლის ბედნიერება განიცადა. საწყისები მათივე სხეულში გამჯდარა განუკურნავ სენივით. ბევრის თავები მოუცავს დაუცხრომელ ფიქრებს და შეუსვამს ეს გადმოღვრილი მშფოთვარე მისწრაფების, ნისლივით გრილი, დამატკბობელი სიტყვები. იგი გახელებულ ხალხის გულებს ალბობს, აყუჩებს მდინარეზე დაწაფებულ ხარივით, თითქოს დაცლილიყოს ჯოტოს ძარღვები სისხლიდან, ისე მოეშვა მის სხეულს, რაღაც ლოდივით, რომ აწვა ცივი და მოუცილებელი. ახლა ეს გრიგალი ლილისფერ ღრუბლებში არეული, უფრო აიმღვრა, აფორიაქდა. ყველას გადმოეფარა მკერდის სილრმეში მფეთქავ გულზე.

ბათლომე შეუერთდა ამ შეუჩერებელ მდინარებას. მან არ იცის, რა არის ჩამუხლება, იგი საუკუნოებით მოწოლილ სევდას მძლავრად არხევს, ანებივრებს. ფრთებშესხმული ბორგავს, ემზადება გასაფრენად.

ბათლომე ფიქრების გოლგოთას სტოვებს შორს. მათ ფაფარაყრილ ცხენივით აჩერებს. სწორი გზის მიცემა და კალაპოტში ჩაყენება სჭირდება, რომ არ მოედვას ამ მიდამოებს ადიდებულ მდინარესავით. არ აამღვრიოს დაგუბე-

ბული, შმორის სუნით გაჟღენთილი ტბა, თორემ ბარდღა ბარათელია ადვილად დაიჭერს ამღვრეულ წყალში თევზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ახლა სწავლობს ცურვას, ჯერ პატარაა. სუსტია, გაბრიდება, დავაჟკაცდება, ტანს გაიმსხვილებს, კისერს გაისქელებს, კუდს გაიმაგრებს, მერე არ შეშინდება, თუნდაც შავზღვაში შემოსულ გემს შეებმება. კუდს გაარტყამს ცხვირში, შეანძრევს, აგრძნობინებს, რომ ის მძლავარია, თბილი სისხლით გატენილი.

აი, ასეთია ის პატარა, მაგრამ მომავლის ხედვით ღონიერი წერტილები, რომელიც მაგრათ მიბჯენია ამ ხალხის გულებს. დაძაბრული ხედვა ნიაღვარივით გადმოსულა მათი სხეულიდან.

ბათლომემ შეაგუბა ამ ხალხის დაუსრულებელი ფიქრი და ლტოლვა, და ეს ნიაღვარი გადმოდის ყველას პირიდან.

ცეცხლიან სიტყვებს ისვრიან, ჯოტოს საუბრის ირგვლივ გამოსული გლეხები. მათი სიტყვები ძიება და გარკვევაა, ახსნა და გაღრმავებაა ზოგიერთ ბუნდოვან აზრების. ის ამდენხანს იდუმალებით იყო სავსე.

ისმის გუგუნი, მწუხარე, დაუსრულებელი.

მათ ვერ ანელებს ლაზარესა და მისი ორი ამხანაგის ცივი, უკმეხი ხმით წამოძახილი და გულის წყრომა ამ მოვარდნილ ტალღის წინააღმდეგ. არავის ეკარება, არავის ეუფლება ეს. არც ერთის თავში ჯდება ასეთი ფიქრი, რომ ერთი ღამითაც დაისადგუროს შიგ ბინა. თუ ზოგიერთების გაოცებული სახეები უფრო იძირება ამ ნაცრისფერ ფიქრთა ტბაში, ეს მხოლოდ დროებით არის.

და მასშიც შეიჭრება ნათელი ხედვა ამ ბინდით ჩამობურულ მიდამოებში.

* * *

აქ თავმოყრილ გლეხებს ბევრი გაჭირვება და ბევრი დამცირება გადაუტანია წარსული ცხოვრების მანძილზე. მათი ცხოვრება მუდამ სევდით და მუდამ უბარაქო შრომით იყო დამძიმებული. და, თუ მათი ყოფის წიაღში ოდესმე ამოსულა გამამხნევებელი მზე, ეს არ ყოფილა ხანგრძლივი, მას ხშირად დარბევა, სიკვდილი, აწიოკება და განადგურება მოყოლია ბნელი ძალების მიერ, რომელნიც ასე უხვად თარეშობდენ სოფლებში გასაბჭოებამდე.

ამიტომ, ახლა აქ მყოფი გლეხები ზედმეტი სიფრთხილით და ზედმეტი დაკვირვებით ისმენენ და სჯიან ყოველ ახალ აზრს, ყოველ ახალ სიტყვას, რომელიც კი მოესმებათ მათ ყურებს.

ალბათ ამით აიხსნება, რომ ისინი ჯოტოს მიერ გადმოლაგებულ აზრებს და სიტყვებს რაღაც უცნაური სურვილებით შეეგებენ. მსჯელობენ მის შესახებ. უკვირთ, თუ რატომ ამდენხანს არ გაეგონათ ასეთი ამბები, თან კი ეალერსებიან, ეტრფიან და გარშემო ევლებიან ანთებულ მზეს, ლამპარს, რომელიც ჯოტომ შემოიტანა ამ ხალხის დუნე ცნობიერებაში კომუნის სახით.

ბევრის თავები ამ ახალმა აზრმა, რომლის მიზანია გარდაქმნას სოფლის ყოფა-ცხოვრება ახალ კოლექტიურ საფუძვლებზე, უფრო დააბნია და გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენა, თითქოს ცხოვრების გამოუსვლელ ჩიხში მომწყვდეულიყოს მათი აზრები, ისე აიწეწა ფიქრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყეს გლეხებმა საკუთარი აზრების გამოთქმა.

— ერთი მათქმევინე!—წამოიძახა მაქსიმემ.

— ორი სთქვი კაცო.—უპასუხა ბათლომემ.

— კაცებო, გეიგონეთ რა ილაპარაკა გლახუეს ჯოტოშან!

— ჩვენ კი გევიგონეთ, მაგრამ შენ თუ გეიგე!—უთხრა ბონდომ მას.

— ჰო, მეც მაგას ვამბობ, თუ გეიგონეთ და, თუ გეიგეთ, მე კი სულ დავიბენი, სულ დავიკარგე კაცი, რას ამბობთ, რა მაცდური აზრი მოგსვლიათ თავში, ეშმაკები ხომ არ შემოგიჯდათ მხრებში, აბა რამ გათქმევინათ, რომ ერთად უნდა ვიცხოვროთ ყველამ? ვის გინახავთ, რომ ამდენი ხალხი ერთად ცხოვრობდეს? მაშინ ხომ დაუმტვრიეთ ერთმანეთს თავები? ან და რაც ქვეყანაზე არ მომხდარა, ის ჩვენ, რატომ უნდა მოვიგონოთ? ვინ გვაძალებს ამას, ვისთვის არის ეს სასარგებლო? აქ რომ ამბობთ, რუსეთში და სადღაც კიდო ყოფილა კომუნები და კარგათ ცხოვრობენო, ტყულია ყველაფერი, საიდან იცით, ან როდის იყავით რუსეთში, რომ გენახათ? თქვენ ის მითხარით: ჩვენში რა არის თვარა, ეგება იქ სხვა რამეებიც იყოს.

— ფახულანი!—მიახალა სიტყვა ბათლომემ.

— არც მაგას დევიჯერებ, რადგან არ გინახავთ რა არის იქ, მიჩვენეთ და მერე სხვაფერ ვილაპარაკებ. ამაზე მეტი რა გინდათ: ჩემი ბიჭები, რომ წამოიზარდენ, ცოლები შეირთეს, სახლიდან გამომეყვნენ და ცალკე ცხოვრობენ. ჩემთან და ჩემ დედაკაცთან კი ვერ გაჩერდენ, ხო და ახლა თქვენ გინდათ, რომ ქვეყანა ერთ სუფრაზე შემოუჯინოთ და ხარებივით ერთად მოაბალახოთ? იქამდის ხარებიც კი ერჩოლებიან ერთმანეთს. არა, ეს არ იქნება! არა, რა ვიცი ახლა, არც იმას ვიტყვი, რომ ყველაფერი ვიცოდე, მაგრამ ჩემი გამოცდილება ამას მეუბნება, რასაც ვამბობ, თუ დამარწმუნებთ კომუნის სარგებლობაში და სიკარგეში, ქაჯი კი არა ვარ, რომ მოგცილდეთ და ტყეში გევიქცე—დაამთავრა მაქსიმემ თავის სიტყვა.

მისმა სიტყვებმა ჯოტოში სიბრალული გამოიწვია შეუგნებელ ადამიანისადმი, რომელსაც თავისი შეუგნებლობა და თანამედროვე ცხოვრებისადმი დაუკვირვებლობა მას ასე ზერელე ალაპარაკებს. მაქსიმეს სიტყვის ბოლო ნაწილი თითქოს ეწინააღმდეგება მისი ნალაპარაკევის პირველ ნაწილს, როგორც სჩანს მაქსიმეს გამოურკვეველ აზრებს, რაღაც ახალი, რაღაც დამაეჭვებელი მოვლენა შეპარვია. საკმარისია ჯოტომ ერთხელ კიდევ აუხსნას მას კომუნის მნიშვნელობა და მის მომავალ მუშაობაზე, რომ მაქსიმე გამოერკვეს ამ მდგომარეობიდან და დაუსხლტეს ხელიდან მის თვალწინ ჩამოწოლილ ნისლს, რომელიც მას ამძიმებს და არ აძლევს საშუალებას საღი აზროვნებისას.

მაქსიმეს სიტყვას, ბონდოს გამოსვლა მოყვა. იგი ღარიბი გლეხია, ის სოფელში მეტად პატიოსან და შრომის მოყვარე ადამიანად ითვლება, ამიტომ უყვართ ბონდო გლეხებს.

— მე რომ მკითხოთ, ჩვენ ამდენხანს ჭურში გვძინებია, თვალები დახუჭული გვქონია, თვარა რავა არ უნდა გაგვეგო, რომ ფახულანში კომუნები ყოფილა, ისიც ორმოცი ვერსის მანძილზე, სულ ერთი დღის სავალი გზაა. წავსულიყავით, გაგვეგო, გვენახა საკუთარი თვალებით, თუ რას აკეთებს ის ხალხი,

მაგრამ ზოგიერთი ჩვენთაგანი ხანდიხან ასეთ რამეს იზარებს, არ აინტერესებს. თუ კი ჩვენი მამა-პაპები, როგორც ბაბუაჩემ დათიკიას ბევრჯერ უამბია, აქედან ტფილისში დადიოდენ ჩალანდრებათ ამ დოულეველ და გოუფაგებელ გზაზე, რატომ ჩვენ არ შეგვიძლია ორმოცი ვერსი გავიაროთ? ხომ არ უნდა წავხდეთ? უკან-უკან ხომ არ მიდის ჩვენი დღეები, ჩვენს ძველებს ვერ უნდა ვაჯობოთ?

ჩემ სიცოცხლეში მე ისეთი მანუგეშებელი, დამაფიქრებელი და საკუთარ ცხოვრებაზე ერთხელ კიდევ იქვის თვალით შემხედავი აზრები არ მომისმენია, როგორც აქ ჯოტოიამ გველაპარაკა, მე არ ვიცი ამხანაგებო, თქვენ რას ფიქრობთ, მე კი მგონია, რომ დღეს რაღაც უცნაური დღე გამითენდა, თვალები ამეხილა და სინამდვილე ჩვენი ცხოვრებისა უფრო თვალსაჩინო და გასაგები შეიქნა მთელი რამ წინააღმდეგობებით, რომელიც კი არსებობს.

როცა აქ გამოდის მაქსიმია და ამბობს, რომ ისეთ რამეს ლაპარაკობთ, ისეთ რამეს იგონებთ, რომ არავის არ უნახავს და არავის არ განუცდიაო, ეს ცოტათი მართალია, მაგრამ მაქსიმე არ არის მართალი იმაში, რომ რადგან ჩვენ არ გვინახავს და რადგან არ გამოგვიცდია, ამიტომ ნუ მოვკიდებთ ხელს ამისთანა საქმესო, ამაში მშიშარობა და სიგლახე სჩანს—ვინემ წინსვლის და ცხოვრების გაუმჯობესების სურვილი. ჩვენ, რომ არ ვიცოდეთ, რა მნიშვნელობა აქვს ერთად ცხოვრებას, ერთად შრომას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომუნა არ ვარგა.

— შენ, ნუ დეიწყებ ახლა აქ ლაპარაკს უჯრედის კაცივით—მიაძახა მას მკვახეთ ლაზარემ.

— მე სრულებითაც პარტუჯრედის სახელით არაფერს გავალებთ და არც მითქვამს რაიმე, მაგრამ უნდა განვაცხადო ლაზარეს მწარე და მყრალ სიტყვების წინააღმდეგ, რომ ჩვენი სოფლის პარტუჯრედი დარწმუნებულია იმაში, რომ კომუნას შეუძლია ღარიბ მოსახლეობისათვის მოიტანოს უკეთესი ცხოვრება და უკეთესი შრომა, რისთვისაც ჩვენი პარტიულები უჯრედის ხელმძღვანელობით იბრძოლებენ. რასაკვირველია, ყველაფერი არც ჩემთვის არის გამორკვეული, ნათელი, მაგრამ ხომ იცით, ასეთი გაუგებარი რამეები საქმის დროს გამოირკვევა. ვის გოუხარდება ჩვენს სოფელში კომუნის დაარსება?!.—აქ ცოტა ხანს შეჩერდა ბონდო, უნდოდა პასუხი გლეხებს მიეცათ, მაგრამ მან პასუხს არ მოუცადა და ლაპარაკის ექსტაზში შესულმა იქვე სთქვა:

— ღარიბებს!—ვის ეწყინება და ვინ დაგვიწყებს ამისთვის ბრძალას?! მდიდრები, ყოფილი აზანურები, ყოფილი სტრაჟნიკები და კულაკები, როგორც ბარდღა ბარათელია, ანტონა კოპალიანი და სხვები არიან.

— რას ყრანტალობ შე უჯიშო, შე გლახის შვილო, ბარდღას ძვირს, როგორ ამბობ! მისი სახელის ხსენების ღირსი ხარ? შენისთანა კაცები მას მოსამსახურეებათ და ფეხის დამბანებათ ყოლია—უთხრა ლაზარემ ბონდოს ბარდღას სახელის ხსენებაზე.

კრებაზე მყოფ გლეხებში ხმაურობა შეიქნა, რომელიც გამოიწვია ლაზარეს მწვავე სიტყვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ბარდღას ლაქია და მისი კუდი ხარ, ფინია ძაღლივით დაწანწალობ მასთან, ელაქუცები, ახლა კი მისი დაცვა გინდა?!.—უთხრა მას ჯგუფილია აბზიანიძემ.

— რათ გიკვირს ბონდო შენ ეს ამბავი? ხომ იცი, ლაზარე ბარდღაზე ნაკლები მტერი არ არის ჩვენთვის, მაგას ვერ მოუნელებია, რომ დღეს საბჭოთა ხელისუფლებაა, არ აძლევენ გასაქანს, ყველამ კარგად იცის, რომ მაგი მეფის მონა-მორჩილი და მისი ერთგული კაცი იყო, სტრაჟნიკად მსახურობდა, მერე არ მახსოვს, მგონი ურიადნიკათაც იყო, ჰო და რათ გიკვირს, თუ ახლა ბარდღას იცავს?—უთხრა ბონდოს იქვე მდგომ ლუკა წულაიამ.

ლაზარემ მას შემჭმელ მგელივით შემოხედა და წამოიყვირა:

— ჩემისთანა ლარიბი რომელი ხართ ამ სოფელში!

— შენ ქეიფში და დაფა-ზურნაში შეჭამე მთელი ცხოვრება, ქონებით მდიდარი არ ხარ, მაგრამ, როგორც ძველი ნასტრაჟნიკალი, ნიკოლოზის დროის დაბრუნება გინდა და ჩვენი მოწინააღმდეგების თავი გაბია, ამიტომ იცავ შენ ბარდღას, ალბათ ძველ ნააზნაურალ, მაგრამ ახლა გაკოტრებულ მოქეიფე ვასილიკასაც დაიცავ და გულლამუტიან ანტონა კოპალიანსაც შეიბრალებ!—მიმართა მას ბათლომემ.

ასე დაიწყო მათ შორის შეჯახება, ასე გაიშალა მათ შორის არსებული წინააღმდეგობა, თითქოს უფსკრული გათხრილიყოს, ისე სცილდება ერთი შეხედულება მეორისას კომუნის შესახებ.

ბონდო მაინც განაგრძობს:

— მე არ მიკვირს, რომ ლაზარე კულაკებს იცავს, ეს არც მოულოდნელია ჩვენთვის. დეე! იყვიროს მაგ ბარდღას ძაღლმა, ბარდღას ნასუფრალზე რომ ილოკება და ილოლნება. მაგას არც მაქსიმე გაყობა. კოპალიანი და ვასილიკა კი ხომ მაგის პარტიაა? ერთი და იგივე ხის ნათალი არიან. ხო და, მე ვამბობ ჩემი პატარა ცოდნით, რომელიც გლეხ-კაცს შეეფერება, დრო არის გამოფხიზლების, სახლში არავინ არაფერს არ მოგიტანს, უნდა გევინძრეთ, ავმოძრავდეთ, მარტო ხელები და ფეხები კი არ უნდა ავამოძრაოთ, არამედ თავიც შეავაწუხოთ, ვიაზროვნოთ, რომელი სჯობია: ასე ცხოვრება თუ კომუნა, რომლის შესახებ ჯოტომ ბევრი გველაპარაკა?! ჩემი აზრით, დროსაც ნუ დავკარგავთ, შეუდგეთ საქმეს, მე მომხრე ვარ, რომ დღეიდანვე დავიწყოთ კომუნის დაარსება. მეტი მე არაფერი ვიცი.

ბონდოს ლაპარაკმა ძალიან დიდი გავლენა მოახდინა იმ გლეხების ნაწილზე, რომელნიც გამოურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ. ახლა მათ სახეებს ემჩნევა, თუ როგორ იწმინდება გაუგებრობის ბურუსი, როგორ ბრწყინდება ჩაღრმავებულ უპეებში მოკიაფე თვალები, და როგორ პრაქტიკული, მოხმარების და სარგებლიანობის თვალით უყურებენ და სჯიან გლეხები თვითეულ სიტყვას, რომელიც კი მათ ცხოვრებას შეეხება.

ბათლომე ლაზარეს აძლევს შენიშვნებს, რომ დაწყნარდეს, ხელს ნუ შეუშლის კრების მსვლელობას წარა-მარა წამოძახილით, მაგრამ ლაზარე ცოფიან ძაღლივით პირიდან დორბლს ყრის. თვითეული მისი სიტყვა იკბინება ცოფიან ძაღლზე უფრო მწარედ და უფრო გესლიანად. მართალია, მას ამ კრებაზე მაინც-

დამაინც ზურგის გამმაგრებელი ბევრი არ ყავს, მაგრამ ანტონას, რაფიას და ვასილიკას იმედითაც შეუძლია მას ამდენი ყვირილი, მით უმეტეს, მან კარგად იცის ვასილიკა ბიაძეს ხასიათი, რომელიც მას ყოველგვარ ჩხუბში და ფესაძაგლეში გამოყვება.

ჯოტო ამ ამბებს თითქოს გულდამშვიდებით დასცქერის, ნამდვილად კი სურს გაიგოს და ღრმად ჩასწვდეს თვითეულ გლეხის მეტად დამახასიათებელ და მეტად პრაქტიკული მნიშვნელობის ლაპარაკს, ამიტომ ჯოტომ უთხრა ბათლომეს:

— მიეცი მაგ კაცს სიტყვა, სთქვას რა უნდა!

ბათლომე დაეთანხმა ჯოტოს და ლაზარეს მიმართა:

— ლაზარე, გამოდი და ილაპარაკე რაც გინდა!

ვიტყვი, რატომ არა? შენზე ნაკლებად ვილაპარაკებ თუ! ხალხო! რო მიჩერებიხართ ამ სულელ ადამიანების სიტყვებს და იესო ქრისტესავით მხსნელი გგონიათ მაგენი, ჭკუას რომ არიგებდენ ქვეყანაზე, სად იყავით მაშინ? არ შეგხვდათ! როდის გინახავთ მაგათ მიერ გაკეთებული საქმე? ტკბილი სიტყვა კარგი სათქმელია, მაგრამ მისი ასრულება თქვი, აპა!! ერთად ცხოვრება კი არა, ორი კაცი, რომ ერთად დადგება და დაიწყებს ლაპარაკს, ისინი ვერ შეთანხმდებიან, მათ შორის ჩამოვარდება ქიშპობა და ჩხუბი, ხო და თქვენ რავა შეგიძლიათ ყველანი ერთ ხასიათზე დააყენოთ და ერთ ენაზე ალაპარაკოთ? ბაგაზე დაბმული ხარები ხომ არა ვართ, როგორც თქვენ გინდათ ისე მოვიქცეთ, მერე რომ დაგიჩემებიათ და ენაზე გაკერიათ, რომ ბარდღა, ანტონე, ვასილიკე და ლაზარე კულაკები, ნათავადრები და რაღაც-რაღაცეებიაო, ვინ მოგახსენათ ეს? ბარდღასთანა გულკეთილი აქ არავინ არის. თქვენ მამაძაღლებო, ბარდღას რომ აქვს ქონება, იმიტომ აქვს, რომ შრომობდა ის კაცი, რომ გაგიჭირდება კიდევ მასთან უნდა მიირბინო, თვარა არც ბათლომე შარვალ გამოგლეჯილი, და არც ბონდო ლაქლაქა არ მოგცემს რაიმეს. მაგისთანა კაცი ხელით სატარებელია. თქვენ კი ლანძღავთ, ამის ნებას არ მოგცემთ. ჩვენს სოფელში არ არის საჭირო კომუნა, ამიტომ არ გვინდა იგი, ხომ მართალია ხალხო!!—დამთავრებისას მიმართა ლაზარემ ხალხს, მაგრამ მას მხოლოდ ოთხი კაცი დაეთანხმა. ზოგიერთები კი მერყეობის და მტკიცე გადაუწყვეტლობის გამო ხან ლაზარეს სიტყვას მიეკედლებოდენ და ხან კი ბონდოს, ბათლომეს და ჯოტოს სიტყვებს.

— მე არ ვიყო ლუკა წულაია, თუ არ გიტირო დედა ლაზარია მაგ დამუქრებისათვის, შე ჩიჩია გლახაო, ვინ მოგცა მაგის უფლება, რომ იძახი: „კომუნის დაარსების უფლებას არ მოგცემთო“, შენ, ეგებ დაგავიწყდა და მე კი კარგად მახსოვს ნიკოლოზის დროს, ტყავს რომ აძრობდი გლეხებს, შე მექრთამე, ერთი ხარის მოწმობაში შენ და ვასილიკე ბიაძე მაშინდელ დატკიცინებულ სამმანეთიანს რომ იღებდით, დაგავიწყდათ! ისიც დაგავიწყდა, რომ ომის დროს ჩვენი სოფელი გასწმინდე ახალგაზრდებისაგან და სასაკლაოზე რომ გარეკე! ისიც დაგავიწყდა, რომ შპიონობისა და ხალხის აწიოკებისათვის ფულებს რომ ღებულობდი!! ჰო-და ესენი მე ვიცი, გიტირებ ყოფას.

— ვერაფერსაც ვერ მიზამ, ტყუილია.

— მერე ვნახოთ თუ ვერ გიზამ. ახლა კი გლეხებო, მე ბევრს არ ვილაპარაკებ, რადგან ჯოტომ და ბონდომ ყველაფერი სთქვეს. გუშინწინ ერთად ვმუშაობდით, ხომ იყო სასიამოვნო, ხომ იყო მხიარულება, ისე გავაკეთეთ ეს სამუშაო, რომ არც კი გაგვიგია თუ რა იყო დაღლა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ერთად მუშაობა კარგია, ბარაქიანია. კომუნაც ასე საერთო შრომაზე იქნება აღმოცენებული, ვინც არ იმუშავებს, ვინც არ იბრძოლებს, ის არც კომუნის ღირსი იქნება, ხომ არის ეს მართალი ანტონია?—განგებ შეეკითხა ლუკა წულაია ანტონა კოპალიანს, რომელიც თუ ბარდღასავით მდიდარი არ არის, არც დიდად ჩამოუვარდება მას.

— მე თუ მკითხავ ბიძია—დაითაფლა ენა ანტონამ—საჩხუბარი რა არის აქ? რატომ უნდა გადავეკიდოთ ერთმანეთს, ილაპარაკეთ თქვენ არა? ახლა ჩვენც გვაცალეთ!

— სთქვი, ვინ გიშლის!

— მე ვამბობ, რომ თუ კრებას იწვევდით, მთელი სოფელი უნდა მოგეყვანათ, რომ გაგეგოთ ჩვენი აზრი.

— არც თქვენ ყოფილხართ დაბარებული, ვინ მოგიყვანათ?—მიაძახა ბათლომემ მას.

— ლაზარემ წამომიყვანა, დაბარებული ვართო!

— განაგრძე ახლა!

— ხო და, ნუ ჩამოაგდებთ ჩხუბს ერთმანეთში, ყველანი გლეხის შვილები ვართ, ყველამ კარგად ვიცით რაშია საქმე, ამ წუთისოფელს ნუ წავიმწარებთ, თუ რაიმე გვექნება, საერთო არ არის? რად გვინდა ახლა კომუნა და რაღაც ასეთი უცნაური რამეები, ხალხმა რომ არ იცის? ნუ აგვსვრით და დაგვსვრით, ტალახში ამოგორებულ ღორებივით. ვიყოთ ტკბილად, როგორც ვართ. თქვენ ახალგაზრდები ხართ, ჩვენ კი ხანში შესულები, რაფერ შეგვიძლია გამოგყვეთ მუშაობაში, ამიტომ ნუ ამბობთ: შენ კულაკი ხარ, შენ ნათავადარი და შენ ნასტრაჟნიკალიო, ხომ იცით თავის დროზე ყველაფერი საჭირო იყო, მაშინ თუ სტრაჟნიკი იყო, ახლა მილიციონერია, მაშინ თუ მამასახლისი იყო, ახლა ასის თავია, მაშინ თუ პრისტავი იყო, ახლა კომისარი, აღმასკომის თავმჯდომარე და არ ვიცი რა არაა, ჰო და რად ერჩით ერთმანეთს, ნუ, რა უყოთ, შეცდით და დაიწყეთ ლაპარაკი კომუნის დაარსებაზე, ეგ მოსალოდნელი შეცდომაა, ახლა თავი დაანებეთ მაგ კომუნაზე ლაპარაკს, მაგი სისულელეა.

— რაო??

— არა, უკაცრავად, მოუხერხებელია, წევიდეთ აქედან ჩუმად, ულაპარაკოდ, თითქოს არაფერი ყოფილა, ჩვენ არ გაგაცხადებთ, ასე მოვიქცეთ შვილებო, გეივლის წლები, და მერე ვნახოთ თუ იქნება საჭირო კომუნა, მანამდის კი ჩემსავით იმუშავეთ დღე და ღამ ყანებში. რა გაწუხებთ, მე და ბარდღას ყოველდღე ათი-ხუთმეტი კაცი გვჭირდება სამუშაოდ, საჭმელს არ მოგაკლებთ და სასმელს, რად გინდათ კომუნა?

კრებაზე მყოფი ღარიბი გლეხები მეტად გაანცვიფრა ანტონას ტკბილმა და დამშვიდებულმა სიტყვებმა. ისინი მას იცნობდენ, როგორც ყველაზე საზარელ ადამიანს, მიუკარებელს, გაუტანელს, ახლა კი თითქოს ვერ იცვნეს ანტონა

ლაპარაკობს თუ სხვა ვინმეო, მაგრამ ვინც კი დაუკვირდებოდა მის აზრებს, ის შეამჩნევდა, რომ ანტონამ აქ იხმარა მოტყუების და ცბიერი ადამიანის ყოველგვარი ხერხი, რომ კრება დაეყოლიებია თავის ნებაზე, მაგრამ ეს არ გამოეპარა იმათ, ვინც კარგად იცნობდა მის გაიძვერულ ხასიათს და მოქმედებას, ამიტომ მას იქვე უპასუხეს მაგრად:

— ისე რავა უნდა გათახსირდეს კაცი, რომ ასე მამაძაღლურად და ასე მოტყუებით ილაპარაკოს! ვინ დაუჯერებს ანტონას, რომ მას არ ეზარება თვითეული ჩვენთაგანის დანახვა, მაგრამ ეს თავის გადარჩენის საქმეა, ვერ მოგვატყვილებ. ისე დეიგლახაკა თავი, რომ მამა აბრამის ბატკანი გეგონება. ჩვენ ვიცით რას ფიქრობს იგი გულში —სთქვა ბარბალემ.

ბარბალე ჯოტოს მოხუცი დედაა.

ბარბალეს სხვა ქალებიც გამოყვენ სალაპარაკოდ.

მერე კიკილია აბზიანიძე გამოვიდა მეორეჯერ, და რაც ვასილიკა ბიაძის ჯინი ქონდა, ყველა აქ ამოიყარა. სიტყვის დამთავრებისას მან ვასილიკას, ანტონას და ლაზარეს გარედ გამოყრა მოითხოვა. როგორც „დაუპატიჟებელი სტუმრების“.

ბოლოს ჯოტო წამოდგა, გაცინებული სახით გადახედა ყველას, განსაკუთრებით ბონდოს, ლუკას, კიკილიას და სხვა თავის თანამოაზრეებს. მერე ანტონას მაცდურ თვალებს დააკვირდა. ანტონამ თვალები ვერ გაუჩერა და მტყუან კაცივით თავი უაზროთ გადახარა გვერდზე.

ჯოტომ ერთხელ კიდევ გაარკვია ის საკითხები, რომელიც ზოგიერთებისათვის გაუგებარი აღმოჩნდა. მან შესძლო თავის დამშვიდებულ, გარკვეულ და უბრალო სიტყვებით გლეხობის უმთავრესი ნაწილი თავის მხარეზე გადაეყვანა. მკვეთრი სიტყვებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის მთავარი საკითხები, რომელიც უნდა დაედოს კომუნის მუშაობას საფუძვლად.

— ჩვენ ამ საქმეს დავიწყებთ მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთებს არ სურს ეს, არც არავის ვაძალებთ ამას. შევსძლებთ თუ არა ჩვენ კომუნის დაარსებას და მის გაძღოლას?? შევძლებთ, რადგან ყოველგვარი პირობა და საშუალება არის ამისი. მაინც სად არის ეს პირობა? ისევ ჩვენში. მხოლოდ მას ამოძრავება სჭირდება, გამოყენება უნდა, ჩვენც ამისათვის ვართ მოწოდებული; გამოვიყენოთ ყოველგვარი შესაძლებლობანი, რაც კი არსებობს ქვეყანაზე. არავინ იფიქროთ, რომ ჩვენ რაიმე დალხინებულ ცხოვრებას შევქნით ახლავე. ბევრი შრომა და ბევრი გარჯა დაგვჭირდება, ამას აქედანვე ვაცხადებ, მტრებიც ბევრი გვეყოლება, ახლაც გვყავს, ისინი ამ კრებაზედაც არიან.

— მართალია!

— სწორია!—წამოიძახა გლეხებმა.

ჯოტომ დაამთავრა საბოლოო სიტყვა. სიჩუმე ჩამოვარდა, გლეხები თითქოს რაღაც არა ჩვეულებრივს მოელიან მისი სიტყვის შემდეგ. ოთახში გრილი ნიავი შემოიჭრა და ზოგიერთების შეკრულ, დაწკურულ სახეებს სინესტის სუნი მოაფინა.

გარედ ბინდი ბურავს ორლობეებს, დაბურულ ბინდში ბათლომეს სიტყვა მეხივით ვარდება, გარბის, ელავს, ქუხს და ანგრევს აუღებელ სიმაგრეებს.

ამიტომ იძახის ასე დაბეჯითებით ბათლომე:

— კენჭს უყრი, ვინ არის მომხრე დავაარსოთ კომუნა?

აიმართა ზევით ხელები ტყესავით.

ლაზარემ შესძლო ოთხიოდე საშუალო გლეხის თავში [illegible] ეჭვიანი აზრების უფრო დამძიმება, დაბნევა. მათი ხელები სდუმან. თვალები უგანივრდებათ, როცა ხედავენ უმრავლესობის შეერთებას და შედუღებას ერთ მთლიან რგოლში.

კომუნა შემოიჭრა სოფელ ლებალარათუაში.

ეს სახელი უყვართ ყველას.

ტუჩებთან მომდაგრი ღიმილი შუქდება.

და ეს მთები, რომ დაუფლებია ას წლოვან მუხებს, წიფლებს და ვერხვებს, იტაცებს ამ სიტყვას, თითქოს მისი საყვარელი ნადირის საზარელი ღრიალი იყოს.

ალბათ გრძნობს, რომ კომუნა გაიკეთებს ძირებს და მუხლებს ამ ხეების გულებიდან ამოღებულ ფიცრებით.

ეს მხედველობიდან არ გამოეპარება ბათლომეს და ჯოტოს. სანამ ბათლომე დახურავდა კრებას, მიღებული იქნა წესდება. ამოირჩიეს ხელმძღვანელი სამეული ჯოტოს, ბათლომეს და ლუკას შემადგენლობით. მათ დაევალათ ამ ხალხის ნება-სურვილების განხორციელება; ამიტომ ხვალიდანვე უნდა შეუდგენ კომუნის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას.

ბათლომეს ეზარებოდა გვერდზე წამოხრილ ფაცხაში შესვლა და მის ირგვლივ გარემოს დანახვა. ახლა შემოწოლილი სევდა შეიცვალა. მოხდა გარდატეხა. ამავე ადგილზე იქნება კომუნის სარბიელი, საცხოვრებელი ადგილი და იგი დამშვენდება სახლებით, ბეღლებით, ტრაქტორებით და მოწეული ჭირნახულით. მაშინ ასე მუქ, და ლილისფერს კი არ მიიღებს ეს მთა, ეს ღრუბლები, არამედ გაელვარდებიან, გაბრწყინდებიან. გუმბათივით გადმოხურულ მთას აწმენდენ ღრუბლებისაგან. სარკესავით გამოჩნდება მდელოები და სწორი, გუღლია მთის ტატნობი. მაშინ ეს მინდორიც ფართეთ გადიშლება. გაიხსნის გულმკერდს, ჩაიკრავს ამოძრავებულ ხალხის ფეხის გულებს სიყვარულით აღსავსეს.

და ახლა ამ კრებიდან წამოსული გლეხების ფეხები ფრთხილად, სათუთად ეკვრება მის გაფიცხებულ ზედაპირს.

* * *

რალაც ახალი ძალა შეიჭრა სოფელ ლებალარათუას ძარღვებში. იტენება ამ ახალით მათი სხეულის ყოველი უჯრედი. იგი ჯდება შიგ ციების ბაცილასავით, ღრღნის, უქავებს ფეხის გულებს. ამოძრავებს ღონივრად, ვინემ აქამდის.

აი, მოდიან ხვალინდელი დღის მებრძოლი გმირები.

მოაქვთ: ჩამხმარი, მზისაგან დამწვარი სახეები, ანთებული თვალები განიერი და მრგვალი ამოღრმავებულ გუბებიდან, მოაქვთ მჩქეფარე სისხლით გატენილი ფიქრები, ოცნება დაცლილი თავები და ძვალმსხვილი ბეჭები.

სოფელი ამ მოძრაობის ტბაში იძირება.

შფოთვა თანდათან ძლიერდება, მაღლდება, იშლება და ხვეულებს ეფინება:

იქ, სადაც ბათლომეს პატარა ფაცხაა მიგდებული—დიდი მინდორია, ჯერ გაუტეხავი, ოდესღაც მუხის ხეებით დაფარული. ახლა ნატყევარი, კაპეტი, აქა-

იქ მუხის ძირები თავებ დამწვარი, ფესვებ ამოყრილი, ამოსაგდებათ გამზადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აქ, მოაქვთ ურმებით დარღვეული სახლის ნაწილები.

ურმებს მოუძღვება ბათლომე.

მათში სჩანს: ჯოტო, გიორგი, ბონდო, ლუკა და სხვები.

— ურემი არ გვყოფნის.

— დავალება ხომ გაქვთ?

— მერე!

ის, რომ წადით, ითხოვეთ ხარები და ურმები.

— თუ გამოვიდა რამე, მისვლას არ დევიზარებთ.—უთხრა ბონდომ ჯოტოს.

ურმის სათხოვრათ მოსულ ბონდოს, გლეხობის შეძლებული ნაწილი არ იკარებს ახლოს მათში შურისძიების ბოღმა გროვდება კომუნის მიმართ.

სოფელი ბორგავს.

მოძრაობის ღერძი ჯოტოს მიერ დაარსებული კომუნაა. მის ირგვლივ ტრიალებენ ზოგიერთების თავები, ხან წაღმა და ხან უკუღმა.

ჯერ ხომ სუსტია კომუნა?

ჯერ ხომ ჩანასახია? მაგრამ კარგი ჯიშის, ჯანსაღი დედის.

ზიზღი, რომელიც დატრიალდა ამ უცნაური ამბის გაგების გამო, დამაჯერებელია და უფრო ივსება გესლით, როცა აჭრიალდა ურმები შარა გზებზე.

ახლა გაიხსნა საიდუმლოება.

ამას კარგად ხედავენ ისინი, ვინც კომუნაში არ იღებენ მონაწილეობას. მათ თავიანთი სურვილის წვეთიც კი არ შეუმატებიათ კომუნის მამოძრავებელ სათავეებისათვის.

ამიტომ არის უკმეხი, შურიანი, მწყრალი, გესლით დატენილი და გველის წიწილასავით მკბენარე ის სიტყვები, რომელიც ურმების სათხოვრად მისულ ბონდოს შეაგებეს სოფლელებმა.

ბონდომ არ მიიღო ეს გესლი, ეს შხამი. მათ გველური თვალები უჩვენა, გველზე უფრო საზარლად.

უტეხ სიტყვას:

— „ურმებს კი არა, სიკვდილს გათხოვებთ!“

უშიშრად უპასუხა.

— სიკვდილი კარებზე გაქვთ მომდგარი. არ გაუღებთ და შემოამტვრევს. რამდენჯერ წაგიყვანიათ ჩვენი ურმები, რომდენჯერ მოგხმარებივართ, როცა ეს დაქონქილი სახლი მოვიტანეთ?

როცა გლეხი სახლს იყიდიდა, გადმოტანაში მთელი სოფელი ეხმარებოდა. გაისმოდა: ყვირილი, სიმღერა და წითელი ღვინით შეზარხოშებულ გლეხების უწმაწური სიტყვები.

მასპინძელი მხიარულობდა, არ ზოგავდა ჯიბეს, მოქონდა პურ-ღვინო.

ეს იყო ჩვეულება.

ამ ჩვეულებას კარგი თვისება ჰქონდა: სახლის გადმოტანა მთავრდებოდა ერთ დღეს უსასყიდლოდ.

სახლის გადმოტანაზე მუშაობა ითვლებოდა გავალებათ.

და ეს გავალება გატყდა ახლა სახურავიდან გადმოვარდნილ ყაბალივით.

ან როგორ შეიძლება ასეთი გავალების განაღდება?

იგი ბარდღა ბარათელიას საფლავის გათხრას ემსგავსებოდა.

ბარდღა ბარათელიას ძრახვების სულის ჩამდგმელი—ლაზარე, გაწიწმატებულია. დამპალი, შმორის სუნით აყროლებული პირიდან სულმოუთქმელად ისვრის გაცოფებულ სიტყვებს.

— რას ხედავს ამას ჩემი თვალები! რას უყურებ ბარდღა!

— რა იყო, ჩემო ლაზიკო!—თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, დამშვიდებული კილოთი უთხრა ბარდღამ ლაზარეს.

მდიდრულ კარმიდამოში მოფარფაშეს, განებივრებულს და გადიდგულებულს, ხანგამოშვებით დამატკბობელი სურნელება შეეპარებოდა, შეისრუტავდა სიტკბოებას ხარბად, რომ ლაზარესავით სულ-მოკლე ხალხი მოეთაფლა. მერე ფეხებით ჩაეფლობოდა ლაზარე ამ თაფლში, როგორც საჭერელაზე განართხელი ბუზები ზაფხულის ცხელ დღეებში. ფეხები მაგრად დაეკვრებოდა, მაგრამ მას ვინ ჩიოდა, თუნდაც დამძვრალიყო მორგვებ გავარდნილ ურმის ბორბლებივით.

ამით უფრო იჟღენთებოდა მისი გული, ლოკავდა ლორწოიან გარსის მგზავს სითხეს, თაფლმოსხმულს და ეს თაფლი, ბარდღას ენაზე გაკრული ლაქია, უტვინო თავების მომხიბვლელი.

— ლაზარეს სჯერა ბარდღას „გულკეთილობა“, ამიტომ მფარველობს და მოაქვს მასთან სიტყვები:

— დევიღუპეთ ბარდღა, კომუნას აარსებენ!

— რაო? ნუ მეუბნები მაგას!—აღშფოთებით დაეწაფა ბარდღა ლაზარეს სიტყვებს. სირმით გაწყობილი ჩოხის კალთა შეიბერტყა. ციბრუტივით შემოტრიალდა. ლაზარეს თვალებში მიანათა.

— მითხარი ლაზარე კარგად, რას ამბობ?

— კომუნა დაარსეს, ამბობენ ერთად უნდა ვიცხოვროთო.

— ერთად უნდა იცხოვრონ?? გაიმეორა ბარღამ, მშრალად, უაზროთ, ენის წვერებზე კბილების დაჭერით. მერე დაილმიჭა. ამღვრეულ თვალებიდან ცეცხლის ნიაღვარი გადმოაფრქვია, თითქოს ლაზარეს დაეშავებიოს რაიმეო, ისე ჩასცქეროდა სახეში.

— მერე ვინ მეთაურობს, არ იცი? ვიღაც გლახა და მათხოვარი იქნება.

— ჰო, გლახუეს ჯოტო მეთაურობს:

— რომელი ჯოტო?

— წითელარმიელი, მაგ გლახის შვილი კაცს დამგვანებია, ჩოუცვამს აპელატებიანი ტანისამოსი და გამოჭიმულა წელში.

— ვაი დედამის, რამდენჯერ გამიძვრია მაგისთვის ტყავი. წივჩამოქუცულს, ენა წამოგდებული ვამუშავებდი. ლადარივით ცხელ მიწას ვაბუღარებიებდი. სანამდის ერთ ქცევა ყანას არ გააგდებიებდა სულს, რომ ჩამოკიდებოდა თოხის ტარზე დასახრჩობად, ფეხსაც კი ვერ მოიცვლიდა ადგილიდან. ახლა ქვეყნის უფროსია. ჩემს ხელში გამოტარებული კაცი ივარგებს აბა რა აქნება?—დაიტ-

რაბახა ბარდღამ. მხრები აიჩეჩა ზევით. ბეჭები აათამაშა. დაიწყო ბოლთასცემა, თითქოს დიდი საქმე ქონდეს და ერთ ადგილას დამდგარი ვერ სწყალობდეს.

ლაზარე კი შეჩერებია ბარდღას, „მოწყალების“ მოლოდინში ფინია ძალლივით, როდესაც ფინია ნაგაზის წინ სდგას შიშით მოცული, ფინიას ეშინი ნაგაზის, არ ჩაიგდოს ბრჭყალებში.

ასეა ლაზარეს სახე, დაბნეული, დარღვეული.

უცდის, რას იტყვის, ამ მოვარდნილ მეხის საპასუხოთ ბარდღა ბარათელია.

ბარდღა ჩამოჯდა დიდ ქვაზე. თავი ჩაღუნა. ფიქრებს მიეცა. როგორ მოიქცეს? რით აიცდინოს ეს ლახვარი, ცხენის წელკავივით რომ გაირბინა მის სხეულში?

ბურუსით ჩამოწოლილ ფიქრებში ჩაწვა, გზები ამოივსო ნისლით, ჩამოიბურა ღრუბლებით.

არ სჭრის ბარდღას მოხერხებული გონება. არც მისი ვაჟკაცური იერი იჩენს საციცოცხლო უნარს. არც ორი მოკიაფე, ბუის მგზავსი თვალები იხედება დაბურულ მიდამოებში. იგი ვიწროვდება, ნემსებივით ისვრის წვრილსა და უგრძელეს სხივებს, მაგრამ ამაოდ, დამძიმებულ ჰაერს, სუნთქვის შენელებაც თან ერთვის და ბარდღა ბარათელია შფოთავს ამ ცივ ლოდივით ქვაზე.

ამაყად გადმოიყურება წითელ და ლურჯ ნარევ ფერებში შეღებილი ორ სართულიანი სახლი. იგი ბარდღას ცხოვრების მნათობია. ბარდღას შელახულ სიამაყეს ვერ უშველის მისი სიდიდე.

იგი ხომ არ იქნება აწი ამ სოფელში გაბატონებული?

იგი ხომ ეხლაც იცრიცება, იხლართება გამოუვალ ჩიხში?

რა არის მიზეზი, სად არის გამოსავალი?

— გამოსავალი კომუნის გამაგრებისათვის ხელის შეშლაშია!—იყო მკვეთრი პასუხი.

ბარდღა გამოერკვა ბურუსიდან. დაუძვრა ბრჭყალებიდან მიბნედილ, მიბურვილ ფიქრთა რხევას. თავი მაღლა ასწია. არ სჯერა, როგორ მოისაზრა ეს სიტყვა. კიდევ დაიყვირა.

— გამოსავალი კომუნის დაშლაშია! —და ეს გაბედული ხმები მიაწვა ქუჩის განიერ კიდეებს. ჩაუწივდა ყურებში შარაზე მომავალ ხალხს.

ლაზარე ჩაეხვია ამ სიტყვას, ჩაიკრა მკერდში.

ეს დაძახილი იმდენად ძლიერი იყო, რომ შეიძლებოდა ამ სიტყვას გაეხსნა ის საიდუმლოებით მოცული მიზანი, რომელიც ამ წუთში მოიხაზა მის თვალის წინ.

აქ კი შეირხა ბარდღა, თავზე ხელები შემოიჭირა. თვალებიდან ხედვა დაძაბრა, შეშინებული ხმით წაილაპარაკა:

— ხომ არავის გაუგონია?

— არავის ბარდღა, არავის, რა კარგი აზრი მოგივიდა თავში! მლიქვნელური გულზვიადობით უთხრა ლაზარემ ბარდღას. ამით ერთხელ კიდევ გაარღვია, ამოატივტივა, სადღაც გულის სიღრმეში მიმალული გესლი კომუნის წინააღმოეგ.

იგი ახლა უფრო თამამია, ბარდღას მონა-მორჩილი, მის კლანჭებში მომწყვდეული, ოდესღაც, თუ მისი ლაქია იყო და ხელებ დაკაპიწებული, ატრიალობდა და იხარშებოდა, ბარათელიას კუჭის ამოსავსებათ ქვაბებიდან ამოვარდნილ ცხელ ორთქლში, ახლა უფრო შორს წავიდა და მისი გულის მესაიდუმლედ, მისი ძრახვების და გემოვნების ლაქიად გადაიქცა.

ამიტომ ყველაფერი უამბო ლაზარემ ბარდღას, რაც ჯოტოსაგან მოისმინა გუშინ.

ლაზარე ძაღლური ნდომის სიბრალულით შესცქერის ბარათელიას ტანის მოძრაობას და დაგრძელებულ წარბთა ხშირ თამაშს და დიდი გულმოდგინებით ეკითხება.

— იქ ამბობდენ: გამოსავალი კომუნაშიაო!

— მერე რა?—მიახალა პირში სიტყვა ბარდღამ.

— ჰო, არაფერი, მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ შენ ამბობ...

— რას ვამბობ?—არ აცალა სიტყვის მოთავება ბარდღამ.

— იმას, რომ გამოსავალი კომუნის დაშლაშიაო.

— სწორია და თუ კაცი ვარ, ვიზამ ამას!

— ისინი ბევრია, შენ მარტო როგორ იზამ?

— მაგ თავში ტვინის მაგივრად თივა ხო არ გაქვს? რატომ მე მარტო. სხვებსაც ავიყოლიებ, ჩემს მდგომარეობაში სხვებიც არიან.

დაფიქრდა ბარღა.

რაღაცას ებრძვის თავში. მოსამსახურე გოგოს ძახილი სადილზე მისაწვევად არ ესმის, რა დროს სადილია.

დაეძებს საკბილოს.

დაეძებს გამოსავალს უფრო გადამჭრელს, ღრმას, მოქმედების გაუტეხელი აზრით.

— ვინ ჩაუდგა მაგ კომუნას სათავეში?

— ჯოტოიე, ჩემო ბარდღა, ჯოტოიე.

— ისე უნდა ამოუგდოთ ძირები, რომ ვერ გაიხაროს მომავალში. ამ საქმეში შენ უნდა გადიქცე ლაზარე გოლიათად, დევად, ხომ გაგიგონია ცხრა თავიანი დევი ზღაპარში?

— რავა არა, მაგის მეტს რას ვაკეთებ მაქსიმიასთან რომ მივიდივარ წისქვილში, მარა ძირი რას უნდა ამოუგდოთ?

ბარდღამ ამ კითხვაზე უპასუხა!

— გამოსავალი ჯოტოს სიკვდილშია!

ლაზარემ უკან გადადგა ნაბიჯი, ამ სიტყვებს დაუცალა გზა, მაგრამ სად წავა მის იქით? ბარდღაც ლაზარეზე ამყარებს იმედებს.

— შეუძლებელია იმ წყეულის მოკვლა. იარაღშია ჩამჯდარი. იარაღის ხმარების მეტს რას აკეთებს წითელ არმიაში. სხვას ასწავლის სროლას და შენ მოასწრებ?—შეშინებული ხმით სთქვა ლაზარემ. ირგვლივ მიმოიხედა, არავინ მისმენდესო. აკანკალდა. ბარდღას გულცივი გამოხედვა ვერ აიცდინა. ისევ მის კლანჭებში მოექცა.

— ეს ასე უნდა მოხდეს.

— ვინ შეაბამს კატას ეჟვანს?

— შენ ლაზარე, თუ გინდა მოქცე ჩემი მეორე სახლი ეზოთი. სულ ერთია კომუნა არ გაგვახარებს. მე თუ წავიქეცი, შენც გაგიყოლიებ, ძველი ნახტრაეანი-კალი ხარ. რა უყოთ, რომ ახლა ჩამოპუტული ხარ, ღარიბობის იერი დაგდებია, გული ხომ ძველი გაქვს, ჩემი გამახარებელი, ჩემსავით შეუცვლელი? ჰო და ჩემს იქეთ არ გაქვს გზა. ან ერთი, ან მეორე.

— არ შემიძლია, არ მოხდება.

ბარდღა ცხოვრების მანძილზე ბევრჯელ გასვრილა უდანაშაულო ადამიანთა სისხლში, მაგრამ თავი ყოველთვის დაუღწევია აქედან, ახლაც ასე ფიქრობს.

ლაზარე უარზეა.

როგორ დაიყოლიოს ამ უბადრუკ ადამიანის, ისედაც გახრწნილი ბუნება? არც ისეთი გულადია ლაზარე, გაუძლოს ბარდღას დაჟინებით მოთხოვნას. თუ ეს გადასწყვიტა, მაშინ დიდი ვაჟკაცობა უნდა მას, რომ გაუმკლავდეს ჯოტოს მოქნეულ ტანს. უფსკრული თვალუწვდენელი სიღრმით არის გაჭრილი. ის პირდაფჩენილი უყურებს ლაზარეს, როდის გადავარდება იგი შიგ. სად აქვს ლაზარეს იმდენი გამბედაობა, აიცდინოს ეს დავალება? მაშ რა გზას მიმართოს?

ჯოტოსთან შებრძოლება, იმ პატარა წერტილებში მოთავსებული დაკუმშული გაზების აფეთქებაა, სოფელ ლებალარათუას მოსახლეობის მუხლებში რომ ჩამდგარა.

აღფრთოვანებული ხალხის სახეები, კუნთები ივსება ახალი სისხლით. ეს უკანასკნელი აწვება ამ პატარა წერტილებს. გარეკანი გაფიცხებულია. უბრალო ბიძგი და იგი კლდეში შედებულ ლაღუმივით გასკდება. მაშინ, სად წახვალთ ლაზარე, ბარდღა.

— მოხერხებით, ყველაფერი უნარზეა დამოკიდებული ჩემო ლაზარე! მოხერხებული რომ არ ვყოფილიყავ, ასეთი სახლკარი მექნებოდა?

ლაზარემ ბარდღასთან ერთად მიმოავლო კარმიდამოს თვალები.

— რა უნდა მოვიგონოთ.

— საშუალება, გამოსავალი? გესმის ლაზარე?

— სად არის გამოსავალი?

— ჯოტოს სიკვდილში. კომუნის დაშლაში.—მკვეთრად ამოჭრილ ბრძოლის რგოლივით ამოაგორა ეს სიტყვა ბარდღამ ყელიდან. იგი გაგორდა ლაზარეს აფორიაქებულ ფიქრებში, მაგრამ ვერსად იპოვა დასადგომი ადგილი. უცებ წარმოიდგინა ბარდღას მრისხანე სახის გამომეტყველება. ხელები გაასავსავა. ენა წაებორძიკა. ამოილუღლუღა?

— გადამაგდე ხრამში ბარდღა?—თითქოს სუნთქვა ამოყოლოდეს ამ სიტყვას. გულის მიდამოებში საბუდარი შეინძრა. ძარღვები დაიზიდა.

ლაზარეს თავისი მშიშარი გამომეტყველობა მაინც გაუბედავი დარჩა.

იგი მხოლოდ ცარიელ ლაპარაკის დროს არის გულმაგარი. ახლა დადგა მისი განკითხვის დღე. ფეხი შედგმული აქვს მოლიპულ გზაზე. ნაბიჯი და—დაცურდება ფერდიდან დაგორებულ დათვივით.

— რა დამემართა, რა ვქენი, რა მდუღარეში ვიტუცე თავი,— ამბობდა ლაზარე. მის მდგომარეობაში არავინ შედიოდა.

ბარდღა მისი ძველი „ხაზეინი-ა. ვერ კადრებს უარის თქმას. ახლობელია მისი, შემწყალე და ლაზარე მოწყალების თვალით აღსავსე შესცქეროდა მას.

— გადაწყდა!

— მოიტა ხელი და მაგრად ჩასჭიდა ბარდღამ ხელი ლაზარეს.

— ლაზარე, ცხოვრებაში გამოცდილი და დაკვირვებული კაცი ხარ, საქმე ისე უნდა გააკეთო, რომ არავინ გაიგოს. არ აჩქარდე, მოხერხებულად, აბა, შენ იცი!

მოშორდა ლაზარე ბარდღა ბარათელიას.

ბარდღამ დიდხანს უყურა ლაზარეს. როცა მისი ტანი დაიმალა ქუჩაში, ბარდღა ულვაშების გრეხით თავჩაღუნული შევიდა ოთახში.

ფეხაკრებით მივიდა ზალაში დადგმულ რბილ ლოგინთან. წამოწვა ზედ გულაღმა.

ქვედა სართულში კი მისი ცოლი ატატო მოსამსახურე გოგოს დადგომია თავზე და არეცხინებს თეთრეულებს.

მუშაობის დროს თავზედ დადგომა, ჩვეულებათ ჰქონდა გადექცეული მთელ ოჯახს. ზაფხულობით ბარდღა ბარათელია ლეჩხუმიდან ჩამოსულ მთოხნელ გლეხებს აგზავნიდა ყანებში სიმინდების სამარგლად ან სამეორედოდ.

თვითონ შეჯდებოდა წელამომწვარ ცხენზედ და გაექანებოდა სიმინდის ყანებისკენ. მივიდოდა თუ არა ყანაში, დაიკავებდა ხელში ქოლგას და წინუდგებოდა მათოხარ გლეხებს. მუშაობის დროს ათვალიერებდა: ვინ როგორ გამოთოხნიდა სიმინდის ძირებიდან მიწას.

დაქირავებული გლეხები გაბრაზებული ბარდღას საქციელით ჯიბრზე აყრიდენ სიმინდის ძირებში ბოლქვათ ამოსულ ბალახებს ღადარივით ცხელ მიწას.

ბარდღა ამოიჩემებდა რომელიმეს, დაუწყებდა ჩიჩინს:

— კარგად გამოაცალე ბიჭო სიმინდს ბალახი!

— გინააფერე, მარგალი გინააფერე!—მიაძახებდენ მას ამხანაგები. გულში ზიზღი და შურისძიება ერთმანეთში ეხლართებოდათ. აბუღარებულ მტვერში თოხების პირები ლაპლაპებდენ. მოპირულ თოხის წვერს მარჯვედ და მალულად გამოჭკრავდენ ლარტყ სიმინდს ძირში, ბარდღას ჯინისთვის. ფესვებს ნახევრად მოჭრიდენ. შუადღით თუ ცხელი ამინდი იქნებოდა, ძირ გამოჭრილი სიმინდები იჟღენთებოდა. ნედლ ფოთლებს ეტყობოდა მოთუშვა.

ბარდღა მათოხარ ბიჭებს ერთმანეთზე აქეზებდა, ცდილობდა ორი დღის სათოხარი ყანა, ერთ დღეში ამოეთავებია. გათოხნილ ყანაში, ბურჩხა ბალახები მსუბუქად მოყრილ მტვრიან მიწიდან ამოყოფდა წვერებს.

ბარდღა იგინებოდა.

დაეძებდა მათ და თუ დაიჭერდა ვაი მას—უცემრად არ გაუშვებდა.

თოხნის დროს, როცა შუადღე მოაწევდა, სადილისთვის ეკლის ხის ძირში მოირთხავდნენ ფეხებს. ბარდღა შუაზე დაჯდებოდა, დამშეული, დაღლილი ბიჭები მადიანად ეწაფებოდენ პილპილიან ლობიოს, მჭადს და მწვანეულობას. სადილის დროს მუშებს ასმევდა ღვინოს. გაბრუებული ბიჭები დაუზოგავად

ურტყამდენ მიწას თოხებს. ჯერ შუა ჭამაში არ იქნებოდენ, რომ წამოდგებოდა ის ზევით და იტყოდა უტიფრად:

—„მეც გავძეხი და ჩემი მუშებიც“-ო.—ამ უტეხ სიტყვას ორდი ჯერდებოდა. ადგებოდა, იწყებდა კალათში საჭმელების ჩალაგებას, ძალა უნებურად ზოგი სირცხვილით, ზოგი შიშით, ვერაფერს ეუბნებოდენ.

თუ ადრე ამოათავებდენ თოხნას, ბარდღა დაყრიდა ამ დაღლილ მუშებს ფურგუნზე და წისქვილში დაგდებულ სიმინდის ტომრებივით მიიტანდა მათ სახლში. მზის დაწურვამდის ეზოში გაშენებულ ვენახს აბარვინებდა. დაბნელებულში წამოუგდებდა ფულს და მშიერ მწყურვალებს გადმოყრიდა ეზოდან.

ამიტომ ეზარებოდა ყველას ბარდღა. მეტად კი მათოხარ მუშებს.

ამიტომ იყო, რომ თუ ჩაუვარდებოდენ გლეხები მას ხელში, იმ დღეს თავმოძულებით სცემდენ მიწას, მეორე დღეს მათი ნათოხარი ისევ გათოხნას, ან შუაზე მანქანის გავლებას თხოულობდა.

განა მარტო მათ ექცეოდა ცუდათ?

არა, ყველას, ვისაც კი ქონია მასთან საქმე.

მასთან კი ბევრს უმუშავნია.

ამოდენა ეზოებს, ვენახებს, ხეხილებს, გადაღმა კი სიმინდის ყანებს, წისქვილებს და საშეშე ტყეებს ბევრი მუშა ხელი სჭირდებოდა. იგი თითქმის ბაზარზე გამოსულ მუშა-ხელის ნახევარს იყვანდა.

პროფესიით დალაქი, ერთი თავის გაკრეჭვაში, ან წვერის გაპარსვაში მეზობლებს მთელი დღე მოიხმარდი. კბილის ექიმობასაც ჩემობდა.

ერთ აპრილის წვიმიან დღეს მასთან დუქანში შემოვიდა ღარიბი გლეხი გლახუა ჯიქია, გლახუას კბილი ასტკიებოდა. ყბა შალის ბაშლაყით შეეხვია. ცალი მხრით გასივებული ყბა უხურდა, აწვალებდა.

ბარდღამ თვალთ-მაქცურად გასინჯა. უთხრა:

— გინდა ერთ საათში გაგანთავისუფლო ტკივილებისაგან?

— მიშველე თუ რამე შეგიძლიან.

— ათ ურემ ნაკელს თუ მომცემ ვენახის ძირებში მოსაყრელად, გაგანთავისუფლებ ამ ჭირისაგან.

— ოღონდ გამანთავისოფლე და მგონი სულ წამოგყვე მოჯამაგირეთ—გაჭირვებული ხმით უთხრა გლახუამ.

ბარდღამ აიღო ხელში სამართებელი. სიბრტყეზე ჟანგის წერტილები მოწითალოდ გამოიყურებოდა.

— სპირტში ამოავლე ბარდღა!

— არა მაქვს.

— აბა ცხელ წყალში მაინცა!

— არ უნდა.

დასივებული ღრძილები დაუსერა სამართებლით.

ცხელი სისხლი თქრიალით წამოვიდა ღრძილებიდან. გლახუა დაიცალა სისხლისაგან. დიდი გაჭირვების შემდეგ შეუჩერეს დენა.

ბარდღამ ყბა შეუხვია ჭუჭყიანი ბლონდით.

მეორე დღეს, დილა ადრიანად, ჯერ გლახუას ცოლ-შვილი არ ამდგარიყო ლოგინიდან, რომ ბარდღამ ოცი კამეჩის ფარდებიანი ურემი ჩამოაყენა გლახუას ეზოში დამწვარი ნაკელის გადასატანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე დღეს სამართებელით დასერილი ღრძილები უფრო დაუსივდა გლახუას, სახეზე სიმსივნემ გადმოუარა, დაჟანგებულმა სამართებელმა სისხლი მოწამლა. გლახუა მოკვდა.

ბარდღას წარბი არ შეუხრია.

მაშინ ჯოტო პატარა იყო.

მამის სიკვდილმა მას ბავშობიდანვე ასვა სიმწარე, მიზეზი ბარდღა ბარათელია არის. როგორ არ უნდა დაგლიჯოს კბილებით ჯოტომ ბარდღას ხორცი?

რა იცოდა ბარდღამ, თუ გლახუას შვილი ასეთი კარგი ადამიანი დადგებოდა და მას მოუმზადებდა საწამლავს, ისე როგორც მან შეახვედრა გლახუას დაჟანგული სამართებელი?

ახლა მათ შორის დიდი უფსკრულია.

ლაზარე ცდილობს, ჯოტო ჩააწვინოს ამ უფსკრულში. ბარდღას გაუკაფოს გზა, გამოიყვანოს სარბიელზე საჯირითოთ, უფრო კი ხალხის ზურგზე, თითქოს მოტიტვლებული ბილიკი იყოს.

ჯოტოს ახსოვს, მამის სიკვდილის შემდეგ ბარდღა ბარათელიას ხელის მოქნეული მწარე დარტყმა და სისხლიანი დაღი.

და ეს შხამი ჯოტოში გუბდება, ძლიერდება წარსულის ყოველი წვრილმანის მოგონებით. გლახუას სიკვდილის შემდეგ, ბარდღამ წაიყვანა ჯოტო მოჯამაგირეთ, მას ისიც კარგად ახსოვს, თუ როგორ წამოიზარდა, ჩადგა ჭკუაში და როგორ გაიგო, რომ ბარდღა იყო გლახუას მკვლელი. მანამდის ვინ ეტყოდმ მას. ყველას ეშინოდა ბარდღას მოქნეული მათრახის.

ეს კარგად ახსოვს ბარდღასაც და რბილ ლოგინზე, რომ არის წამოწოლილი ფიქრობს, შფოთავს, აბოდებს, რაღაცას ლუღლუღებს. დარღვეულ მყუდროებას სისხლით ბანს პირს, თითქოს დაჭრილი იყოს, და მალამოთი აშუშებდეს მას. ათვალიერებს ოთახში კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს. მოწოლილი სევდა, თითქოს გადარეკაო, წამოვარდა ზეზე.

მოსამსახურე გოგოს დაუძახა.

— ტერეზია...

ტერეზია სირბილით ამოიჭრა ზემო სართულში. მან ახალგაზრდული მოციმციმე თვალები ამოანათა. თმა ბეჭებზე გადაიყარა. გაისწორა.

თავჩაღუნული შევიდა ბარდღას ოთახში ტერეზია.

ბარდღას ფანჯარაში გადაეყო თავი. იცქირებოდა გარედ. მოელოდა ტერეზიას შემოსვლას. მოესმა ფეხის ნაბიჯების ხმაური და ჩქარი სუნთქვა. უცებ წამოუდგა: მისი გაელვარებული სახე, რბილი და მხურვალე ტანის რხევა, სიცოცხლით სავსე მჭრელი თვალების მარდი ტრიალი და დაიწყო ლოგინზე შმუშვნა, თითების მტვრევა, ტკაცანი, წელში გაზმორება და ტუჩები კბილების ტყვეობაში მოაქცია. თან ველური ჟინის დაუშრეტელი ნდომა იმღვრევა, ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, როცა მისი ცოლი ატატო სადმე არის წასული და ტერეზია მარტო არის სახლში.

ახლა ატატო ბაზარშია. ამიტომ ბორგავს ბარდღას ბოლოს ... ნაწილი.

კარები გაიღო.

ჭრიალი შურდულივით შეიჭრა ბარდღას აფორიაქებულ თავში, თითქოს თავის ქალა გაუხვრიტესო, დაირბინა ძარღვებში ამ უცნაურმა ხმაურმა. მან ისედაც გახურებულ სისხლს ცეცხლი შეუნთო ქვევიდან.

— მიძახდით ბატონო?—მორიდებით ჰკითხა ტერეზიამ.

ბარდღა ათრთოლებული ხმით შეხვდა.

— რას აკეთებ სარდაფში ამდენ ხანს?

— ქალბატონმა სარეცხი დამიტოვა.

— ქალბატონი?...ჰმ... ჰმ—ჩაილაპარაკა მან.

— რათ მეძახი, ბატონო, ქალბატონს ვერ გადურჩები დარეცხილები თუ არ დავახვედრე.

ბარდღა გაჩერდა. დაიბნა. რაღაც უნდა სთქვას, ვერ ამბობს, ბოლოს მოაგონდა:

— ჰო, ლოგინის ქვეშ, ჩულქები უნდა იყოს, გამირეცხე.

ტერეზიამ გადადგა წინ ორი ნაბიჯი.

3 გრძნობს რაღაც უცნაურ შიშს. ესმის ბარდღას ძლიერი სუნთქვა, ისარი-ით ხვდება მისი თვალებიდან გადმოსროლილი ნაპერწკლები.

ბარდღა ლოგინიდან არ დგება.

ტერეზია დაიხარა იატაკზე. შეიხედა ლოგინის ქვეშ, კედელთან ბარდღას ჩულქებს მოკრა თვალი.

ბევრი უტრიალა, ხელით ვერ მისწვდა.

— რას დაფორიალობ ნაკრუხალ ქათამივით, მორჩი, არ შეგიძლია დაიხარო და ისე გამოიტანო?—თითქოს ეს სიტყვა გაჯავრების ნაყოფია, მასში ჩაქსოვილია ბინძურ განზრახვების ხერხი.

ტერეზიამ მაღალი და წელში დაწვრილებული ტანი, მავთულივით მოღუნა, მკლავები იატაკზე დაადო, ფეხები გაიმაგრა. პირქვე დაეკიდა, სისხლი სახეზე შემოაწვა. წელი ჩაეზნიქა. უჩულქო ფეხები, უფრო დაგრძელდა. კაბის ბოლოები ნელ-ნელა ცოცდება ზევით.

ლოგინზე ენთება ბარდღას გაუმაძღარი სურვილი, ტრიალებს, ძარღვებში მოწოლილ სისხლს ყელში აგუბებს.

მან კარგად იცოდა, რომ მისი უხეში მოპყრობის შედეგად ტერეზია ამ დღეში ჩავარდებოდა, რომელშიდაც ახლა არის, ამიტომ უხარია მას.

ბარდღამ გადმოიხედა ძირს გველივით. უყურებს თუ როგორ ირხევა ტერეზიას ტანი და როგორ ტყდება წელში ამ ადამიანის ლერწამივით მოყვანილი სხეული.

ფანჯრებზე მომდგარი ნაცრისფერი ნისლი იმუქება. ტბასავით ლურჯდება. ამ სილურჯეში, თითქოს ჩამოიხურა ირგვლივ ყველაფერი, თითქოს ტერეზიას სურვილებში შიშის ლამპარი შემოვიდა და სიცოცხლის მზეც კი ჩაიძირა.

ბარდღამ იხელთა დრო და ტერეზია დაიმორჩილა.

უჩვეულო მყუდროება ჩამოწვა ოთახში.

ფანჯრების იქით, მოელვარე მზის სხივები განგებ გადატყლაპა, ანა — იცქირება ოთახში.

ამ დროს გაიღო რკინის ჭიშკარი.

ატატო ძლივს გამოეტია გაღებულ კარებში.

ჭიშკრის ჭრიალში ტერეზიამ მოიკრიბა ძალღონე, თავი არც კი აუწევია მაღლა. წამოდგა დარცხვენილი. რად რცხვენია, მისი ბრალი ხომ არ არის? გამოვიდა წინა ოთახიდან უკანაში, აქედან აივანზე და არ მომასწროს ატატომ შემოსვლაო, სულმოუთქმელად ჩაირბინა ქვის კიბეები. შევიდა სარდაფში, დაიწყო რეცხვა. ხელებზე დაიხედა, თვალებში შემოეფეთა ჩულქი ლოგინის ქვეშ მუჭში რომ მოკუჭა. ატირდა, ქვითინი მუცელში ჩაიბრუნა, როცა მოესმა ატატოს ფეხის ხმა. ჩულქი მიწაზე დაანარცხა. გამოუვალ ჩიხში მომწყვდეული ბურანში ეხვევა. არ ესმის კარებზე მომდგარ ატატოს ძახილი.

— დაყრუვდი, არ გესმის?

— აა...აა... რაო?—გაფითრებული სახე მიანათა ატატოს, ენაზე კბილი მაგრად დააჭირა. თავი გვერდზე გადასწია, თითქოს სახეზე აკვროდეს ის, რაც ხუთი წუთის წინ მოხდა, თითქოს ტერეზია იყოს დამნაშავე ამაში, ეშინია არ გაუგოს ატატომ, მაშინ ამ უბედურებას მეორე დაემატება. თან ფიქრობს: როგორ მოიქცეს, გაჩუმდეს, თუ ახადოს ფარდა ბარდღას გაუმაძღარ სურვილებს, მის მოქმედებას, რომელიც საბედისწეროა ტერეზიასთვის. და ამ ფიქრებში გახვეულს ვერ ამოურჩევია ახალი გზა.

* * *

ბარდღა გამოვიდა სახლიდან.

მივიდა ლაზარესთან. ჩუმად შეაღო სახლის კარები.

— მობრძანდი ბარდღა!—მიეგება დიდის პატივისცემით ლაზარე.

— გამოდის რაიმე?

— ვფიქრობ, მაგრამ გამოსავალი ვერ მომინახავს.

— გამოსავალი ჯოტოს სიკვდილშია, რამდენჯერ უნდა გითხრა.

— ძნელია ამ საქმის შესრულება!

— მომისმინე, ერთი რამ მოვიგონე: ოთხი კაცი უნდა იშოვო, მიდით ჯოტოსთან, ბათლომესთან და უთხარით, რომ კომუნაში გინდათ შესვლა, გუშინ შეცდით, არ იცოდით რა იყო კომუნა, ახლა გაიგეთ, დარწმუნდით და ბოდიშს იხდით.

— ჰო, შენი ჭკუის ჭირიმე!

— დამაცადე დავამთავრო, მერე ის, რომ ისეთი ხალხი უნდა წაიყვანო, ვისთანაც შეთანხმებული იქნები განზრახვების შესრულებაზე.

— მე რა განზრახვა მაქვს?

— როგორ იბნევი კაცო, რა გითხარი წეხან: გამოსავალი ჯოტოს მოკვლაშია თქვა! ოჰ და მაგათ გაეხარდებათ. თავი თავისიანად მოაჩვენე. ამ ლაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკში, კი რაღაც მოახერხე, აყარეთ იარაღი ჯოტოს, რომ ბათლომეს მისი სიკვდილის შემდეგ არ შეეძლოს მისი მოხმარა.

— თუ მოსაკლავად მივალ რად მინდა, იარაღის ბურუ... მოვკლავ!

— მოიცა ჭკუის კოლოფო, ასე რომ მოკლავ, კატა კი არ არის, გაიგებენ. სახლს ალყა შემოარტყით, მერე გარეთ გამოიყვანეთ, ჩვენს გვერდით ტყეში შემოიყვანეთ. სამშვიდობოს იქნებით გამოსული და პირდაპირ ხრამში გადააგდეთ. კარგი რამ მოვიგონე არა?—კითხა ბარდღამ ლაზარეს კმაყოფილებით.

ლაზარე შიშს სულ მოეტაცა. ცახცახებდა. ჯოტოს მკაცრი გამომეტყველება წინ უდგას. მისი მოქნეული მკლავები თითქოს ცხვირპირში ხვდებოდეს და ხელში გამართული მაუზერის ლულის პირდაპირ იკეცებოდეს ლაზარე.

— რას დაფიქრებულხარ?

— ბარდღა, მღუპავ კაცს! ჯოტოს მოკვლა ასე ადვილია?

— მაშინ შენ ჩაგაძაღლებ.—უთხრა ბარდღამ გაბრაზებით.

ზეზე წამოდგა.

ლაზარემ ხელები მოხვია მკლავებში, დაამშვიდა.

— ერთ დღეს დავბადებულვარ, ერთ დღეს მოვკვდები!

უცებ სახეზე ჩამოთოვილი ღრუბლები გადარეკა. გადაიარა ბარდღას გულზე მოზვავებულმა სევდამ. ამ სიტყვების გამახარებელმა ნიავმა მისი სახე გააბრწყინა. მხიარულმა უთხრა ლაზარეს:

— ყოჩაღ, ლაზარე! ვაჟკაცი ყოფილხარ.

ბარდღა მას შემდეგ, რაც ტერეზიას ათრთოლებულ, მხურვალე ტანს დაეწაფა, მოუსვენრობამ აიტანა. დადის, ფიქრობს: ვაი, თუ ტერეზიამაც მიღალატოს, უთხრას ყველაფერი ატატოს, ან იმ მოსასპობ ჯოტოიას! ტერეზია ჯოტოს კვიდრი ბიძაშვილია. დამწვავენ, გადამბუგავენ. შეიძლება ტერეზიასთან მოლაპარაკება სჯობდეს? არა, მოვიცდი, მაგის დაკარგვა ჩემი ცხოვრების ნახევრის დაღუპვას ნიშნავს. ჯოტოს ხვალ ჩავაძაღლებ, მერე ვის ეტყვის? გადაღმა არ გადუშვებ, ის ქალთა განყოფილების ხელმძღვანელია თუ რაღაც ჯანდაბა, მას ახლოს არ მივაკარებ, რას გავს ის ოჯახდამწვარი. რავა ჯოჯოხეთის მაშხალასავით იყურება. სიმაღლე მას არ აქვს და სიგანე. ააა... კარგებს მაგენთან რა უნდა? ჰო, და ტერეზიას უნდა მოუჭირო ხელი. ეტყობა ძალიან გამოუცდელია. არ იცის გზები, მარა ამ დროში რაიმე დაიმალება?—ფიქრობდა ბარდღა.

გულს იმედს აძლევდა...

* * *

ლაზარემ იმ საღამოსვე მონახა, დასახული გეგმის საიმედო შემსრულებლები. თოფში ჩადებულ ტყვიასავით არის მისი სუნთქვა დამძიმებული.

ჯოტოს მოკვლის ეშინია.

ჯოტო მარდია, მძლავრია, გამოცდილი მეომარია. შესაძლებელია კიდეც გამოასალმოს ლაზარე სიცოცხლეს. თვითონ ერთი წუთითაც არ დაფიქრდება ჯოტოსთვის სიცოცხლის შენარჩუნებაზე.

და აი, ასეთი ფიქრებით, ასეთი განზრახვებით დატვირთული ლაზარე ამ ბნელ ღამეში მიდის ჯოტოსთან სახლში. მიყვება: ოთხი მასავით დაუნდობელი,

მასზე უფრო გაბედული ბიჭი. ლაზარეს მისწრაფება დიდია. თუნდაც უთხარი და ქვეყნის დანგრევაზე შეადგენს გეგმას, მაგრამ სურვილების გაფართოებული ლტოლვა, მის დამფრთხალ თვალებში პატარავდება, წერტილებად იქცევა. ასეა გაორებული ლაზარეს მოქმედება. ასე ებრძვიან ლაზარეს სხეულში ერთმანეთს დასახული მიზნები და ამ მიზნების ძალაში მომყვანი ტემპები.

მაინც მიდის. უკან დახევა, ბარდღას ფიქრების აწეწვას გამოიწვევს. მისი გამომეტყველება უფრო გაშმაგდება. ლაზარე უფრთხის ბარდღას ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნას. იჩქარის ბარდღას მიერ დაპირებული ეზო და სახლი დროზე ჩაიგდოს ხელში, თუნდაც სულ ამოწყვიტოს მთელი სოფელი.

მივიდა ლაზარე ჯოტოს ეზომდის.

სახლიდან სანთლის მკრთალი სხივები, ფანჯრების გარეკანს ეფინებიან.

ის ნელი ნაბიჯებით შედის ეზოში.

— ჯოტო...—გააბა ძახილი ლაზარემ.

— ვინ ბრძანდები! მოისმა ჯოტოს მოხუცი დედის წვრილი ხმა სამზადი სახლიდან.

ლაზარეს არ ესიამოვნა ჯოტოს დედის სახლში ყოფნა.

— ჯოტოიე სახლშია?

— კია, მარა თქვენ ვინ ხართ?

ლაზარე ვარ, ბარბალე, ლაზარიე, ჯოტოს ნახვა მინდა.

ძახილზე ჯოტო გამოვიდა გარეთ.

იცნო ლაზარეს ხმა. იგი არ გავდა ამ ორი დღის წინ მის მწყრალ და ცივ წამოძახილებს. მაშინ რაღაც შური და გესლიანი ბოლმის ტრფობა სჩანდა მასში. ახლა—დარბილებულა, შეცვლილა, გატეხილა.

ლაზარემ დარიგება და ნუგეში მისცა მხლებლებს.

მკლავებ-ღონიერ ბიჭებს ჯიბეში ჩადებული ფულები ამოძრავებს. მიყვებიან ლაზარეს. რათ დაიხევენ უკან? პირველი ხომ არ არის მათთვის ასეთი მოქმედება. მთელი რაიონის მოსახლეობა აწრიალებული ყავთ. ყველაფერს ჩუმად აკეთებენ. ჯერ მათი მოქმედების შესახებ მილიციამ არაფერი არ იცის. უდიდესი მოხერხებით დაძვრებიან და დაძრწიან ძაღლებივით, როცა ხალხს ძინავს, მაშინ არის მათი სამოქმედო სარბიელი ბილიკებივით გადაშლილი.

— აქეთ მოდი ლაზარე, რამ გაფიქრებია ამ ღამეში მოსვლა?

— კაცო, ხომ იცი, საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო, რა მქონდა მე შენს წინააღმდეგ სათქმელი? ჰო, და ამ საქმეზე მაქვს მოსალაპარაკებელი, თუ შეიძლება.

— ეს ხალხი ვინ არის?

— ოთხი, მგლებივით ბიჭები მოვიყვანე, კომუნის საძირკვლებად გამოდგებიან, სახლი რომ დაადგა მხრებზე, ასწევენ—გველური გულთბილობით გადმოანთხია საწამლავი ყელიდან, რომელსაც გარედან კეთილი სურვილების ლაქი აქვს გაკრული.

— აქეთ შემოდით.

ლაზარეს ბიჭები სახლში შეყვენ.

ჯოტომ სკამები მოიტანა უკანა ოთახიდან. თვითონ ლოგინზე ჩამოჯდა. ოთახი განიერია. უბრალოთ მორთული. სამხედრო იერით გამომზირალი, კედელზე ჰკიდია! ხმალი და შინელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოტოს ტანზე სამხედრო ტანსაცმელი აცვია. წელზე შემოსარტყამათ გამზადებული ქამარი ხელში უჭირავს. ქამარზე საბმულით დაკიდებულია ნაგანის სისტემის რევოლვერი, მოუხეშავ, სქელ მოყვითალო ფერის ტყავის ბუდეში ჩადებული. აამოძრავა ხელები. სამხედრო სისწრაფით, თვალის დახამხამებაში შემოირტყა წელზე ქამარი საბმულით. ხელის მოქნევა მარდი, მოულოდნელი—ასევე მოულოდნელად და თავდავიწყებით გადაეყარა ლაზარეს და მისი მხლებლების თვალებს; ჩამოაბნელა, დათალხა მათი მხედველობა. განზრახვათა ეს უძირო ქვაბი, თითქოს დაირღვა, დაიშალა. ლაზარეს ლამის არის სადაველები ხელიდან გაუსხლტეს. თვალგაუტეხელმა ბიჭებმა იგრძვნეს დამარცხება და წარუხოცელი სირცხვილი საკუთარ გამბედაობასთან, რამოდენიმე წუთის შემდეგ, თავბრუდამხვევი ბურუსი ჯოტოს მძლავრ მუსკულებიდან გამომზირალი და ღონივრად მოქნეულ ხელიდან გამოსროლილი, შეთხელდა და გადაიწმინდა ნისლი წარბებზე და წამწამებზე ჩამობურვილი.

პირმომცინარე ლაზარე თვალებში ვერ უყურებს ჯოტოს. დამნაშავის ქცევაში მყოფ თავს, ხან მაღლა სწევს, ხან დაბლა.

ჯოტო პირდაპირ ზის. ხუთივეს მოქმედების ყოველი დეტალი გამოჭერილი აქვს ფართე თვალებიდან გამოკრთობილ მხედველობის ქვეშ. და ამ თვალთა ცეცხლში მათი ტანის რხევა და გაზმორება, ტყდება ყინულივით.

ლაზარემ გასჭრა ეს სქელი სუდარა დაურხეველ სამყაროსი:

— ჩემო ჯოტოია, მრცხვენია პირდაპირ შენი შეხედვა. რა მომივიდა, რავა გადევირე! შენთვის ფიქრობდეს კაცი და რავა ვერ გოუგო? ხომ მართალია ბიჭებო?

— მართალია, აბა რა!

— მერე რამდენი რამ მაკავშირებს ჯოტოს ოჯახთან. შენ შვილო, არ იცი, ამოგეწვერა პირზე ბალანი, თვარა გადალმა გადახვედი და არავის უნახავხარ აქნობამდის, სალდათში იყავი და საიდან გეცოდინებოდა. ჰო და, მე გლახუას დიდი ამხანაგი ვიყავი. გლახუა კარგი ადამიანი იყო. მაგის ჭირიმე, რამდენჯერ გაჭირვებიდან გამოუყვანივარ. მარა იმ სულძაღლ ბარდღას მწარე ხელებმა ღრძილები მოუწამლა—ლაზარე ისე დაილმიჭა, ისე მოაწყო სახის გარეგანი ქცევა, თითქოს სიბრალულით დამბალი გულით ლაპარაკობს და ბარდღას წინააღმდეგ ზიზღი ენის წვერზე ეკვრებაო. განსაკუთრებით დიდი მწუხარებით მოიგონა ძველი დრო, თითქოს მაშინ ჯარისკაცი იყო.

— ამით ის მინდა ვსთქვა, რომ გუშინწინ ღამით გლახათ მევიქეცი, მარა ხომ იცი ჯოტო, გაუგნებელი კაცი ვარ, ვერ მივხვდი, ახლა გევიგე და ჩემი დანაშაულის გამოსასყიდლად აგერ ოთხი მგლებივით ბიჭები მოვიყვანე. შემოვდივართ კომუნაში, თუ მიგვიღებთ, ამვენს ხომ იცნობ ჯოტო?—მიუბრუნდა ლაზარე ბიჭებს.

— ვერ ვიცნობ.

— შე კაცო, ეგი რავა გეკადრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ ვიცნობ და...

— მთიელები არიან, ახლად ჩამოსახლებულები!

— ალბათ იმიტომ, ვერ ვიცანი.

ჯოტომ გადახედა ბიჭებს, თვალები არ მატყუილებდესო, ნაცნობის ერთი წერტილიც ვერ ნახა მათ აფორიაქებულ სახეებზე—გარდა გაკვირვებისა და ეჭვებისა. ისინი შეშფოთებული იყურებიან. ირღვევა დასაყრდენი ძარღვი, რომლის ირგვლივ მწყობრად მოძრაობდენ: წერტილები, ღარებში და ნაოჭებში ჩამჯდარი მჭმუნვარებისა.

ჯოტომ ლაზარეს სიტყვები მიიღო, როგორც დანაშაულის გულწრფელი აღიარება. გაეხარდა. მოეწონა ლაზარეს გამოფხიზლება, გონზე მოსვლა. თავი კმაყოფილად იგრძნო. თან გაიფიქრა: ჩემი მოქმედება დამაჯერებელია, დროულია, თორემ ლაზარეს ჩემი აზრები ასე არ შეარყევდა, ასე არ ამოაგდებდა ლაზარეში იმ სურვილების მოძრაობას, ჩემს ოთახში მძლავრად და გადაულახავად რომ მეჩვენებოდა. მაშ გასჭრა ჩემმა სიტყვებმა? ეს ჩემი გამარჯვებაა. განაღდებაა წითელი მეთაურის მოვალეობის და სახელის. მივალ ლეგიონში. შვებულება გამითავდა. შევიტან ამ განიერ მკერდს თამამად გამარჯვებული იერით, გავაკეთებ ანგარიშს ჩემი მოქმედებისას, რაც დიდი საქმე იქნება შვებულ წითელ მეთაურის მხრებზე დაწოლილი.

ჯოტომ თავი გაართვა ფიქრებს. მხიარული ხმით მიმართა ლაზარეს:

— მაშინაც ვფიქრობდი, რომ შენ არ გესმოდა, ცდებოდი. გულს იმით ვიიმედებდი, რომ წრეულს არა, შემდეგისთვის მაინც მოვათქვა, თუმცა უნდა გითხრა, რომ მე შენ ვერც ახლა გიცნობ როგორი ადამიანი ხარ, ან რა იყავი წინეთ!

— ჯოტო, ჩემისთანა დაჩაგრული კაცი არ ყოფილა ამ სოფელში. გამოსტაცა სიტყვა პირიდან ლაზარემ.

ჯოტომ კი განაგრძო:

— კარგია რომ გონს მოხვედი.

— მინდა, მაგრამ როგორ მინდა! მინდა ამ ღამეში ვიმეშაო იმდენი, რაც ამ სამ დღეში შემეძლო გამეკეთებია.

— კარგი, მიგიღებ. ამ შენ მეზობლებს სრულებით ვერ ვიცნობ.

— მე ხომ მენდობი!?

— ამის შემდეგ რავა არ გენდობი, მაინც ვკითხავ ბათლომეს.

ბიჭები რაღაც შეინძრენ. ისევ გაჩერდენ. სკამებმა ჭრიალი იწყო. ერთმანეთს ზომავენ თვალებით, მოძრაობა იწყება და თანდათან ძლიერდება. გულთა ძგერა აწვება კმერდის ფიცარს. ისმის მათი ხმაური. ხელები მაინც უმოძრაოთ მოკეცილან. გაფიქრებაში გარბენილი სიცხე და ყინვა ერთმანეთს ალხობს. თითქოს სუნთქვა შენელდა. ისევ იწყება მოქმედება და ამ ოთხი ადამიანის თავში დატრიალებულ განცდათა გაზომვა, რომელიც მხოლოდ ლაზარესთვის არის გასაგები.

ლაზარე დგება. გადახედავს მათ. ამჩნევს მათ გამოუცნობ სახეზე ნდომას და სურვილებს, მოქმედების დასაწყისის მოახლოებას, ამიტომ ჯოტოსთვის უხილავი ზრახვების განებივრებას წინ ეფარება, არ უნდა აგრძნობინოს, არ უნდა

მახვილი კუთხით უჩვენოს, რადგან მაცდური თვალების ბრიალი, შეხამებული ადამიანის სასიკვდილო გაბრძოლებასთან, რყევის პროცესშია, არ არის აყვანილი დულილის წერტილამდე, ამიტომ ლაზარე წინ გაუჩერდა ჯოტოს, ხელი გაუმართა, ბეჭებით თვალის მხედველობა დაუფარა. აგრძნობინა წუთებში ჩამდგარი ტალღების დაუსრულებელი რხევა. ღიმილში სახე გაშლილმა უთხრა ჯოტოს:

— ძალიან მადლობელი ვარ, მშვიდობით!—და გადაეხვია, თავი გვერდზე გადაუწია, აკოცა. ამ დროს ბიჭები აბობოქრდენ, ძარღვებში სისხლი დაატრიალეს, თვალებიდან ცეცხლი გადმოაფრქვიეს. წელში გასწორდენ, თვალებზე ქუდები ჩამოიწიეს. იძვრეს რევოლვერები, გამართეს პირდაპირ; ჯოტოს მიაყვირეს:

— ხელები ზევით!

თითქოს ვინმეს გული მოერღვიოს ძარღვებიდან, ისე ნოშორდა რაღაც მკერდიდან ჯოტოს. ტანში უცნაურმა ელვამ დაურბინა. იგრძნო უბედურება, მოტყუება, ღალატი. მოშვერილი რევოლვერები ლულის ბოლოთი, თითქოს პირში ჩაუდესო, არ ინძრევა. გაქვავდა ერთ წერტილთან. ტუჩები კბილებში მოქცეული ლამის გადატკივიროს. სისხლი გადინდა, ნიკაპზე ჩამოუვიდა ზოლებათ, ერთი მძლავრათ ამოიხვნეშა. სურდა ლაზარეს თვალებში ჩახედვა, მაგრამ იგი სადღაც მიმალულიყო. წელმოხრილი, თავჩაღუნული, ბაშლაყით თვალებზე ჩამოფარებული, ირიბულად, მაცდურად გამოიყურებოდი ბიჭების უკან მდგომი.

— ხელები არ გაანძრიო!!.

— იარაღი აყარეთ, არ ესროლოთ!

ჩუმად, და ქურდულად ესროლა სიტყვა ლაზარემ მათ.

ერთი ამხანაგი მოვიდა ჯოტოსთან, შეხსნა ქამარი და სამბული ორივე მხრებზე გადმოკიდებული. ნაგანის სისტემის რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო, მერე კედლიდან ჩამოხსნა ხმალი, თოფი და ჯოტოს მიუმართა თოფი.

— არ ესროლოთ... ტყეში... ტყეში...

მიმართა კიდევ ლაზარემ. ჩახმახში გამოღებულ თითის მოძრაობა შედგა, მოეშვა.

ამ მოულოდნელი თავდასხმით დაბნეული ჯოტო გამოერკვა. იგრძნო მომხდარი ამბის სიმწარე, სირთულე და გამოუსვლელი მდგომარეობა, რომლითაც აივსო ჯოტოს ოთახი და რომლითაც დამძიმდა მთელი მოსახლეობა, თვითეულ საგანს მოედვა სიკვდილის პირად მყოფ ადამიანის ყრუ ძახილი.

ოთახი იხუთება ჰაერით. იჭედება ბრძოლის ჟინით, იმღვრევა პირისპირ დამდგარ თვალებში ცეცხლი, გმინვა. იგი ეხეთქება კედლებს, ეძებს გამოსავალს. ტბასავით ჩამოვარდნილ დუმილს ცივად დაუარა კარების ჭრიალმა.

კარები გაიღო. ამ დროს ჯოტოსთან საქმეზე მომაეალი ბათლომე შემოვიდა ოთახში. მან დაინახა ეს სურათი.

ბათლომეს დამშვიდებული სახე უეცრივ შეიცვალა, შეშფოთდა. სწრაფად გაიხსნა ნათელი მოსაზრება მომხდარ ამბავში გარკვევის.

ბათლომემ ამ ამბავის დანახვაზე შემოსვლისთანავე გაისროლა რევოლვერი. მეორეჯერ პირდაპირ გულში ესროლა ლაზარეს. ლაზარე დავარდა ძირს. რევოლვერის მოულოდნელ გასროლაზე მოუფიქრებლად შემობრუნდენ იარაღ

გამართული ბიჭები. გაისროლეს რევოლვრები. ატყდა გრიალი. ერთ წამში, ბიჭების ერთი მობრუნებით ისარგებლა ჯოტომ, სანგრებიდან ამოშვიდ-არმიელებივით გაიშალა მის თავზე გამოსავალის ძიებაში ჩამარხული ბიდერა. წამში ლოგინის ბოლოში მსუყედ ამობურთული ბალიშის ქვეშიდან სულმოუთქმელად ამოაძვრინა მაუზერი. მაუზერი ტყვიისმფრქვეველივით აკაკანდა.

ორივე მხრიდან სროლაა.

ცეცხლი ავარდა ოთახში.

შიგ გამხეცებული ადამიანების მოქმედებაა. გაშლილი ფრონტი ირღვევა.

ჯოტოს მაუზერმა ზურგიდან გასროლით ორი იმათგანი დააგორა იატაკზე. ლაზარე ზედ გადააწვინა დინამიტით გაბრუებულ ლავივით. დანარჩენებმა კარებიდან შემოჭრილ ბათლომეს ესროლეს სასიკვდილოდ. ბათლომე ჩაიკეცა. გაარღვიეს ფრონტი. ბნელ ღამეში გადაეშვენ.

ჯოტომ მიაცილა თორმეტჯერ ტყვია. აცდათ, გაიქცენ.

ოთახში დაღვრილი სისხლი ტბასავით იშლება. შიგ იზმორებიან თვალებ გამოკაკლული ბიჭები და ლაზარე.

აი, უკანასკნელად დაიგრიხენ და სისხლის ღვარში გაცივდენ. ამ საშინელ სურათს ჯოტო დაფიქრებული დაყურებს.

ბარბალეს წივილ-კივილი და მეზობლების ეზოებიდან ყვირილით გამოქცეულ გლეხების ტყვიასავით შემოჭრა, წეწავს და უფრო შლის ჯოტოს ფიქრებს. ოთახში მშრალ ადგილს ვერ პოულობს ფეხების დასადგმელათ. სისხლი ტალღებათ ეხეთქებოდა ფეხის გულებზე.

ლაზარემ ამოიოხრა:

— ბარდღამ მომკლა, ხალხო, მისი მოწყობილია...

და ეს უკანასკნელი სიტყვა, ყველას აეკრა ტუჩებზე. ამაში სჩანდა სინამდვილე, დაჯერება.

— ოხერი იყავი და დაგემართა საშენო... მიაძახა ახლად შემოსულმა ბონდომ. მას მოაგონდა გუშინწინდელი ამბავი: ლაზარეს ყვირილი, წინააღმდეგობის გაწევა კომუნის დაარსების დრის.

— ვძაღლდები, ხომ ხედავ...

და მოწყვეტილად ჩააგდო თავი სისხლში.

ერთი კიდევ მოიფიქრა. მოაგონდა ბარდღას სიტყვა:

— „გამოსავალი ჯოტოს მოკვლაშიაო“ და მოაგონდა ისიც, თუ როგორ ეშინოდა ჯოტოს მოსაკლავად წამოსვლა. მაშინ ლაზარეს პირიდან გადმოლაგდა სიტყვები: ჯოტო, მაგარი მხედარია, ვაი თუ ვერ მოვასწრო და მომკლასო—ამ გააზრებით დააბოლავა თავისი სიცოცხლე.

ბათლომე კი იქ ეგდო, იქ სადაც ამ სამი დღის წინ, მისი ფეხები მაგრად დაბჯენოდენ იატაკს და თავმჯდომარეობდა კომუნის დაარსებისათვის მოწვეულ კრებას. მასაც მოაგონდა ეს წუთები და ჯოტოს ღრმა აზროვანი, დამაჯერებელი თქმა:

— გამოსავალი კომუნაშია!-ო. თავი მაღლა წამოსწია, ჯოტოს შეაჩერდა, ერთი გახედვით სთხოვდა შველას.

ჯოტოს ელდენივით დაურბინა რაღაცამ ტანში. თვალწინ აფრიალდა წარსული ბრძოლები, ახლა რა დროს მოგონებებია?! ბათლომეს [illegible] სჭირდება. მივარდა ბათლომესთან. თავი მაღლა წამოუწია. ტანი — ბალღებზე გადმოიწვინა. ჭრილობა გაუსინჯა. ნატყვიარი ადგილი მუხლის ახლოს მოუბანა ოდით, შეუხვია. ნელა მიაწვინა ლოგინზე. თან ფიქრმა გაურბინა თავში. წამოიძახა:

— რათაც არ უნდა დამიჯდეს ბათლომე უნდა მოვარჩინო!

და ჯოტომ ამ ოთახში თავმოყრილ ხალხის საშუალებით, ბათლომე წაიყვანა საავადმყოფოში.

სახლში კი ბარბალე მოთქვამდა. ტიროდა და თან დაღვრილ სისხლს რეცხავდა. ლაზარე და მისი ორი ამხანაგი, სანამ მილიცია მოვიდოდა, გააჩერეს მკვლელობის ადგილზე.

მილიციონერები მოვიდენ.

მოახდინეს დაკითხვა.

შემდეგ გადაასვენეს.

დამარცხებულებმა გამარჯვების სურვილი ჯიბეში ჩადებულ ჩერვონცების შრიალს ჩააქსოვეს. ეს მხოლოდ დროებით შეიქნა. გაუტეხავი ჩერვონცები ახლა სისხლში დამპალი წითლად გამოიყურებიან.

ლაზარეს განზრახვები გატყდა წელში, როგორც მისი თავია ახლა გატეხილი და ძვლებ დამტვრეული.

ბარბალეს კივილი მკვლელობის დროს ისმოდა შორს. ქარს გადაქონდა მისი ცივი ხმა და ამცნობდა მოსახლეობას, რაღაც უბედურებას. რევოლვერების ლულიდან დანთებული ცეცხლი და გრიგალი, ბარბალეს კივილში შეერთებული, აზანზარებდა დახურულ ოთახის კედლებს. მოვარდნილი ხალხი უფრო ავიწროვებდა მათ სიძლიერეს და ასე გაჭედილ ოთახში იკუმშებოდა გამარჯვებულთა და დამარცხებულთა სუნთქვა.

*
* *

ეს უცნაური ამბავი იმ ღამესვე მოეფინა ლებაღარათუას მოსახლეობას. მიაწვა დახურულ სახლის კედლებს. შეანგრია კარები ზეხივით. ამ ხმებში ყველამ პოვა გამოძახილი.

ზოგი იწონებდა მათ მოქმედებას. ზოგი კი ბრაზმორეული ხელებს კუმშავდა, გულზე იცემდა. ვისაც გული გამოეფატრა წარსულზე ფიქრით, იგი აგინებდა ყველას, ვისაც კი ახალ ქვეყნის შენებაში თავგამეტებით შექონდა საკუთარი წვლილი.

და გაბოროტებულ ადამიანთა სხეულში ინასკვებოდა დატრიალებული ამბის საშინელება. ამ დაღვრილ სისხლში ამოტივტივებული ბურთულები, ძველი ქვეყნის სანაპიროებიდან მოდენილი, ემზადებოდენ უკანასკნელ გაბრძოლებისათვის.

მოხდა შეჯახება. დაიღვარა: გესლით, შხამით, სიძულვილით და მტაცებლობით გაჟღენთილი სისხლი. მას მიწაც კი არ იკარებს სინოყივრის შემოსატანად, გასაპოხიერებლად. ალბათ იმიტომ, რომ ის ბოროტ-მომქმედთა და თავ-

დამსხმელთა ძარღვებიდან გამონაწურია, მისით გამძღარ, ამოსულ მცენარეებს არ მოულბობს ნორჩ ძირებს, რომ ღრმად გაშალოს მიწაში ფესვები.

თუ მათი სისხლი არ იჭრება ახლა მიწაში, არ ისრუტავს დედამიწის ზედაპირი, მის მაგივრად ბარდღა ბარათელია არ ზოგავს ძალღონეს გამოსწოვოს გამთბარი სისხლი მის მოსამსახურე ტერეზიას.

და მაშინ, როდესაც მთელი სოფელი ამოძრავებულია ამ ამბით, ამ დროს. ბარდღას მოუმწყვდევია ტერეზია სარდაფში.

იგი წუხს, კვნესის, იტანჯება, ტკივილებს განიცდის მხეცური ჟინით გააფთრებული ადამიანის კლანჭებში მოქცეული.

ბარდღამ ის რამდენიმეჯერ გალახა, შეაშინა, გზები დაუხშო, ტერეზიამ კი ვერ მიაგნო თავის შეუგნებლობით სამართალს. ბარდღა კი უფრო მეტი სიძლიერით, უფრო მეტი მონდომებით გრძნობს სიტკბოების ჭაობში ყოფნას. ვილაცას დაძახილი ტალღასავით მოასკდა სარდაფის კარებს, შემოამტვრია ამ ხმამ კედლები და ტერეზიას ყურში ჩაუწვდინა:

— საშინელი ამბავია ატატო! თქვენი კაცი სად არის?

— რაო??

— ჯოტოს ოჯახი ამოწყვიტეს!

და ამ ყინვასავით ცივმა ხმამ ბარდღა ბარათელიაც გამოაფხიზლა, ბურანიდან გამოიყვანა. ტერეზია ამოვარდა სარდაფიდან და მოკურცხლა ჯოტოს სახლისკენ.

ბარდღამ რაღაც უცნაური სიხარული იგრძნო ჯოტოს ოჯახის ამოწყვეტის გაგონებაზე. ღონე დაცლილი, სიტკბოების კალაპოტიდან ამოვარდნილი წავიდა იქეთ, საიდანაც ხალხი მოდიოდა.

ტერეზიამ დათხილი სირბილით მიაღწია ჯოტოს ეზომდე. სულ მოუთქმელად შეაღო კარები. პირ დასისხლიანებული და თმა გაწეწილი ბარბალე შემოეგება წინ მას. ტერეზიამ გაოცებული სახე მოღერილი მაუზერივით მიაშვირა ბარბალეს და მიაკივლა:

— ჯოტო სად არის?

ამ დროს გაიღო ოთახის კარები. ჯოტო გაფითრებული სახით შემოვიდა. ტერეზიას კი ჯოტო მკვდარი ეგონა. დაეძებდა ოთახის კუნჭულებში მის გაცივებულ სხეულს. ახლა შეიცვალა ტერეზიასთვის ეს სამყარო. საკუთარ ტკივილებში ჩამჯდარი, თვალცრემლიანი, მოეხვია ყელზე ჯოტოს.

ჯოტო ტერეზიას მკვიდრი ბიძაშვილია, რამდენიმე წელია, ჯოტოს ტერეზია რომ არ უნახავს, რადგან ჯოტო საქართველოში გასაბჭოების შემდეგ ჩამოვიდა, უპატრონო, უდედმამო ტერეზიას კი ჯოტოს მზრუნველი ხელი ამის გამო ვერ სწვდებოდა.

— ჯოტო ცოცხალი ხარ?

— დამშვიდდი ტერეზია. რა მიჭირს!

ახლა კი დარწმუნდა ტერეზია, იმ გადმოძახილის სიყალბეში. მოატყუილეს. ეს ახარებს მას. ალფრთოვანების ფრთებს უკვეცავს მოგონება იმ წუთის, როცა მას ჩაუწივლა ვილაცამ ყურში: „ჯი-ტო მოკლესო“. მაშინ ის, ბარდღა ბარათელიას დამშეულ ხორცს დაუშრეტელ წყაროდან ასმევდა ტკბილ შარბათს. იკეცებოდა

წელში. გრძნობდა რაღაც გამაბრუებელ ძალას, რომელმაც მისი სხეული დაიმორჩილა, მაგრამ არ იცოდა რა ექნა. ამიტომ იყო ჩუმად და ეს დუმილი საკუთარი თავისა და ახლო ნათესავების წინააღმდეგ, უფრო ლრმავდებოდა და იტევდა შიგ ორ მოწინააღმდეგე აზრს.

— გავაცხადო?

და ამ დროს გული სულ სხვას ეუბნებოდა.

— მაშინ ხომ მომეჭრა ხალხში თავი?

— დავმალო?—და ამ სხეულიდან ამონასუნთქ სიტყვას, რომელსაც თან ამოყვა ნაღველი და ოხვრა, უკუ აქცევდა საწინააღმდეგო აზრი.

— მაშინ უნდა გაუძლო, ბარდღას გველივით შემოხვეულ ხელებს შენს მაღალ წელზე, მაშინ უნდა შეგინგრიოს სხეულის ყოველი უჯრედი ბარდღას აცახცახებულმა ძარღვებმა და მაშინ უნდა დაიგრიხო ბარდღას გააფთრების ქვეშ.

— რომელს ირჩევ?—ჩასძახა კიდევ ყურში ვიღაცამ.

— უუჰ, ყველამ უნდა გაიგოს?? არა! არა!

ტერეზია ბობოქრობს ფიქრებში. მის წინ თვალებ გაცეცხლებული, სახე გაგიჟებული და ხელებ წამოკაპიწებული იკლაკნება საკუთარ სხეულში ამხედრებული ბარდღა ბართელიას აჩრდილი.

ტერეზია განიცდის ბარდღას ყოველ განძრევას, თითქოს მას ეხვეოდეს, სჯიჯგნიდეს, ცემენტივით მაგარ გულის ფიცარს ჩაქუჩით უმტვრევდეს. ეს უჩვეულო ფიქრები, ახლო წარსულის მოძრავ სახეებიდან აღებული, ნიღაბ-ჩამოგლეჯილი ეჩვენება ტერეზიას, როცა ხელს კიდებს ჯოტო. მაშინ ტერეზია გამოფხიზლდა, მოაგონდა, რომ, ის გამოიქცა ბარდღადან ჯოტოს გაცივებულ სხეულის დასატირებლად, მაგრამ აი ახლა ჯოტო მას ხელებით ეხება, კოცნის, ტერეზიაც აღტაცებით ეხვევა. მკლავებს გულმკერდზედ იკრავს, კოცნის. უცებ ჩერდება. უმზერს თვალებში, მხოლოდ, იმიტომ, რომ ახლა, როცა ედება ჯოტოს ტანი მას, რაღაც ჟრუანტელი უვლის. მას მოაგონდა რაღაც საშინელი რამ, არც ისე შორეულ წარსულიდან აღებული.

იგი სულ ახლო წარსულის აჩრდილია. აი, მიაპყრო ერთ წერტილს თვალები ტერეზიამ, აი, გაახსენდა აქ მყოფთათვის საიდუმლოებით მოცული ამბავი. ეს ის უკანასკნელი წუთია, როცა ბნელ სარდაფში თივით გატენილ ლეიბზე იშმუშნებოდა მისი ტანი და ამ რხევას სულმოუთქმელად ყლაპავდა ბარდღა ბარათელია. წუთებია, რომელიც უდრიდა წლების განმავლობაში გულჩათხრობილ მოქმედებათა გამომზეურებას, ბარდღა ბარათელიას არსებაში.

აი, ეს მოაგონდა ტერეზიას, როცა მას ჯოტოს მკლავები ეჭირა ხელში. ახლა ტერეზიამ გადარეკა შორს ნაცრისფერი ღრუბლები. გამოჩნდა ბილიკები მოტიტვლებული და ზედ ბარდღას სისხლიანი ხელები, რომლის იქეთ იმალება ჯერ კიდევ გამოუცნობი ფიქრები მთის ქანებში ჩაწოლილ შრეებივით.

ბარდღა მოდის ახლა.

მოაქვს: აღფრთოვანება, სიხარული, რომელმაც ამცნო ჯოტოს სიკვდილი, ლაპარაკობს თავისთვის:

— ყოჩაღ ლაზარე! გადადევი თავი ძმისთვის??

ამ დროს ქუჩაზე მოისმა ხმაური, ლაპარაკი, ზლუქუნი, ტირილი, კვნესა.

ბარდღამ ნაბიჯებს უმატა. დაიტვირთა ამ ხმაურის უცნაური მუსიკით და წააწყდა მისთვის დამღუპველს, მისთვის გულშემზარავ, ქვემძრომ აზრთა ბნელის სისხლში ამოვლებულ ტანს.

მონდომებით დააკვირდა. და უფრო კარგად, გარკვევით გამოისახა მის თვალწინ ლაზარეს გაცივებული სხეული.

ლაზარე ურემზე დაგდებული მოქონდათ ნანადირევ დათვივით, მის გვერდით ვეფხვის შვილებივით ეყარა ლაზარეს თანამებრძოლთა დამარცხებული ლეშები.

თითქოს აყვირდენ მთები და გარღვეულმა ნაპრალებმა თან ჩაიტანეს ბარდღას განზრახვები ლაზარესთან და მის მხლებლებთან ერთად.

შეიცვალა ბარდღას სიხარული მწუხარებით.

შეიცვალა ჯოტოს სიკვდილი ლაზარეს სიკვდილით.

გაიხსნა საიდუმლო მოქმედების მოკლე გადასარბენი.

მილიციას ფრთხილად და მოხერხებულად აქვს ჩაწერილი ლაზარეს უკანასკნელ წუთებში ამოძახილი სიტყვები.

— „ბარდღა ბარათელიას მოწყობილია ყველაფერი"-ო.

ეს სიტყვები ისე მაგრად არის ყველას მეხსიერებაში შეჭრილი, აღბეჭდილი, რომ იმ სქელ ქალალდზე გაცრეცილ პირზე სულ რომ მოირეცხოს, წაიშალოს, მაინც არ ამოვარდეის ამ ხალხის გულიდან.

იგი დაუძლეველია ვით ჯოტოს რკინისებური ნება.

*
* *

თავდასხმის ამბავი გაზვიადებული გადადიოდა სოფლიდან სოფელში. ყოველი ანთებული კერა, ყოველი ოჯახი იფერფლებოდა ამ ამბის მოსმენით. რომელიმე მჭერმეტყველი მოსაუბრე, აჩუყებულ გულთა ძგერას თვალებიდან გადმოღვრილ ცრემლებში ალბობდა.

სოფელი ლებალარათუა შფოთავდა. გახელებული ხსნიდა ბაგეებს და წვიმის თქეშს სვამდა ხარბად, ისე როგორც კომუნის დაარსებით ამოძრავებული ენტუზიაზმი ხარბად ეწაფებოდა კომუნარების ფიქრებს.

კომუნის ბედით გააფთრებულ ბათლომეს სხეული, კომუნის დასაშლელად მომართულმა სურვილებმა დააბეს საავადმყოფოში საწოლზე.

იალქნებ აწყვეტილ ადამიანის სულისთქმა აფთიაქის სასწორზე ირხევა. წამლების წვეთები სულიერ წონასწორობას არღვევს, ექიმების გამოცდილი ხელი მალამოზე უფრო უკეთ აშუშებს მის ჭრილობას, ბათლომე უძლებს ნატყვიარში ტამპონების შედებას, გამორეცხავს და იოდის ჩაწვეთებას ჭრილობაში.

ყოველ დღე ახალი დიაგნოზი.

ნატყვიარი ფეხი სივდება, სიმძიმე ემატება.

ტკივილები მატულობს. ძვლებში ტეხს. ფიქრები იწეწება.

ჯოტო ყოველ დღე ნახულობს ბათლომეს.

ბათლომე საავადმყოფოს პატარა ოთახშია მოთავსებული. მასთან ფეხმოჭრილი მილიციელი წევს. ბათლომე უყურებს თუ როგორ იკლაკნება მილიციე-

ლი. ხედავს თეთრ ხალათებიან მომვლელ ქალებს, როგორ ხვევენ ისინი მილიციელს ხელებს, გადმოყავთ საწოლიდან და მიაგოგებენ ნელა, საკაცეზე დაწოლილს, ჭრილობის შესახვევ ოთახში.

ბათლომეს ყოველ დღე უსინჯავენ ფეხს. გარკვეულად ვერაფერს ამბობენ. დაბნეულობა და გაოცება ეუფლება მათ სახეებს.

ოთახში საშინელი სუნი დგას.

დერეფანში ჩქარი მიმოსვლაა: პროფესორების, ექიმების, მომვლელი ქალების, სანიტარების და ავადმყოფებთან მოსულ მნახველების.

ბათლომეს საწოლი ოთახი იქ არის, სადაც ორივე მხრიდან იღება კარები ქვედა სართულში ჩასასვლელად. შემოდიან მნახველები, ჩადიან სანიტარები. გააქვთ ახლად გაციებულ ადამიანის გამხმარი ცხედარი. მათი ნაბიჯები უცებ ჩერდება კარებთან. დააგდებენ ძირს საკაცეს. მასზე დაგორებული მიცვალებული ვარდება იატაკზე, და საზარელ ხმაურს იწვევს. ხმა იჭრება ბათლომეს ოთახში. ბათლომე საწოლზე ირწევა აკვანივით და ეს ხმაური მას ტანჯვის ფიქრებს უშლის უფრო ღრმად, ვინემ აქამდე.

იგი ყოველ დილით მიიტანს ხელებს ფეხებთან, სწევს მაღლა და ბრუნდება კედლისკენ, რომ არ შეავლოს თვალი სიკვდილთან ბრძოლაში დამარცხებულ ადამიანის გაყვითლებულ სახეს.

სანიტრები აღებენ კარებს. იღებენ საკაცეს ხელში და ჩააქვთ მიცვალებული ქვედა სართულში—პროზექტურაში.

კიდევ მოუსვენრობა.

კიდევ უძილობისაგან თვალებ გადმობრუნებული სანიტრები. ბათლომეს სახე ეღიმება, ოხრავს და ჩუმად დედას აგინებს მათ, მკვდრებისადმი ასეთი გულცივი მოპყრობისათვის.

ასეა ყოველ დღე.

დღეები მალე გარბის საავადმყოფოში, ღამეები კი დაუსრულებელია ისე, როგორც ქარავნისათვის უდაბნოს გრძელი გზა.

ამას ბათლომე გრძობს, რაც ტკივილებმა უმატა და არ აძლევს მოსვენებას. მუხლები სტეხს. ძვლებში რაღაც იმტვრევა. ღრღნის, ეჭავება, იწვება ბუხარში ჩანთებულ ცეცხლივით. სიცხემ ბოდვაში გადაიყვანა, ბათლომეს ეუფლება: მოუსვენრობა, აღელვება და უძილობა.

— წამიყვანე ჯოტო სახლში!

— რატომ ბაოლომე? ამაზე უკეთესად ვინ მოგივლის?

— ვკვდები მაინც და!

— რამ წაგახდინა ვაჟკაცი, არ გრცხვენია? გული გაიმაგრე!

დამშვიდებული ტონით უთხრა ჯოტომ.

ბათლომე ვერ წყნარდება: ბორგავს და ბრუნავს საწოლზე. ტყვია, რომელიც იმ ღამეს ესროლეს ბათლომეს, რაღაც განსაკუთრებული შემადგენლობის ყოფილა. სადაც ფეხს ტყვიის წვერი მოხვედრია, იქ წერტილის ოდენა ამჩნევია განახვრეტი, მეორე მხარეზე, სადაც ტყვია გასულა, მუჭის სიმსხოზეა გამოგლეჯილი ხორცი. ტყვია შიგ გამსკდარა, ნატეხები მუხლის ძვალში შეჭრილა. მარილივით დაუფშვნია ძვლები, ნამტვრევები, რომელიც ვერ ამოუღეს ექიმებმა,

საღ ხორცში ესობა ნემსებივით. აწვალებს, ტანჯავს, ამიტომ არ უნდა მას სიცოცხლე.

ჯოტომ ბათლომეს ბედი, ექიმების გამძაფრებულ ყურადღებას ცენტრში ჩააგდო. აამოძრავა მათი გონება, გამოცდილება და მისცა დაკვირვების ახალი ნიმუშები. გამოარკვია ტკივილების ღრმა კვალი.

— ფეხი მუხლს ზევით უნდა მოვსჭრათ!—უთხრა უფროსმა დოსტაქარმა ჯოტოს.

კლდეში ჩადებულ ლაღუმივით აფეთქდა რაღაც ჯოტოს სხეულში. დაიგრიხა, თითქოს მისთვის მოეჭრათ ფეხი. ჩიხში მომწყვდეული ადამიანის ხმით უპასუხა ექიმს:

— გვერდს ვერ აუვლით?

— უარესია, ნუ დავაყოვნებთ!

იყო ექიმების პასუხი.

ბათლომე ჯოტოს ყველაფერს უჯერის, ახლა რთული ამოცანაა მის წინაშე: ღაიყოლიებს თუ არა ბათლომეს?

ამას ფიქრობს ჯოტო. მის წინ ისახება ბათლომე ფეხმოჭრილი; აგონდება ბათლომეს მსოფლიო ომის დროს ბრძოლებში ყოფნა და გულუბრყვილოთ ამბობს თავისთვის:

— ოთხი წელი ომში იყო და უვნებელი ჩამოვიდა, ახლა როგორ უნდა მოსჭრან ფეხი?

და აფიქრებს მას დაჭრილი ადამიანის სიმწარე.

ექიმები ბათლომეს გამოტეხილად უცხადებენ ფეხის მოჭრას.

ჯოტოს კი, როგორც ავადმყოფის პატრონს, ექიმები ოპერაციის უფლებას სთხოვენ:

— მოვსჭრათ ფეხი თუ არა?

— შეეკითხოთ მას, რას იტყვის!

მოაგონდა ჯოტოს, რომ ბათლომე თავის თავს არ ეკუთვნის. მისი პატრონი კომუნაა. და წავიდა კომუნარებთან საკითხის გადასაჭრელად.

წუთით შეჩერდა კომუნარების მოძრაობა, მათი ყურადღება ჯოტოს მიერ დაყენებულ საკითხის ირგვლივ დაირაზმა.

— ბათლომე ცუდათ არის, ფეხი გაუსივდა. სისხლის დენა ვერ შეუწყვიტეს. დაწამლული სისხლი ზევით მიდის, გულთან თუ მიაღწია მოკვდება.

კომუნარების სახეებზე თოვლივით ჩამოწვა მწუხარების ნაფლეთები. მათ გულებზე გადმოეფარა შავი კუპრივით გაუვალი ფიქრები, მოზვავდა გულის წყრომა მეწყერივით. ჩამოიბურა თვალები ღრუბლებით. ჩაიძირა ხსნის გრძნობა დაცემულობის ტბაში. შეირყა ბათლომეს მიერ მიწაში ღრმად ჩაფლული კომუნის საძირკვლები, დაიცრიცა მისი მორჩენის იმედები. დაიღვარა ცრემლები ბურუსში და ამ დაღრენცილ სახლკარში თავმოყრილ კომუნარების პირიდან გადმოგორდა მწუხარებით განცდილი სიტყვები:

— სად არის გამოსავალი??

— სად არის გამოსავალი??

— და ეს სიტყვები, ურყევ ლოდივით დააწვა ყველას: უფრო ძლიერად, უფრო დაუძლეველად, ვინემ მთელი წარსული ცხოვრება. იგი გავარდა კომუნარებში მეხივით, შეანგრია მათი გულის ფიცარი ვერაგულად. გაუხსნა იმედები ბრძოლის გამარჯვებამდე მიტანის.

წამოსროლილი სიტყვა დალმავალია უფსკრულისაკენ. არ გავს ამავე სიტყვებით გამოთქმულ სხვა აზრს, რომელიც კომუნის დაარსების დღეს ყველას ფიქრებს აედევნა. იგი კომუნის ძირებს ხსნიდა მაშინ და ალმავალ ხაზით მიიმართებოდა, ამიტომ პასუხი არსად სჩანს. ამ მდორედ დაგუბებულ სიჩუმეში ჯოტომ მოხაზა გამოსავალი ბილიკები.

— სად არის გამოსავალი!

— ჰო, ჯოტო სად არის გამოსავალი?—ერთად დაიყვირეს კომუნარებმა.

— გამოსავალი ჩვენშია. ფეხი მუხლს ზევით მოვჭრათ. მაშინ მორჩება.

— რაო?

— რას ამბობს?

— ხომ, არ შეიშალა ეს კაცი ჭკუაზე?!

ახმაურდა ყველა.

— მერე, ფეხი თუ მოვჭერით სულ არ დაიღუპება?

— ექიმმა მითხრა, მხოლოდ ფეხის მოკვეთით გადაარჩენთო, გადმოდარდა შიშნაკრავი აზრები. ყველა ფიქრობს ბათლომეს გადარჩენაზე. იწერება ექიმბაშური რეცეპტები.

ლუკა წულაიამ გაარღვია კომუნარების ჯგუფი. მიუხლოვდა ჯოტოს, რომელიც გადმოსცქეროდა კომუნარებს მაღლიდან.

— შემომაქვს წინადადება, რომ ბათლომეს მოვჭრათ ფეხი!

ყველას გაუკვირდა ასეთი წინადადების შემოტანა.

— თუ მაგი მოარჩენს, რა გვეთქმის მეტი!—დაუმატა ბონდომ.

ბარბალე და ტერეზია თმა გაწეწილები იდგენ.

— მე მოვედი თქვენ შეგეკითხოთ და გადავწყვიტოთ ბათლომეს ბედი. იგი ჩვენი ხორცია. გვეტკინება ისე, როგორც საკუთარ ფეხზე დასობილ დანიდან მიყენებული ჭრილობა. გადაჭრილი ძარღვები შადრევანივით ამოისვრის სისხლს, მაგრამ ეს ნუ შეგვაშინებს. მაშ, მე უყრი კენჭს: ვინ არის მომხრე, რომ ბათლომეს ფეხი მოვჭრათ!!

კომუნარებმა ასწიეს ხელები.

ბონდომ ოქმში შეიტანა:

— ლუკა წულაიას წინადადებით და ჯოტოს მოთხოვნით სოფელ ლებალარათუას კომუნის საერთო კრება ადგენს:

„ჩვენი კომუნის დამაარსებელს ბათლომე ლომიას მოეჭრას ფეხი იმ პირობით, რომ ის მორჩება და არ დაეკარგება კომუნას ჩვენი მტრების გულმოსაკლავად“.

ეს ოქმი კომუნარებმა შეინახეს მყუდრო, მიუკარებელ ადგილას. თითქოს ამ ოქმში იწვეს ბათლომე სააპერაციოთ გამზადებული და ყველა ერიდებოდეს, ყველა წუხდეს მის დანახვას, მის აღელვებას.

ჯოტომ ამ ოქმის ასლი სათუთად ჩაიდო გულის ჯიბეში და იმ საღამოსვე წაიღო საავადმყოფოში და ექიმებს გადასცა; ექიმებს გაეცინათ, ხელები ჩაიქნიეს და პირდაპირ ბათლომესკენ წავიდენ.

ჯოტომ უთხრა ბათლომეს, რომ მას ფეხს მოსჭრიან.

მოულოდნელი ტანჯვა ისადგურებს ბათლომეს სხეულში და ბრძოლებ გათავებულივით ნებდება ექიმების სურვილებს. ათვალიერებს მათ, ყველასგან შველას მოელის. სანიტარები კი, თავისი მხსნელი ჰგონია. წინა დღით თუ აგინებდა მათ, ახლა ეხვეწება: ხშირად შემოვიდენ ოთახში, ესაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე: გადაიტანს, გაუძლებს ამ მოუსაზრებელ რისხვას, თუ მასაც ისე გაიტანებენ მკვდრად, როგორც ყოველ დღე გააქვთ?—ფიქრობს ამის შესახებ ბათლომე და ეძებს გამოსავალს. გაფითრებული კითხულობს:

— სად არის გამოსავალი?

— გამოსავალი მაგ ფეხის მოკვეთაშია!—აძლევს პასუხს მეორედ მოსული ექიმი.

და იმეორებს ბათლომე ამ სიტყვებს რამოდენიმეჯერ. მასში სჩანს მოთმინების სიჭარბე, რომელიც ცურავს ფიქრების ნაცრისფერ ტბაში. იშლებიან ამ ტბის ჩამორღვეული ნაპირები და შიგ მოსჩანს ბათლომეს მკრთალი სახე მთის ტატნობზე ჩრდილებჩამოშვებულ ცაცხვის ხეივანივით, რომელზედაც ყორნების ბუდეები ირწევიან.

ასე ირწევა ბათლომეს სხეული სიკვდილისა და სიცოცხლის სასწორზე. იმედებით დაყურული თვალის უპეები კი გამოიყურებიან ღრმა ფიქრებით გაბრწყინვებულები.

ბათლომეს სიტყვები არ გავდა ჯოტოს თქმულს:

— „გამოსავალი კომუნაშია“-ო.

არც ბარდღა ბარათელიას სიტყვას, ლაზარეს გასამხნევებლად წამოსროლილს:

— „გამოსავალი ჯოტოს მოკვლაშია“-ო.

ეს უფრო სხვა არის! ბათლომეს თავზე დატრიალებული, სიცოცხლე აფეთქებული, ბათლომემ ჯოტოს შეუნარჩუნა სიცოცხლე, თვითონ კი ჯოტოს ჯანსაღი მიმდევარია. მიყვება მას სანამდის ენერგია ეყოფა და სანამდის სულისთქმა არ შეუნელდება, სანამდის არ ჩამოთოვს მის თვალებზე სამუდამოთ. ამიტომ უჯერებს მას, ქმნის წინასწარ განწყობილებას ფეხმოკვეთილ კაცისას.

ძნელია პირდაპირ შეხედვა, პერსპექტივაში წარმოდგენა ასეთი მოვლენის, მაგრამ ის უკვე ფაქტია, შეურყეველი ლოდია, რომელსაც ვერ სცვლის პროფესორების, ექიმების და ყველა თანამშრომლების ათეული წლობით ამ დიდ საავადმყოფოში მიღებული გამოცდილება და დაკვირვება.

დაემორჩილა ბათლომე მათ მიერ მოხაზულ გადაწყვეტილებას.

მეორე დღეს ნემსებით გაუყრუეს მთელი სხეული. ბათლომემ მოითხოვა დაძინება. ექიმებმა მოიშველიეს წიგნებიდან ამოკრეფილი აზრები, რომ სხეულის გაჟრუება ეს მედიცინაში უკანაკსნელი სიტყვააო.

სარეცელზე დაწოლილი შეიყვანეს საოპერაციო ოთახში.

პატარა და მოგრძო ოთახი ვერ იტევს პროფესორების და ექიმების ჩქარ დენას. ანთებულ სპირტის ცეცხლზე იხარშება სააპერაციო იარაღები. ყველა ხალათებიანი ექიმები მიჩერებიან თვალებში პროფესორს, რომელიც ხელში ვერცხლის ფრათ გაბრწყინებულ დანებს, მაკრატლებს. პროფესორის თანაშემწე ხელში იმარჯვებს ხერხს.

ბათლომე წამოაჯინეს მაგიდაზე.

ზურგზე ორივე მხრივ დაარტყეს ნემსები.

ბათლომეს გული შეეღონდა. გადააწვა მაგიდას, სახეზე ექიმებმა პერანგი გადმოაფარეს. ერთმა თავი დაუკავა. მეორემ ხელები დაუჭირა მაგრად. ტანში რაღაც უცნაური სითხე შევიდა. გააბრუა სხეულის ყოველი უჯრედი, დაამძიმა ტანი წელის ქვევით. თითქოს ვინმეს დაეკრას მაგიდაზე ჯაჭვებით.

— აბა, ფეხი ზევით ასწი, თუ შეგიძლია! — უთხრა პროფესორმა ბათლომეს. მან სცადა, მაგრამ იოტის ოდენადაც ვერ შეიტანა ცვლილება. ვერ გაინძრა. დაჭედილია ლურსმნებით.

პროფესორმა შავი სათვალეები აიწია შუბლზე.

ადუღებულ წყალში და სპირტში ერთხელ კიდევ ამოავლო დანა და თავში დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება დარაზმა ერთი წერტილის ირგვლივ.

ექიმები სმენად გადაიქცენ.

ბათლომეს, ხელები გაკავებული აქვს.

პროფესორმა მოხაზა დანით მუხლის ახლოს ადგილი და დაუსვა მაგრად. მჭრელმა იარაღმა მოიტაცა კუნთები, ძვლებამდის დავიდა. შემდეგ მთლიანად ირგვლივ შემოუსვა დანა. რგოლივით შემოაჭრა მუხლს ხორცი.

— ხერხი, ჩქარა! აი, ამ ადგილას!

და პროფესორის ასისტენტმა, რომლის ტანის მოყვანილობა ჰგავდა ცირკის მოჭიდავეს, ხელში აიღო ხერხი და დაუწყო გადახერხა მუხლის ზევით ძვალს.

ხერხავს, ძვალს გააქვს ხრიალი; თითქოს ვერელი მხერხავის ბლაგვი ხერხის კბილები ეხახუნებოდეს რკინის მაგარ შეშას.

ჩახერხა ძვალი. რაღაცამ გაადინა ტკარცანი. ძვალი მოსკდა ნაფრეჭივით, სანამ სულ დავიდოდა ხერხის კბილები ბოლომდის. ძვალის ქვედა სქელი კანი ყავარივით გაიხლიჩა და მონახეთქი ადგილი დარჩა სიგრძით ფირფიტასავით, როგორც ტყეში მოჭრილ ხეს დაურჩება ჩამონახეთქი ადგილი.

ფეხმა იატაკზე გაადინა ბრახვანი.

სისხლი, წამლები, ბინტები, ბამბა და ექიმის ხელები ირევა ერთანეთში.

შეუწყვიტეს სისხლის დენა გადაჭრილი ძარღვებიდან. კუნთები მოსწიეს, დააგრძელეს და მერე მოუღუნეს და გადაჭრილ მუხლის წვერთან ერთმანეთს შეუერთეს ძარღვები. შეუხვიეს ბამბით, ბინტებით და საწოლ ოთახში გაიყვანეს.

ასე გადაწყდა ბათლომეს ფიქრებში ბრძოლა უფეხობისა და სიკვდილს შორის.

ბათლომეს მოჭრეს ფეხი, უფრო კი სიკვდილს მოკვეთეს თავი.

სიკვდილი ახლა უძლურია შეიტანოს ბათლომეს სხეულში მოდუნება, უიმედობა. რთული ოპერაცია, გადაჭრილი ძარღვები, დაღვრილი სისხლი ერთმა-

ნეთს აძლიერებენ და ყველანი ერთად აღებული ასუსტებენ ბათლომეს ორგანიზმს. ამიტომ არის, რომ ყოველ მეორე დღეს ხუთასი გრამი ფიზიოლოგიური ხსნარი—ეს უკანასკნელი საშუალება სიკვდილის წინააღმდეგ—შედის ლელესავით კანსა და კუნთებშუა.

და ასე ორიათასი გრამი ფიზიოლოგიური ხსნარი შეისრუტა მისმა სხეულმა. გაამაგრა გული და ძარღვებმა ნორმალურად იწყეს მოძრაობა.

* * *

ბარდღა ბარათელიას ეზოში ქვაც კი განსაკუთრებული თვალებით გამოიყურება. ქვასაც კი უნდა, რომ გულქვა პატრონის გრძელი ფეხები არ მოედვას.

სუნთქავდა გარემო მსუბუქად და ხარობდა ადამანთა ტვინში ჩამჯდარი კოლექტიური გრძნობები. იხსნიდა გულმკერდს ღრუბლებით დატვირთული ცა და იხუტებდა მუხლ-მაგარ ხალხის ლტოლვას, რაღაც ახალი, რაღაც უცნაური მიზნებისაკენ.

იგი ბარდღას გადაჭრილ ძარღვებივით მწვავეა ბარდღას მაგვარ ადამიანებისათვის და გულზე სევდების მომხვევია ჯოტოს იერში აღბეჭდილ კომუნის დღეებისაკენ მჭროლავ ადამიანებისათვის.

იჟღინთება ბარდღა ბარათელიას მაღალი სახლი სიძულვილის დაუშრობელი ბუდობებით. იქ, სადაც ლაზარეს ფეხის ნაკვალევია, ცხენის ნატორალში ჩამდგარ წყალივით იმზირება სისხლის ტბა. იგი ეხეთქება ყოველ საგანს, იხედება შიგ, მაგრამ ბარდღას მიერ წლობით დამორჩილებული შეუბრალებელია.

სუნთქავს ბარდღა ამ გარემოთი დამძიმებული.

დაიცრიცა თვალებზე ჩამობურვილი გარემო ბინდი, როცა გაიღო ჭიშკრის კარები და ეზოში შემოვიდა მილიციელი ქაღალდით ხელში. თითქოს წუთით დაინგრა ეს სახლიო. ბარღა შეინძრა, იგრძნო ფიქრებში დატრიალებული აზრთა სინამდვილე და მოღრუბლული ხედვა ესროლა მილიციელის დამშვიდებულ სახეს.

მილიციელის სიტყვა:

— კომისარიატში გიბარებენ!—დაეტაკა ბირდღას ტყვიასავით, თითქოს გულმკერდი შეენგრიოს ვინმეს. დაბარბაცდა. თვალები მიმოავლო მილიციელის ფორმას. ზიზღით შეხედა მას და შეიგინა.

ამ დროს ატატო თმა გადავარცხნილი, სუფთად ჩაცმული გამოვიდა სახლიდან.

— უიმე, კაცო, ეს ვინ არის?

— მილიციაში მიბარებენ!

— რა კავშირი გაქვს შენ მათთან?

— ახლა გვინდა დავაკავშიროთ!—დამცინავი ხმით უთხრა მილიციელმა ამ ქალის გაკვირვებულ ქცევას.

ატატო მაინც არ ცხრება, გაკაპასებული ეძებს ბარდღას დაპატიმრების მიზეზს, მაგრამ ვერ ამოუცვნია მილიციელის სახეზე.

მილიციელმა ბარდღა გაიგდო წინ.

მიდის და თან თვალები უკან რჩება სახლკარზე, ატატომზე, — უცებ თავში გაურბენს აზრი, გამოემშვიდობოს, ათრთოლებული სურვილებს ტკბილად დამტევ, სიცოცხლის სავსე ტერეზიას, მაგრამ ის ჯერ ... ...

ამ სიტყვებმა გაუკაფა გზა მოსამართლის ძიებას. მას არ დასჭირვებია იურიდიულ ნორმების გამოყენებაზე ფიქრი, და არც დამცველის [illegible]ებულ სიტყვათა გარეგან წყობას მოუხიბლავს მისი გული, საკმარისი—ბასლა ჯოტოს და იმ გლეხების დამოწმება, რომლებიც უყურებდენ ლაზარეს უკანასკნელ გაბრძოლებას ამ სიტყვების ამოთქმის დროს.

სასამართლომ ძიებისა და გამორკვევის შემდეგ, ბარდღას, როგორც ჯოტოზე თავდასხმის სულის ჩამდგმელს და ამ თავდასხმის ცენტრალ-ძარღვს—კომუნაზე გალაშქრებისათვის, მიუსაჯა გადასახლება ათი წლით.

* * *

გრიგალივით დატრიალდა მთელს სოფელში ბარდღა ბარათელიას გადასახლების ამბავი. ზოგიერთ გულს მოეშვა მძიმედ მოწოლილი ლოდი. გადაგორდა ის შორს, სადღაც თვალუწვდენელ ნაპრალებში. სიხარულის მოელვარე ტალღები მოასკდა კომუნის დაუმთავრებელ ჯებირებს. იგი უფრო გამაგრდა გამხნევდა და აგერ კომუნარების სახლის ნაწილებით დატვირთული ურმები რომ მოდის, ხარ-კამეჩებს ჩაუდგა მუხლებში დაუღალავ ენერგიად.

ურმების ირგვლივ მოარულ: ბონდოს, გიორგის, ლუკას, ბავშებს, ქალებს და მოხუცებს—ამ აყრილ მოსახლეებს, რომლებიც ამ ერთი კვირის განმავლობაში აფორიაქებულები დარბიან, იბრძვიან—ბარდღას მედიდურ სახლკარში შეჭრილი უბედურება, ენერგიას უორკეცებს, დაღლილობაზე ფიქრს უფანტავს. ბათლომეს საავადმყოფოში კარგად ყოფნა, გაშლილ ფიქრებს აღმაფრენას აძლევს.

ოცი მოსახლის დარღვეული, დაფანტული სახლკარი, შეერთდა ბათლომეს ფაცხის ირგვლივ გადაშლილ მინდორში.

გულჩათხრობილი ხალხის საზარელი რხევა, ნიანგის ცრემლები, შურით და ბოღმით დასისხლიანებული თვალები, ყასბის ძაღლებივით მობრიალე, რომელიც იმზირება და იღვრება კომუხის წინააღმდეგ—კომუნარებს ვერ აშინებს.

არც იმის ეშინიათ, რომ ჯერ მათი ცხოვრება, მუშაობა, არ იქნება გამართული, წელმაგარი. თუ ახლა ისევ ძველი სახლების მასალას იყენებენ იმიტომ, რომ ეს საქმე გუშინ დაიწყეს ამ დამპალ სახლის კედლებზე აღიბეჭდება ახალი სახლების იერი.

ამაში დარწმუნებული არიან კომუნარები, ამიტომ არის, რომ ასე დაბეჯითებით, გულმოდგინეთ ამოყავთ საძირკველი, მჭვარტლით გარუჯულ შავი კედლებით ამოშენებული.

— თავმოჭრილი ქათამი, ხომ გინახავს, ისე დაიწყებენ აწი მაგენი ფართხალს!—ეუბნებოდა ბარდღას უმცროსი ძმა რაფია ატატოს, როცა უყურებდა ურმებს გაბაწრულს ქუჩებში. ძმის ოჯახში დატრიალებული უბედურება აორებდა მის ფიქრებში მოქცეულ აზრს. ერთი იყო სევდა და წუხილი ძმის დაპატიმრებისაგან გამოწვეული, მეორე კი ბარდღას მიერ წართმეულ მიწების და სახლკარის უკან დაბრუნების სურვილი. ეს ორი აზრი ებრძვის რაფიაში ერთმანეთს.

ბარდღა ბარათელია არა მარტო ჯოტოს, ბათლომეს, ტერეზიას და ამ სოფლის გლეხების გულისწყრომას იმსახურებდა, არამედ თავისიანებში, ბიძაშვილებში, ნათესავებში, ძმებშიც თარეშობდა, როგორც დაბმული ძაღლი აწყვეტის შემდეგ. მისი ცოფ-მორეული სახე სადაც შეანათებდა, ელდანაკრავივით მიეფინებოდა ხალხი კედლებზე.

ბარდღამ არ მისცა მამის ქონებიდან კუთვნილი წილი რაფიას. ეს კარგად ახსოვს რაფოს. ან როგორ არ უნდა გაახსენდეს, როდესაც მისთვის არ დაუშურავს არც მოღერილი პირმოლესილი წალდი და არც მოქნეული რცხილის კეტი. ათი წლის განმავლობაში მათ შორის მძინვარებდა შუღლი და მტრობა.

ბარდღამ რაფიას საზღვარზე ისეთი მაღალი მესრული ღობე გააკეთა, რომ ქათამსაც არ შეეძლო გადმოფრენა. ღობის გვერდით ძირგამდგარი ბჟოლის ხე თუ გადაშლიდა რტოებს და მისი ჩრდილი გადავიდოდა ბარდღას ეზოში, ამაზე ის ყაყანს ატეხდა.

ერთ დღეს მან სასამართლოში უჩივლა რაფიას, რომ მისი ბჟოლის ხის რტოები გადმოშლილია ეზოში და ჩრდილს უყენებს.

სასამართლომ მასხარად აიგდო ის. პანღურნაკრავივით გამოისტუმრა გარეთ. ამაზე გაჯავრებული ბარდღა ცდილობდა მოსამართლის რითიმე გაკაწვრას. ერთერთ საღამოს ის გახარებული მოვიდა სახლში, ხელებს გულზე ირტყამდა:

— ახლა, ხომ დაგიდგა აღსასრულის დღე, დედას გიტირებ!

— ვისზე ამბობ კაცო?—ჰკითხა ატატომ. ბარდღამ პასუხი არ მისცა. გავიდა მეორე ოთახში.

ამ დროს რაიონის პარტიულების წმენდა მიმდინარეობდა.

წმენდაზე მთელი რაიონის მოსახლეობა მოსულიყო. ამ ხალხში საიდანღაც ბარდღა შემოპარულა.

გამომძიებელი გამოიძახეს წმენდაზე.

დამსწრეებმა ტაში დააყარეს.

ბარდღა ხის ძირში ჩამჯდარა, კბილებს ილესავს.

გამომძიებელმა დაამთავრა ბიოგრაფია. შეკითხვები მოკლე და ლაკონიური მისცეს.

თავმჯდომარემ გამოაცხადა:

— ვის აქვს წინააღმდეგ სათქმელი!

არავინ არაფერს ამბობს.

თავმჯდომარემ სადღაც, შორს ძლივს მოკრა თვალი აწეულ ხელს და მიაძახა:

— აბა, რას იტყვი შენ, ხელს რომ იშვერ!

ყველამ იქით მიიხედა.

— ჩემს ეზოში გადმოდის ძმის ბჟოლის შტოები, ჩრდილს აყენებს, ამიზა მივმართე მაგას, როგორც მოსამართლეს, მან კი არ მოგვაქცია ყურადღება, რათ გვინდა ჩვენ მასეთი მოსამართლე? არ ვარგა, ბიუროკრატია,—ტყვიის მფრქვეველივით მიაყარა სიტყვები თავმჯდომარეს ბარდღამ.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მაყურებლები ვერც კი დააკვირდნენ ბარდაღს. ამ დროს წამოიშალნენ კომკავშირელები და ასტეხეს ყვირილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ შემოუშვა მაგი აქ!

— ბარდღა ბიჭებო!

— კულაკი და ხმა წართმეული შემოპარულა!

— გავაგდოთ მაგ სულძაღლი!

ხალხმა ერთბაშად დაიზუვლა. ბარდღა ძუნძულით გამოაგდეს ქუჩაში.

რაფია მაშინ იქ იდგა. ეს კარგად ახსოვს. ახლა ატატოს, რომ ელაპარაკება, სახეს დაშწუხრებულად აჩვენებს. იბრძვის გულის სიღრმეში მოქცეული ორი მოწინააღმდეგე აზრი. ეს ბრძოლა არ არის ხელჩართული, ფიზიკური იარაღების საშუალებებით, არამედ სურვილები და მისწრაფებანი ეჯახებიან ერთმანეთს ერთი მეორის მოსასპობად.

ატატოს გაფითრებული და გაკაპასებული სახე რაფიას რევს, აღელვებს და თუ ცოტაოდენი შებრალება სურდა მის ფიქრებს ატატოსი, იგი ახლა დაეფანტა, როცა მოაგონდა ბარდღასთან უკანასკნელი ჩხუბი. თვალებს მაინც არ არიდებს და ატატოს პირის მოსაბანად, გულის მოსაფხანად ეუბნება კომუნარების გინებას. იცის, რომ გაეხარდება და კიდევ უმეორებს:

— თავმოჭრილი ქათამი ხომ გინახავს, ისე დეიწყებენ ფართხალს!

— ვინ რაფიელა?

— არ იცი?! ჯოტოს პარტია!

— ჯოტოს პარტია რომელია?

— რავა დეიბენი შე ქალო, ამ ბეჟენცებივით აყრილ ხალხზე გეუბნები, რომ დაძრწიან ქუჩებში!

— მაგათ კი ამოუწყდათ ცოლშვილი, ჩემი ოჯახის დანგრევა და დაფსება რომ უნდათ. რა შეეძლო ჩემს ქმარს მაგათთვის საქმის გაფუჭება—ჯოტოს მოკვლის მოწყობა, როცა სახლში ქათამსაც არ დაკლავს თავისი ხელით?

— ქათამის დაკვლაზე რატომ გეისვრიდა ხელს, მოჯამაგირეები აგერ არ ყავდა?—დაცინვით უთხრა რაფიამ ატატოს.

— რატომ ამბობ შენ მაგას, ხომ იცი ბარდღა, როგორი გულჩვილი ადამიანია, მიახალა სიტყვები ატატომ რაფიას. ამით გამოხატა თავისი გულისწყრომა, მაგრამ მაინც ვერ გაიგო რაზე ელაპარაკებოდა რაფია, და მიუბრუნდა პასუხის მისაცემად.

— რატომ იფართხალებენ!

— იმიტომ, რომ ჯოტოიე გამოძახებულია არმიაში, უნდა წევიდეს. ბათლომე საავადმყოფოში აგდია ფეხმოჭრილი, გამოვა თუ არა ღმერთმა იცის, სხვები კი უთაო ხალხია—რას გააკეთებენ? იბრუალებენ თავმოჭრილ ქათამივით, აბა რა იქნება?—უთხრა რაფიამ და გადაიხედა ქუჩისაკენ, სადაც სახლის მასალებით დატვირთული ურმები მოჭრიალებდენ. მოუსაპნავ ურმების კივილი ხვდებოდა რაფიას და ატატოს ყურში და წივილით იჭრებოდა შიგ ეს ხმაური, ეს კივილი.

ურმებით ივსებოდა ქუჩები.

გაშლილი მინდორი კი იტევდა დანგრეულ სახლებს: საძირკველებს, კედლის ფიცრებს, სარტყლებს, ლარძაყინებს, კოჭებს და ისლის კონებს.

ბარდღას სახლის წინ ბუზებივით მოძრაობდენ კომუნარები. ზოგს სილა მოქონდა, ზოგს ქვა და მიწაში ჩაფლული საძირკველი ამოდიოდა ზევით.

რაფიას დამცინავი თვალები კარგად უცქერდა ამას და გულს ეძლევდა!

— ბაბილონის გოდოლი, ხომ გაგიგონია ატატო!

— რავა არა, ბეჩა!

— ჰო და ბაბილონის გიდოლივით დეიშლება მათი კომუნა!

კომუნარები კი მუხლებ ამოკოტავებულნი, ხელებ წამოკაპიწებულნი დარბოდენ, და უცნაური სიხარულის ტბაში მოცურავენი, აგებდენ ოცი მოსახლისათვის საერთო საცხოვრებელს.

ეს იყო არა მარტო სახლის აგება, არამედ კომუნის საფუძვლების ჩაშენება თვითეულ კომუნარის სხეულში.

ჯოტოს სახე კომუნარებს თვალწინ უდგას. ის ასულდგმულებს მათ. იგი აძლევს სამოქმედო გეზს მუშაობაში. აყენებს კალაპოტში თვითეული კომუნარის საქმიანობას, აყალიბებს ცხოვრების გაუტეხავ ყამირს ახალი მისწრაფებებით და აზრებით.

ჯოტოც თავგამოდებით იბრძვის ამ მიზნების განხორციელებისათვის, რომელიც მეხივით გავარდა მთელს რაიონში. შეაშფოთა მყუდრო ცხოვრებაში თავშერგული ადამიანები, აამოძრავა ფიქრები ახალ ცხოვრებაზე. აამოძრავა, აამოქმედა სოფლის შეძლებულ გლეხების გაუმაძღარი სურვილები.

მდორე მდინარეში გადმოვარდნილი ღელესავით შეინძრა სოფლის ცხოვრება. ყველას გაუჩნდა სალაპარაკოთ: კომუნა, ჯოტო, ბათლომე და მათი გმირული შრომა. ყველაფერი ეს იშლება მაისის ვარდივით. ამას ხედავს ატატო, მაგრამ არ იცის თუ სად წავიდა ტერეზია.

— მისდღემჩი ჩემი ხელით მჭადი არ მომიზილავს, როგორ უნდა ჩავაცხო მე ის ახლა გახურებულ კეცზე?—საყვედურის კილოთი ეუბნებოდა რაფიას.

— რას იზამ, უნდა გეიჭივრო, მარა ტერეზია რატომ გეგექცა.

— იცი შენ??

— მე რა ვიცი!

— ჰო და არც მე ვიცი, გეიქცა და არ მოდის მაგ წვირიანი დედაკაცი. ალბად ვინმე მასავით ოხერი თუ მონახა და დაუწვა გვერდში ძროხასავით. უჯიშო ხალხია მაგენი, ხომ იცი ნაბუშრები და ქუჩაში დაბადებული არიან, ქუჩაშივე გათხოვდება. ფერი არ აკლია და ხორცი. მე კი დამტანჯა მაგ ენა წაგძელებულმა. რავა შემიძლია ამხელა ოჯახის მოვლა, ბარდღაზე ფიქრი? დამიმძიმდა სწორედ გული ბეჩა.

დანაღვლიანებული იწყევლებოდა ატატო.

რაფია უმზერდა თვალებში მას თანაგრძნობით.

ტერეზია კი ამ დროს იდგა ჯოტოს წინ და დარცხვენილად ეუბნებოდა.

— აწი მე არ მივალ ბარდღას ოჯახში მოახლეთ, დავრჩები აქ!

ჯოტომ არ იცოდა თუ ტერეზია ბარდღას ემსახურებოდა. გამწყრალი ხმით უპასუხა ტერეზიას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამდენხანს რად გაუჩერდი?

— სად წავსულიყავი?

— ვერ მოდი დედაჩემთან? იცხოვრებდი და თან მიეხმარებოდი ქმოხუცებულ ქალს!

— არ მინდოდა ბარბალეს შეწუხება, შევცდი!

— აწი მაინც დარჩი დედასთან. მერე აგერ დამთავრდება კომუნის სახლის აშენება და ორივე შეხვალთ კომუნაში წევრებად. შენი წილი, თუ რამე გაქვს შემოიტანე.

— მე რა უნდა შემოვიტანო, ბარდღას კაპიკი არ მოუცია!

— არ მოუცია და ძალით აიღებ!

ტერეზიას სულ დაავიწყდა ახლა ის გაჭირვება, რომელიც ბარდღასთან ყოფნის დროს განუცდია. ოღონდაც ნუ შეეხება მისი გრძელი ხელები მას და მთელი დღე და ღამე იმუშავებს. ოღონდაც ნუ შემოხედავს ატატო მას, როგორც შესაჭმელ ნადირს და მთელს კომუნას მარტო ეყოფა როგორც დიასახლისი.

იგი ახლა სულ გამოიცვალა, მოელის იმ დღის გათენებას, როცა ბარბალესთან ერთად შევა კომუნაში. მან არ იცის კომუნის მნიშვნელობა, მაგრამ რაღაც უჩვეულო მონდომებით მიდის მისკენ. მოელის ჯერ არ ნახულ, უთვალავ დღეთა სილაღეს.

იგი მალე გადმოიშლება მის წინ, როგორც გულღია ლურჯი ზღვა მირაჟ მოყენებული. ამ ზღვაში გადაისვრის ხელებს, გაიქნევს ფეხებს და შეცურდება სილრმეში, როგორც არასოდეს. მხიარულად შეიჭრება შუა გულში. აბღავლებულ დიდ მუცლიან გემს მოახტება საჭეში.

და ეს ზღვის აქაფებული ტალღები მის ფიქრებში მართლაც გემივით ქანაობს. ეს გემი ცხადში კომუნაა, რომლის საჭე ხელში აქვს მოთოკილი ჯოტოს, რომელიც მიაქანებს მას აბობოქრებულ ზღვა ხალხში.

თან მიყვებიან ძარღვებ მაგარი ადამიანები ორთქლის ქშენით და მანქანის გამძლეობით.

* * *

კომუნის საერთო საცხოვრებლის აგება დამთავრდა.

ოცი ოთახი დაიტვირთა კომუნარების საცხოვრებელ ავეჯით.

გაისმა ოთახებში ბავშვების უდარდელი სიტყვები, ქალების კისკისი და კაცების დადინჯებული ხმები.

გააერთიანეს ყველაფერი რაც ებადათ.

ხარებმა, ძროხებმა და ხბოებმა ასტეხეს ბღავილი საერთო ბაგაზე.

შინაურმა ფრინველებმა კრიახით გადმოაბრუნეს ახლად დაწნული საბუდრები. შემოულობავ ეზოში აქშინდა ადამიანთა ჩქარი სუნთქვა. გულღია მინდორმა, შუაზე ამართულ სახლის ირგვლივ დაქსელა სამოქმედო ძარღვები. მის ზედაპირს დაეწაფა ამ ერთად შედუღებული ხალხის ფეხის გულები.

აბრუნებენ ყამირ მიწას და თან ამოაქვთ ქვესკნელიდან ქვიშა და სინოყივრე, შავ მიწაში არეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუსფუსებენ ქალები.

შიგ ტრიალობს ბარბალე და ტერეზია.

ბარბალე სახლის უფროსად ამოირჩიეს.

ტერეზია, როგორც ახალგაზრდა ადამიანი, ჩაუყენეს სათავეში ბოსტნეობას. მისცეს თოხი, ბარი, ხელით სატარებელი ტაჩკები, ცხენის დამწვარი ნაკელი და ორი ნაკვეთი მიწა ბოსტნეულის დასათესად.

ტერეზია მეთაურობს ქალების გარჯას ამ ფრონტზე.

მამაკაცები ყანებში გაეფინენ.

ბარბალე კი დარაჯობს სახლ-კარს და პატარა ბავშებს. უვლის მათ და თან აგონდება ჯოტოს ბავშობის დღეები, გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიაც იგი იზრდებოდა მაშინ.

გლახუა კი ბარდღას მიერ სისხლ დაცლილი განისვენებს ღრმად მიწაში.

ამიტომ დარჩა ჯოტო დედის ამარა, უსახლკაროდ, მაგრამ აგერ ამოდენა სახლკარი შექმნა. დაასახლა ოცი მოსახლე ერთად. შეახორცა მათი მიზნები ერთ წერტილისაკენ საბრძოლველად, გააერთიანა მათ მუხლებში ჩამდგარი ენერგია ძველი ქვეყნის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის მისატანად. აამღვრია შეძლებული ხალხის სურვილები. ჩამოხადა მათ ზრახვების ნიღაბები და გამოიტანა ყველას დასანახად მათი მტაცებლური გრძნობანი.

კომუნას ჩაუყარა საფუძველი. გაუდგა ძირი მას ასწლოვან ცაცხვივით. ახლა შეუძლია წავიდეს იქ, სადაც მიელიან, სადაც წითელარმიელთა ლეგიონი, ბრძოლის ძლიერი უნარით შეიარაღებულები, ქმნიან მშვიდობიანობის აუღებელ ბარიკადებს.

თოფის წამალში აფეთქებულ წითელარმიელთა ცხოვრება იტაცებს ჯოტოს. ათი დღეა რაც გაუთავდა მას შვებულება. წასვლისას ჯოტომ მოიწვია კომუნარების კრება. ამოირჩია თავმჯდომარე, სანამ ბათლომე გამოვიდოდეს საავადმყოფოდან—ლუკა წულაია.

— ახლა თითქმის ყველაფერი გაკეთებულია. მე გამითავდა შვებულება. უბრუნდები ჩემს საყვარელ არმიას. იქედან დაგეხმარებით ყოველმხრივ. შვებულების არც ერთ წუთს არ დავკარგავ, აქვე გავჩნდები. ლეგიონს შეფობას ავაღებინებ კომუნაზე. ამით განვამტკიცებთ წითელ არმიასთან კავშირს. თქვენ კი უნდა იმუშაოთ თავგამეტებით, არ აფიქრებინოთ ხალხს ერთი წუთიც კი, რომ შეერთდით და არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ, ხომ იცით რას ამბობენ მტრები?

— „ღარიბ-ღატაკები იყვენ და ისევ გატიტვლებულები დარჩებიან, თუ უარესი დღე არ დაადგათ“-ო.

— ამას ამბობენ ისინი. ასეთი შეხედულება უნდა გავფანტოთ, მოვიშოროთ თავიდან. ხომ იცით, რა ძვირად დაგვიჯდა კომუნის დაარსება? ხომ იცით, რა სისხლი დაიღვარა? ხომ იცით, რომ კინაღამ დამაკლეს. დეე! ის სისხლი, რომელიც დაიღვარა კომუნის დაარსებისათვის, და ბათლომეს მოჭრილი ფეხი, დარჩეს ჩვენთვის ნიშნად წარსული ბრძოლებისა.

დეე! ეს დაედვას საფუძვლად ჩვენს ახლად დაარსებულ კომუნას. სისხლიანი ძირი, რომელზედაც ამოშენდა ეს სახლი, შეურყეველი იქნება მუდამ.

ხომ დავარღვიეთ დახავსებული ცხოვრება? ხომ გამოუშალეთ საფუძველი ამ სოფლის წურბელებს? ხომ ავამოძრავეთ ეს მოდუნებული ყოფა? და-ნუ ვიქნებით უღონონი, ვერ შევსძლოთ ამოვარდნილი ტალღის ბრძოლა. ჩაუდგეთ სათავეში ამ ამოძრავებულ ხალხის სურვილებს, მოვმართოთ ეს ლტოლვა და მისწრაფებანი ჩვენდა სასარგებლოდ. ჯერ ვერ გაგვიგებენ, შეგვებრძოლებიან, როგორც დაგვეჯახენ, მაგრამ ეს იქნება პირველი ხანა ჩვენი მუშაობის. გავმაგრდებით, განვმტკიცდებით, მაშინ ზოგიერთთა იქვებიც გაიფანტება, გადაიწმინდება ღრუბლები მათ სახეებიდან, რომ ჩამოწოლიათ ზეავივით და ექაჩებიან უკან.

დაბერავს გრიგალივით ქარი და გადაშლილ ზღვის გულივით გამოჩნდება ჩვენი მუშაობა ნათლად და მკაფიოდ.

მაშ შეუტიეთ ამ დამდგარ ცხოვრებას ამხანაგებო, თუ გინდათ, რომ გაიმარჯვოთ, თუ გინდათ გახდეთ თითით საჩვენებელი! მაშინ მთავრობაც და პარტიაც დაინახავს ჩვენს გულწრფელ შრომას და დაგვეხმარება იმაზე უფრო მეტად, ვინემ ახლა. მე მივდივარ და მიგულეთ, როგორც აქ მყოფი. ნიშნად მოგონებისა გიტოვებთ მოხუც დედას—ჩემს საუკეთესო მშობელს. იგი დაგეხმარებათ. გამოცდილია.—ამ ბავშებს გამოგიზრდისთ, მერე კი დავაარსებთ საბავშო ბაღს.

მაშ მშვიდობით! დამხვდით უფრო მაგრად! ჯანსაღად!—და ჯოტომ ცხვირსახოცით მოიწმინდა შუბლზე მოდენილი ოფლი.

ჯოტოს ლაპარაკის დროს შესცქეროდენ კომუნარები. ზომავდენ თვითეულ სიტყვას და მერე, როგორც მჭადის გულს, ისე ყლაპავდენ. ინახავდენ მოწიწებით, ოქროსავით ამოვარდნილ სიტყვებს, რომელსაც თან ახლდა სითბო და წინსვლის გაბედული ტემპი.

თითქოს შორს მიდიოდეს ჯოტო, ისე შეხვდა მის წასვლას კომუნა. თითქოს საბუდარიდან ამოვარდნოდეთ გული და თან ამოყოლოდეთ სისხლით გატენილი ძარღვები, ისე მოწყდა რაღაც სხეულს.

ჯოტომ ერთი მიმოავლო თვალი და წავიდა რკინის გზის სადგურისაკენ.

კომუნარებმა დააყარეს ხედვა, სანამ მათი თვალები მიწვდებოდა.

დასასრული შემდეგ №-ში.

ალექსანდრე ქუთათელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განთიადის წინ*)

რომანი

ბრძოლა

კაპიტანმა ალექსისძემ აირჩია პოზიცია ბატარეიისათვის იდუმალას მაღლობზე. თითონ სათვალთვალო პუნქტზე მოეწყო და ბუსოლი აღმართა. კაპიტანთან იყვნენ მეთაურები, თანმხლებელნი, მეტელეფონენი და სხვანი. სათვალთვალო პუნქტიდან მოსჩანდა სოფელი ა-ის ციხე, აწყურისაკენ მიმავალი როკეთის გზა. სოფელი ა-ძა მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირას იდუმალადან 5 კილომეტრის მანძილზე. სოფელთან გზატკეცილი უხვევს და აწყურ-ახალციხისაკენ მიდის. წინ გაშლილი ველია. კაპიტანის ამოცანას შეადგენს ა-ისა და მის მაღლობის აღება, რომ მით გასწყვიტოს თურქთა კავშირი აწყურ-ახალციხესთან და ხელში ჩაიგდოს როკეთის მოკლე გზა. ბატარეიის მფარავ რაზმს შეადგენენ ჯავახელი მოხალისენი, ასეული, რომელსაც მეთაურობს შტაბს-კაპიტანი ბოლქვაძე და პორუჩიკი ზაუტაშვილი. ასეული მოწინავე ხაზზეა და ა-დან მომავალ მტერს ელოდება.

ბატარეია ავიდა იდუმალას მაღლობზე ჯერ კიდევ ღამით. ზარბაზნებიდან და საყუმბარე ყუთებიდან გამოხსნილი ცხენები სოფელში ჩამოიყვანეს. მათ ყარაულობდენ ფურგონებთან და ორთვალებთან ცხენმჯდომნი. სოფლის ბოლოს საექიმო პუნქტია. ექიმი მხეიძე, ორი ფელდშერი გრამიტონ კუკავა და ეპიფანე ურუშაძე დილიდანვე შეიმოსნენ თეთრი ხალათებით. ბრძოლისათვის სამზადისის ციებ-ცხელება გადაედვა იდუმალას მკვიდრთაც. მიწურ სახლებთან იდგნენ შიშისგან გაფითრებული და აკანკალებული ქალები; ისინი უცქერდენ ბრძოლაში მიმავალ ქმარ-შვილს და კაპიტანის ჯარისკაცთა ფუსფუსს.

ჯარისკაცებმა ჩაამწკრივეს ზარბაზნები იდუმალას მაღლობის მოედანზე. ყუთებიდან ამოალაგეს ყუმბარები. უკან იდგა შავგვრემანი, პირტიტველა ფეიერვერკერი კოსტა გვარამაძე. მოედანზე დადიოდა კაპიტანის თანაშემწე პორუჩიკი ანდრო ბერეჟიანი. იგი იყო მაღალი, გამხდარი და ქერა კაცი. მას დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ჯარში გაწვეული იყო იმპერიალისტური ომის დროს მობილიზაციით და სამხედრო ნიშანთან ერთად საუნივერსიტეტო ნიშანსაც ატარებდა. იგი იყო ძლიერ ნერვიული, განმარტოებით უყვარდა ყოფნა და ღამით უძილობა სტანჯავდა. ხშირად, შუაღამით ხეტიალის დროს, თავისთავთან საუბრობდა, იგინებოდა და იფურხებოდა. ჯარისკაცებს არ უყვარდათ ის ტლანქი მოპყრობისა და დედის გინების გამო. აი, ეხლაც იდუმალას მაღლობის მოედანზე პორუჩიკმა მეტელეფონეს გრი-

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 5—6.

გოლ მეგრელიშვილს დედა შეაგინა. გრიგოლმა გაუმხილა ამხანაგებს ყოველ-მხრივ განფიქრებული განზრახვა: მას უნდა მოეკლა პორუჩიკი. ამხანაგებმა დაა-მშვიდეს: „პორუჩიკი ბერეჟიანი არსებითად მეტად გულკეთილია, მაგრამ ავი-ზნე უვლის და გიჟია, რას იზამ? ავადმყოფს უნდა აპატიო!“ მაგრამ გრიგოლს განა სცხელოდა ეხლა პორუჩიკის მოკვლისათვის? ზარბაზნის უკან მოთხრილს ორმოში ჩაჯდა, ტელეფონი გამართა და კაპიტანის სათვალთვალო პუნქტს შე-უერთდა. მასთან ისხდნენ კიდევ კანარეიკა და რამოდენიმე მეტელეფონეხი.

იდუმალას მაღლობის მოედანზე პურის ყანაა. შემდეგ ჯაგები, ბუჩქები და ა-საკენ მიმავალი დალმართი. უკან საშუალო ტანის და გრძელი, კორძიანი და ჯაგიანი მუხა სდგას. მისი გველივით დაკლაკნილი ფესვები მძლავრად ჩასჭი-დნიათ დედამიწას, მიწიდან ამოცვენილან და ზორს გარბიან.

რიჟრაჟი იყო. თენდებოდა. მტრედისფერ ცას შუქი მოემატა, ზედ მძაფრად აიხატა და მოიხაზა ნარევი ტყით დაფენილი მთის მწვერვალი. გრიგოლ მეგრე-ლიშვილი მუხის ფოთოლივით თრთოდა და ჰკანკალებდა; ჯარისკაცებს ამხნევებ-და: „რამოდენიმე ჩინებულითა და შინაყმითა თვისითა და შვიდითა ხევსურითა გასწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად ვიდრე სიკვდილამდე.“

თოფის სროლის ხმამ შეაწყვეტინა გრიგოლს ისტორიული მოგონებანი.

—„ბა—თუმ!“—დაიძახა გრიგოლმა. მას შეჩვეული ჰქონდა ყური ოსმალურ კარაბინაზე, რომელიც ორმაგი გასროლის ხმას გამოსცემს ხოლმე, ხიზაბავრელნი და სომეხნი უპასუხებდნენ. უწესრიგო სროლის ხმა ისმოდა მარჯვენა ფრთაზე ადულებულ ქვაბივით და თანდათან ახლოვდებოდა. ტყვიამფრქვევი აკაკანდა.

ტელეფონის ყუთი გახმაურდა. ფუტკართა ზუილის მსგავსი ხმა გამოსცა. გრიგოლმა ხელი წაავლო მილს. ყურზე მიიდო და დაიძახა:

—საომრად მოემზადე!

პორუჩიკმა ბერეჟიანმა გაუმეორა სათვალთვალო პუნქტიდან კაპიტანის მიერ გადმოცემული განკარგულება ფეიერვერკერს კოსტა გვარამაძეს. ფეიერ-ვერკერმა გადასცა იგი ჯარისკაცებს. ჯარისკაცები მისცვივდნენ ზარბაზნებს. მემიზნენი: კუკური ზარანდია, შიო ერისთავი, დათა კაჭკაჭიშვილი და გიორგი ნამორაძე პანარამებს მიეგლაჯნენ.

—კუთხე.. თარაზო.. კორა..—ჰყვიროდა გრიგოლი.

—კუთხე.. თარაზო.. კორა..—იმეორებდა კოსტა გვარამაძე და უბის წი-გნში იწერდა კაპიტანის მიერ გადმცემულ გამოანგარიშებას. მემიზნენი გულდა-გულ მუშაობდენ და ამოძრავებდნენ ზარბაზნის ლულას პატარა ბორბლების საშუ-ალებით ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზით. ზარბაზნები მიზანზე დაა-ყენეს. ჯარისკაცებმა შიგ ყუმბარები შეაწყვეს, საკეტი მიხურეს და გასასროლი ზონარები გადასცეს მემიზნეებს.

— ცეცხლი!—დაიძახა გრიგოლმა.

ფეიერვერკერმა ასწია მარჯვენა ხელი. ჯარისკაცები მოშორდენ ზარბაზნებს.

— ცეცხლი!—სჭექა ფეიერვერკერმა და მაღლა აწეული ხელი ჩაიქნია. მიზნებმა სწრაფად მოსწიეს ჩახმახზე მიბმული ზონარები და სამდიუმიანმა სამ-თო ზარბაზნებმა გრიალით გაუგზავნეს ყუმბარები ა—ის მაღლობებს.

კარგა ხანს ისროდენ ორივე ზარბაზნიდან. „მისცხეთ!“ იძახდა ალტაცებით გრიგოლი, მაგრამ შემდეგ ალტაცება შესცვალა შიშმა. მარჯვენა ფრთიდან მოხსნილი ჯარი უწესრიგოდ გამორბოდა იდუმალასკენ და პანიკას ჰქმნიდა. სროლა ახლოვდებოდა. ტყვიები ზუზუნით გადაფრინდნენ წაჩოქილ ჯარისკაცების თავებზე. ბრძოლის ხაზიდან გამოქცეული ჯარისკაცთა ნაწილი კაპიტანის სათვალთვალო პუნქტს აშურებდა. კაპიტანი აენთო.

—დაბრუნდით!—შესჭყივლა მან დეზერტირებს. შიშისგან გათავებულ აყლაყუდა ვაჟკაცს ალარაფერი ესმოდა. ერთად-ერთი მოსაზრება, რომელიც დარჩენოდა მის ცნობიერებას, ეს იყო თავის გადარჩენა და იდუმალაში მირბენა.

— დაბრუნდით!—გაუმეორა მას და მასთან ერთად გამოქცეულთ კაპიტანმა და ნაგანი ამოიშიშვლა. ამაოდ ჰყვიროდა და იგინებოდა კაპიტანი. აყლაყუდამ შეჰხედა ალექსიძეს დაფეთებული თვალებით და იდუმალასკენ განაგრძო გაქცევა. კაპიტანმა ნაცადი ნაგანი დაუმიზნა და ორი ტყვია ზედიზედ მიარჭო ზურგში. ჯარისკაცმა იყვირა, გველნაკბენივით შეტრიალდა, დაიკლაკნა და მიწაზე დაეცა. „ესროლეთ, მაგათი....“—დაიძახა ბრაზით კაპიტანმა. თანამხლებლებმა და რამოდენიმე ჯარისკაცმა თოფები აიღეს და პოზიციიდან გამოქცეულთ დაუმიზნეს. კაპიტანის ნაგანმა მოახდინა გავლენა: დეზერტირებმა მიაშურეს ბრძოლის ხაზს. მაგრამ ბრძოლის ხაზიდან დაიძრა გამოქცეულთა ახალი ტალღა. ისინი ჩასცვივდნენ ღელეში, მრისხანე კაპიტანის სათვალთვალო პუნქტს შემოუარეს და ტყეს მიაშურეს.

მარცხენა ფრთაზე ბოლქვაძის ასეული—ხიზაბავრელნი მედგრად იბრძოდენ, ხოლო მარჯვენა ფრთაზე იყო სრული დამარცხება.

მტერმა მიიტანა იერიში იდუმალას მაღლობისაკენ. ტყვიებმა კვლავ დაიწყეს ზუზუნი ჯარისკაცთა თავზე. ჯაგებისა და მუხის დაცხრილული ფოთლები მიწაზე სცვიოდნენ. პორუჩიკი ბერეჟიანისა, უფროს ფეიერვერკერის კოსტა გვარამაძისა და ზარბაზნის ხორთუმზე მომუშავე გიგა ნახუცრიშვილის გარდა, ყველანი მიწას განერთხნენ. მიწაზე ხოხვით მოჰქონდათ ზარბაზნებისაკენ ყუმბარები. მემიზნენი უზრუნველყოფილნი იყვნენ ტყვიისგან ზარბაზნის წინ მიჭედილი ფოლადას ფარით. თუმცა პანორამისათვის გამოჭრილ ფანჯარაში ადვილათ გაძვრება ტყვია და მემიზნეთა სხეულის ყველაზედ უფრო საფრთხილო ნაწილი—თავი, პირისახე არ არის ამრიგად სავსებით დაცული და ტყვიისგან უზრუნველყოფილი. ყუმბარების გადმოზიდვის დროს დაიჭრა ორი ჯარისკაცი. ერთმა საშინელი ყვირილი მორთო და სანიტრებმა ჩაათრიეს ისინი შემხვევ პუნქტისკენ. გახელებულ კრაზანასავით ეხეთქებოდნენ ადუღებული ტყვიები ზარბაზნის ფარს და უკუქცეულნი ზუზუნით, ტრიალით სცვივოდნენ ხრამში. ტყვიები ხნავდნენ მიწას. მტერი მოვიდა სულა ხლოს. „მტერი მარჯვენა მხრიდან მიიტანს იერიშს, დაჰხოცავს ზარბაზანზე მომუშავეთ და ტყვეთ ჩაიგდებს მთელს ბატარეიას“. გაიფიქრა სათვალთვალო პუნქტზე მყოფმა კაპიტანმა და შიშის ზარმა ააცახცახა. გრიგოლმა ისევ გადასცა პორუჩიკს კაპიტანის მიზანი. ფეიერვერკერმა ისევ ასწია მარჯვენა ხელი. „ცეცხლი“—დაიძახა მან, მაგრამ ხელის დაქნევა

ველარ მოასწრო. ტყვიამ გაუხვრიტა მკლავი. იგი შესცვალა პრაპორჩიკმა, ხოლო სახეზე გაფითრებული ფეიერვერკერი წავიდა შემხვევი პუნქტისკენ, ... ეფითქმის იმავ წუთს დასჭრეს პორუჩიკიც. ტყვია მოხვდა მარჯვენა ფეხის ... კუნთი გაუხვრიტა და გივიდა. „დამჭრეს, მაგათი დედა...!"—დაიძახა ბრაზით პორუჩიკმა. ბარძაყზე ხელი მოიკიდა და ასე განაგრძობდა განკარგულებას:

— კუთხე.. თარაზო.. კორა.. ცეცხლი!

ჯარისკაცები კვლავ გაშმაგებით მუშაობდენ ზარბაზნებზე და ხანგამოშვებით მოიხედავდენ დაჭრილ პორუჩიკისაკენ: წაიქცა თუ არაო. პორუჩიკი საგრძნობლად გაფითრდა, წაიკოჭლა, მუხას მიეყრდნო და იქედან განაგრძობდა განკარგულებას. ამ დღიდან ჯარისკაცთა თვალში პორუჩიკმა დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა, ვინაიდან დაჭრილი იყო, მაგრამ მაინც ფეხზე იდგა და ტყვიების ზუზუნში განაგრძობდა განკარგულებას, მაშინ როდესაც მთელი ბატარეია მიწას განერთხო და შიშით ცახცახებდა. გრიგოლ მეგრელიშვილმა გაიფიქრა—„რამდენიც გინდა მაგინე დედა, შენისთანა მეთაურისგან არ მეწყინება, ალალია..," ტელეფონის მილი კანარეიკას გადასცა, წამოხტა და პორუჩიკთან მიირბინა.

— ბატონო პორუჩიკო, თქვენ დაჭრილი ხართ, დაჯექით, შეგიხვევთ ჭრილობას!

— დაიკარგე აქედან.. წაეთრიე ტელეფონთან.. Ерунда..—დაიძახა მეთაუმ და ისეთნაირად დაუბრიალა თეთრი თვალები, რომ გრიგოლი იძულებული შეიქნა მისულიყო ტელეფონთან.

ტელეფონმა ისევ დაიწყო ზუზუნი ფუტკარივით. გრიგოლმა გამოსტაცა კანარეიკას მილი და დაიძახა:

— კუთხე.. თარაზო.. კორა..

პორუჩიკს გაუკვირდა კაპიტანის განკარგულება: აღებული იყო ორასი ნაბიჯის მიზანი. მემიზნეებმა დაუშვეს ზარბაზანთა ლულები სულ დაბლა დაღმართისაკენ.

— ფინდიხით..—დაიძახა გრიგოლმა.

„კარტეჩით ვისვრით, რა ახლოს მოსულა მტერი!?"—გაუელვა თავში პორუჩიკს.

— ცეცხლი!—დაიძახა ვრიგოლმა..

ზარბაზნებმა გრიალით გაისროლეს ფინდიხი—დაჭრილი ტყვიებით სავსე ყუმბარები.

— ცეცხლი!—იძახდა ახალი ფეიერვერკერი; მემიზნეები ატრიალებდენ ლულებს და ახლოს მოსულ მტერს ფინდიხს ესროდნენ. დაღმართზე შესწყდა ბატარეიისაკენ მომავალ მუსულმანთა თოფების სროლა.

სწორედ ასეთი კრიტიკული მდგომარეობის დროს ჩამოვიდნენ ვარევანიდან იდუმალაში კორნელი, სანდრო, პეტრე ცხომელიძე და საშა მიქელაძე. იმათ ორთვალას მოუძღოდა ფალასკითა და კარაბინით შეიარაღებული სომხის მღვდელი-ტერტერა. ანაფორის კალთა აწეული ჰქონდა, ფეხზე რუსული ჩექმა ეცვა და ასე დაკარწახებული მორბოდა. ის აგინებდა თათრების წინაშე უკუქცეულ დეზერტირებს და მოუწოდებდა მასთან ერთად წასულიყვენ ბრძოლის ხაზზე

სამშობლო კერისა და ქრისტეს რჯულის გადასარჩენად. მართლაც, ტერტერას თან გაჰყვა ოციოდე სომეხი ჯარისკაცი. ბაღის ღობეზე გადახტნენ და მაღლობს მიაშურეს. ტერტერა მარტო არ იყო: ხიზაბავრელებთან ერთად ... ალ-გაზრდა ქართველი ხუცესიც.

ასე ანადგურებდნენ ერთმანეთს ბეგების, დაშნაკების და მენშევიკების აგიტაციით მოწამლული მოძმე ერები და ამას თან ერთოდა სამღვდელოების ლოცვა-კურთხევაც.

იდუმალას მიწურ სახლების წინ კორნელიმ დაინახა ცხენები, ფურგონები, ზარბაზნის ყუთები და შეიარაღებული ჯარისკაცები. თივაზე იწვა მკლავში დაჭრილი ფეიერვერკერი კოსტა გვარამაძე და გაფითრებული იღიმებოდა. შემთხვევ პუნქტისაკენ სანიტრებს მიჰქონდათ დაჭრილები. მთიდან ჩამოდიოდა მაღალი და ახოვანი ვაჟკაცი თავში დაჭრილი ხიზაბავრელი. სახვევი სისხლით ჰქონდა განოყილი და შეღებილი. დაჭრილის თავი ქანაობდა ამწვანებულ მთის კალთაზე ვით ყაყაჩო.

ახლად მოსული ჯარისკაცები გაიქცნენ კაპიტანისაკენ. კაპიტანის სათვალთვალო პუნქტი იყო გამართული მთის თავზე.

სამფეხა ბუსოლთან იჯდა აღელვებული სახით კაპიტანი ალექსიძე, პოდპორუჩიკი ცახელი, თანამხლებელნი, მეტელეფონენი.

მთის ძირში ჯარისკაცი სწყესავდა მეთაურთა ცხენებს.

— სად დაიკარგეთ? გასწით ზარბაზნებისკენ!—დაიძახა კაპიტანმა ალექსიძემ. იდაყვებით დაეცა მიწას, თვალებზე დურბინდი მიიდო და დაძაბვით გაჰხედა ბრძოლის უბანს.

კორნელიმ, სანდრომ და პეტრემ მიირბინეს იდუმალას მაღლობზე. ფინდიხით სროლა არ იყო დასრულებული. გრიგოლმა დაინახა ტყვიების ზუზუნით შეშინებული ამხანაგები, რომლებიც წელში მოხრილი მირბოდნენ ყანაზე და შაშხანის ტყვიის ზუზუნის ქვეშ რეტდასხმულ ღალღასავით ჰღუნავდენ თავს.

— ცეცხლი!—იძახდა ამხანაგების მოსვლით გახარებული გრიგოლი და ხელს მაღლა სწევდა, თითქოს ბატარეიის უფროსი ყოფილიყო, მაგრამ იმ წამსვე შეტრიალდა, ტელეფონის მილს დააკვდა და ჰერიქონის საყვირივით გააბა:

— შესწყვიტეთ სროლა.. ცხენმჯდომნი და მზვერავნი შეფეხოსდნენ.. გადადით იერიშზე.. თუ მტერი უკუიქცეს, სდიეთ ა—მდე პორუჩიკი ზაუტაშვილის მეთაურობით.

იდუმალას მაღლობზე საშინელი განგაში შეიქნა. სოფლიდან მორბოდნენ თოფებით და ფალასკებით ბატარეიის ჯარისკაცები. მუხაზე მიყრდნობილი პორუჩიკი ჰყვიროდა.

— დადექით.. სად არის ზაუტაშვილი?.

— მოდის!—დაიძახა გრიგოლმა, მეტელეფონეს მილი გადუგდო, წამოხტა და თავისი თოფით მიირბინა იერიშზე მიმავალ ამხანაგებთან. მას თან გაჰყვა კანარეიკაც.

მაღლობზე ამოვიდა ფეხოსანი ჯარის მეთაური პორუჩიკი ზაუტაშვილი, ჯარისკაცები დააწყო, იერიშზე გადასვლის წესი აუხსნა და სათანადო დარიგე-

ბა მისცა. ზაუტაშვილი იყო შავგვრემანი, პირგაპარსული, ჯანიანი და დაბალი კაცი. რაზმში შედიოდა: 24 ცხენმჯდომი, 12 მზვერავი, 2 მეტელეფონე, 4 ფეიერვერკერი და 4 მეფურგონე. სულ 46 კაცი. მარჯვენა ფრთაზე შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამოსწორება ალექსიძემ გადასწყვიტა თავისი ბიჭების საშუალებით.

ზაუტაშვილი ჩავიდა დალმართზე, რაზმი გაშალა და მოხერხებული პოზიცია დაიკავა.

სროლა ისმოდა კანტი-კუნტად. ზარბაზნების დუმილი მტერმა კარგ ნიშნად ჩასთვალა. კვლავ განაახლა იდუმალას მაღლობისკენ შემოტევა და სროლით წინ მოიწევდა. ეხლა სულ ახლოს ისროდენ. ტყვიები ცხრილავდა ბუჩქებს, მაგრამ არავის მოხვედრია. ზაუტაშვილის რაზმი არ უპასუხებდა.

კორნელი იჯდა ბუჩქში კურდღელივით და მის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა; ციებიანივით ჰკანკალებდა. თვალში ჩინი დაეკარგა. უაზროთ გაჰყურებდა მაღალ ჯაგებითა და ბუჩქებით დაფარულ მთის კალთას, რომელიც ხევსა და ბაღებისაკენ მიდის. ბაღების იქეთ გაშლილი მინდორია და მინდორის წინ მოსჩანს ნისლში გახვეული ა-ის ციხე სოფელი..

სროლა ერთბაშად შესწყდა. ცოტა ხნის შემდეგ რაზმელებმა დაინახეს შერხეული ბუჩქები, თითქოს ხეიდან იდუმალას მაღლობისკენ მომავალ მთის კალთას ქარი მოაწყდა და თანდათან უახლოვდება მის მწვერვალსო. შემდეგ გაისმა ლაპარაკის ხმა და ჯარისკაცებმა ცხადათ დაინახეს ბანდურა შალვრებით შემოსილი ადგილობრივი თათრები და თურქი-ასკერები, რომელნიც თოფებმომართული ამოდიოდნენ ბატარეიისაკენ. ცდა აუტანელი შეიქნა. კორნელის ცივი ოფლი ასხამდა.

ზაუტაშვილმა ნაგანი მოიმარჯვა, და ახლოსმდგომთ ანიშნა აეტეხათ სროლა მტრისათვის. პეტრე ცხომელიძემ, გრიგოლმა, კორნელიმ, სანდრომ და ხუთიოდე რაზმელმა მიზანზე აიღეს თათრები და გაისროლეს.. ტყვიამ დააყირავა ორი.

ეხლა ისროდა მთელი რაზმი. მოპირდაპირემ ვერ მოასწრო სროლა. პასუხი ისმოდა აქა-იქ და მთის კალთიდან თავქვე მოჰკურცხლა. ზაუტაშვილი წამოდგა და დაიძახა:

— მომყევით!

მთელი რაზმი ყიჟინით და სირბინით დაედევნა მტერს. დაჭრილ-დახოცილთ გადაალაჯეს და ბაღებისკენ დაეშვენ. უკუქცეულნი ბაღებსა და იდუმალას მთის კალთებ შორის მიმავალ გზაზე გასცვივდნენ, ბაღის ღობე-ყურეს ებღაუჭებოდნენ და შიგ ხტებოდენ, მაგრამ 48 რაზმელის შაშხანა და ბოლქვაძის ასეულიდან მოტანილი ტყვიამფრქვეველი გამალებით სცხრილავდა მათ ზურგს, ხოლო ბაღში გადამხტართ ტერტერას რაზმი უმასპინძლდებოდა. მტერმა ბაღს თავი გაანება, ზურგი იქცია და შარაგზით ა—საკენ მირბოდა. ბატარეიის ცხენმჯდომნი და მზვერავნი წამოსცვივდნენ, ბაღი დაიკავეს და სომხების რაზმთან ერთად უშენდნენ გაქცეულ მტერს ყორესთან ჩასაფრულნი.

გრიგოლ მეგრელიშვილთან იდგა 8 ჯარისკაცი. მათ შორის კანარეიკა, მთიელი ვაჟკაცი—ვანო ბურდული და იმპერიალისტურ ომში ყოფილი ჯარის-

კაცი—რაჟდენია ტურიაშვილი. გრიგოლი და მისი ამხანაგები დაედევნენ გაქცეულთ. ცხრა კაციდან შემდგარმა რაზმმა გაიარა პატარა ხევი, [illegible] ველს მიადგნენ, მაგრამ ორასი ნაბიჯის გარბენის შემდეგ ჯაგებში [illegible], ვინაიდან მარქაფში მყოფი მუსულმანები წამოეშველნენ იდუმალადან უკუქცეულთ.

ველზე ამდგარი ნისლის გამო მოწინააღმდეგენი ვერ ხედავდენ ერთმანეთს. ვანო ბურდული ხელში დაიჭრა, მაგრამ განაგრძობდა სროლას და ბრძოლის ველზე დარჩა ბოლომდე. ა—მდე ცოტაღა რჩებოდა. გრიგოლი ჯიუტობდა და წინ იწევდა. წინ იყო ჩალამკალამით დაფარული მიდამო და ყანა. ფეხქვეშ იგვრძნეს ცომივით რბილი ნიადაგი. წყალი მატულობდა. ეს იყო ჭაობი. წინსვლა შეუძლებელი გახდა. ჭაობის ფსკერი იწოვდა მხედრების ტერფებს. ტყვიები წვიმილით გადადიოდნენ იმათ თავზე. რაჟდენიამ გაიმეორა:

„ხევში ჩავესაფროთ, თორემ თუ ნისლმა გადიარა ცოცხალი ველარავინ გავალთ აქედან“. ლაპარაკის ხმა შამოესმათ. „ფრთხილად იყავით!“ დაიძახა გრიგოლმა და იმ წამსვე ახლოს მოსულმა რაზმმა აუტეხა მათ სროლა. ჯარისკაცები მიხვეულ-მოხვეულ რბენით იხევდნენ უკან ხევისაკენ. მოკლული ცხენმჯდომი მიტო თვარელიძე და დაჭრილი მეტელეფონე კანარეიკა დაეცა გრიგოლთან სულ ახლოს. „მომკლეს.. მიშველეთ.. ვკვდები.. არ დამტოვოთ“..—იძახდა მუცელში დაჭრილი კანარეიკა. გრიგოლმა გააპირა შველა, მაგრამ სანამ მასთან მიირბენდა, მარჯვენა ფეხის ბარძაყზე თითქოს კეტი შემოჰკრესო. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და მისი ფეხი მუხლის ზემო მათრახივით მოიკეცა და ძვალდამსხვრეული ჯარისკაცი გაიშოლტა დედამიწაზე. მისი თოფი შორს გადავარდა. ერთი წამი და კვლავ წამოიჭრა, მაგრამ ფეხი ადგილიდან ვერ დასძრა.. ტკივილი ტვინში აუვარდა. დაკლულ ხარივით შესძახა და მიწაზე დაეცა.

რაჟდენია ტურიაშვილი, ვანო ბურდული და კიდევ ოთხი ჯარისკაცი ხრამში ჩასცვივდნენ. თათრებმა დათესილ პურიდან და ჩალამკალამიდან ამოჰყვეს თავი და ხევს მიაშურეს.

დაჭრილი ფეხის ოდნავი შერხევაც კი ენით გამოუთქმელ ტკივილს ჰგვრიდა ხოლმე გრიგოლს. კვნესა დაიწყო. ჭრილობიდან დაღვრილ სისხლს ისრუტავდა დედამიწა. კიდევ რამდენიმე ხანი და სისხლისგან დაიცლებოდა. გრიგოლმა მოიკრიბა ძალ-ღონე. ინდივიდუალური პაკეტი გახსნა და შალვარგაუხდელ ფეხის ჭრილობაზე შემოიხვია. სასტიკი ტკივილები განიცადა. სახვევის თავებს სანამ შეჰკრავდა გულიც შეუღონდა და ცხედარივით გაფითრებული დაეცა დედა-მიწაზე.

როდესაც გონს მოვიდა და თვალები გაახილა: ზევიდან ტყვიაფრქვეველის კაკანი შემოესმა. იქედან მორბოდნენ ასკერები და ადგილობრივი თათრები. ზაუტაშვილისა და ბოლქვაძის ჯარისკაცები იგერებდნენ მათ. გამოქცეულნი წაეწყდნენ კანარეინკას. ყმაწვილი მუცელში იყო დაჭრილი. ხელები მაღლა აღაპყრო და შველა შესთხოვა. ასკერმა მკერდში ხიშტი გაუყარა, ფეხი დააჭირა, თბილი სისხლით შელებილი ცივი რკინა ამოაძრო და ისევ გაიქცა. ამ სურათს უცქერდნენ გრიგოლის დაფეთებული თვალები. გრიგოლის თოფი ეგდო ათი ნაბიჯის მანძილზე. მიწას ხელებით დაებჯინა და თოფისკენ ფორთხვით წასვლა გააპირა, მაგრამ დაჭრილი ფეხი არ ემორჩილებოდა. ასკერმა თვალი შეასწრო, არ შეჩერებულა, თოფის კონდახი მხარზე არ მიუდვია და გულდაგულ არ დაუმიზნია,

ხელზე გადმოგდებული თოფიდან გაისროლა, ტყვიამ გაუხვრიტა გრიგოლის მარჯვენა ბეჭის ძვალი, შემდეგ ფილტვი და მეექვსე-მეშვიდე ნეკნებს შორის გაძვრა და გავიდა. გრიგოლი მარჯვენა გვერდზედ დაეცა.

თვალგაღებული იწვა მიწაზე. გულმკერდში ხიხინი და ხრიალი ისმოდა. ცოტა ხნის შემდეგ მისი დახეთქილი ტუჩები სისხლით შეიღება. მკერდში გაჩენილი იარა მას არ სტკიოდა იმრიგად. საშინელი იყო ირიბულად წამოსული ტყვიის მიერ გატეხილი და დაჩენჩხილი ბარძაყის ძვლის ტკივილი. ფეხი რუმბივით გაუსივდა, ოცფუთიანივით ეგდო მიწაზე, გრიგოლი ინატვრიდა სიკვდილს.

ღონემიხდილი გულალმა გაიშოლტა, გაჟრუებული ფეხი უხურდა. სიცხისგან გამშრალ ენას ძლივს აბრუნებდა უნერწყვო ხახაში. წყურვილი ჰკლავდა. ხევში კი გულსაკლავად ისმოდა ნაკადულის რაკრაკი. თითები ჩასჭიდა მალალ ბალახის კონას. მოსთხარა და აკანკალებულის ხელით მიიტანა სახესთან ბალახის ძირები, დაჭღეჭა და გამოსწოვა. სისხლიანი ტუჩები და სახე გაიმურა ჯავახეთის ნოყიერი მიწის ტალახით.

გათენდა. ცას გადეყარა ღრუბლები.

კაპიტანმა შენიშნა დამარცხებულთა მისაშველებლად ა-დან გამოსული მტრის ჯარი და მყისვე გასცა განკარგულება. ზარბაზნებმა დაიგრიალეს. მეტად ზუსტად წვებოდა ყუმბარა მუსულმანთა ჯარების შუაგულში. კაპიტანი ხელისგულივით ჰხედავდა ბრძოლის უბანს. ბატარეიამ გზა გადაუჭრა მტრის მეშველ ჯარს, რომელმაც კვლავ მიაშურა ა-ას, მაგრამ ყუმბარები წვებოდნენ ეხლა თვით ა-ში და მალე სკოლის შენობას და ხის სახლს ცეცხლისმკიდე ყუმბარებმა ხანძარი გაუჩინეს.

კაპიტანმა გაანადგურა ა-ძა ზარბაზანთა პარალელური, ჯვარედინი და მარაოს მსგავსი ცეცხლით, რის შემდეგ ბატარეიიდან გამოყოფილი ჯარისკაცები, ტერტერას რაზმი და ხიზაბავრელნი შევიდნენ სოფელში და ა—ძა დაიკავეს.

ყუმბარები მიფრინავდნენ გრიგოლის თავზე შხუილით, თითქოს იდუმალას მაღლობიდან ა—მდე სვეტებზე გადაჭიმულ ფოლადის თოკს რკინის კეტი შემოჰკრეს და ეთერში დარხეულ ლითონს ზუზუნი გაუდისო.

ზარბაზანთა გრიალი გათავდა, გრიგოლის ყურის ნიჟარებში გაისმა უცნაურ ჰანგთა ჟიჟინი. თვალთ დაუბნელდა. დედა-მიწა დაირწა და დაეკარგა უკანასკნელი ძალ-ღონე.

როდესაც გონს მოვიდა, მზე უკვე მაღლა იდგა და ისედაც დასიცხულ ჯარისკაცს გულს უღრნებდა. გრიგოლმა იგრძნო სიკვდილის მოახლოვება და მისუსტებულმა ყვირილი გააპირა, მაგრამ ღონე აღარ ჰყოფნიდა. ბოდვა დაიწყო. თვალწინ უვლიდა მოჩვენებანი. გრიგოლი ხედავს: მტრის ლაშქარს. თეთრი ცხენების ჭიხვინია. აღმოსავლეთის ცხელ ველებიდან წამოსულ ლაშქარს წინ გადაეღობენ აბჯარასხმული მეომრები. დაცდილი ხელით აგებებენ მტრის ისრებს სპილენძის ფარს. მაგრამ მტერმა გაარღვია ბჭე, უამრავ ცხენებითა და აქლემებით. იდგა ველური ყიჟინა, ქარტეხილი, მტვერი და ბური. სილიან ველებზე დარჩა სისხლიანი კვალი. ცისკენ ავიდა აშრიალებული ცეცხლის ალი. დამარცხებულნი სტოვებენ ქალაქსა და სოფლებს. ქალაქები სდგანან დაკეტილი დუქნების დარაპებით და მას არბევენ არაბები. ხიზნები სტოვებენ თავიანთ მიწა-

წყალს და ვენახით გაშენებულ ბაღებს. დარჩათ ნასახლარი, ყორე და რკინისებური კირით აგებული ციხე-სიმაგრენი, პური და ქვევრებში [illegible] ღვინო.

სიცხიანი ანთებით გამოწვეული ჩვენება გათავდა. ეხლა [illegible] იყო ჯავახეთის გაშლილი ყანა და ამწვანებული მთები. თავს დასდგომოდა მუნჯი და უსასრულო ცა. ჯარისკაცს სტანჯავდა ტკივილი. ცრემლიან თვალებს ლულავდა და ეკარგებოდა უკანასკნელი ძალღონე, ამხანაგთა მოშველების იმედი. ყურთა ნიჟარებში კვლავ რალაც შრიალებს. თვალთაგან ციცინათელას მსგავსი ნათელი წერტილები გარბიან და ტრიალებენ ეთერში; შუბლზედ სიმწრის ოფლი მოსდგომია. აგონდება დედა. ჩუმად ბუტბუტებს: „რა ტკბილი სახე ჰქონია, რა ტკბილად მოსაგონარი..!?“

ბალახებში დახტიან კალიები. მწვანე ხვლიკი გადარბის გრიგოლის მკერდზე და სწრაფი კუდით ეხება მის ნიკაპს. რა ესაქმება სისხლითა და ტალახით მოსვრილი გრიგოლის ნიკაპი, დახეთქილი ბაგენი, ცრემლმორეული თვალები, იარა!?

* * *

ა—ძის აღების შემდეგ პეტრე ცხომელიძემ, ვანო ბურდულმა, რაჟდენია ტურიაშვილმა, კორნელიმ და სანდრომ მოსძებნეს გრიგოლი. სისხლში და ტალახში შესვრილი სახის დანახვისას კორნელის და მის ამხანაგებს თავზარი დაეცათ, მუხლი მოიყარეს.

პეტრე აქვითინდა:

— მოუკლავთ!—დაიძახა მან. კორნელიმ შენიშნა ოდნავი სუნთქვით შერხეული გულისყაფაზი, მუცელი და პეტრეს უპასუხა:

— ცოცხალია!.

რაჟდენამ ხელი მოჰკიდა, სისხლის ტბორში ჩავარდნილი თავი გაუსწორა, შეარხია და ჩასძახა:

— გრიშა, გრიშა!!—ბევრი ასე ეძახდა გრიგოლს.

გრიგოლს არ უპასუხნია. მის შუბლზედ იყო მიწებილი გასისხლიანებული თმა. ხალათის უბე და ბარძაყზე დახვეული ბინტი სისხლით იყო განოყილი. სისხლი ჟონავდა და დედამიწას ასველებდა. როდესაც რაჟდენია დაჭრილ ფეხს შეეხო, გრიგოლი ისეთის ელვისებურის სიჩქარით დაიკლაკნა ვით გალვანური დენით დატენილი არსება, მკერდში ჩახშული ღმუილი მორთო და თვალები ოდნავ გააღო. სიკვდილის სუნთქვით დაორთქლილ თვალებს ლიბრი გადაჰკროდა.

კორნელიმ, ველარ გაუძლო გრიგოლის ტანჯვას:

— უშველოთ წავიღოთ..—დაიძახა მან.

— ხელით არ იქნება წაღება..

— მაშ, რითი?

რაჟდენიამ ტყეში მოსჭრა ორი კეტი.. ზედ მაზარა გადასჭიმეს და ამ სახელდახელოდ გაკეთებულის საკაცით აიტანეს გრიგოლი იდუმალაზე დიდის სიფრთხილით. იმათ შეეგება დოსტაქარი ევგენი მხეიძე.

ექიმი ევგენი მხეიძე მუშაობდა რუსეთის № უნივერსიტეტში. იგი იყო ანატომიის ცნობილი პროფესორის ორლოვის ასისენტი. მსოფლიო ომის დროს

ახალგაზრდა ასისენტი გაწვეულ იქნა ჯარში და ფრონტზე გაგზავნეს. მხეიძე და კაპიტანი ალექსიძე მსახურებდნენ ერთსადაიმავე ბრიგადაში [illegible] ფალანგების მიერ დასახიჩრებულ ჯარისკაცთა ოპერაციის წყალობით უდიდესი პრაქტიკა მიიღო, განსაკუთრებით სხეულის კიდურებისა, ძვლისა და ქალათა ტრაპანაციის დარგში. 1917 წელს ბრწყინვალეთ დაიცვა დისერტაცია ერთ-ერთ ანატომიურ საკითხის გარშემო და დოქტორის ხარისხი მიიღო. ტფილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ იგი ჩამოვიდა საქართველოში და ეხლა თავის ძველ მეგობარის—კაპიტან ალექსიძის ბატარეიაში მსახურებდა. იგი იყო მაღალი და გამხდარი კაცი.

ცნობაწართმეული გრიგოლი დააწვინეს საოპერაციო მაგიდაზე ერთ მიწურ სახლში. ირგელივ იდგნენ თვალცრემლიანი მისი ამხანაგები: კორნელი, პეტრე და სანდრო. ბეითალი და სანიტრები იჭერდნენ დაჭრილის ფეხს, თავსა და ხელებს. ფელდშერი გრამიტონ კუკავა და ეპიფანე ურუშაძე აწვდიდნენ დოსტაქარს საოპერაციო იარაღებს—ლანცეტს, პინცეტს და სხვას. კორნელიმ დაინახა მუხლის ზემო ბარძაყზე ლილისფრად შესივებული იარა, რომელსაც ჩასჭიდნია დოსტაქარი წაბლისფერი ანთებული თვალებით. მსახიობივით გაპარსულს სერიოზულ სახეზედ დაჭიმული იყო ყოველი კუნთი. ფართო და მაღალ შუბლზე იხლართებოდნენ სისხლისგან დაბერილი ძარღვები. გამოცდილი დოსტაქარი დაკვირებით, ფრთხილად და დიდხანს მუშაობდა გრიგოლის იარებზე. მისი გრძელი და გავარჯიშებული თითები სწრაფად, ოსტატურად იჭერდნენ და ჰკონავდნენ დაგლეჯილ ძარღვებს.. ოთახში სამარისებური სიჩუმე იყო. დაჭრილი ჯარისკაცის ტანი გაშხვართულა მაგიდაზე მიცვალებულივით. მარჯვენა ძუძუს ქვეშ გამოსულ ტყვიას ლილისფერ რგოლში ჩასმული წითელი წერტილი დაუჩენია გრიგოლის თეთრ ტანზე. ნეკნები ოდნავ ირხეოდნენ შეკუმშული სუნთქვით. ამ ნეკნებსა, გულის ყაფაზის და უცნაურად აშენებულ ძვლის კოლოფის შიგნით ფილტვებია და ერთი მათგანი შაშხანის ტყვიით გახვრეტილი. უეცრად კორნელიმ წარმოიდგინა შუაზე განკვეთილი სხეული. მან დაინახა გადაშლილ ნეკნებსა და მუცლის ღრუში ჩალაგებული ორგანოები: ნაწლავები, ღვიძლი, ჭაჭები, მუშტის ოდენა გული, ფილტვები, ქალაში ჩასვენებული ტვინი. „ადამიანი მთელი სამყაროა, რომელშიაც რთული სასიცოცხლო პროცესები მიმდინარეობენ“. გაიფიქრა კორნელიმ. ეს რთული სამყარო იდვა მაგიდაზე წინაშე. კორნელი უდიდესი პატივისცემით განიმსჭვალა მხეიძის მიმართ, რომელიც დოსტაქარის ლიც ასეთის უანგარო მონდომებით მკურნალობდა მის მეგობარს.

კორნელი პირველად ჰხედავდა გრიგოლის შიშველ ტანს. თავი შედარებით ტანთან მეტად დიდი ჩანდა. ვიწრო მხრები, შესივებული ძუძუს თავები, უთმო და ნაზი კანი, ვიწრო მუცელი და ფართო-განიერი თეძონი, მსუქანი ბარძაყები. ყოველივე ეს ამსგავსებდნენ გრიგოლის ტანის აღნაგობას ქალისას.

„როგორი ტანი ჰქონია?“—გაუკვირდა კორნელის—„ვინ მისცა ასეთი გმირობა და ვაჟკაცობა ამ საცოდავს? შეიძლება ექიმმა განკურნოს და გაამრთელოს კიდეც ტყვიებით დაცხრილული მისი სხეული, მაგრამ ვინღა განკურნავს მის აღშფოთებულ სულს? რა უბედურებამ ამოაგდო ეგ ნიჭით სავსე ადამიანი სიმ-

შვიდის კალაპოტიდან? რა უბედურება ღრღნის მის სულსა და გულს, რომ ეგრე რიგად ეტანება ყავახანებს, სარდაფებს, ღვინოს, გალეშილ დიაცებს, თამაშობას, ტყვიას და თვითმკვლელობას? სულერთია, ამ ბრძოლის გარეშეც, შენი ხვედრი ეგიყო!"—გაიფიქრა წამიერ კორნელიმ, თითქოს თითონ არ ყოფილიყო სნეული იმავე სენით!

ექიმმა დაიწყო გატეხილი ბარძაყის ძვლის გასწორება. გრიგოლმა ღრიალი მორთო, მთელის ტანით ჰბორგავდა. ბეითალი და სანიტრები აკავებდნენ. კორნელიმ ვეღარ გაუძლო მეგობრის და ადამიანის საშინელ წამებას. გული შეუღონდა, კარში გავიდა და კედელს მიეყრდნო. კარებთან თავმოყრილი ჯარისკაცები დაეხვივნენ:

— რა ამბავია?

— რისთვის ყვირის?

— რას ამბობენ? მორჩება თუ არა?—ეკითხებოდნენ კორნელის, მაგრამ კორნელი არ უპასუხებდა მათ. ოთახიდან საშინელი ღრიალი ისმოდა, თითქოს ხარს ჰკლავენო. დოსტაქარმა დაჭრილ—ჯარისკაცს ფეხზე ტკეჩები დააკრა და კრახმალის მაგარი სახვევი გაუკეთა. ოპერაციის შემდეგ ექიმმა გასისხლიანებული ხელები დაიბანა. თითებზე იოდი წაიცხო.

მიწური სახლის კარებთან შეგროვილმა ჯარისკიცებმა დაინახეს კაპიტანი. კედელთან ატუზული და გაფითრებული კორნელი ცხვირსახოცით იწმენდდა ცრემლებს.

— მოკვდა?—შეეკითხა მას კაპიტანი.

— არა.—უპასუხა კორნელიმ.

— მაშ, რა გატირებს? ომი თამაშობა ხომ არ გეგონა?—სთქვა კაპიტანმა და ოთახში შევიდა.

დოსტაქარი დარიგებას აძლევდა ფელდშერს.

— როგორ არის საქმე?

— რთული მდგომარეობაა! ორი სანტიმეტრით დაბლა სახსარში, რომ მოხვედროდა, ფეხი უნდა მომეჭრა!—უპასუხა კაპიტანს დოსტაქარმა.

კაპიტანი მივიდა ლოგინთან და სანთელივით გაყვითლებულ ჯარისკაცს დაჰხედა:

— სძინავს.

აბა, ეხლა დაიშალეთ. საჭიროა აბსოლუტური სიწყნარე და სისუფთავე. გრამიტონ, თქვენ დარჩით ავადმყოფთან.—უთხრა დოსტაქარმა ფელდშერს და კარში გამოვიდა. იგი ზედიზედ სწევდა თუთუნს.

— თუ ასეთი სერიოზული ჭრილობებია როგორ ვათრიოთ ამ მთებში? ფილტვში მაინც არ ჰქონდეს მოხვედრილი?—განაცხადა კაპიტანმა.

— ეგ ჭრილობა საშიში არ არის იმდენად!

— აბა, ფეხით რა უშავს?—შენიშნა დოსტაქარს კაპიტანმა.

— Fractura articulationis genu—უპასუხა დოსტაქარმა და დაიწყო ვრცელი და ამომწურავი განმარტება ამ სახის გადატეხათა შესახებ. ეს იყო მეტად საინტერესო და მსმენელთათვის ხელმისაწვდენი და გასაგები ენით თქმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტება, განმარტება კი არა მთელი ლექცია; კაპიტანი, კორნელი, პეტრე, სანდრო და მისი ამხანაგები სულგანაბული უსმენდნენ დოსტაქარს და განცვიფრებული იყვნენ მისი ესოდენ დიდი ცოდნით.

უკანასკნელი შეხვედრა

გრიგოლი იწვა კარავში. საშინლად გამხდარა. თვალები ჩასცვენია; ჩაღრმავებულ ლოყაში ბურთი გაეტეოდა. წარბები ტანჯვით შეხრილან. გრძელ წამწამთ ახამხამებდა. ერთ წერტილს მიჩერებული ანთებული და დიდრონი შავი თვალები არ იძროდენ. სისხლისგან დაცლილს გადასიცხულ და დახეთქილ ტუჩებს ენის წვერით ისველებდა. მისი გიშრისფერი, დაკვარკნილი თმა აღარ სჩანდა. გაუპარსავთ. თავზე თეთრი დოლბანდი შემოუხვევიათ. ნაცრისფერ საბნის ქვეშ მოსჩანს ტკეჩებში გაკრული და ათასნაირად შეხვეული ზვინივით მაღალი ფეხი. უპირველეს ყოვლისა, ამ უძრავ ზვინს დაჰხედა კორნელიმ, დაჰხედა დიდხანს, წუხილით, დამუნჯებული გაშტერებით, რადგან აქ იყო მთავარი საშინელება, რომელიც დაღუპვით ემუქრებოდა მის მეგობარს. კორნელი მივიდა სულ ახლოს. გრიგოლს არც კი დაუხამხამებია თვალი. იგი ვერ ამჩნევდა ამხანაგებს, მაგრამ ამჩნევდნენ თუ არა კარავის კედელზე აჩემებულ წერტილს მისი თვალები,—ესეც საკითხავია! ან იქნებ ამჩნევდნენ კიდეც ორთავეს: ამხანაგსა და წერტილსაც, მაგრამ ამათზედ უფრო საგულისხმო, უხილავი, ხელით ვერ შესახები საფიქრალი საგანი იპყრობდა ეხლა მისი გონებისა და თვალების ხედვას, რაიც სავსებით დადასტურდა გრიგოლის მიერ ამხანაგებთან გამართული ქვემორე საუბარით.

— გრიგოლ, მიცანი?—შეეკითხა კორნელი.

— გიცანი?—უპასუხა გრიგოლმა ულონოთ, ერთი წამით მიაპყრო თვალები და შემდეგ სადღაც შორს გაიხედა, უიმედოთ (ასე იცქირებიან სიკვდილის წინ მომაკვდავნი). გრიგოლმა ლაპარაკი გააპირა. პეტრე, კორნელი და სანდრო გაჭირებით არჩევდნენ ჩურჩულით თქმულ მის სიტყვებს.

— სადა ვართ? —იკითხა გრიგოლმა. კორნელიმ მუხლი მოიყარა ლოგინთან და უპასუხა:

— ვარევანში!

— გამოიქეცით? ყველა გამოიქცა..—სთქვა წყენით დაჭრილმა.

— არა. ჩვენ მოვედით ვარევანში თანახმად კაპიტანის ბრძანებისა. იდუმალაში დარჩენა არ იყო ხელსაყრელი..—განუმარტა პეტრემ.

— ვიცი.. ჭკვიანია.. ყველა ჭკვიანია..

— როგორ?—გაუკვირდა გრიგოლის შენიშვნა პეტრეს.

— სიკვდილის ეშინიათ!—სთქვა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ დაჭრილმა.

— ჩვენ არა ვართ ლაჩრები, გრილოლ! —იწყინა პეტრემ.

— ვიცი.. ლაჩარი ის კი არ არის, ვინც ცოცხალია.. მონა, ლატაკი, სულით მდაბალი და გაიძვერა ცოცხალი ლაჩარი ათასწილ სჯობია შარავანდედით შემოსილ გმირს, ბრძენსა და მდიდარს, მაგრამ აწ მკვდარსა, გახრწნილსა და ჭიებით სავსე ძორს. მათი საქმენი საგმირონი დასამარდნენ სიკვდილთან ერთად.—წარმოსთქვა დიდის წუხილით და გაჭირვებით მომაკვდავმა.

— შოთა, შექსპირი, ნაპალეონი?—შეეკითხა პიროვნებათა გალმერთებით ხელმქმნილი კორნელი. გრიგოლმა თვალები დახუჭა და სრულის დამშვიდებით წარმოსთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჟამთა დაუსრულებელ სრბოლაში და თაობათა ცვლაში სრულიად გაქრება იმათი ხსენებაც.. და არა მარტო იმათი..—ისევ ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა.

პეტრე საშინლად სწუხდა სიკვდილის კარს წამდგარი ამხანაგის ასეთი სასოწარკვეთით, ყოვლის უარყოფით და შეშჩივლა:

— გრიგოლ, რა მოგივიდა ასეთი? შენი მდგომარეობა სრულიადაც არ არის უიმედო, ჩვენ გულს კი უიმედობით ავსებ.

— ვინც დარჩით ქვეყნის სამსახურისთვის, არა?

— თუნდაც ასე იყოს...—უპასუხა პეტრემ.

გრიგოლი კვლავ ცუდათ შეიქნა. საუბარი შეუძლებელი გახდა. მომჯობინდა მხოლოდ საღამო ჟამს. ნელა გააღო თვალები და კარავის ღია კარებში გაიხედა. კარავში ალხი ტრიალებდა.

მის თვალწინ იყო გაშლილი: პურით დაფესილი ყანები, მშვიდი და მთვლემარე ველები. მზე გადახრილა დასავლეთით. გრიგოლის თავი გადაგორდა ბალიშზე ულონოთ. გადასიცხული და ავადმყოფურად ანთებული თვალები გაისროლა ქარვისფრად შეღებილ ცის კიდურისკენ; კარგა ხანს უცქერდა ვარდისფერსა და მდუმარე დასავლეთს. სდუმდა. დასავლეთი და ეგ უდაბნოსავით გაშლილი ჯავახეთის ველებიც იყო მუნჯი და უსასრულო, ისე ვით გრიგოლის ჭრილობებიდან გამოწვეული ტკივილი და წუხილი. კარგა ხანს უცქერდა ანთებულ თვალით ლალისფერ ბაგესავით გაწოლილ ცის კიდეს, თითქოს ცა იზიდავდა უკანასკნელად დაჭრილი ჯარისკაცის თვალებს, თითქოს მომაკვდავის მთავარი სული, ესეც არის, უნდა გაფრინდეს სხეულიდან ცისაკენ ისე ვით დაისისას კისერგაწვდილი და სწორედ ამ სოფელ ვარევანში კორნელის მიერ მოკლული ყანჩა.. გული შეუღონდა. ეკარგებოდა უკანასკნელი ძალ-ღონე და თვალთა შუქი. ყურთა ნიჟარებში იდგა შრიალი და წივილი. კარავში კვლავ შევიდნენ კორნელი, პეტრე და სანდრო.

— არაფერი არ ყოფილა იქ.—დაიძახა აღელვებულის ხმით გრიგოლმა, თითქოს საიქიოს ყოფილიყო და იქაური ამბავი გაეგოს.—თავის მოტყუილებაა!—დასძინა გრიგოლმა. ტკივილით შესტეხა სახის კუნთები და კვნესა დაიწყო. მეგობრები უშლიდნენ ლაპარაკს. ჩხირივით გაწვრილებული, სანთლისფერი და გრძელი თითები აამოძრავა და საბნის ყურე დაჭმუჭნა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ბუტბუტი დაიწყო. „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო... შენს მიწას მიმაბარეო... რა სისულელეა!"—ჩაიქნია ხელი გრიგოლმა და განაგრძო: „რა რომ მოკვდები სულერთია სადაც არ უნდა დავიმარხო? ეგ დედამიწა ყველგან ერთნაირად გაუმაძღარია.. და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!"—გრიგოლმა შეხედა ამხანაგებს და თვალზე ცრემლი მოადგა.

შფოთვა დაიწყო. ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. სანდრო, პეტრე, კორნელი გულნატკენი გამოვიდენ კარავიდან.

გრიგოლი მარტო დარჩა. კარავის ერთი მხარე აწეული იყო თანახმად მისი თხოვნისა. მოსჩანდა დასავლეთი. ჩუმად წვებოდენ ... ბინდილები მთის კალთებზე და ველზე. მოდიოდა ღამე. გულზედ ედებოდა ცეცხლი, როგორც ვარდისფერ დასავლეთიდან მომავალ და სისხლივით წითელ ღრუბლებს. ალმოდებული დასავლეთი იჭრებოდა გულში ტკივილით. გრიგოლს სტოვებდენ მზით გადამწვარი ღრუბლები.. რჩებოდა სულ მარტოდ მარტო. გული შეირხა სიკვდილის შიშით. გულს სურდა უკანასკნელი მხილება, გადაეხედნა ამ ქედების იქედ, საიდანაც გამოჩნდებოდა ზვიადი ცეცხლით ანთებული მზე... მაგრამ სად იყო ძალღონე?! გრიგოლმა დამცინავის ღიმილით შეარხია ბაგენი; ტუჩზედ იკბინა და ღამის სიჩუმეში ჰბუტბუტებდა: „რა უგუნური და შეუძლებელი ნატვრაა?! დაყუჩდი გულო, შეხედე დასავლეთს. მიიღე ხმები მომართულნი შუბივით სიკვდილის წინ. უკვე ჰკანკალებს საიდუმლო ფარდა ქვეყნისა. არც ისე ძნელი ყოფილა სიკვდილი, ოღონდ დავხუჭო თვალები უკუქცეულნი არარაობის წყვდიადისაკენ...“

დღე გარდიცვალა. დაჰღამდა. იღვიძებდნენ ურიცხვნი მოარენი ღამისა. მწერები ხერხავდნენ განუწყვეტელი ჭრიჭინით ღამის წყვდიადს და ხერხავდნენ უნაყოფოდ: ვერ აქარვებდნენ გრიგოლის შფოთსა და წუხილს. ხევში ბაყაყმა დაატრიალა კრინით არღანი, ერთფეროვანი და გაგუდული, თითქოს „ჩობანს“ უკრავსო! იდგა ღამე მუნჯი, გარდუვალი და კარავში მწოლიარე მომაკვდავი მისჩერებოდა ურიცხვი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას.

დილით გრიგოლი გაისტუმრეს ტფილისისაკენ. ფურგონზე მოათავსეს. მას გაჰყვა ფელდშერი და სანიტარი

ვ ა რ ე ვ ა ნ ი.

ჯარისკაცები ცხოვრობდნენ სოფ. ვარევანის მიწურ სახლებში. ასი ჯარისკაცი იყო ამ სოფლის სრულს კმაყოფაზე. მცხოვრებთა უხუცესნი აწესებდნენ ყოველ კომლისათვის განსაზღვრულ გადასახადს. სოფლელებს უნდა მოეტანათ: პური, ქერი და ხორცი. მზარეული ხარშავდა ცხვარს და რიგში მდგომი ჯარისკაცები მოუთმენლად ელოდნენ პატარა ქვაბურა (კატელოკებით) კუთვნილი კერძის: ნახარში ხორცისა და წვენის მიღებას. ჯავახეთში ჯარისკაცებს კარგი კვება ჰქონდათ. გლეხები თავს არ ზოგავდნენ და მეშველი ჯარი პატივში ჰყავდათ: ჩოხის კალთებით მოჰქონდათ პური, კვერცხი და წნული ყველი. ჯარისკაცები დალაღდნენ და ვარევანიდან წასვლა აღარ სურდათ. ეს იყო მხოლოდ, სიბინძურე და ჭუჭყი აწუხებდათ. მთის აღქაფებულს მდინარეზე და სიპზე რეცხნდნენ გამურულ საცვლებს, მაგრამ შალვრის ნაოჭებიდან გამოსული მკბენარი ისევ აღოღდებოდათ და ნაკბენი წითელ-ბატონების წინწკლების მსგავსად ჰქონდათ გამოყრილი მთელს ტანზედ. იღლიებიდან გამოჰყავდათ თითების ფჩხილს ქვეშ შეგორებული მკბენარი, როგორც გოჯიჯი, და ამ საქმეში დახელოვნებული კოკო ხელაძე, კუდის მიხედვით მამალ-დედალსაც კი სცნობდა. კორნელი, სანდრო და პეტრე ღამეს ათევდნენ მიწური სახლის ტახტებზე, რომლებზედაც სავსებით თავსდება ჯავახელი მასპინძელი მთელი თვისი სახლობით. დარბაზი ორად არის გაყოფილი. ერთი გლეხის ოჯახობის სადგომია, ხოლო მეორე—საქონლისა. ბუხრის ცეცხლი, სულ-

დგმულთა სიმრავლე და საქონელთა განავლის ოხშივარი მეტად თბილ ჰაერს იშერს (ყნოსვისთვის არა სასიამოვნოს). საქონელი ჯავახელის [illegible] მეგობარია. ბაგასთან ძროხა და ხარები იცოხნებიან. ისმის შარდის [illegible] ბლავზე (იატაკზე) გათხრილია სანერწყულე (ღარი), რომლის საშუალებითაც იწრიტება შარდი და წყალი, ხოლო განავალს ანუ საქონლის ნეხვს ჯავახელი ეგრე რიგად არ შეელევა: ნეხვს ზელენ, მზეზე ახმობენ და ეს მოკლე ფიცარივით გამომხმარი ნეხვი—წივა საწვავ მასალას წარმოადგენს. წივათი ახურებენ თორნეს და ამის გამო ჯავახეთში ნიმცხვარ პურს ნეხვის სუნი სდის. წივა ისე, როგორც მიწურ სახლში გამეფებული სუნი და სიბინძურე ჩამორჩენილობის შედეგია. ჯავახეთის სუფთა და ცივი ჰავის შემდეგ მიწური სახლის ჭერ ქვეშ ყოფნა სატანჯელია.

ა—ძა და იდუმალა კვლავ დაიკავეს ოსმალთა აგენტებისა და ბეგების მიერ აჯანყებულმა ადგილობრივმა მაჰმადიანებმა და მიწასთან გაასწორეს. ეხლა ჯერი ვარევანზედ იყო. ღამით ზარბაზნებთან გუშაგობა არც თუ ისე უშიშარი საქმეა. ამას თან ერთოდა სიცივე. ივნისი დადგა და ღამით ისევ აუტანელ სიცივეს იჭერდა. სამაგიეროდ დღე მზიანია და მხურვალე. ჯარისკაცები მიწური სახლის სახურავებზე კოტრიალობენ, ან არა და, კარდაკარ დადიან, რათა გამოძღენ მასპინძელის სახლში პურით, კარაქით, კვერცხით და ყველით. კორნელი, პეტრე და სანდრო სხედან მდინარის პირად და გრიგოლს იგონებენ. თვალი ცრემლით ევსებათ.

— ცოცხალი ჩააწევს თუ არა ტფილისამდე?—ეკითხებოდა ამხანაგებს კორნელი.

— ვეჭვობ რომ აიტანოს ასეთი გრძელი გზით თრევა!?—უპასუხებდა წუხილით პეტრე.

* *
*

ამ რამდენიმე დღის წინად ტფილისიდან ვარევანში ჩამოვიდა ბეითალი სერგო გურგენიძე და ახალი ამბავი ჩამოიტანა: 26 მაისს დაიშალა ამიერკავკასიის სეიმი, ოსმალეთთან დაიდვა ზავი, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და მას მფარველობას უწევს გერმანიაო.

ვარევანში მყოფმა ჯარისკაცებმა სათანადოთ ვერ გაიგეს ამ დამოუკიდებლობის ფასი, სახელდობრ ის, რომ მენშევიკურმა საქართველომ ამ დღიდან ფეხი შესდგა იმპერიალიზმის სამსახურში, რომ მენშევიკებმა თავი გადაირჩინეს გერმანიის საფარველს ქვეშ, ვინაიდან მთელს საქართველოში სწარმოებდა მაშინ გლეხთა აჯანყებანი, სახალხო მოძრაობა „დემოკრატიულ“ ხელისუფლების წინააღმდეგ.

იმპერიალისტებმა ფეხი შემოსდგეს ამიერკავკასიაში საუკუნეთა განმავლობაში ნაცადი და გამყიდველი ხერხით—„Divide et impera!“ ამ მიზნის განსახორციელებლად თავი მოჰხსნეს ოქროებით სავსე ქისებს და მოსყიდული აგენტები სთესდენ მოძმე ერებ შორის მძულვარებას, ზიზღსა და ქიშპს. სწორედ ასეთი ზიზღისა და ქიშპის შედეგი იყო ის, რაც იხილა კორნელიმ ჯავახეთში ყოფნის დროს 1918 წელს, როდესაც ოქტომბრის რევოლიუციიდან გამიჯნულს, შინაგან

განხეთქილებითა და ნივთიერ გაჩანაგებამდე მისულ ამიერკავკასიას უტევდა ოსმალეთი.

კორნელიმ ნახა განადგურებული და გადამწვარი სოფლები, დასახიჩრებული და დადულრული გვამები, ბაგრამ კორნელიმ ნახა აგრეთვე კაცთმძულვარებისა და ეროვნული შულლის ისეთი საშინელი ნიმუში, რომელიც არასდროს აღარ დავიწყნია.

* * *

ეს იყო ვარევანის ახლოს მდებარე სოფელში. კორნელის და მის ამხანაგებს არა ერთხელ სმენიათ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ჩადენილი სიმხეცე და რომ საკუთარის თვალით ენახათ ეგ სიმხეცე ცხენებზე შესხდნენ და იმ სოფლისაკენ წავიდნენ. პირველი შეტაკების დროს აღნიშნული სოფლის სომხური ნაწილი ცეცხლითა და მახვილით იქნა განადგურებული და გაძარცული ბეგების მიერ თავშეყრილი ბრბოებით. მეორე შეტაკების დროს, როდესაც დაშნაკთა მეშველი ჯარი მოვიდა—სომხებმა გაიმარჯვეს.

ჯარისკაცებმა მოათხრევინეს სოფლიდან გამორეკილ გლეხებს ახლად დაფლული გვამები. საფლავი სახელდახელოდ იყო გათხრილი, ნახევარი არშინის სიმაღლეზეც კი არ იქნებოდა. საფლავების ახლოს დაძრწოდენ ძორის სუნით დაგეშილი ძაღლები. საღამო იყო. მზე ჩავიდა. ჯარიკაცები აჩქარებდნენ გლეხებს. წერაქვები და ნიჩფები მალე მისწვდენ დახოცილთ. ერთი მათგანი იყო ცამეტი თუ თოთხმეტი წლის გოგო. კვინიხზე ღრმა და შავი იარა აჩნდა. მოწითალო თმის ნაწნავები გველის წიწილებივით იკლაკნებოდენ კისერთან. გოგოს შერჩენოდა ჭრელი ჩითის კოფთა. წელს ქვევით შიშველი იყო. ასოში ვერაგ მხეცს წვეტიანი პალო ჩაურჭვია. ჯარისკაცები ცხენიდან გადმოხტენ და თავზარ დაცემული დააცქერდენ საშინელ სურათს. ცალი ფეხი მიწით იყო დაფარული, ხოლო მეორე—პაწია, შიშველი და ტალახში ამოსვრილი. გლეხები დარცხვენით იდგნენ. დღე და ღამე იყრებოდა. სიბნელეში აღარ სჩანდა მოკლულის სახე.

(რამდენი ასეთი მსხვერპლი შეიწირა ეროვნული შულლით გამოწვეულმა ადამიანის გონების დაბნეულებამ, ვინ იცის?) კორნელი და მისი ამხანაგები ცხენს მოახტნენ. მესაფლავენი გაამათრახეს და შემდეგ სოფლის მოედანზე თავშეყრილნიც. ჯარისკაცთა მიერ მტრის ასეთი შებრალება, ხოლო მოკავშირეთა მიმართ რისხვა მეტისმეტად უკვირდათ ადგილობრივ მცხოვრებთ. სოფლელნი ერთ რამეში მართალი იყვნენ: განა კაპიტანი ალექსიძის ბატარეიაში მყოფი ჯარისკაცებიც მოძმე ერთა შორის ატეხილ ხოცვა-ჟლეტის საქმეს არ ემსახურებოდნენ?

როდესაც ერთი წუთით, შეგნებულად თუ შეუგნებლად გონება გახსნილი და ჩადენილ სიმხეცეთა წინაშე მონანიებული ჯარისკაცები ვარევანს მიუახლოვდნენ,—უეცრად იქედან თოფის ხმა შემოესმათ. უწესრიგო სროლა ძლიერდებოდა. ჯარისკაცებმა იფიქრეს: ვაი, თუ მტერი დაგვესხაო და თოფები მოიმარჯვეს. ჭენებით გადაირბინეს შავსა და ფხვიერ ნიადაგზე დათესილი ყანები. თოფის სროლის შემდეგ სოფლის მაღლობზე გაშენებულ ეკლესიასთან გაისმა

ქართული სიმღერა—მაყრული. ბატარეიის მეფურგონე კოკო ხელაძე ჯვარს იწერდა. იგი შეჩენია ვარევანელ მასპინძლის ახალგაზრდა, შავგვრემან და იერიან ქალს. მე ტფილისელი ვაჭარი ვარ, საკუთარი დუქანი და ბინა მაქვს, მზე და მთვარესავით შეგინახავო. იმდენი უხლაფორთებია კოკო ხელაძესა და მის ამფსონებს, რომ ქალის მშობლებს თანხმობა გამოსტყუეს და, აი, ეხლა ეკლესიაში ჯვარდაწერილი სიძე-დედოფალი ბატარეიის ბიჭებს შინ მიჰყავთ.

როდესაც ბატარეიამ სოფ. ვარევანი დასტოვა, კოკომ თავისი ჯავახელი პატარძალი მზითებით სავსე და ნამზითვარი ხალიჩითვე მოჩარდახულს ორთვალაზე დასვა და გზას გაუდგა.

ხიზნები.

ქართული ჯარის ნაწილებმა შეაჩერეს საომარი მოქმედება ახალციხე-ახალქალაქის ფრონტის უფროსის გენერალი არჯევანიძის განკარგულების თანახმად. ამჟამად სწარმოებდა მოლაპარაკება ოსმალეთთან ბათუმში. მოლაპარაკების შედეგი არავინ იცოდა. ტფილისიდან კანტი-კუნტად მოდიოდა ჯავახეთში ათასგვარი ჭორი.

დამოუკიდებლობის შედეგი ის იყო, რომ ქართულ ჯარებმა იწყეს ახალციხე-ახალქალაქის მაზრის დაცლა. კაპიტან ალექსიძის ბატარეიამაც გამოსწია ბაკურიანისაკენ. ბნელ ღამით მოსჩანდა მუსულმანთა მიერ გადამწვარ სოფლებში გაჩაღებული ცეცხლი და ახალქალაქის ხანძარი..

თვალწინ იშლებოდა საშინელი სურათი. ახალქალაქის მაზრის მცხოვრებნი სტოვებდნენ თავთავიანთ სოფლებს; დატვირთულ ურმებითა და ჯოგებით მიეშურებოდნენ ცხრა-წყაროს და ბაკურიანისაკენ. ჯავახეთი იცლებოდა; ხიზნებს თან მოჰქონდათ მთელი თავისი ავლა-დიდება, ბარგი-ბარხანა, ქონება. ხიზნებს სცარცვავდნენ ურმების ჩხრეკის დროს. ყველაზე კარგი ნივთი—ხალიჩა, ნოხი, თითბერის ჭურჭელი, ვერცხლი და ოქრო მიჰქონდათ კაპიტანს მის მეთაურებს და ჯარისკაცებს. ჯარის ნაწილებმა ხელი მიჰყვეს ცარცვა-გლეჯას. ჯარი იხრწნებოდა. განსაკუთრებით დაზარალდნენ ახალქალაქიდან წამოსულნი. გზა გაიჭედა მოფარდაგული ურმებითა და უთვალავი საქონელით. ბატარეიას უჭირდა მოძრაობა.

მოდიან და მოდიან ხიზნები. ურმებს მოჰყვებიან ჩიბუხის წევით დამწუხრებული მოხუცნი, მამა-კაცები; ურმებზე სხედან აცრემლებული დედა-კაცები. ისმის ტირილი ბავშთა, ხარისა და ძროხის ბღავილი, ცხვართა პეტელი.. ცხრა-წყაროსკენ მიეშურება ხიზანთა თვალუწვდენი მდინარე, ურმები დატვირთული ხორაგით და ურმები დატვირთული ჯავახელთა ცოლშვილით. ისმის ძახილი: „ვანო, გიორგი, სედრაკ, აზდღიკ!“ აღარაფერი ისმის საქონელის ბღავილში. მოდიან ჯოგები—ათასი, ათიათასი.. ნელის ზლაზვნით და დიდის ვაივაგლახით უახლოვდებიან ცხრა-წყაროს. უეცრად ჩამოღამა. ყოყელივე ნისლში გაეხვია. ეს ამ უღელტეხილისათვის ჩვეულებრივი ამბავია.

ოკეანესავით მოზღვავებული ნისლთა ქარავნები მოდიოდნენ ჯავახეთის მაღალ ველებიდან მთისაკენ; მისცურავდნენ კისერგაწვდილნი, თითქოს თეთრი

ფარებით აღჭურვილი და უჩინმაჩინის ქუდდახურული კოლორტები ეცმო ბიჯებით უტევენ მწერვალებსო. ნისლთა ლაშქარი შეესია მთებსა, და ტყეს, ტყესა და ნაპრალებს, მოდიოდა ყოველის მხრიდან. ამ უსასრულო სვლას განაცდევინა კორნელის მეორედ მოსვლის მოახლოვება. იგი უსტვენდა გრიგის „გნომების სვლას“, ბანს ეუბნებოდა ზარბაზანთა ბორბლების ერთფეროვანი გრიალი და ცხენთა ფლოქვების თქარუნი. მწვერვალიდან სჩანდა მზით განათებული დასავლეთი: ღრუბლები მოდიოდნენ აღმოსავლეთიდან! ჯერ კიდევ მოწმენდილ და განათებულ ცის კიდურისკენ მოჰქროდნენ ფრინველნი, გრძელი და უცნაურნი, როგორც გველჩიტა. ხიზნები და ჯარისკაცები შეშინდნენ. გაშტერებით გახედეს ცის კიდურს. „ქარიშხალი გვიახლოვდება!“—სთქვა ზანგივით ჩაჟანგულმა ჯავახელმა ბერიკაცმა. მთათა გადაღმა ციმციმებდა ფოსფორისებური იისფერი გაელვება. გლეხებმა გადააფურთხეს, პირჯვარი გადაისახეს და ღმერთს მოუხმეს. გაისმა შორეული გმინვა. კორნელის ცხენი შიშით აცახცახდა. მხედარის ძარღვი და კუნთი დაიზიდა; შიგ უცნაური ძალა ჩაიღვარა.. ზღვას გამოსული და უჩინმაჩინის ქუდ დახურული ნისლთა ქარავნები მიწვდნენ ხიზნებს და ჯარისკაცთაც. თითქოს ღრუბელთა საზღაპრო ლაშქარი ზღვას გამოვიდა და ფეხის ნამი დააყენაო: წვრილი წინწკლები და წვიმის წვეთები წამოვიდნენ განდადაგან. ირგვლივ იდგა ფაიფურის მსგავსი ორთქლი, ბურუსი, პირველყოფილი ბუნი, უკუნეთი და მდუმარება, მდუმარებას ცხვრის ფარაში აბოტებული ვერძები თუ დაარღვევდენ ხანდახან. ცა და დედამიწა შეერთდა. წარიშალენ სივრცენი. ფეხის ორ ნაბიჯზეც ძნელად თუ რაიმე გაირჩეოდა. უეცრად მოვარდა საშინელი ქარი. კორნელიმ გაიგონა შიშისმგვრელი ღმუილი. მურისფერი ნისლი შავი ზღვის გაცოფებული ტალღასავით და მორევივით შეტრიალდა, დაქანდა და გზაზე მავალი ხიზნები სამუდამოთ შთანთქა. სულ ახლოს, ჯარისკაცთა და ხიზნების თვალწინ გაიელვა. უდიდესი სანათი საოცარის სიჩქარით დაიგრიხა და მთის წვერს დაერჭო. ათასი ზარბაზნით ატეხილი დაშენა ვერ გააპობდა ისე მძლავრად ჰაერს, როგორც ამ წუთას გავარდნილი ჭექა-ქუხილი. მიწას გაჰქონდა ზანზარი. ზედიზედ ელავდა და ჰქუხდა. ცხოველნი დაფრთხენ. ჯარისკაცები ვეღარ იმაგრებდენ აღვირით ყალყზე მდგარ ცხენებს. სქელკისრიანი ბუღა და ხარები მიწას სთხრიდენ სირბილში რქებით. შეშინებული მაკე ღორები მშობიარობდნენ, მძაფრად ლოშნიდნენ და ჭლეჭავდნენ უდღეურებს. იდგა ცხოველთა აღშფოთება, ფურაქი, ტლინკი. ღრუბლები ორომტრიალით ეჯახებოდენ ერთმანეთს და მათ წიაღში შობილი და დანაკვესი ცეცხლის ისრები კვლავ ერეჩობოდენ მთის წვერს. ირგვლივ იდგა წყვდიადი, ჩაჰქრა მზე და შორეულ ორბიტებში უკუქცეული ვარსკვლავები. კორნელიმ გაიგონა დანით ყელ გამოჭრილი საქონლის მსგავსი ბღავილი და გული ჩაუწყდა უნუგეშო ფიქრით: „იქნებ დაირღვა ქართა ტრიალის და ზღვის ტალღათა მიმოქცევის კანონი?!“ ელვის სისწრაფით გადჯსერა ამ გეოლოგიურმა შიშმა კორნელის ტვინი. მაგრამ მის დაფეთებულ თვალებს, რომელშიაც ეწერა ქვეყნის გამოტირება, სულ ახლოს დაგრეხილმა ელვამ წაართვა ხედვა და ჩინი, ხოლო თავის ქალას, რომელშიაც იწვა ზებუნებრივი შიშით შეპყრობილი ტვინი, ნიგვზის კაკლის ოდენა სეტყვის ნატეხები უხეთქავდნენ. სეტყვა-ხორხოშელა მოხშირდა და საშინე-

ლის სისწრაფით და ძალით წამოვიდა. სეტყვის თავში დაცემის შიშით პირქვე=
მბობილი ხალხი საფარს ეძებდა, მაგრამ შიშველ მთაზე რა საფარი იქნებოდა?
ხიზნები და ჯარისკაცები მიძვრებოდნენ ურმების, ორთვალა [illegible] ფეტვინებსა და
საქონლის მუცლის ქვეშ. გარეტებული ცხენები ადგილიდან აღარ იძროდნენ და
სეტყვით დაცხრილულ და დაცვენილ ყურებს სისხლი სდიოდათ. კორნელი
უნაგირიდან გადმოხტა, მაზარა გაიძრო და თავზე გადაიფარა, ტანს არა უშავს.
სეტყვამ, წვიმამ და ქარიშხალმა 20 წუთს გასტანა.

გამოიდარა. სეტყვით დაბეჟილი და ამოწუმპული ხალხი საცოდავად წა-
მოდგა დედამიწიდან.

ისევ წამოიშალნენ ხიზნების ქარავნები, ისევ გაისმა კაცთა ძახილი, ბავ-
შთა ტირილი, საქონლის ბღავილი. ისევ გაუდგნენ ცხრა-წყაროსკენ მიმავალ
გზას ძვალრბილამდის გაცივებული და დასველებული ხიზნები. მთით გამოკვე-
თილ გამოქვაბულში გაისმა კივილი. ლოდზე იწვა შიშისგან ვადაზე ადრე მშობია-
რე დიაცი, გვერდზე წამოკვაჭული, გასისხლიანებული უდღეურით. დედა და ბინ-
ძურ ჩვარში გახვეული ბავში ურემზე დააგდეს. ისმის ძახილი: „ვანო, გიორგი,
სედრაკ, აზდღიკ!“ ვინ გაიგონებს ამ წარღვნისას ძახილს? სომეხთა უბედურება
მართლაც ზღვა არის თვალუწვდენი და უსაზღვრო (მათი პოეტის არ იყოს!).
მაგრამ განა მარტოკა სომეხთა? სომეხთა და ქართველთა წარსული ისტორია
ერთნაირია: წამებით აღსავსე. მოდიან ხიზნები. თავდება მთის კალთებზე
ჯავახელ მეცხვარეთა კომბალის თავის ოდენა სეტყვით ჩალეწილი და მირეგვ-
მორეგვილი ყანები. ცხრა-წყარო მოახლოვდა. ამ უღელტეხილის შემდეგ სრუ-
ლიად ახალი და სულ სხვა ქვეყანა იწყება. მიდიან იქეთკენ ქართველ სომეხთა
სოფლებიდან გამოქცეული ხიზნები, რომელთაც ყველაფერი დაჰკარგეს, რომელ-
თაც დასცალეს სოფლები: ყანდურა, სარო, ხიზაბავრა, ვარევანი... რომელთაც
დარჩათ ორმოში დაფლული ფეტვი, პური, ნოყიერი მიწა, ბატები სავსე ალუ-
ბლით, ჭანჭურით, მსხლით და ვაშლით, საყვარელი კერა.. მოდიან ჯავახეთი-
დან მოხუცნი და იგონებენ ძველ დროებას, ოსმალთა მიერ ჯავახეთის აოხრე-
ბას, ხიზნობას. სჩივიან და იგინებიან: „გაგვავერანეს, აგვაოხრეს თათრებმა, მა-
გათი რჯული და ხატი!“ სტირიან დევნილნი, გაჭირვებაში მყოფნი; მოსთქვამენ,
იგონებენ სევდიანად თავის მდიდარსა და ჭირნახულით სავსე ქვეყანას. სწორედ
ასეთი ჩივილი და ტირილი გაისმის ერთ ხალხურ ლექსში:

„მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთვარე იყო მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა.“

უცნაური დროშა

ასეთის დიდი ვაივაგლახით ჩამოვიდნენ ხიზნები და ბატარეია ბაკურიანში.
სადგურზე გერმანელი გუშაგი იდგა, ფეხზედ ჰამაშები ჰქონდა. სადგურზე გერ-
მანელების დროშა ფრიალებდა. ალექსიძის ჯარისკაცები განცვიფრებული შე-
ჰყურებდნენ დროშას. ბეითალმა აუხსნა მათ:

—ჩვენმა მთავრობამ შეჰკრა პირობა გერმანიასთან, რის ძალითაც გერმა-
ნეთი არ მისცემს ნებას ოსმალეთს წინ წამოიწიოს. დღეიდან საქართველოს
ტერიტორია იმყოფება გერმანეთის ჯარების მფარველობის ქვეშ.

კორნელის და მის ამხანაგებს ძლიერ უკვირდათ, თუ საიდან გაჩნდნენ ბაკურიანში გერმანეთის ჯარისკაცები. კორნელიმ მიჰმართა ფეხმოქცეულ, ქერა და გაძვალტყავებულ გერმანელს, რომელიც რამოდენიმე ამხანაგთან ერთად წყალსადენთან იდგა და ცივი წყლით შიშველ გულმკერდს იბანდა და იხელდა.

—გამარჯობათ მოკეთე.. როდის ჩამოდით თქვენ გერმანეთიდან საქართველოში?—გერმანელმა გაიღიმა, ფხვნილით გაწმენდილი ცხენისოდენა კბილები გამოაჩინა, პირსახოცი მხარზე გადიგდო და განაცხადა:

—ჩვენი რეგულიარული ჯარები მალე ჩამოვლენ საქართველოში. მანამდე ტფილისში შესდგა ერთი ათასეული ადგილობრივ მცხოვრებ და ტყვე გერმანელებისაგან. ამ ათასეულიდან ერთი გუნდი გამოიგზავნა ბორჯომში. მე ეკატერინოფელდის მცხოვრები ვარ. ჩვენ დაკისრებული გვაქვს ამ სადგურის დაცვა.

კორნელიმ კვლავ განცვიფრებით შეჰხედა სადგურზე გადმოკიდულ გერმანეთის დროშას.

—ოსმალეთს ვებრძოდით და გერმანეთმა დაგვიპყრო!—ჩაილაპარაკა წყენით გიგა ნახუცრიშვილმა.

—კი არ დაგვიპყრო, მფარველობას გვიწევს და იცავს ჩვენს მიწა-წყალს ოსმალების შემოსევისგან!—უპასუხა ბეითალმა.

—მალე გაიგებთ ამ მფარველობის ფასს!—სთქვა ალრენით გიგამ.

ჯარისკაცთა შორის გაიმართა კამათი ამ თემაზე. კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო და ბოლოს კაპიტანმა ალექსიძემ გარეკა თავის ჯარისკაცები..

სადგურის ბაქანზე იდგა ხიშტიანი თოფით ქანდაკივით უძრავი, მრისხანე სახის და გამომწვევი მედიდურობით პატარა, ხიოჭი და ყაფანდარა გერმანელი ჯარისკაცი—ტფილისში გათამაშებული კომედიის მსახიობი—სცენის მოყვარე. მის თავზე ფრიალებდა უცნაური დროშა.

ბორჯომში უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი გერმანელების გუნდი დაუხვდათ ჯარისკაცებს. ქუჩაში მწყობრად მოაბიჯებდნენ. წინ გარმონზე დამკვრელი მოუძღოდათ და „ძველ-ბოვარულ“ მარშს უკრავდა. ეს გუნდი რუსეთის კონცენტრაციულ ლაგერებში მყოფ ტყვეებისგან შესდგებოდა. გერმანლები გაჭირვებით ამტვრევდნენ რუსულს. მათი აქ მოსვლის მიზანი კარგად არ ესმოდათ და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ, რაიც მათ საყვარელ სიმღერიდანაც აშკარად სჩანდა:

„ნახ დერ ჰაიმატ.. ნახ დერ ჰაიმატ.. და გიბტ ეს ვიდერზენ!“

* * *

ალექსიძის ბატარეიამ კვლავ მოსაწყენი ყაზარმული ცხოვრება დაიწყო ბორჯომში. კორნელი ველარ ურიგდებოდა მეთაურთა და ჯარისკაცთა ზერელე, ცალმხრივ და ფუქსავატ ცხოვრებას. სამხედრო სამსახური, წყობილება, უშინაარსო, უხეში ლაყბობა და გინება ძალზედ მოსძულდა. მან საკმაოდ გადააფასა მრავალი რამ. იგი ისწრაფოდა უჩვეულო პირთა ნააზრევითა და განცდებით შეიარაღებული მოვლინებოდა სატრფოს, ქალაქს, ქვეყანას. ყაზარმაში იშვიათად მიდიოდა. კორნელიმ დაიქირავა ოთახი სასტუმროში, აქ ჰკითხულობდა ტფი-

ლისიდან ჩამოტანილ წიგნებსა და ჟურნალებს, ადგენდა დღიურს, დადიოდა ნაცრისფერი კოსტიუმით ან კიდევ ისეთ გვარის სამხედრო ტანსაცმელით, რომელსაც მეთაურიც კი შეიშურვებდა. ცხადია, ყაზარმაში ნაჯახურევი ჩამოხეული და გატალახიანებული მისი ამხანაგები უფრო მეტის შურითა და აღრენით მოეკიდებოდნენ. რა უფლების ძალით სარგებლობდა კორნელი ასეთი უპირატესობით, მაშინ როდესაც მისი ამხანაგები სცხოვრობდნენ ბინძურ ყაზარმებში და მძიმე სამხედრო სამსახურს ასრულებდნენ? საქმე ის არის, რომ ახალციხე-ახალქალაქის მაზრის ოსმალეთზე გადაცემის შემდეგ ჯარები იხევდნენ ბორჯომისაკენ და ამისათვის ჯიბოს სანახავად ტფილისიდან ჩამოვიდა მარგარიტა ლეტიც. გერმანელი ქალი და კორნელი სეირნობდნენ პარკში ყოველ დღე. ბრძოლიდან ახლად დაბრუნებულ კაპიტანს ალექსიძეს მეტისმეტად მოეწონა მარგარიტა. კორნელიმ გააცნო, მაგრამ ქალი კაპიტანზე უფრო ჯარისკაცს სწყალობდა და თანაც ჯიბოს ჩამოსვლის მოლოდინში იყო. კაპიტანმა გადასწყვიტა კორნელის თავიდან მოშორება და ამ მიზნით მიანაჭა ჯარისკაცს ის უპირატესობანი, რომლის შესახებაც ზევით ვილაპარაკეთ. კორნელის საქციელი არ მოსწონდათ მის ამხანაგებს—სტუდენტებს და მით უფრო იმპერიალისტური ომის დროს ჯარში ნამსახურ ძველ ჯარისკაცებს. კორნელისა და მის ამხანაგებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, მაგრამ უთანხმოება იზრდებოდა აგრეთვე ჯარში მოსულ ინტელიგენტებსა და მშრომელთა წრიდან გამოსულ ჯარისკაცთა შორისაც. ბატარეიაში მომხდარი განხეთქილება და მღელვარება დღითი დღე იზრდებოდა. გლეხკაცობა ნაწყენი იყო და ჯარიდან გაპარვამ მასიური ხასიათი მიიღო. ახლად მოვლენილი უცხოელი იმპერიალისტები აშკარად იცავდნენ მემამულეებს. თავად-აზნაურობამ პეტიცია მიართვა გერმანიის საიმპერატორო დელეგაციის უფროსს და შესთხოვა მას თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება. გერმანელებმა დაიწყეს შინაურ საქმეებში ჩარევა. წინადადებას აძლევდნენ მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა გადაეხადათ მემამულეთათვის გორის მაზრის გლეხებს 1917 წლის მოსავლის საიჯარო გადასახადი და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანიის დელეგაციის უფროსი იმუქრებოდა შეიარაღებული ჩარევით.

საოკუპაციო ჯარების ჩამოსვლით დაიმედებული თავად-აზნაურობა და ოფიცრობა წელში გასწორდა. ბევრი სრულის შეგნებით მოითხოვდა ვილჰელმ მეორის შვილის იოაქიმის გამოცხადებას საქართველოს მეფედ.

ერთ დღეს კაპიტანმა დაამწკრივა ჯარისკაცები და დაიწყო ლაპარაკი ქართული ლაშქრის შექმნისა და მისი ამოცანების შესახებ. კაპიტანი ლაპარაკობდა მეფის დროინდელი ყაზარმული ენით. ჩამოხეული ჩაბინძურებული ჯარისკაცები უსმენდნენ დაღვრემილი სახით. კაპიტანი დასცინოდა რევოლუციას და „ამხანაგობიას“, რომლის წყალობითაც ქართულმა ჯარებმა წააგეს თურმე ომი ოსმალეთთან და მტერმა ხელთ ჩაიგდო ბათუმის ოლქი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრა. გულისტკენითა და აღელვებით ისმენდნენ რევოლუციის მხარეზე მდგომნი—გიგა ნახუცრიშვილი, მიტო ჩიკვაიძე, იმპერიალისტურ ომში მყოფნი და ბოლშევიკურად განწობილი ჯარისკაცები ოფიცრების კონტრრევოლუციო-

ნურ სიტყვებს. კაპიტანი ალექიძე უშიშრად გამოსთქვამდა ეხლა თავის შავრაზმულ ზრახვებს, მაშინ როდესაც გერმანიის საოკუპაციო ჯარების ხელისუფლება არ იყო, დამუნჯებული ვიდოდა, ჯარისკაცებთან მეგობრულ დამოკიდებულებას ამყარებდა. ეხლა თითეული მისი სიტყვა იყო აღსავსე რეაქციის სუსხით და რკინისებური დისციპლინის წინაშე თაყვანისცემას ჰქადაგებდა. ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ გლეხკაცებს იმედი გაუცრუვდათ. დაღვრემილი სახით უსმენდნენ კაპიტანს და გული ბოლმით ევსებოდათ.

ვანო ბურდულმა და რაჟდენია ტურიაშვილმა მეორე დღესვე მიატოვეს ბატარეია.

პირველი ნაწილის დასასრული.

ლეონა შენგელაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათა ქექია

რომანი

ნაწილი მესამე *)

ხალხი და ჯამაათი

1

მერე წავიდა და წავიდა ეს გლეხური ცხოვრება დატრიალებულ წისქვილივით.

მიწას ხვნა უნდოდა,—ვნახავდით, სიმინდს თოხნა,—ვთოხნიდით, ტყეს მოჭრა,—ვჭრიდით, ცოლს ჩხუბი და წოლა,—ვეჩხუბებოდით და ვუწვებოდით; შვილებს ვპატრონობდით და მტერ-მოყვარეს, როგორც შეეფერებოდა, ისე ვუხვდებოდით. ჯოგი ზაფხულში მთაში გვყავდა საძოვარზე, ზამთარში—რიონის ეწრებში; თევზს ვიჭერდით, ღვინოს ვსვამდით და ასე, ამ ჯახირსა და წვალებაში, ისე მოგვადგა სთველი, რომ არაფერი გაგვიგია.

ან რას გავიგებდით, როცა ეს ოხერი რუს-იაპონიის ომი მეხივით დაგვატყდა და ჩვენი შვილები სადღაც, დასაკარგავ აღმოსავლეთში, აკლავდენ თავს ისეთ ხალხს, რომლის მტრობა კი არა, არსებობაც არ ვიცოდით აქამდე. და ჩვენ რომ აქ, ამ მინდორ-ველებში, წვითა და დაგვით ვზარდეთ ისინი, პირში სული ჩავუდგით და რის ვაივაგლახით მათ ვაჟკაცობას მოვესწარით, ახლა იქ, იმ შორეულ ქვეყანაში, ლევდენ ამ სულს, სისხლს ღვრიდენ,—ეს მათი ალალი სისხლი გულზე ცხელი ღვარივით გვევლებოდა და სიმწრითა და ბრაზით გონებადაბნელებულნი სულ დედმამის სულს ვაგინებდით იმ სულძაღლს რუსხემწიფეს ამ ჩვენი დამღუპავი ომის დაწყებისათვის.

ჩემი უფროსი შვილიც იქ იყო და, როცა ჯავრით გულდათუთქული ჩემი ცოლი ოჯახში თავს მარტო დაინადარებდა, მოსთქვამდა გულსაწვავად, ტიროდა ცხრა მთას იქით ცეცხლსა და ტყვიაში შესულ შვილსა და თავისი უბედური დღის გაჩენასა და მოსწრებას. თუ სადმე შორს არ ვიყავ წასული, ეს მოთქმა გულში ლახვარივით მხვდებოდა და მეც ვოხრავდი, ვკნესოდი და, ბოლოს, ამ მოთქმა-ტირილს დასასრული რომ არ ექნებოდა, მოთმინებიდან გამოსული, მივრბოდი შინ, რომ ამ ყრანტალა დედაკაცისათვის კნაპი ჩამეგდო და გამეჩუმებინა. შინ რომ მივიჭრებოდი, იყო მერე ჩემი ჩხუბი და ყვირილი. სხვა რა უნდა მექნა, ან რა გზა მქონდა? აბა სად გაგონილა ცოცხლის მოთქმა-ტირილი? შვი-

*) გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 5—6.

ლებიც მხარს დამიჭერდენ და საწყალი ჩემი ბეხრეკი ცოლი ჩუმდებოდა დამნაშავესავით და ფაცხის ბნელ კუთხეში, ხმის ამოუღებლად გმირვით რაღაცას ფუსფუსებდა, მაინცდამაინც მაშინ გამოუჩნდებოდა ქვეყნის საქმეები და ფაცურობდა, საქმიანობდა თავაუღებლად. მე ვუცქერდი მის საქმიან ფუსფუსს და მეცოდებოდა, მეცოდებოდა, რომ გულზე მოწოლილ ჯავრსა და დარდს საქმეში აქარვებდა, მაგრამ ბოლოს, ილაჯი რომ გაუწყდებოდა და მეტის მოთმენა ალარ შეეძლო, აკაპასდებოდა და ისევ მე (უფრო დაბალ ღობედ ვეგულვებოდი და იმიტომ), შემომენთებოდა გაცოფებული:

— აბა რა ვქნა, რა, შე მიწაგასახეთქო! შვილია ჩემი, ძაღლი ხომ არაა? ცხრა თვეს მუცლით ბიტარებია, ძუძუ მიჭმევია! ქვა დავიკიდე კისერზე და ისე გავზარდე, მისთვის ათასი სიმწარე და უბედურება გავიარე და რას მემართლები, შე მართლა ქვეყნის აჯამო, შენ!—და მე, მის ათრთოლებულ ნიკაპსა და დაცრემლილ თვალებს რომ შევხედავდი, კფიქრობდი ჩესთვის:

— მართალი ხარ, სალომე, მართალი, მაგრამ ერთი მეც მკითხე,—მე რა ვქნა? განა მე მამა არა ვარ და გულ-ღვიძლი არ მეწვის? ვის შევჩივლო, ვის შევუტიო და ვისზე მოვიოხო ეს ჯავრიანი გული? ეეხ, ჩემო სალომე, ჩემო სალომე, რას იზამ, ხემწიფე შორსაა და სხვას ვის ვეყაყანოთ, თუ არა ისევ ერთიმეორეს? შორსაც რომ არ იყოს, მათრახი იმას უჭირავს ხელში და სახარება და ჩვენ რა ძალა გვაქვს? მაგრამ ერთი თუ ავიწყვიტეთ, მაშინ უყურე, რა დღე გავუთენოთ! ახლა? ახლა რას იზამ? უნდა ვითმინოთ და მოთმინებაში ამოგვხდეს ეს გაძაღლებული სული.

ასეთ დღეში რომ ვიყავ, მარტო მე კი არა, ყველამ, დიდიან-პატარიანად, ისე ვიცოდით სახალინის, მანჯურიისა და პორტარტურის ამბები, როგორც ჩვენი საკუთარი ყანები, და სტესელს, კუროპატკინს, ნოგის, ტოგოსა და სხვებს ისე ვიცნობდით, როგორც ჩვენი ყურის მეზობლებს და, გულს დარდი რომ შემოგვაწვებოდა, ვმღეროდით სიმწრით:

ტოგომ უთხრა მაკაროვსა:
ველარ შესჭამ მაკარონსა;
შენი ჩინი და მენდალი
ზღვაში თევზმა ატაროსა.

ეს ცხოვრებაც თანდათან გაჭირდა. ბაზარში ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა, მემამულეები და მათი ყუბაქი დარაჯი მამასახლისი და ჩაფრები ზურგზე ტყავს გვხდიდენ და ეს წუპაკი ხუცესიც სულთან ერთად ხორცად შეჭმასაც გვემუქრებოდა.

იმ ურჯულო რუსხემწიფემ ესეც არ გვაკმარა,—შვილებს გვირუსებდა და ასე გვთიშავდა და გვაშორებდა ჩვენს ღვიძლ ძმებს.

მისი დანიშნული მასწავლებლები ჩვენს ენას ძაღლის ენას ეძახდენ, ზნესა და ადათს გვიბიაბრუებდენ და ნამუსს გვირცხვენდენ. და, ასე გაბახებულნი და მიწასთან გასწორებულნი, თუ სიტყვას საყვედურით შევუბრუნებდით,—მაშინვე ბუნტის თავად გვაცხადებდენ, იმიტომ რომ ჩვენ ველურები ვიყავით, გაუნათლებელნი, ჩვენი სიკეთე ჩვენვე არ გვესმოდა და ჭკუას გვასწავლიდენ. რა ვუ-

ყოთ, რომ რჯულით ჩვენც მათსავით ქრისტიანები ვიყავით?—მაინც ურჯულოებს გვეძახდენ, და არ იყო ჩვენი საშველი. საითაც გავიქეცი, იქით [illegible]—ასე იყო ჩვენი საქმეც. ჩვენ ერთ დიდ საცეხველში ვეყარეთ ღომის—[illegible] და რუსხემწიფე დაგვარტყამდა,—ურჯულო ვიყავით, თათარი დაგვეცემოდა,—მაინც ურჯულო ვიყავით. ერთი გიაურს გვეძახდა, მეორე ურჯულოს, და ჩვენ, საწყლებმა, არ ვიცოდით, რა რჯულის ვიყავით, ცოტა ხნის შემდეგ მივხვდით, თუ რა რჯულისაც ვიყავით და, ახალთაობის დროს რომ ავდექით, მაშინ გავიგეთ, რომ ჩვენი რჯული ერთობა იყო. მე მაშინ მივხვდი, რომ ყველა კაცი, რომელსაც ეშვი გრძელი არა აქვს და ქონი ბლომად ადევს მუცელზე,—ურჯულოა. ჩვენი ცხოვრება კი ისე იყო მოწყობილი, რომ ქონი ჩვენ გვქონდა და კბილი იმათ,—ვიცოდით, რომ კბილი ჩვენც გვქონდა. როცა ვისწავლეთ, იცოცხლეთ, ჩვენ მაშინ ეს კბილები დავახრჭიალეთ!

ვმღეროდით და როცა ჩვენ ბატონებს ეს არ მოსწონდათ, ტირილს ვიწყებდით,—მაგრამ ისინი მიზეზზე იყვნენ, მათ არც ეს მოსწონდათ და, რომ გავმწარდით, მივხვდით,—ჩვენი საშველი არაა. თუ ჩვენსავით დაჩაგრულებს არ გავუწოდეთ ხელი, დავიღუპებით, სისხლიან-ხორციანად შეგვჭამენ ეს მამასულძაღლები.

მათ არაფერი მოსწონდათ ჩვენი, გარდა ჩვენი ოფლისა, ჭირნახულისა და იმ მიწისა, სადაც ვცხოვრობდით და ბინა გვქონდა დადებული. ან ჩვენ უნდა ავყრილიყავით და თვალები დაგვეთხარა, ანდა ისინი უნდა გადაგვეყარა. ჩვენც ჩვენს აყრასა და თვალების დათხრას ისევ მათი გადაყრა ვარჩიეთ. როცა მოთმინება დავკარგეთ, ავდექით და მთელი ამ არემარის სოფლებმა ერთ ენკენისთვის დღეს სოფელ ნაესაკოვოში ნამალავად თავი მოვიყარეთ და, როცა მაღალზე შემდგარმა ახალთაობის კაცმა დაიძახა:

— ძირს ნიკოლოზ, მისი ეკლესია და ყაზარმები!

ჩვენ, ჩვენით კი არა, თავისით აღმოგვხდა:

— ძირს! ძირს! ძირს!—და ასე „ძირსო“ რომ ვიძახდით, ფილთა თოფები, კაჟიანი დამბაჩები, წალდები და თოხები მაღლა გვქონდა ტყესავით აწეული და ეს ჯერ უნახავი ტყე რისხვით ირწეოდა, გუგუნებდა და გუგუნი იგი მიდიოდა ამ ხელის გულივით გაშლილ მინდორ-ველებში, თალარაში, მერეებში, ეწრებში, მთებში, ღარდა-ღრეებში და ჩვენ სიხარულით ვუსმენდით, როგორ გვეხმარებოდეხ ეს მთები, ეს მინდორ-ველები გამოძახილებად და კიდევ იქით, მინდვრებს გადაღმა ქალაქები იყო და ქალაქებში ქარხნები ზანზარებდენ, საყვირები ცად გაეყარათ და გუგუნებდენ, ჰკიოდენ ჩვენსავით ამბოხებულნი:

— ძირს! ძირს! ძირს!

და ჩვენთან ერთად ამდგარი ცა და ქვეყნის ხმა რომ მოგვესმა, მთლად გადავირიეთ, ოჯახი და კერია დედაბრებს შევატოვეთ ხელში და ამ დღიდან ჩვენი სახლი ცისქვეშეთი იყო და საქმე—ყაყანი. მთელი დღეები ეკლესიის ეზოში ვეყარეთ. მის გვერდით, გალავანს გადაღმა, სოფლის კანცელარია იდგა, მაგრამ ჩვენ ამას არაფრად ვაგდებით და ასე, ამ ორ ცეცხლს შუა,—აქეთ ეკლესია, იქით კანცელარია,—ვდავობდით, თუ როგორი წესწყობილება მოგვიხდებოდა: ისეთი, როგორიც ფრანცუცებს აქვთ, თუ სხვანაირი, ჩვენებური?

ერთობის კაცები სოფლიდან სოფელში დადიოდენ და ხალხს ატყობინებდენ:

— ხალხნო, ამხანაკებო, მეზობლებო! ამა და ამ ადგილას დიდი ფავყრილობაა და, იცოდეთ, არავინ დააკლდეს, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს! ვინც დააკლდება, იმას ბოიკოტი არ ასცდება.

ბიბლიოთეკა

— და ჩვენ, ბოიკოტის შიშით კი არა, ისე, ჩვენთვის, დავდიოდით ყრილობიდან ყრილობაზე ტყეებში, ეწრებში, ჯერ ჩუმად, ბოლოს თავს ისე გაგვივიდა, რომ საამკარაოზე გამოველით და ყურს ვუგდებდით ახალთაობის კომიტეტის კაცებს, და ისინი, ის ყელკურთხეულნი, რომ ლაპარაკობდენ, გვეგონა, გულში გვისხდენ და მათი პირით ჩვენ ვლაპარაკობდით,

ჩემი მურზაც ახალთაობის კაცი იყო და ყველგან,—ყანაში, ქორწილში, წირვაზე, ტირილში, სადაც ორ კაცს ერთად თავმოყრილს წაეწეოდა,—ქადაგობდა, ლაპარაკობდა (როგორი მამის შვილი იყო?), გვიხსნიდა, გვირჩევდა, რომ ჩვენ ყველაფერს რესპუბლიკა გვირჩევნია და ჩვენ, მართალია, კარგა არც ვიცოდით რა იყო ეს რესპუბლიკა, მაგრამ ვიცოდით, რაც იყო,—კარგი იყო, და ჩვენც ეს კარგი ძალიან გვინდოდა. და ის რომ გვიხსნიდა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით, რომ ეს წუპაკი მემამულეები, ხუცები და პრისტავ-მამასახლისები თავიდან მოგვეშორებინა, ჩვენ ყველა, ერთ დიდ ანგვარში ჩაყრილი მგლების ხროვას ვგავდით და, ამ სივიწროვეში რომ ვერ ვეტეოდით, ვიღრინებოდით, ვყმუოდით და მომავალი ბრძოლების მოლოდინში კბილებს ვილესავდით, რისხვით ვაელვებდით, მაგრამ მეორე დღეს მაინც იმ რჯულძაღლ ხრცესთან მივრბოდით ჩუმად, ერთიმეორის ნამალავად, მამასახლისთან საჩივარი მიგვქონდა, იმიტომ რომ თქმა ადვილია და შესრულება ძნელი, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და, რომ ვთქვა,—ყველამ უცებ შევიგენით ახალთაობის აზრებიო, ტყუილი იქნება. ეს ჩვეულება არც ისე ადვილი ამოსაღები იყო გულიდან, მაგრამ მალე ამასაც მივეჩვიეთ და, თავისუფლებას გემო რომ გავუცანით, მაშინ მივხვდით, რომ ლაღად ვართ და ერთი ფრთის გაქნევაა საჭირო და გაფრინდებით. რა ვუყოთ მერე, ფრთა რომ არა გაგვაჩნია,—სამაგიეროდ იმედები ხომ ბლომად გვაქვს, რწმენაც და ეს რწმენა თუ დავარხიეთ,—გავფრინდებით კი არა, ცად ავალთ, იმიტომ რომ რწმენა ხეს ახმობს, ქვას ჰხეთქს და დედამიწას ადუღებს. ამ რწმენამ ჰქნა ის, რომ ჩვენ ერთიანად ავზავდით და ასე ხუილით, გრგვინვითა ელვა-ჭექით მოვედით მთელ ოდიშს: სენაკში, ზუგდიდში, აბაშაში, კორცხელში, ობუჯში, ჭაქვინჯში, ილორში, მარანში, ნაესაკოვოში და ვინ იცის კიდევ სად,—ყველგან გამოველით ჩვენ, და აზავთებულნი, რისხვით გულავსებულნი, ვიქნევდით ცაში მჯიღებს და ზურგს უკან დატენილი ფილთები, ძველებური შტუცერები, დამბაჩები, წალდები და თოხები გვქონდა ამომალული, რათა მტერს უფრო მოულოდნელად დავსხმოდით და ეს ცა თავზე რისხვად ჩამოგვენგრია.

ხემწიფის კაცებს ბოიკოტი გამოვუცხადეთ და ჩვენი ხეისთავები, ასისთავები და ათისთავები ავირჩიეთ.

მე ასისთავად დამნიშნეს და, ერთი რომ დამეძახა, მთელი სოფელი ფეხზე ადგებოდა, ქუდზე კაცი გამოვიდოდა და ისე მოვარბევდი და მოვატრამალებდი ჩვენი სისხლის მსმელებს, რომ სახლში ამბის წამღებს არ დავტოვებდი. ეს ოხერი, იმ წუთიდან, რაც მე ასისთაობა მივიღე, ვიგრძენ, რომ დიდი ძალა მაქვს,

ჭკუაც მომემატა, გავლენაც და სულ სხვა ვიყავ. მე მაშინ დავრწმუნდი, რომ ძალა-უფლება ზოგჯერ აფუჭებს კაციშვილს და, თუ საკუთარ ჭკუაზე მაგრად არა ხარ, უხეიროდ გაყოყოჩდები და ასეთი კიცის სიახლოვეს და ხელის ჩამორთმევას, ძაღლს რომ მოკიდო ხელი კუდში, ის გერჩიოს.

ჩვენ ჯერ წყნარად დავიწყეთ, მემამულეების მიწებში ჩვენი ოფლით მოწეული ჭირნახული ბატონის დაუკითხავად შინ წავიღეთ და წილის მაგიერ შავი ქვა და ცხელი ნაცარი გავატანეთ მათ მოურავებს. დედიმისის შვილი იყო და და კრინტს დასძრავდა! ჩვენ მიზეზზე ვიყავით და, თუ რამეს გაბედავდა, თივასაც ავუცელავდით; თუ ჭკუას კიდევ არ ისწავლიდა და ბუქაულს საჩივრით მიმართავდა, სახლსა და ნალიას გადავაწვავდით თავზე.

იმათ ბოქაულ-ჩაფრების იმედი ჰქონდათ, ჩვენ ჩვენი მკლავისა და ღონის,—ჩვენც ავდექით და წაველით ჯიქურ.

როცა ვერაფერი მოგვიხერხეს, მაშინ გაბრიყვება გაგვიპირეს: ჩვენთან სიარულს მოუხშირეს და გვეუბნებოდენ, ჭკუას გვარიგებდენ, რომ ეს ჩვენ კი არა ვართ, ქვეყანა რომ თავუკულმა ამოვაბრუნეთ, ეს ის ხემწიფის ფიცის გამტეხი გურულებია, სულ იმათი ბრალია ეს სიავე, მაგრამ ჩვენ არც ისე ბრიყვები ვიყავით, რომ მათი სიტყვისთვის ყური გვეგდო. მათ უნდოდათ ძმების წინააღმდეგ ავემხედრებინეთ, ძმა ძმაზე ავმდგარიყავით და მერე, წყალი რომ აიმღვრეოდა, თევზის ჭერა უფრო იოლი იქნებოდა. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ის თევზი, მათ რომ დაჭერა უნდოდათ, ჩვენ ვიყავით ამიტომ არც წყალი ავამღვრიეთ და გურულები კიდევ უფრო შევიყვარეთ. ან რა გვქონდა მათთან სამტრო და გასაყოფი? ისინი ჩვენთან იყვნენ, ჭირს ჩვენსას იზიარებდენ და, თუ ლხინი გვექნებოდა, არც ლხინში გამოვიწყვეტდით თავს. ჩვენ მათი ჭირი არ გვემეტებოდა მიწაზე დასაგდებად და ძმას მტრად რატომ მოვიკიდებდით? მართალია, ჩვენ ნაბატონარებს სულელი და ბრიყვები ვგონივართ, მაგრამ არც ისე ბრიყვები ვართ, წყალს რომ დავლევთ, ჭურჭელს მერე გავუსინჯოთ ძირი. ჩვენ კარგა ვიცოდით, რომ ჭურჭელს ძრო წყლის დალევამდე უნდა უნახო, ისიც ვიცოდით რომ ეს ძრო საიმედო იყო და ჩვენს გამაბრიყვებლებს თავმოსაგვულნი ვეუბნებოდით:

— გაგვაბრიყვონ, ბაბა, იმ გურულებმა, მოგვაღორონ, თქვენ რა გენაღვლებათ მერე? ჩვენ ძმები ვართ, ერთი სისხლი და ხორცი და ჩვენი ამბავი ჩვენ უკეთ ვიცით. ერთიმეორის ტკივილი გვესმის და ამიტომ ჩვენ ჩვენშივე გამოვრიგდებით. მარცხენა ხელი რომ ამტკივდება, მარჯვენა მალამოს დამადებს და ტკივანს მოასალბუნებს. ასე ვართ ჩვენ და ჩამოგვეხსენით, მოგვშორდით, თუ სიცოცხლე არ მოგძულებიათ! იმათ ჩვენ ძმად ვეგულვით, თქვენ მოდიხართ და გვირჩევთ ეს ძმა მტრად მოვიკიდოთ. თქვენ, ბაბა, ძაღლის შექნილს გვეძახით და გინდათ მაინც ძმად მიგიჩნიოთ და ნამდვილ ძმას გულში ხელი ვკრათ? არა, ბაბაია, ჩვენ არც ისე სულელები ვართ, რომ ამდენი ანგარიში ვერ გავწიოთ და ძმა მტერში ვერ გავარჩიოთ. რა ვუყოთ მერე, ვიყოთ ჩვენ ძაღლის შექნილ-შობილები და კუბაკები, არ გედავებით, მაგრამ ერთი მაინც იცოდეთ,— ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს. ამიტომაა, ჩვენ რომ ასე ტკბილად ვართ და, თუ ვისიმე ტყავის დახევა გვენატრება, ისევ თქვენი, იმიტომ რომ ამ ტყავქვეშ თქვენ ჩვენგან წანაგლეჯი ქონი გაქვთ ამოდებული და ჩვენ, ამ ქონის ტკბილი

სუნი რომ გვცემს. გული გვიწუხს, სული არ გვითმენს, სანამ მას უკანვე არ დავიბრუნებთ. ამიტომ, ნურას უკაცრავად, თუ თქვენი ქონის [illegible] ...ეწყუროდეს.

ბიბლიოთეკა

თქვე დალოცვილებო, ჩვენ რას გვიმტყუნებთ! თქვენ ჩვენი ქონი სულს გირჩევნიათ და ჩვენ როგორ არ გვიყვარდეს იგი, როცა ის ასე გემრიელია, ასე სულივით ტკბილი, მსუყე და თბილი? მით უფრო, როცა ქონი, როგორც ამბობენ, კაცს კარგ გუნებაზე აყენებს. იმასაც ამბობენ, მსუქანი კაცი გულკეთილიაო და თქვენ, თქვე ურჯულოებო, ასე რომ ჩასუქებულხართ ამ ჩვენი ქონით, თქვენ რამ გაგამწარათ, რომ სულიან-ხორციანად შესაჭმელად არ გვინდობთ?

სანამ შეგვჭამდეთ, – ძაღლივით ხართ, რომ შეგვჭამთ,—სუქდებით, და, რომ გასუქდებით, მერე გეცოდებით და შავის ცრემლით დასტირით ჩვენს გახრულ ძვლებს, სულს შესანდობარს უთვლით და, რადგან ხორცი უფრო ძვირფასია შესანდობარზე, გახრულ ძვლებს ისევ მოუბრუნდებით და სტირით, სტირით, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ საბრალონი ვართ,—არა, სტირით, იმიტომ რომ ჩვენ ერთი სიცოცხლე გვაქვს და არა ათი, რომ ათჯერ იტიროთ, ათჯერ დალიოთ ჩვენი სულის შესანდობარი და ათჯერ შეგვჭამოთ. ასე გულკეთილი ხართ და გვაპატიეთ, რომ მიგიხვდით გულის სიკეთეს და მოყვასისადმი ესოდენ უანგარო სიყვარულს! ახლა, ბაბა, საქმე სულ სხვანაირადაა, ახლა სხვა ანგარიშია, და ქენდურ თქვენ საქმეს! ერთი, თუ კაცი ხართ, მაჩვენეთ ის მამასულძაღლი, რომელმა სთქვა, რომ ორჯერ ორი სულ მუდამ ოთხიაო? ხან ხუთია, ბაბა, და ხან სამი. თუ ძალა გაქვს,—ორჯერ ორი იმდენია, რამდენიც შენ გინდა. ახლა ძალა ჩვენ ხელშია და ჩვენც სხვანაირად ვანგარიშობთ. ის იმათი ანგარიში იყო, ახლა ჩვენ ჩვენი ანგარიში გვაქვს. აქამდის ხომ თქვენ გვჭამდით? ახლა ჩვენ გვინდა ვჭამოთ და მოგვეცით, თუ შეიძლებოდეს, ნება შეგჭამოთ. ახლა ერთი ჩვენი კბილიც გასინჯეთ როგორია. რავა, ჩვენ თქვენზე ნაკლები მადა გვაქვს, თუ როგორ არის თქვენი საქმე? ამიტომ ნურას უკაცრავად, თუ დასაკლავად წამოქცეულები გოჭივით გაჭყვიროთ და კბილი ხორხში გაგიყაროთ. ჩვენი ორჯერ ორი ახლა ასეთია და თქვენ რას სჩივით? გაგვაბრიყვონ ჩვენმა ძმებმა, იმ ჭკუას, თქვენ რომ გვასწავლეთ, ისევ ასე ბრიყვად სიარული ვირჩიეთ და თქვენ რა გინდათ? აქამდე ხომ თქვენ გვჭამდით?—ახლა ჩვენც გვიყურეთ როგორი ჭამა ვიცით, თუ ჭამაა, ჭამა იყოს, თუ მარხვა,—მარხულობა! ჩვენ არც ერთი გვაკვირვებს და არც მეორე. ვჭამთ სვავივით, მაგრამ ძერასავით მომთმენიცა ვარ და ჯორივით ამტანი. როცა მოგვშივდება და საჭმელს ვერ ვიშოვით, წელს სარტყელით ავიკრავთ, თუ ხორაგი დახვავდა, ქამართან ერთად, ხვანჯარსაც შეუშვებთ და ისე გავიბესკნებით, რომ წელის ათრევაც გაგვიჭირდება და ახლა რომ ვანგარიშობ, მომავალ სიამოვნებათა და ჯავრის ყრის მოლოდინში ხელებს ეიშმუშნი, თავში ფიქრები ბურივით ირევა და ვითვლი მებატონეების ბოქაულის, მამასახლისისა და ჩარჩ-ვაჭრების ოდებს, დუქნებს, კანცელარიებს, ნალიებს, ხულებს, მარნებსა და ჩალისა და თივის ზვინებს, თუ როგორ შევუნთებთ ცეცხლს შურისძიების წყურვილით ანთებული თვალებით, როგორ წამოვაქცევთ მათ ეზოებში ხარებს, ძროხებს, გოჭებს, იმდოურებსა და ქათმებს და, რასაც ვერ შევჭამთ, დავირეკთ წინ და სახლებში მოვლალავთ. დავლევთ მათ

ღვინოებს, დავარბევთ მათ ოჯახებს, დავაწიოკებთ ფურნის თეთრი პურივით გაფუებულს მათ ცოლშვილს და შემოვუტევთ:

— ჰაიტ, თქვე წუპაკებო, თქვენ, გეყოთ, რაც სისხლი გვწოვეთ! ახლა ჩვენ გვიყურეთ, თუ როგორ ვიცით სამაგიეროს გადახდა!

ჰაუუ, რამდენი მრგვალად შემწვარი უშობელი უნდა შევჭამოთ ჩვენ, რამდენი ძროხის ბეჭი, წინ რომ დაიდებ და, ათლისას, მისი ორთქლი და სუნი საამოდ გხვდება პირში. რა სჯობია ახლა კელამიდებზე შემწვარ კალმახებს, ნიგვზის ფურცელში გახვეულს რომ მოგართმევენ ნივრის, ქინძისა და ძმრის საწებელით, საკუთარ ტყავში გახვეულსა და ლადარში შემწვარ ჩვილ ბატკანს ფლავითა და კუჭმაჭით გატენილს, ჩახოხბილ ქათმებსა და ძიგურის ხოხბებს, ცხელ-ცხელად მორთმეულ სუკისა და კელავერის მწვადებს, შაშხს, ლორსა და პილპილით და ქონდრით ნაკაზმ ბურაკის კუპატებს, კვერცხწაცხებულ შემწვარ გოჭებს, მის ნაწლავებსა და კუჭმაჭს ცალკე მოხრაკულს, ქარვასავით ყვითელ ჩიხირთმას, სუნელითა და პილპილით შეზავებულ მწიფე დედლის ხარშოს და ჩასაციებულ ინდოურებსა და ბატებს, ტყემალში ჩაწყობილ ვარიებს, ჩვენებურ რაიონისა და ცენიწყლის ზუთხსა და კობრებს, მჟავე წაწს, ტყემლის წვენსა და ნიგვზის ბაჟეს, პიტნაში ნაკაზმ ნადულსა და სულგუნს! გურული მძაღე, ალაყურტი, ერბოკვერცხი ნიგვზით, წითელი მხალი, ეკალა და მჟავე კიტრები? ეეხ!.. ეეხ!.. და ყველაფერი ეს შეზავებული და ნაკმაზი ტყლაპით, ქინძით, ჟაშკულავით, კამით, ომბალოთი, პიტნით, პილპილით, უცხო სუნელით, ნიახურით, ოხრახუშით, ნიგვზით ან თხილით და ზედ მორთმეული მჟავე ლახანა და ჩასაციებული პატრიჯანი პირის გასახალისებლად და ყველაფერ ამაზე ღომი, ქარვასავით ყვითელი მჭადები, ხაჭაპურები, ელარჯი და ზედ სანთლისა და ბჟოლის არაყი და, ჰაუუ, რამდენნაირი ღვინო გველის ჩვენ იქ, იმათ მარნებში! გვიცდიან, როდის მივალთ მათთან და ჭურებს თავს გადავაგლეჯთ. თქვენთან რა მაქვს დასამალი და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ნამეტანი მიყვარს ქვევრებში ასე უხვად ჩამდგარი მზის ფუცხუნა სინათლე და სული მიმდის, გული არ მითმენს, რომ ეს ღვინოები იქ დგას, ქვევრებში, და არა ჩემში. ღვინო ნაირნაირი მიყვარს, ქალებიც, კაცმა რომ სთქვას, მაგრამ ეს უკანასკნელნი ახლა ჩემ შვილებს შევატოვე და გადავწყვიტე ცოლსაც გავეყარო, მარანში გადავსახლდე და ცოლის მაგიერ ჭურებთან ვიძინო. ყოველ საჭმელს თავისი შესაფერი ღვინო უნდა, თადარიგი და წესი, რომ ღვინოების მორთმევის რიგი არ დაირღვეს. ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, კაპისტონი, ცოლიკოური, იზაბელა... ყველას თავთავისი ადგილი აქვს, ყველა ერთნაირ საჭმელთან არ დაილევა. ამდენ ხორაგსა და ღვინოს თამადაც სჭირია, მერიქიფენი, მზარეულები, მოქეიფენი, სიმღერები, ოხუნჯობა, ზმები და შაირები. და ახლა, ყველაფერ ამას რომ წარმოვიდგენ, კუჭში, გულის კოვზთან, მწოვს რალაც, პირს ნერწყვი მადგება, მკლავებში ღონე მერჩის და თავს სინანულით ვაკანჩურებ. ეეხ, ეეხ, ძნელია, ძნელი, ბაბა, როცა ეს ამოდენა ხორაგი და ღვინო მხოლოდ ფიქრებშია ასე უხვად მორთმეული და არა სუფრაზე. მათ გახსენებაზე მოთმინება მეკარგება და მზად ვარ ავიდე მაღალ ხეზე და იქიდან გადავძახო ამ სოფელსა და მთელ ქვეყანას:

— ჰაუუ, ჯიმალეფი, მივშვათ, მივშვათ მალას! ავაოხროთ ეგ ლდინძალ-ლები, თვარა, ხომ ხედავთ, შეჭამეს ამ ბალაგარებმა მთელი ქვეყანა — და ჩვენ არაფერს გვიტოვებენ!

მე რომ ასე ვარ და თავს თხასავით ვაკანჩურებ, თან ვფიქრობ ჩემთვის: ცოდვა ორნაირია, ბაბა: ერთი ის, ხორცს ნებაზე რომ მიუშვებ და გულისთქმას ხორცს ააყოლებ, თუმცა ეს არც თუ ისე დიდი ცოდვაა. მთავარი ცოდვა იმას მიქვია, როცა არაფერი გაქვს, გულისთქმას აჰყვები და მადას ფუჭად აღიზიანებ. ეს არც ხორცს არგებს რამეს და არც სულს. თუ სჭამ და არ ლაპარაკობ,—ეს კარგია: თუ სული არა, ხორცი მაინც მადლიერი დაგრჩება და ეს დალოცვილი სული განა ხორცში არა დგას?—მაშინ ისიც დალხინებულია. თუ არ სჭამ,—ეს კიდევ უარესი! საჭმელი რომ არა გაქვს და ნაირნაირზე ლაპარაკობ, ეს არაფრის მაქნისია,—ხორცს ტყუილ-უბრალოდ ამწარებს და სულს აღონებს. ამას გარდა, თუ შენი თავი არ გეცოდება, სხვა მაინც უნდა შეიბრალო! მშიერი უნდა მღეროდეს, რომ შიმშილი დააავიწყდეს, მაძღარიც უნდა მღეროდეს, რომ საჭმელი მოინელოს, სიმღერაში ჰაერი სტომაქიდან ამოუშვას და ხორაგს მეტი ადგილი დაუტოვოს. ასე რომ, ჩვენ რომ ვმღერით, ვიცინით და ვხუმრობთ, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ჩვენ მაძღრები ვართ. არა, ბაბა, ჩვენ სიმშილი გვინდა დავივიწყოთ და მომავალში გაძღომის იმედები გვამღერებს ასე. ჩვენი ხორცის მჭამელებს ეგონათ, რომ ჩვენ სიმსუქნით ვმღეროდით ასე ტკბილად. რას იზამ, მაძღარს ყველა მაძღარი ჰგონია. და ჩვენ ასე რომ ვმღეროდით, უეცრად სოფელში ხმა მოვიდა, რომ მთელი საქორთუო და ქვეყნიერება ადგა, და ჩვენც სიხარულით ფრთა შეგვესხა, კიდევ უფრო გავდიდგულდით და ისე გავმპარტავანდით, რომ ბუზის დაჯდომასაც ვთაკილობდით. ხომ გაგიგონიათ, ჭიანჭველას ფრთა რომ ამოუვა, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო? ჩვენც გაგვიწყრა ეს ღმერთი, მაგრამ ჩვენ ეს აინუნშიაც არ ჩაგვიგდია. ავდექით და ჩვენც შემოვწყერით მას და უარი ვთქვით მის რწმენაზე. ჩვენ ასე ვიანგარიშეთ: ღმერთი იმიტომ გააჩინა კაცმა, რომ მას გამოსდგომოდა და, როცა მან კეხი შეაბრუნა და ჩვენი გამოყენება დაიწყო, ავდექით და ჩვენც ზურგი შევაქციეთ მას. მე რომ ხეს ვრგავ ეზოში, ეს ხე ან ფიცრად უნდა გამომადგეს, ან ხილად და ან საჩრდილოდ, თუ არცერთისთვის არ ვარგა, მაშინ ამ ხეს ძირში ვჭრი, მაგრამ ვჭრი ისე კი არა, ზედ რომ ვიჯდე, ჯერ ძირს ჩამოვდივარ და მერე ვცემ ნაჯახს. ასე მოვექეცით ჩვენ ღმერთსაც, მაგრამ, ეს ოხერი, გულში მისი შიში მაინც მქონდა და მას რომ ვქირდავდი, ეშმაკს მაინც ვადიდებდი და მისი იმედით ვიყავი. ქვეყანაზე ორი ძალაა, მესამე არ არსებობს. როცა ერთს ჰქირდავ, მეორე კალთას გაფარებს და მეც რაც შეიძლება თბილად ვგრძნობდი თავს ამ კალთებ ქვეშ. განა სულ ერთი არ არის, თუ ვისი კალთაა იგი? ხომ გვათბობს, და ჩვენც სხვა არაფერი გვანდა. ამ ორ გზაზე ვკუნტრუშობდი მე და თან ასე ვანგარიშობდი: ღმერთი თუ შემოგვწყრა, ეშმაკი ხომ ნაღდია და, ეშმაკი თუ თან გახლავს, ღმერთი რას დაგვაკლებს? გავძვრებით, გამოვძვრებით და წინა კარში რომ ძებნას დაგვიწყებს, უკანა კარიდან სამოთხეში შევეპარებით.

და ასე, ჩვენ რომ ქვეყნის არევის ამბავი მოგვივიდა, მთლად ავიშვით თავი, მაგრამ ჯერ ცოტას კიდევ ვითმენდით: ყურძენი გვქონდა დასაწურავი,

სიმინდი მოსატეხი, კვახები დასაბინავებელი, თხილი მოსაკრეფი, ნიგოზი დასაბერტყი, შეშა მოსამარაგებელი, სახლის ბურული შესაბურავი, და, ვინ იცის, რამდენი რამ არის კიდევ ოჯახში ზამთრისთვის საჯახირო და საწვალებელი. რომ მოვისაქმებდით, ხელებს გავიცლიდით, მერე თუნდაც ცა ჩამოგვნგრეოდა თავზე, აღარ ვჩიოდით, რადგან ჩვენი საკუთარი ცა უფრო საიმედოდ გვქონდა გამაგრებული და ვინ გვყავდა მერე დამკავებელი? ქუდს ცაში ავისროდით და თუ ისე მოხდებოდა, რომ ღმერთს ჩვენი დაკონკილი ქუდიც შეეხარბებოდა და ძირს არ ჩამოგვიგდებდა,—მაშინ ჩვენ თვითონ აუვარდებოდით ცაში და იმ ჩვენი ქუდიანად ჩამოვართმევდით ძირს.

2

ჩემი ქვეყანა ბაღია, დიდი ბაღი, სადაც ყოველი ხის ძირას ეს კახპა ვენახია აშლილი და, ფესვები მიწაში რომ აქვს გაყრილი, ლერწები ცად შეუშვერია და სვამს ორივეს, სწოვს ბარაქას ცასა და მიწას, ეხუტება ამ ბჟოლებს, კოპიტებს, ნიგვზებს, თხმელებსა და ხურმებს, მიფორთხავს მაღლა და მიაქვს ცის კენწეროში, მზის გულზე, ეს სავსე მტევნები. და ის, რომ ასე მიდის მაღლა, ჩვენც ფეხდაფეხ მივყვებით მას და წუთით არ ვაშორებთ მის მტევნებს ხარბსა და მზრუნველ თვალებს,—დამწიფდება თუ არა, მოვკრიფოთ იგი. და მას, სულელს, ასე რომ იმალება ბარდში და სიხშოში, ჰგონია ვერ მივაგნებთ! ჩვენ არც ისე სულელები ვართ, რომ ჩვენს ეზოში მოსული ბარაქა ასე ღვთის ანაბარად დავტოვოთ და გიდელს რომ ავავსებთ, ჩავძახით ძირს მოდარაჯებულ მზიდავს:

— ე, ბიჭო, გიდელი!

და მიდის ძირს ეს დოვლათით სავსე კალათი, ვყრით გოდრებში და, გოდრებს რომ პირამდე ავავსებთ, ზურგზე შევიგდებთ და მივაქანებთ მარანში, სადაც ნაკურთხი წყლით ფეხდაბანილი ბიჭები გვიცდიან პირგაროფილ საწნახელში კისრამდე ჩამალულნი და, ყურძენს რომ ჩავყრით, ეს ბიჭები ფეხით დგებიან ზედ, სრესენ, მღერიან რთვლის სიმღერებს და ამ დახვავებულ სიმღერებთან ერთად მიდის სიმღერასავით ლალისფერი მღვრია ტკბილი ღარებით ქვევრებში და, რაც ქვევრებში არ ეტევა, ჩაფებში, როფებში, საარყე და ტყემლის სახარშ ქვაბებში, დუღდება იქ, ირევა, ქაფდება და ბოლოს შოშმინდება დაღვინებული.

იქვე, მარანთან, რთვლის შესაწირავი დასაკლავი თხა როა მიბმული უზარმაზარ სპილენძის ქვაბში სდუღს ფელამუში და ბაწარზე დაკიდებულ-ჩურჩხელები შრება და ედავება ბიჭებს მამაკაცურ ძლიერებაში. ჩემი ბიჭი ბახულია ძირს შესდგომია ამ ჩურჩხელებს, ერთი მტკაველი ენა წინ გადმოუგდია და პირით იჭერს ჩურჩხელებიდან ჩამოღვენთილ ფელამუშის წვეთებს და, რომ დაიჭერს, უხარია, იცინის და კუნტრუშობს ვაცივით.

ეს ჩემი ქვეყანაა ასეთი და აბა ერთი მითხარით, სად მოდის იმდენი ყურძენი, სად არის ამდენი ჯიშის ვენახი? ვარდისფერი ფუცხუნა ოჯალეში, ბაცი მარახოში ჩხავერი, თეთრი საკრახუნო კაპისტონი, შავი და ტკბილი ალადასტური, თეთრი ათინორი, მსხვილკაკლიანი შავი ხარდანი, საფელამუშე იზაბელა

წვრილკაკლიანი მოწითანო პუმპულა, კოლოში, და, ვინ იცის კიდევ რა რჯულის და რა ჯიშის ყურძენი არ ხაროობს აქ, ამ ჩემს ქვეყანაში! ეს ხეებიც ისეა დაფანჩული ამ კამურით, კრახუნით, ტოლურით, რქაწითელიანი ცოლკაურით და ათასნაირი ჯიშის ყურძნით, რომ მე არ ვიცი სად წავიღო ეს ამდენი ღვინო და, ამ დღეში რომ ვარ, ისევ ის ოხერი ოქროს გუდა მახსენდება, ბერძნებმა რომ სიმსიმად აგვაცალეს და ბრაზით გულში სულ მჯიღს ვიცემ.

ეეჰ, თხაო, თხაო! ნეტამც არ მყოლოდი მაინც, გულს ასე არ დამაკლდებოდი! ნეტავ, შენი ტკბილი კიკინი მაინც არ გამეგონა და რა უნდოდა იმ ოხერ ღმერთს!

სადაც არ წახვალ, ყოველ ნაბიჯზე ეს ვენახია და, აბა, ერთი თქვენ თვითონ მითხარით, როგორ არ ვიტირო ის დაკარგული ოქროს თხა, როცა ყველგან, ამ ჰაერში, წყალში, მიწაში, მზის მცხუნვარებაში, ქალის გუნგრავში, ტირილში, სიცილში და ვნებით დამთვრალ სისხლში და სიმღერაში ღვინოა და თრობა? როცა ყველგან, საითაც არ გაიხედავ, რთველის ზარხოშიანი სურნელებაა, დაყურსული მტევნების კრეფა და წნეხა და ეს რთველის შესაწირავი თხაც, მარანთან თხილნარში რომ მყავს დასაკლავად დაბმული, ბღავის, კიკინებს და ეძებს, ეძახის იმ თავის სასიქადულო ოქროს წინაპარს, სტირის გულადულებული და, მისი კიკინი რომ მესმის, გული მიკვდება, თვალებში ცრემლები მერევა და მზად ვარ მივიდე, მუხლებზე დავეცე, ყელზე შემოხვევით, ცანცარა წვერები დაუკოცნო, რქებზე თაფლის სანთლები აუნთო და შემდეგი სანუგეშო სიტყვებით მივმართო:

— არა, ჩემო ბეკეკავ, არა, ჩემო წვერებცანცარავ! ნუ სტირი, ოჯო, რა დროს ტირილია, როცა აგუნა ირევა დობილოში და ჭიხვინობს ვნებით გადარეული? რა უყოთ, შე კაცო, მერე ის შენი ოქროს პეპერა იმ წუნკალმა ბერძნებმა რომ მოგვპარეს, შენ თავს ცოცხალი თავით მაინც ვერ შეველევით. აი, რომ დაგკლავ, ოთხში ამოგიღებ და გამოგკუპრავ, შენ მაშინ უყურე, ღვინით რომ გაგბერავ. წავიდა, წავიდა ის ჩვენი ოქროს წვერებცანცარა, წავიდა და აღარ მოვა! წაიღეს, წაიღეს ოქროს საწმისი! ვაი დედიჩემის ღმერთს! მაგრამ, ეეხ, რა უყოთ მერე? მაინც მადლობელი ვარ განგების, შენი თავი რომ ნუგეშად დამიტოვა. არ მეშინია, ან რისი უნდა მეშინოდეს? მოვიდეს ეს ღვინო, თუნდაც კოკისპირულ წვიმად დაგვესხას თავზე, მაინც არ მეშინია. როცა შენ აქ მყავხარ, შიში რას მიქვია? დაგკლავ, ბერიკავ, ყელში დანას გამოგისვამ, ტყავში ოთხით ამოგიღებ და, რომ გამოგაკოპიტებ, გამოგკუპრავ, მერე ამ ღვინოს დავაპირქვავებ ერთიანად და სულ შენ ჩაგასხამ მაგ კიკინა ყელში, გაგბერავ, აგავსებ და, რაც შენ არ ჩაგეტევა, დარჩეს მერე, რა უჭირს, განა მე აქ არა ვარ? ჰაიტ, შე ჭინკავ, შენ! განა მარტო შენა გაქვს ყელი? მე დავლევ ამ მორჩენილ ღვინოს, მე გავიბრუჟები. რა უყოთ რომ გამოუკუპრავი ვარ, სამაგიეროდ უკეთ შევირგებ და ვიქნებით ასე მთვრალი და მხიარული ეს ორი ბედოვლათი გუდა-ტიკჭორა. რა უყოთ მერე თავი რომ არ გექნება, მთვრალს თავი რათ უნდა? სულერთია, ღვინო წაართმევს. მთვრალს ჭკუა კუჭში მიდის. და რათ გვინდა, ერთი ეს მითხარით, რას ვაქნევთ მაშინ იმ ოხრად დასარჩენ თავს, თუ საჭირო აღარ იქნება და, პირიქით, დაგვამძიმებს, კისერზე ზედმეტ

ბარგად დაგვეკიდება და შეღავათს აღარ მოგვცემს. ოო, თქვენ არ იცით რა ხალხი ვართ ჩვენ, რა გაუმაძღარნი და აღუსებელნი! სტომაქში, მეტი ღვინო რომ ჩავიტიოთ, ჰაერს სიმღერაში ამოუშვებთ, მის ადგილად ...ჩაეასხამთ და, რომ გავივსებით, შემოვძახებთ:

ბერი კაცი ვარ ნუ მომკლავ!..

რომ დავთვრებით, ბერიკებად ვიქცევით და, ამ თემშარაზე რომ გამოვალთ, ხალხი დაგვედება სიცილით, ხარხარით, ცეკვა-თამაშით და ატყდება ერთი ამბავი, ოხუნჯობა, ზმებისა და კვინწარი სიტყვების ტყორცნა, გაშაირება, ერთი მეორის ქირდვა და ზედმეტი სახელების გამოგონება.

ჯერ სად ხარ, ჩემო ბეკეკავ, ჯერ შორსაა ეს ამბავი, ჯერ ყურძენიც არ დაგვიკრეფია, რთველიც არ მოგვისრულებია!

ხეებიდან ხეებზე გასულ ვენახის ლერწებსა და ცანდებს რომ გავცქერ, მიხარია, ცქერით თვალი ველარ ძღება და ამ საქანელასავით გაკიდებულ ცანდებზე გისათხოვარი გოგოები ირწევიან და სოფელში გაისმის მათი მხიარული ტკარცალი, ჟრიამული და სიმღერა და ეს გოგოები, მტევნის მოსაკრეფად ხელს მაღლა რომ ასწევენ, შემოდგომის მზე თამაშობს მათ ფრჩხილებში და რა უყოთ რომ ორმოცდაათ წლამდე მიმიღწეია? გული მაინც ახალგაზდურათ მიძგერს და ის ჩემი ყმაწვილკაცური კვიმატი დღეები რომ გამახსენდება, ვქირქილებ, მიხარია, რომ ეს ძვირფასი დღეები ფუჭად არ გამიტარებია.

და, ასე რომ ვარ სიხარულით გამოჩერჩეტებული, თავში ათასი სულელური აზრები მებადება. იქვე, ბეკეკას გვერდით, ჩალის კონაზე, ჩემი ბახულია თიკანივით მიგდებულა, მკლავები განივრად გადუშლია და სძინავს მაჭრით მთვრალს. მე უცქერ მას, ამ ცოცხალ ტიკჭორას, და მიხარია, ვქირქილებ, რომ ის ჩემი სისხლია და ხორცი და, ახლა რომ ვიცინი, ეს იმიტომ რომ ეს ამოდენა დოვლათი ჩემი მოწეულია, ეს სიმინდით გაძეძგილი ნალია, ეს ხვავით სავსე ხულა და სხვენი, ეს ყურძნით სავსე საწნახელი, ეს ცოლი და შვილი, კეთილი და მეზობელი (ვინ მოსთვლის ჩემ სიმდიდრეს?), ეს ოხრად დასარჩენი თავიც, ყველა ჩემი ნაცოდვილარია და, ნაჯახირევი და, მათ უცქერი, თუ როგორ დაფორთხავენ ისინი, ჩემი შვილები, მეზობლები ხეებიდან ხეებზე და ერთი მეორეს გადასძახიან, სიხარულით არა ვარ კაციშვილი!

ხეებზე ღაღვით გადმოკიდებულ გიდელ-კალათებში სცვივა ყურძენი და მაჭრისა და ტკბილის სმით გაბანდალებული ბიჭები ეხუტებიან ხის ძირებს და ვნებით გამოლენჩებული თვალებით ხეებზე გასულ გოგოებს კაბის ქვეშ უტიფრად უჭიტინებენ. გოგოები წიკვინებენ, ჰკივიან და სწყევლიან, მათ კი არა, საერთოდ, ბიჭის რჯულსა და მასაფს:

— გაწყდით, ერთ დღეს გაწყდით, რა წუწკი და უტიფარი თქვენ ხართ!— ქოქოლას აყრიან ისინი მათ და ეს ქოქოლა ვნებით გაცხელებულ ღადარივით აცვივა ბიჭებს თავზე, კიდევ უფრო ღიზიანდებიან და ატრუებულნი ყურს უგდებენ, როგორ სჩივიან ისინი მათ უტიფრობაზე, უსირცხვილობაზე და თან მსუქან ხოხბებივით აკუთებულნი იფოფრებიან და კაბის კალთას ფეხებ შუა,

ქინძისთავით ერთგულად იბნევენ, მაგრამ ისევ რომ შეეხსნებათ, ხელაღლა აიბნევენ, ამოიბნევენ ისე რომ ისევ მალე გაიხსნას და რა ჰქნან საწყალმა ბიჭებმა, რა დროს სირცხვილ-ნამუსია, როცა ვნებით აჩქარებული სისხლი თავში ქროსავით სცემს და ამ ისედაც გარეტებულ თავს მთლად აბლუვებს? საწყალი, ბეჩავი ბიჭები, სიყვარულით სულ მთლად ბნდებიან და ჯანდაბას იქით წასულა, ცეცხლიც წაჰკიდებია ამ ყურძენს, ამ საწნახელს და ყველაფერს, რა დროს ესაა, როცა კაცნი აღარ არიან და დაბნედილნი, გამოთაყვანებულნი შესცქერიან მაღლა, ღმერთს კი არა,—ღამის მანათობელსა და მის პატრონს.

— დაიღუპე იქით, შე სირცხვილ-ნამუსზე ხელაღებულო, მოცილდი მაგ ხეს!—უტევენ ისინი გაკაპასებულნი, იმიტომ რომ შტოდან შტოზე ფეხი თავისუფლად ვერ მოუნაცვლებიათ, მაგრამ ბიჭი რის ბიჭია, რომ ასე იოლად დაჰყაროს იარაღი და სიყვარულს გულმკერდით არ შეხვდეს? მათ კარგად იციან, ჰგრძნობენ რომ სიყვარულში გაჯიუტება და დაჩემება ნახევარ საქმეს უდრის და რას წავლენ, ან სად უნდა წავიდენ ამაზე უკეთეს ადგილას, როცა მათი მზე და მთვარე ამ ხეზე შემომჯდარა, როცა სინათლე აქაა და სხვაგან ბნელი? ეს,—რომ იწყევლებიან, არაფერია, ეს კიდევ უფრო ანთებს მათ და გულს ქადილი ემატება. ეს,—ცეცხლზე ნავთი რომ დაასხა ისეა და, თქვენ გგონიათ, მართლა უნდათ ამ კუდიანებს რომ წავიდენ და გაეცალონ ეს ბიჭები? არა, ბაბა, არ დაიჯეროთ! ენა და სიტყვა განა იმიტომაა გაჩენილი რომ შენი აზრები ასლად გამოსთქვა? სიტყვა სინათლეა, ბაბა, სინათლე და ეს სინათლე აზრს ხან ანათებს და ხან აბნელებს. როცა გულს ვნება გეკიდება, მაშინ ეს სინათლე თვალს გთხრის ადამიანს და დანახვის მაგიერ მთლად იკარგება საგნები. სინათლე მზესავითაა, ბაბა, ანათებს, მაგრამ თვითონ მას ვერ შეხედავ. სიყვარულიც ასეა და სიტყვა სიყვარული რომ გალაპარაკებს, მისი შუქია. ეს კარგა იციან ამ ბიჭებმა, თუ არ იციან ხომ გრძნობენ? ეს მზეც ისე აჭერს მათ ამ ხეებიდან, რომ იწვიან განუკითხავად, ითუთქებიან და მაინც ვერ შორდებიან კიდევ უფრო ეფიცხებიან მას და, სანამ სავსე გიდელს ჩამოუშვებდენ ეს კუდიანები, რუტუნობენ ხვადი კატებივით აღერღილნი და განა სულერთი არ არის რას რუტუნობენ? მათ ხომ კარგა ესმით ერთი მეორის და დანარჩენი წყალსა და მეწყერს წაუღია.

ერთი მათგანი, აგერ იმ ბჟოლის ხეს რომ მიყუდებია, ბურდღუნობს რაღაცას თაფლით დამთვრალ დათვის ბოკვერივით და ბოლოს ისე დაჰკარგა აზრი და გონება, რომ იმ დღის სინათლეზე ხეზე ასვლა გააპირა. რა უნდა, კაცმა რომ სთქვას, რას აპირებს ამ ხეზე? სულ ერთია, გულის წადილს ვერ შეისრულებს, მაგრამ რომ არ შეუძლია! ეს თვითონ კი არ ადის ხეზე, სიყვარულს მიყავს იგი და, გოგონამ რომ ეს დაინახა, აწიკვინდა შეცხადებულივით, აკივლდა, მას სხვებიც წამოეხმარენ, ატკარცალდენ ბელურებივით, აყიჟინდენ და, ხელში სხვა რომ არაფერი მოჰყვათ, სახეში მწიფე მტევნებს ესვრიან. გამოქანებული ყურძენი ბიჭს სახეზე ედღლაბება, სიმწრით გახელებული კიდევ უფრო ბურდღუნებს, თავს აქეთ-იქით იქნევს და იბერტყავს სახიდან ჩამოდენილ ყურძნის წვენსა და ჭაჭას, ფრუტუნებს, თვალებს ვერ ახელს, ცხვირის ნესტოები და

ახლად აშლილი ლორთქო ულვაშები ტკბილით ეწებება და, ცოტა რომ შეფორთხდა ხეზე, ხელი მოუცდა, მოსწყდა და ძირს სნეყვა მოადინა.

ქალები ატკარცალდენ, აკისკისდენ და დასცინიან. კიდევ უფრო ალაზიანებენ ეს ურჯულოები, თავზე ლაფს ასხამენ და რა ჰქნას საწყალმა ბიჭმა? წამოჯდა, მოლუმპულ სახეს ახალუხის კალთით იწმენდს და სახეზე წურწურით ჩამოსდის ყურძნის წვენი, კურკა და ჭაჭა.

— კიდო გაბედავ ამოსვლას? კიდო გაბედავ, შე ადრე და მალე გასაციებელო, შენ?—ნიშნს უგებენ ისინი და სწყევლიან, იმიტომ კი არა, მაღლა ასვლა რომ გაბედა, პირიქით, ათრევენ, ახიაგებენ, იმიტომ რომ ასვლა ვერ მოახერხა. განა იმას, რომლისთვინაც ეს ბიჭი მაღლა მიფორთხავდა, ახლა კენწეროზე რომ გასულა და იქ კაკანობს გულგახეთქილი დედალი ხოხობივით, განა იმას ამ ბიჭზე ნაკლებ უნდოდა რომ ის მაღლა აფორთხებულიყო? მაგრამ გლახაკი ყოფილა წყეული, ჩია და იმიტომ სწყევლის მას ასე გულმოდგინედ. მერე რა, გულგახეთქილი რომ კაკანობენ, რა უშავს რომ ეშინიათ, ეს მართლა შიში კი არ არის. პირიქით, მათ ერთი სული აქვთ, სანამ ის და დანარჩენი ბიჭებიც მაღლა ავლენ, დაერევიან მათ და იმათაც ამ ყურძნის მტევნებივით დასრესენ. ეშინეით, მაგრამ ეს შიში სულ სხვა შიშია. ეს შიში შიშია რაღაც ჯერ კიდევ გამოუმეღავნებელი საიდუმლოებისა, მათ რომ არ იციან. ეს შიში გაუბედობაა, მორცხვობა და, ამას გარდა, გრძნობა იმისა, რომ რაც უფრო განაზდები, მით უფრო მიმზიდველი ხარ, უფრო ტკბილი და სასურველი, და, რამდენი მეტი ეშინიათ, იმდენი მეტად უნდათ და, რამდენი მეტს კივიან და იფოფრებიან, იმდენად მეტი ჟრუანტელი უვლისთ ტანში.

— ფუი გაგისკდა მიწა, რას გავხარ!—სწყევლიან ისინი, როცა ბიჭი წამოდგა და ყურძნით მოლუმპული სახით მაღლა აიხედა.

— შენ მომიკვდი, მომიკვდი! არ გნახე ცოცხალი!—სწყევლის ხის კენწეროდან დედალი ხოხობი და ეს წყევლა, წყევლა კი არ არის, ეს ალერსია და ამ ალერსში ცოტა დაცინვაც ურევია პილპილივით. დანარჩენებიც აგდებულად ჩამოსცქერიან მას და, მის მოლუმპულ სახეს რომ უცქერიან, იხოცებიან სიცილით, კისკისებენ და არიან ამბავში. ბიჭმა მეტი ვერ გაუძლო მათ დაცინვას, კისერი მხრებში ჩასწია, თავი პირდაპირ მხრებზე დაიდგა და ისე, ოთხად მოლუნული გაიქცა ჭის თავზე, ოწინარით ჭურჭელი ამოსწია და სახეზე წყალი შეისხა, პირს იბანს და ვნებით აალმურებულ სახეზე წყალი ოშხივარად ასდის.

მე მდგავარ მარანთან უცქერ მათ ყოფას და ვიცინი, ვქირქილებ ჩემთვის.

ვდგავარ მათ ჟრიამულში ცოდვილ ბეკეკასავით და მესმის როგორ აჩხრიალებს წყალს ქვევრში ჩასული უტუნა და სარცხით ჭურს რეცხს, როგორ ტკბილად კიკინებს ეს დასაკლავი თხა და როგორ თქაფა-თქუფით სკდება და ისრისება ფეხებ ქვეშ საწნახელში ჩახვავებული ყურძენი და ტრიშინით, ღურღურით მიდის ჯერ კიდევ დაუმაჭრებელი, პირქაფიანი და ტკბილი გამზადებულ ჭურჭელში ღარებით. და მე მეჩვენება, თითქოს ეს რთველის შესაწირავი თხის კიკინი ბარაქას ჰმატებს ღვინის გამოსავალს და მეტის ხალისითა და ხვავით მიდის, ივსება ეს გაუმაძღარ ფაშვებივით უძირო და პირდაფჩენილი ქვევრები, კოკები, ჩაფები და პიპინდება ყველაფერი, ივსება აღუვსებელი საწყაოები.

— აი-ტა-ტა-ტა, რა ხვავია, რა ხვავი, დავენაცვლე მაგის გამოსაველს! აბა, ბიჭებო, მარჯვედ, ერთი კიდევ, ერთიც შეუტიეთ და მე ამასობაში ერთი ამ თხას დავკლავ, მთელი დღე დანას მონატრებული რომ კიკინებს! — გაიძახი საწნახელში წელამდე ამაღლებულ მწნეხავებს და თან ჭის თავზე მივრბივარ თხის დასაკლავი დანის ასალესავად. და გვიმთან ჩამჯდარი დანას რომ ვლესს, თან ყურს ვუგდებ სოფლის ჟრიამულს და მიხარია რომ ამ სოფლის ძირი და ჯილაგი მე ვარ და გადაქანებული მზის გამო დაგრძელებულ ჩეროებში ჩაწოლილ სოფელში ისმის ერთი გაბმული და გაუთავებელი ყრუ ხმაურობა. იქ ვიღაც მეზობელს გადასძახის და სოფლის დედაკაცი ბავშებს აკაპასებული ეყიჟინება, აქ ქათმები კრიახობენ, ტვინდაბნეული მამალი უდროოდ ყივის და ამ შემოდგომის თბილსა და ჟრუანტელის მომგვრელ სიყუჩეში ყველაფერი სხვანაირად ისმის, ყველაფერს რაღაც ბლანდი აქვს გადაკრული და ისე ისმის, როგორც ძილში ჩაყურებული ხმაური. ხალხი, მდინარე, ხეები, მიწა, ტყის ნადირი, ხვადაგი, ფრინველი, ცხენი, ძაღლი, მზე, ცა და მიწა, ყველაფერი გატრუნულია და ყველგან დგას ნედლი მიწის, დამღრალი ფოთლების, ფოტროსა და ყურძნის სურნელება.

— ა, ცირა, გიდელი! — გაისმის ხეებიდან ხან აქ, ხან იქ. ეს ყურძნის მზიდავი ბიჭები ცარიელ გიდელს აწვდიან ხეებზე გასულ მკრეფავ გოგოებს.

იმ გოგომ, წელან რომ ის ბიჭი მიწასთან გაასწორა, ყურძნის კრეფა ყველაზე გვიან მოათავა, ალბათ, განგებ, რომ ჩამოსვლისას მარტო დარჩენილიყო, და ახლა ძირს ჩამოდის, მეორეზე უნდა ავიდეს. ბიჭი დგას ხის ძირას გულგადალეული, ეშინია ძირს არ ჩამოვარდეს და უტევს ალერსით:

— შვიდობით ჩამოდი! ნელა, არ გადმოვარდე! — და გოგომ მიწაზე ფეხის დადგმაც ვერ მოასწრო, რომ ვნებით გახურებულმა ბიჭმა ტორები დათვივით შემოჰხვია, იქვე, აყრილ ბარდში, წააქცია და ჰკოცნის, სჯმუჯნის და მე მათ ცქერაში დანა სალესავს ავაცდინე და კინალამ ბარძაყში გავიყარე. გულმა მაინც არ მომითმინა და, როცა ისინი ბარდში ჩაიძირენ, წამოვიწიე და გვიმს ამოფარებული, უცქერ გაფაციცებით, მინდა გავიგო თუ ვისი გამარჯვებით დასრულდება ეს ბრძოლა და თან ჩემი ახალგაზრდობის დღეები ახსენდება და ეს, ის კი არ არის, ის ბიჭი მე ვარ და მე ჩემს ახალგაზრდობას უცქერ, ხორცი რომ შეუსხამს, ვაქეზებ აქედან ოდნავ გასაგონად და თან გულში მჯიღს ვიცემ:

— მასე, ჰო, მასე უნდა მაგ კუდიანს, მთლად რომ აგიგდო, აბა რა ეგონა!

და მე რომ ასე ვარ, ვხედავ, ქალი, აქამდე ხმის ამოუღებლად, კრიჭა შეკრული ძუ ვეფხვივით რომ იბრძოდა, უეცრად მოსწყდა, მოეშვა და ასე მოდუნებული, მოთვინიერებული ბიჭს მკლავზე გადაეკიდა და თან მომუდარე, მადლიერი თვალები თვალებში ჟინჟღილებივით შეანათა. ბიჭს (სულელია და რას იზამ!) ეგონა რომ ომი გათავებულია, რომ ახლა ის მისია და ვერსად წაუვა და თითონაც დაქანცულმა კლანჭები შეუშვა და გულდაიმედებულმა, ტუჩებზე დაკონება გააპირა თუ არა, გოგომ იაზრა რომ მოწინააღმდეგემ სადავეს ხელი შეუშვა და, ალბათ, თავმოყვარეობამ, ან, იქნებ, უბრალო გაბრძოლების სურვილმა, შეაკრთო იგი, ერთი შეფრთხიალდა, ბიჭს ხელი გულში ჰკრა და, რადგან ის

დანდობილი იდგა, თავი ვერ შეიმაგრა და წაპირქვავებული კოკასავით გადაგორდა. ბიჭის წაქცევა და გოგოს გაქცევა ერთი ი ნა, თან გიდელიც გაიტაცა და, სანამ ბიჭი წამოდგებოდა, ის უკვე ხეზე იყო და ლღლინებდა თავისთვის, ღიღინებდა და თან ძირს ხეზე გასულ ეშმაკ ციცუნიასავით იცქირებოდა. ბიჭმა ისევ მუდარა დაიწყო, მაგრამ გოგომ ყურადღებაც არ მიაქცია. თუ ბიჭი იყო, ხელში რომ ჰყავდა, მაშინ უნდა ევარგა, ახლა რაღა დროს ხვეწნა-მუდარა!) და ძირს აგდებით ჩასძახა:

— მაგ სისულელის პუტუნს, ერთი ეს გიდელი ამომიგდე ის სჯობია!

— ახია მაგაზე, ახი მაგ ღვთის გლახაზე! იჯდეს ახლა და გიდელი ჩამოართვას!—ვამბობ მე და ვბუტბუტებ ჩემთვის:—ყოჩაღ, ბაბა, ყოჩაღ! ძაან ბაღანა ყოფილხარ.! მასე უნდა მაგ ბრიყვსა და სულელს. ხელში ყავდი ვერ მოგიხმარა, ახლა ხეზე ხარ და რის მაქნისია, გარდა გიდელისა და ყურძნით სავსე გოდრის თრევისა? სულელი! სულელი! არ იცის რომ ქალი დავლასავითაა, თუ მაშინვე არ უპატრონე, სხვა გამოგგლეჯს ხელში. ქალი რას ჰკარგავს ბაბა? ქალს სიყვარული უნდა და თუ შენ ვერ მოახერხებ მის მიცემას, სხვაც ბევრია, უფრო მოხერხებული და კბილებ დალესილი. ქალი ხოხობივითაა, სანამ არ შეგიჭამია კლანჭი არ უნდა შეუშვა, თვარა, ერთი თუ შეუშვი, ფვიიტ, გაფრინდება.

და მე რომ ნიშნს უგებ და ვფიქრობ ჩემთვის, უეცრად დობილოს მეორე მხრიდან, ეზოს ბოლოში, ჩემი კუდიანი გოგო ქიონიაც აკრიახდა დაჭერილი დედალივით და მივხვდი რომ მის თავს არც თუ მართლა ფარსაგი საქმეა დატეხილი, მაგრამ ჩემთვის ვარ, ადგილიდან ფეხს არ ვიცვლი. რა ჩემი საქმეა, ქმარი ყავს და მან უპატრონოს. ქიონია ტკარცალობს. მას სხვებიც აჰყვენ და თვალდათვალ ვხედავ, რომ დროს ტყუილად არავინ ჰკარგავს. ეს სამგლე ბიჭები ისე ერთგულად არიან, რომ მასპინძლის ქალსაც აღარ ინდობენ. გულმა მაინც არ მომითმინა და მის ქმარს, გლახა ყვერულივით რომ დაბუზარობს მარანში, ყაშმირულად გავძახე:

— ე, ბიჭო, შე ოჯახდასაქცევო, მიხედე იმ შენ ცოლს, თვარა ხომ ხედავ დააქცია ვინცხამ შენი ოჯახი და იცხონა სული!..

ის დაბნეულია, არ იცის როგორ მოიქცეს. გული მოუვიდეს,—სცხვენია, თან ცოლისაც გატენილი თოფივით ეშინია. ყური არ ათხოვოს და ვინ იცის რას იზამს მისი ცოლი, როგორი მამის შვილია მერე?

მე შემეცოდა იგი, შემოვბრუნდი და ჩემ ყანაში ჩამოსულ მოზვერს დაუტატანე:

— ჰაიტ, თქვე სულკატიანებო, თქვენა, რა ამბავში ხართ მანდ, ჰა? ეზო და ოჯახი არ წამიწყმიდოთ, თვარა ფეხშიშველი ვერ გადამისწრებთ ჭიშკარზე!— და ამ გაძახებისთანავე მიწყნარდა ყველაფერი, მიყუჩდა და, ხეებს რომ გავხედე დობილოში, ვხედავ ქიონია ხურმის ხეს კენწეროზე მოჰქცევია და საკინძე შემოგლეჯილი, თმა გაწეწილი ისეთი საეჭვო ერთგულებით ჰკრეფს ყურძენს, რომ გამელიმა. რა ჰქნას საწყალმა, რა მისი ბრალია რომ ხორცი მამისა აქვს, სისხლიც მისია, იმ სულწაწყმედილის და ამ ხორცში მამამისის ცოდვილი და ყოვლად კვიმატი სული უდგას. ეს ბიჭიც, ასე უღვთოდ რომ აკრიახებდა ჩემ

უმანკო და ყოვლად უცოდველ ქალიშვილს, ეს ბიჭიც ისე ერთგულად ადგამს ფეხს გაძეძგილ გოდრის სიმძიმის ქვეშ, რომ თავს მაღლი ვერ ეღებს. თქვენ ბგონიათ ჩემი რცხვენია? არა, ბაბა, ეს სავსე გოდრის ბრალია. ქალიშვილ რომ აწევს და ვინ იცის, ვინ რა იცის, რომ ეს გოდორი ქიონიას სურვილებით არის ასე სავსე და თავს მაღლა არ აღებინებს. გვერდით რომ ჩამიარა, შევხედე, სახე შავი ყურძნით აქვს მოგლესილი და მომურულ სახეზე ცოდვით სავსე თვალები ისე ბრიალებენ რომ გამეცინა და მივაძახე:

— არ დაგნებდა, ხომ ის მამასულძაღლი? ხორცი გშიოდა, ბაბა, და ყურძენი გაჭამეს, არა? ამნაირი ყურძნის ჭამას, ჯაბუნაკი გეჭამა ის გერჩია. მაცა, მაცა, როგორ გაგიბედა, ა, მე იმას ვაჩვინებ თვალისეირს. ღმერთო მომკალი და უარი როგორ შემოგკადრა, ა? გლახაკი ყოფილხარ, ბაბა, გლახაკი და ჩია! ქალმა ისე როგორ უნდა აგიჩაგიროს რომ, კოცნის მაგიერ, ყურძნით ამოგიგლისოს პირი? ფუი, შენს ვაჟკაცობას!—ვაჯავრებ გაწბილებულ ბიჭს. ის წითლდება, დგას თავდახრილი, არ იცის რა მიპასუხოს და მიდის მარნისკენ დარცხვენილი.

ჩემი სიძე გაგულისებულია. მეტოქეს შუბლქვემოდან გასცქერის, მაგრამ ჩუმად არის, არ იცის როგორ მოიქცეს. ანდა რა უნდა ქნას? კარგად იცის თავისი ცოლისა და, საერთოდ, ქექიების გვარის ამბავი. იცის, თუ რა ჯინაგარი და კემუტი ხალხი ვართ. თუ იყვირა, იეჭვიანა და დაუშალა, ჯიბრით უარეს იზამს და ამიტომ ბრაზით ბოლმას ისევ გულში იკლავს.

თხა რომ დავკალი და გასატყავებლად ხეზე ჩამოვკიდე, ქიონიაც გამოჩნდა. მადლიანი რხევით მოაქვს განიერი თეძოები და, ქმარს რომ ჩაუარა, ისეთი გამქირდავი თვალით გადახედა, რომ ასეთ შეხედვას, სიკვდილი ერჩია. მერე იქვე, მიწაზე რომ მაჭრით სავსე თუნგი იდგა, აიტაცა, პირზე მიიყუდა და, რადგან თუნგში მაჭარი უკვე ძირამდე დასულიყო, თავი უკან გადასწია, თვითონაც წელში გადიზნიქა და დოვლათიანი აბურცული გულმკერდი კიდევ უფრო აებურცა და ასე სავსე და ვნებიანი, ორივე ფეხებით ისე მაგრა იდგა, მიწაზე დაბჯენილი, რომ მე აღარ ვიცოდი სად თავდებოდა ეს მიწა და სად იწყებოდა ჩემი ქალი. მაჭარს რომ სვამდა, აკვანში გამოღვიძებულმა პატარა ბიჭმა დედას თვალი შეასწრო და ტირილი დაიწყო. ქიონიამ წყურვილი მოიკლა, თუნგი ძირს დადგა, პირი კაბის კალთით შეიწმანდა და, რომ შემომხედა, გამიღიმა და მერე შვილისაკენ გაემართა. ბავშს გულის არტახები შეუხსნა და ხელები რომ გაუნთავისუფლა, აკვანს გულმკერდით გადაეფარა და ძუძუ მისცა. ბავში გაჩუმდა, ძუძეებზე ფუნთუშა ხელები ხარბად მოუცაცუნა და ასე, ბედნიერი და კმაყოფილი, თან ძუძუს სწოვდა, თან მე მიცქეროდა და თვალებს ფოლაქებივით აღვრიალებდა გულმა არ მომითმინა თხის გატყავებას თავი მივანებე, აკვანთან მიველ და შვილიშვილს მივეალერსე.

— იქით გაიწი, ბებერო, რომ ეფერები, რას ეფერები? ჩემი შვილია, შენი ხომ არაა!—შემომიტია ქალიშვილმა ხუმრობით.

მერე ბავში რომ გააძლო და ალერსით გული იჯერა, აკვნის ხარიხაზე ჩამოკიდებული კაკილები ახლოს მიუწია და წამოდგა. ცოტა გაიარა, შეჩერდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ შემომხედა, ერთი უდარდელად გადიტკარცალა და ისევ დობილოსაკენ გაიქცა ყურძნის საკრეფად.

დობილოდან ისევ ისე მოისმოდა ქალების სულშეტაცებული ტკარცალი და მაჭრით შეხურებული ბიჭების რუტუნი.

ქალიშვილი რომ მიიმალა, შემოვბრუნდი და სიძეს მივმართე:

— ჰაუუ, ჩია ყოფილხარ, ბაბა, ჩია! ქექეხეს რომ თხოულობდი, აბა რა გეგონა? კაცი, თუ ვარგიხარ, ცოლი არ უნდა გააზატო, თვარა ნათარხნ ქალს მერე, შენ კი არა, ეშმაკი ვერ მოთურგნის...

მან არაფერი მიპასუხა, თავი ჩაღუნა მხოლოდ და, ალბათ, იფიქრა: რა ღმერთი გამიწყრა, ეს რა უბედური გვარის ქალი ვითხოვეო?

ხანში შესული ქალები მიხვდენ, გულმა უაზრა რომ დობილოში ვნება კალოსავით ჩახვავდა და თვალი თუ არ მიატანეს, ვინ იცის ვისი ქალი გაბახდება ამ შემოდგომის ქორწილამდე. დადიან დობილოში, დაფარფატებენ ყვავებივით. ყველგან არიან ისინი და ისე ირჯებიან, თითქოს დიდ საქმეს აკეთებდენ და ნამდვილად, გასათხოვარ ქალებს სდარაჯობენ. თვითონაც გამოეცდებათ, იციან თუ რა მუხთალია რთველი. კარგათ ახსოვთ, თუ როგორ დასდევდენ მათ ეს ბებრები, ახლა რომ მარანთან სხედან, ყალიონს აბოლებენ და დარბაისლად ბაასობენ. მაშინ ამ ბებრებსაც ვნება ცხენივით აჭიხვინებდა და, ეს ჭიხვინი რომ გაახსენდებათ, ენანებათ რომ ახლაც ის დრო არ არის.

მეც გავცქერ ამ ჩემ დობილოს, მიხარია ეს ყურძნის ხვავი, კრეფას რომ ვერ აუდიან, და ვფიქრობ ჩემთვის:

— არ დაინდოთ, ბიჭებო, არაფრის დიდებით არ დაინდოთ ეგ თმაგრძელები! პირდაპირ მიდით, ბაბა, ჯიქურ მიდით, თვარა, თუ ელოლიავე და უცადე, სხვა დაგასწრებს და, შენ რომ ლუკმის მიზნებაში და ცდაში ხარ, სხვა წამოუქროლებს ქორივით და ხელსა და ხელს შუა აგაცლის. თუ დაინდე, მერე დანდობილი შენვე აღარ დაგინდობს, მოგჯდება ზურგზე და, მანამ გაშენებს, სანამ არ მოსწყინდება. სიყვარული და ყოყმანი სად გაგონილა? ქალს, ბაბა, ყელი უნდა მოუნახო, დრო უნდა უშოვო და, ნაშოვნი დრო თუ ვერ გამოიყენე და დაგვიანე, მაშინ ის გიშოვის ყელს და ისე გამოგჭრის, რომ ცა მაღლა იყოს და შენ მიწაზე ეგდო. დაგვიანებას ისევ ნაადრევად შეტევა სჯობია. რომ ჭკივიან, კაპასობენ, ეს არაფერია! აბა უმისოთ ხომ არ ჩაგივარდებიან პირში? ერთი აკოცეთ, ერთი და მერე, გემოს რომ გაუცნობენ, სირცხვილს ფეხს რომ დაადგამენ, ველარ მოიცილებ. რა უყოთ რომ კივიან და კაპასობენ? ცოტას იმიტომ კივიან, რომ უხარიათ, ცოტა,—ეშინიათ, ცოტას,—სურვილები აკივლებს, ცოტას ჯიუტობა და ბიჭი იმიტომაა ბიჭი, რომ მოსტეხოს სიჯიუტე, აბა ისე რის ბიჭი ხარ, რის მაქნისი, თუ გოგოს არ ერჩი? ასეა, ბაბა, კაცის ჯილაგი და რას იზამ. ჰაიტ, ეს მატყლი არ გამცვენოდა ამ ზურგზე, მე თქვენ გაყურებინებდით მაგათი თვალისსეირს და ახლა რაღა დროისაა!..

ასე რომ ვფიქრობ, მიხარია მათი ახალგაზდობა, ამას გარდა, ისიც მახარებს, რომ ნახევარზე მეტი ამათგანი ჩემი შვილებია, ზოგი ორლობეში, ზოგი ლაფაროში, ზოგი ყანაში, ზოგი წყლის პირას და ზოგი ქვერში მათ დე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებთან ქმრის ნამალავად ნაკეთები და ეს ჩემი სისხლია, ჩემი ხორცი, ამ დობილოში ასე რომ ირევა,ტკარცალობს, იცინის და სიცოცხლე უხარია.

ეს დალოცვილი დარიც თაფლივით დატკბა და მთლად გადირია, ახალგაზდობა! ეს ოქროს რახტივით დაფანჩული მზეც ღაბუა თიკანივით ჰკიდია მაღლა და კიკინებს ცაში, ტკბილად იცოხნება, ყელზე შებმულ ოქროს ეჟვანს აწკრიალებს საამოდ და, კი არ გვათბობს, თვითონ თბება, ბალაგარი, იშმუშნება თბილად მოკუჟული. ეს ხეებიც, ვენახის ბარდიც გადაყვითლდა, სისხლივით ჩაწითლდა და ყველგან დამღრალი ბალახის, ფოთლისა და ყურძნის სურნელება დგას. ყვითელი, ჯერ კიდევ მოუკრეფავი კვახის ოდენა ბიები და ალისფერი ბროწეულები კიდევ უფრო ათბობენ ჰაერს და, რომ სუნთქავ, ჰაერი ძველი ღვინოსავით მიდის ფილტვებში და ბრუვდები.

მეზობლისას ისმის როგორ სცემენ ჭოკით ხეს და ნიგოზი სეტყვასავით სცვივა ძირს. შარა გზაზე ზანტად მიტააატობენ სიმინდით გაძეძგილი და ჩალით დაზვინული ურმები.

გულმა აღარ მომითმინა, თხა საჩქაროდ საგუდედ ოთხში გამოვიღე და მეც გადაველ დობილოში. ხეზე, ყურძნის საკრაფად რომ აველ, კენწეროში მოვექეცი და ყოველ მტევანს, სანამ მოვწყვეტდე, ჯერ მარცვლის გემოს უსინჯავ, მერე ვწყვეტ და ხელის გულზე სასოებით დასვენებულს ველოლიავები:

— ჰაიტ, შე ცოდვით სავსევ, შე ლოთო, შენა! ამ სიმაღლეზე რომ ამოსულხარ, რას ფიქრობდი, კაცმა რომ იკითხოს, ა? გეგონა, დამემალებოდი და ვერ გიპოვიდი? არა, ბაბა, არა! ჩვენ არც ისე ბრიყვები ვართ, რომ ჩვენი დოვლათი ასე უპატრონოდ დავტოვოთ. მაშ რაღა ჯანდაბად გვინდა ის საწნახელი და ქვევრები? მოგკრეფთ, ბაბა, წაგიღებთ და საწნახელში რომ ჩაგახვავებთ, შენ მაშინ უყურე გაჭირვებას, ფეხით ზედ რომ შეგდგებით. ჯერ სად ხარ, წვენს რომ გამოგადენთ და დაგაღვინებთ, მერე რა მოგვაშორებს პირზე შენით სავსე კათხას, ბადიებს, კვანჩხულებს, აზარფეშებს, კულებსა და ჭინჭილებს, თასებსა და ჭიქებს! რომ დაგლევთ, გავიბრუჟებით, მაშინ დადგება შენი დრო და სამაგიეროს კისერის მოტეხით გადაგვიხდი. ჩვენ მაინც არ მოგეშვებით,—ეს სუფრული სიმღერები, თასებში მადლად ჩაშვებული ჟუჟუნა თვალები, მასპინძლის უხვი გული, ჭირვეული თამადა და მოსწრებული სიტყვა-პასუხი, სულ შენ იქნები, ნადიმში რომ დახვავდება. დაგვათვრე, აგვაშფოთე, გადაგვრიე, რათ გვინდა, წაგვართვი ეს ჭკუა! სულ მუდამ ფხიზელი მტერმა იარა! ჩვენ გიჟი გვინდა ვიყოთ და გადაგვრიე, გულს ჯავრი გადაგვყარე და, ჯავრს რომ მივაყუჩებთ, მერე გვიყურეთ, ნახეთ რა ბიჭებიცა ვართ! შენ რომ არ გვყავდე, ვინ იქნებოდა მაშინ ჩვენი ნუგეში? ეს შენ ხარ, თავი შფოთისა, ძირი სიყვარულისა და სისხლის აღრევისა, ეს შენ ხარ, მამა რომ ლოთი გყავს, დედა დაგრეხილი და შვილი გადარეული, ეს შენ ხარ, ღრჯუ კაცს მამა-პაპის ბოღმას კისერში რომ მოუყვან და ხანჯალს ჰაერში გველის წიწილივით აასივილებინებ, შენ ხარ ის, დამალულ სიყვარულს მუგუზალს ხმელი თივასავით რომ შემოეხვევი და მუნჯს ენას ამოაღებინებ, ბრძენს ჭკუას წაართმევ, სულელს მთლად გადარევ და მერე, ჰაი გიდი, გზა გვიტიეთ, გზა, ხომ ხედავთ რომ ამ ქვეყანაში ვერ ვეტევით! ეს ოხერი რა ხარ ასეთი,—ჭკუას გვართმევ და მაინც გვიყვარ-

ხარ, გვასულელებ და მაინც სულს გვირჩევნიხარ? ალბათ, იმიტომ რომ ცოცხალი ვართ, შენით გვადღეგრძელებენ, მკვდარი ვართ, შენით მოგვიხსენებენ. შენით რომ დავთვრებით, მერე ქვეყანა ვიწროა, ეს ცაც ულმერთოდ დაბალი და ჩვენ ვიხუთებით იმ სიდაბლეში, თავს ცად ავაბჯენთ და, წელში რომ ვერ გავიმართებით, ვღრიალებთ გადარეულნი:

— რა ჯანდაბამ დასწია ეს ცა ასე დაბლა?—და ბლავილით ცას თავით მივაწვებით, ავანგრევთ და, წელში რომ გავიმართებით, ახლა მეორე ეშმაკი შეგვიჯდება და გაჭენება მოგვინდება. მონდომებასა და გაჭენებას ერთს ვიზამთ და, რომ გავჭენდებით, დავიღრიალებთ:

— ჰაუუ, რა სივიწროვეა, გასაქანი არა გვაქვს! გაგვიშვით გზა გვიტიეთ!..— შევყვირებთ ამ მთებს და გაქანებულნი მის კლდეებს ჯიხვებივით დავეჯახებით, ჯირკებივით მივყრით აქეთ-იქით და, გაჭენებულნი, ქვეყნის კიდესთან რომ შევჩერდებით და უსასრულობაში გადავიხედავთ, თავბრუ დაგვეხვევა, თავს ვერ შევიკავებთ, მოსხლეტილნი გადავცვივით ამ უბსკრულებში, გავქანდებით ამ სივრცეებში. ეს ვარსკვლავებიც ოქროს ფუტკრებივით დაგვეხვევიან, იმიტომ რომ ჩვენ ტკბილი ვიქნებით შენი წვენით და, უსასრულობის შიშით შეშფოთებულნი, რომ გამოვერკვევით, ვნახავთ, თურმე ორღობის ტლაპოში გალეშილნი ვაგდივართ და, ჩვენ რომ ანგელოზი გვეხვეოდა და გვეალერსებოდა, ეს ანგელოზი ჩვენი ბეხრეკი ცოლია, ეს ოქროს ფუტკრები მისი წყევაკრულვაა და გაკაპასებული გეწევა ტალახიდან, უნდა სახლში წაგიყვანოს და მოგასვენოს. შენ ჭირვეულობ, არ ნებდები, ტალახში უფრო განივრად იშლები, ხელებს აქეთ-იქით უნიათოდ ასავსავებ და აგინებ ცოლს რჯულსა და გამომცემელს.

და ასე რომ ვიყავ ხეზე გასული და ყურძენს ვკრეფდი, უეცრად შორიდან ცხენის ფეხის ხმა შემომესმა, გზას გავხედე და ვხედავ, სოფლის ბოლოში, დიდ გზაზე, ვიღაცა ცხენს ოთხით მოაგელვებს, ხელში რაღაც ქაღალდს მოაფრიალებს და რამდენ მოსახლეს ჩაუარს, რაღაცას გადასძახებს და ამ დაძახებაზე ხალხი სტოვებს ყველაფერს და, როგორც არიან ისე, მოსდევენ მას ფეხდაფეხ.

მე გულმა ფარსაგი არ მიაზრა, შემოვბრუნდი და ნადს გადავძახე:

— არიქა, მეზობლებო, რაცხა კაი ამბავი არ უნდა იყოს ჩვენს თავს!—და ხიდან თრითინასავით ისეთი სისწრაფით ჩამოვსრიალდი, რომ თავი ვერ შევიკავე და მიწაზე სნეყვა მოვვდინე. რომ ვდგებოდი, სწორედ ამ დროს ჩამოიქროლა ჩემი ეზოს წინ იმ ცხენოსანმა და მხოლოდ ახლა ვიცან იგი,—ეს ჩვენი მამასახლისის ჩაფარი იყო, ჯოჯოხეთის ანგელოზივით მოფრიალობდა ეს მამასულძაღლი და თან ფერდაკარგული გადარეულივით მიყვიროდა:

— მალიფესტია, ხემწიფის მალიფესტია!

— ფუი, დასწყევლა ეშმაკმა, მაგ შენი ხემწიფის სახსენებელი! ეს რაცხა მალაფისტია, ახალი გადასახადი იქნება და ახლა უყურე შენ ჩვენს დაწიოკებას!—გავიფიქრე, ფიცხლავ ფეხზე წამოვიჭერ და მეც დავედევნე, მაგრამ სად გაგონილა ცხენოსანს ფეხდაფეხ დასწეოდენ? კანცელარიასთან რომ მიველ, ქაღალდი უკვე აივანზე გამოეკრათ და ხუთიოდე გლეხი კედელს გულმკერდით მიყრდნობილი კითხულობდა. რომ დამინახეს, შემომაცვივდენ და შემეხვეწენ:

— ერთი, თუ კაცი ხარ, შენ კაი ლაზღორი იცი და წაგვიკითხე, რა წერია ამ ქაღალდში!

ეროვნული

მეც მიველ და, ქაღალდს რომ დავხედე, ერთ ადგილას გავშეშდი, თვალები მივიშმუშნე, ჯერ გლეხებს გადავხედე და ვხედავ,—ისინიც მე მიცქერიან გაფოცებულნი, მერე ისევ ქაღალდს დავხედე და აღმომხდა:

— ტყვეი!

— რაია, შე კაცო, ნუ დაგვხოცე ეს ხალხი! გვითხარი, რაშია საქმე?— მომმართა საყვედურით ნატიემ.

მე ისევ მოვიშმუშნე თვალები, ისევ დავხედე, და ვხედავ, რომ ქვეყანა მართლაც თავუკულმა გადაბრუნებულა და ჩვენ ჭურში ვყოფილვართ გამომწყვდეულნი.

ქაღალდში ეწერა:

უმაღლესი მანიფესტი

წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ:

შფოთმა და არეულობამ, რომელმაც თავი იჩინა სატახტო ქალაქებსა და იმპერიის ბევრ ადგილას, დიდის მწუხარებით აღავსო ჩვენი გული. რუსეთის იმპერატორის კეთილდღეობა შეკავშირებულია ხალხის კეთილდღეობასთან, ხალხის მწუხარება—მწუხარებაა ხელმწიფისა. არეულობამ, რომელმაც ესოდენ იჩინა თავი, შეიძლება გამოიწვიოს დიდი უბედურება და საშიში გახდეს ჩვენის სახელმწიფოს სისრულისა და ერთიანობისათვის. დიდი აღთქმა ხელმწიფობის მსახურობისა ვალად გვდებს ჩვენის გონებისა და უფლების ყოველის ძალღონით ვისწრაფოდეთ, რაც შეიძლება ჩქარა მოისპოს სახელმწიფოსთვის ესოდენ საშიშნი არეულობანი. ვუბრძანებთ რა სათანადო მოხელეთ და უფლების მქონეთ იხმარონ ღონისძიებანი, რომ პირდაპირ არ იჩინოს თავი უწესოებამა, ამბოხებამა და ძალმომრეობამ და ამით დაცულ იქნას მშვიდობიანი ხალხი, მოწადინებული თავისის მოვალეობის წესიერად აღსრულებას,—ჩვენ საჭიროდ ვსცანით გავაერთიანოთ მოღვაწეობა უმაღლესის მთავრობისა, რომ ამით წარმატებით იქმნას ასრულებული ჩვენ მიერ სახელმწიფო ცხოვრების დასამშვიდებლად განსაზღვრულნი ღონისძიებანი, მოვალეობად ვაკისრებთ მთავრობას აღასრულოს ესე ჩვენი შეურყეველი ნება:

1. მიენიჭოს ხალხს მოქალექეობრივ თავისუფლების შეურყეველნი საფუძველნი, ისე რომ ჭეშმარიტად ხელშეუხებელი იყოს პიროვნება, თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა, კრებისა და კავშირისა.

2. არ შეჩერდეს მომავალი არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში, მაგრამ ახლავე, რამდენადაც შესაძლებელია იმ ცოტა ხანში, რომელიც დარჩა არჩევნებამდის, მოწოდებულ იქნას არჩევნებში მონაწილეობის მი-

საღებად მცხოვრებთა კლასები, ახლა მოკლებულნი საარჩევნო უფლებას, მხოლოდ სრული დაწესება საერთო საარჩევნო უფლებისა, ეძლევა ახლად დადგენილ საკანონმდებლო დაწესებულებას.

ბიბლიოთეკა

და 3. დადგენილ იქნას შეურყეველ წესად, რომ არცერთი კანონი არ შევიდეს ძალაში სახელმწიფო სათათბიროს დაუდასტურებლად; ხალხისაგან ამორჩეულთ ნება ჰქონდესთ და უზრუნველ იყვნენ,—ჰეშმარიტი ზედამხედველობა გაუწიონ, რომ ჩვენ მიერ დანიშნული მოხელენი კანონიერად მოქმედებდენ.

მოვუწოდებთ რუსეთის ყველა ერთგულ შვილთ გაიხსენონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, დახმარება გაგვიწიონ, რათა მოისპოს დაუჯერებელი არეულობა და ჩვენთან ერთად მოიკრიბონ ყველა ძალა სამშობლო ქვეყანაში მყუდროებისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად.

ბოძებულია პეტერგოფს ოქტომბრის 17-ს, 1905 წელს, ქრისტეს შობიდან და 11 წელს ჩვენის ხელმწიფობისას. ნამდვილზე მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი".

კითხვას რომ მოვრჩი, შემოვბრუნდი და ვხედავ—კანცელარიის აივანი და ეზო სავსეა მილეთის ხალხით და სკასავით ზუზუნებს. ისე მოზღვავებულა ეს ხალხი, რომ მე, კითხვაში გართულს, არაფერი შემიტყვია.

ერთხანს ჩვენ ასე ვიყავით გარინდებული, არ გვჯეროდა ხემწიფის წყალობა. იქნებ, ხაფანგი იყო ეს ქაღალდი? მაგრამ, რომ დავრწმუნდით და გული დავაჯერეთ, ჩავფიქრდი და ვიანგარიშე, თუ რას გვაძლევდა ეს ქაღალდი? მოქალაქეობრივი თავისუფლება ჩვენ უკვე გვქონდა მოპოვებული; კარგა ხანია, რაც ბოქაულსა და მის მამასახლისს პირში ლაგამი ამოვდეთ, სიტყვასაც პირდაპირ ვამბობდით, კრებებსაც ვაწყობდით და მაშინ მივხვდი, რომ ეს ქაღალდი მართლაც ხაფანგი იყო და იქვე, ჩემ წინ მდგომ ნატიეს მოუბრუნდი:

— ხედავ, ნატიე, რა ღვთისნიერი ხელმწიფე გვყოლია და ჩვენ კი აქამდე არ ვიცოდით! დაილოცა მისი სახელი,—გვაძლევს იმას, რაც უკვე კარგა ხანია წავიღეთ და, თუ ძალით ვერ მოგვერია, ნებით არ დავანებებთ. ეეხ, რა კეთილი ხარ შენ, უფალო ამა მიწისა!—აღმომხდა და ასე ხელაპყრობილი რომ ვიდექ, ვხედავ, სამამასახლისო კანცელარიის ალაგზე ჩემი ყურძნის მწნეხავთა მთელი ნადი გადმოვიდა, მაჭარში სისხლისფრად შეღებილი ფეხები მუხლის თავებამდე აუკარწახებიათ და ისე მოსულან ქვეყნის ამბის შესატყობად. მათი დანახვა და დაყვირება ერთი ვქენ:

— აჰაიტ, თქვე ზანტაკებო, თქვენ! აქ რა ჩემმა ცოდვამ მოგიყვანათ? მღუპავთ კაცს, ოჯახს მიქცევთ? თუ დანა გინდათ ყელში გამომისვათ, მითხარით და ჩემით გამოვისვამ, თქვენ რაღას ორჯებოდით. ვის ანაბარად დამიტოვეთ ის ყურძენი, ა? აჰაიტ, თქვე ბალაგარებო, თქვენ! თქვენ რომ აქეთ გამოიქეცით, მე ვიღასთან გავიქცე ახლა? ვის ვახარო ახლა ეს ამბავი, როცა ცა და ქვეყანას აქ მოგიყრიათ თავი? აბა სახლში, ჩემო საყვარელო ნადო, სახლში! ერთიც წავიმუშაოთ და მერე იმ კიკინა თხამ შეგვაქცევინოს თავი ვახშამზე, წელან, რომ

დავკალი!—დავძახე მათ, ნადი წინ დავირეკე და მიფდიოდით ნელა, დაფიქრებულნი, თუ რა გზას უნდა დავდგომოდით ამ მალიფესტის შესახებ. მე რომ ასე ვიყავ დაფიქრებული, გზაში ხუცესი წამომეწია და თვალებანთებულმა ყურში ჩამჩურჩულა:

— უნდა აღვდგეთ!—და ცალი ხელი მოსე წინასწარმეტყველივით ზევით ასწია.

— კი, საბალია, კი, ჩვენ უნდა ავდგეთ და თქვენ დაწვეთ, მაგრამ დაწვეთ ისე, რომ მეორედ მოსვლის დროსაც ველარ მოახერხოთ ადგომა!—ვუპასუხე მას და გზა განვაგრძე.

3

და მერე, ჰაიდაჰაა, ჩვენ რომ ამბავი ავტეხეთ!

იმავე ღამით, როცა სიმსი არსით ისმოდა და ეს უკუნეთი ცაც მიწაზე იყო ჩამოხაფრული, უეცრად სოფლის ეკლესიაზე გაჩნდა ზარების რეკა და ბუკის განწირული ხროტინი. სამრეკლოზე ჩამოკიდებულ ცაცხვის უზარმაზარ ძელსაც დაურთეს ბჟოლის კვეჟო და ძელი ისე გუგუნებდა, რომ გეგონებოდა სადღაც ღამე ტყდება და ეს მისი ნამსხვრევებია, მიწაზე რომ გრუხუნით სცვივაო. და ასე, ამ უეცარ განგაშით აწრიალებულ სოფელში, ორღობეებში, შუკებში, ეზო-ეზო დარბოდა ხალხი და ატყდა ყიჟინა:

— გამოდით!.. გამოდით!.. გამოდით!..

სოფელი არიანცდა, გაჩნდა მეზობლების გადაძახება, კივილი. უმეტესობამ არ იცოდა რაში იყო საქმე, თავგზა აბნეულები დარბოდენ ეზოებში აქეთ-იქით ჭრაქებით, ჟინჟღილებით, მუგუზლებით და ერთი მეორეს ეკითხებოდენ:

— ჰაუუ, მიქელია, დოლმინდია, ხახულია, რა ამბავია, თუ იცი, ცა და ქვეყანა რომ ფეხად ჩამოდის?

ძაღლები ყეფდენ, ღობეებზე მოვარდნილნი, სარებს ეხეოდენ და მთლად გადირივნენ, ბავშებმა ჟივილი მორთეს, დედაკაცები აწრიალდენ და ამ ყიამეთში კიდევ მეტის დაჟინებით ისმოდა, თითქოს ურიოს სცემდენ ღამეს:

— გამოდით!.. გამოდით!.. გამოდით!..

და ჩვენც, მოგეცათ ლხენა, გამოველით!

ამ გნიასში და ვახარამაცში, წიკარიდან ეზოს რომ გავხედე, ვიფიქრე: ცა მტვერად ჩამოდის და ღამე გვიფად დგება-მეთქი.

ღამეს ნისლი უკვე დაეყარა და ასე, ამ ჩამოხუთულ ღამეში, ხოლოდ აქაიქ მოსჩანდა ცის ცილა. ეს ათასი წლის ხეებიც უზარმაზარ გაშლილ ფრთებივით იდგენ ეზოში და მომეჩვენა, აი, საცაა დაირხევა ეს ფრთები და ჩვენც გავფრინდებით ამ ღამეში ამ ჩვენი ეზოებით, სახლ-კარით, ნალიებითა და ცოლშვილით.

დენთი, ჩარჩმა და ყურშუმი ყველას უხვად გვქონდა კვატულებში და საწამლეებში მომარაგებული, თოფის ფალიები სახელდახელოდ გამოუცვალეთ და, ბათქა-ბუთქი რომ ავტეხეთ, ცა ძირს ჩამოვიღეთ. სროლით გული კარგა რომ ვიჯერეთ, თოფები მხრებზე გადავიგდეთ და მივრბოდით გულამოვარდნილები ეკლესიაში, გვეშინოდა კუთხე-მეზობლებში არ გამოვწყვეტილიყავით, არ დაგვგვიანებოდა და მეზობელს შიში და ორგულობა არ შეეწამებინა.

ეკლესია რიონის პირზე იყო. ხაბოზე გადადგმული, ხაბოს იქით ჭალები, ჩქონები და ახლად აჭრილი სიმინდები, მერე რიონი და რიონს იქით ისევ საყანეები, ისევ ჩქონები, შვიარები და ეწერი თვალგადუწვდენელი. ეკლესიას წინ დიდი თემშარა ჩაუდიოდა და გვერდით, გალავანს გადაღმა, სამამასახლისო კანცელარია იდგა და ეს ჩვენი გლეხური თვალწირპლიანი ცა ამ ორ დედაბოძზე იყო დაყრდნობილი. ჩვენ ეს მამა-პაპური ცა ძალიან გვძულდა და გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, დედაბოძები გამოგვეშალა მისთვის, საძირკვლიანად დაგვექცია და ეს ჩვენი გლეხური შავი დღეზე გაჩენილი ცაც თავზე ჩამოგვენგრია და ახალ, უფრო მაღალ ცაში გაგვეყარა თოფის წამლით შერუჯული ამბოხებული თავები.

გზის მოსახვევში, იქ, სადაც ეკლესიის საყარაულო ჯარგვალის ჯიხური იდგა, მარჯვე ბიჭები ჩამსხდარიყვნენ და ყოველ ახლად მოხვავებულ ხალხს აჩერებდენ და ეკითხებოდენ:

— ვინ ხართ? რომელ მუხურიდან?

— ნაესაკოვიდან!

ანდა:

— გულეკარიდან!

ან კიდევ:

— ტყვირიდან!

ან:

— მარანიდან!

— ილორიდან!

— კოდორიდან!

— აბაშიდან!—და ვინ იცის საიდან არ მოაწყდა ხალხი თავყრილობას.

მოდიოდენ, მოდიოდენ. ან სად იყო ეს ამოდენა უზღვავი ხალხი? მოდიოდენ ცხენებით, ქვეითად და მათ დენას მაინც არ უჩნდა დასასრული.

ვიდექ გაშტერებული და მიკვირდა როდის შეატყობინეს ამდენ ხალხს დღევანდელი ამბავი, როცა ჩვენ, აგერ ყურის ძირში ვიყავით და მხოლოდ ამაღამ შევიტყეთ!

შუაღამე მიწურული იყო, რომ ეკლესიასა და გალავანს გაღმა, კანცელარიის ეზო და მისი მიმდგამი საყანეები, მინდვრები და ჭალები ხალხით პირამდე აივსო, და ეს, ხალხი კი არ იყო, ამ ჩახვავებულ დაბლობში რომ გუგუნებდა,—ეს ღამე იყო, ჩვენი ღამე, ამაღამ რომ უნდა გაგვეთენებინა და სისხამი დილის გარიჟრაჟს რიანცითა და წითელი დროშებით უნდა შევხვედროდით.

ყველგან ცეცხლები ენთო, ტკაცუნობდა ახალი ნასთვლევი, ჯერ კიდევ ნედლი ჩაჩაები და თხმელის მორები და ნალობარები. იდგა ყიჟინა, ჟრიამული. ხალხი გუგუნობდა, ცხენები ჭიხვინობდენ და ამ სერესკელ ხალხში გზა დაბნეულები, თავისიანებს მოწყვეტილები დაებოტებოდენ აქეთ-იქით, ეძებდენ მისიანებს და ეძახდენ:

— ტყვირელებო, ტყვირელებო, სად ხართ? ჰაუუ!..

— ჰაა-ჰა, აგერ ვართ, კაცო, რა გაყვირებს ამხელას, რაღამე დაგვაყრუე!..— უტევდენ მას იქვე, მის ცხვირწინ დაბანაკებული ტყვირელები.

— რა ვიცი, თვალი წამიხდა, დავიბენი ამ სერესკელ ხალხში, ვერ მოგაგენით!—უპასუხებდა იგი და თან ცეცხლთან საბუთიანად ეწყობოდა.

— ინავარდიებო უუ-იუუ!..—ეძახის კიდევ ვილაც თავისიანებს.

— აქით, აქით წამოდი!..

— ხაინდრავებო, უუუ!..

— აქით, აქით, მაგ ხაბოს გამოყევით და მოხვალთ!..

და ასე, ამ ძახილში, ჭიხვინში და ყიჟინაში, გაჩნდა სიმღერები, ზოგიერთებმა ცეკვა-თამაშიც გააჩაღეს.

ზოგს, ვინც შორიდან იყო, თან ცოტა საგზალი წამოეღო, ხმელი ტარანი, ყველი, სუნელში დანაყილი ნიგოზი და ცივი მჭადი, ზოგს ახლად დაწურული ცინცხალი მაჭარი დოქით და ასე, ცოტა ხანს შემდეგ გაჩნდა სმა, სმას სიმღერები მოჰყვა, და ასე სიმღერებში ადგა ეს ღამე მოდიდებულ წყლით აწეულ ხის ბოგირივით და წაიღო ღამემ.

ყოველი სოფელი და გვარეულობა ცალკე იყო დაბანაკებული და სოფლებსა და გვარეულობათა შორის გაჩნდა ქილიკობა, პაექრობა, ლაზღანდარობა, ოხუნჯობა და ერთი მეორის ხუმრობით აბუჩად აგდება და ქირდვა.

მე ტყვირელებში ვიყავ და ისინი ნაესაკოველებს ქირდავდენ, ნაესაკოველებიც მათ ტოლს არ უდებდენ და ერთიორად უპასუხებდენ. იყო ერთი ხარ-ხარი სიცილი და ყიჟინა. უგონებდენ ერთი მეორეს ათას საჯაყ საქმეებს და ასე, ლაზღანდარობაში, იმდენი იჩოჩეს მუხლის თავებზე, რომ ერთი მეორეს სამი-ოთხი ორგის მანძილით დაუახლოვდენ, და ეს ორი, ცეცხლებით განათებული ტყვირელებისა და ნაესაკოველების ბანაკი, ერთი მეორის პირისპირ დაყუნტულ მგლების ხროვას უფრო ჰგავდა. რომ გაიცინებდენ, კბილებს მტრის შემაშინებლად აელვარებდენ ცეცხლის სინათლეზე, მათ სხვა სოფლელებიც წამოექომაგენ აქეთ-იქიდან და აქეზებდენ:

— ჰე, ბიჭო, ტვირელებო, არ დაგიჯაბნონ, ნაესაკოველებმა არ წაგახდინონ, თვარა სად გინდათ მერე რომ გამოჩნდეთ?

— აბა, ნაესაკოველებო, არაფერი მაგენს არ შეარჩინოთ, აბა, ჰე!..

მე ვიჯექ ჩემთვის, ერთხანს დავაში არ ვერეოდი, უცდიდი რით გათავდებოდა ეს შექილიკება. ვიცინოდი მხოლოდ და თან მუჯლუგუნის კვრით ვაქეზებდი ჩვენს ფალავანს, ტყვირში ჩამოსახლებულ აფხაზს კერანდუხუ ზვანბაიას, მაგრამ, როცა შევატყე, რომ ნაესაკოველებმა მთლად აიჩაგირეს ტყვირელები, გულმა არ მომითმინა, ჩემი დედული ტყვირი იყო, მისი შერცხვენა ჩემი სირცხვილი იყო, ამიტომ მეც წამოვარდი, კერანდუხუ ზვანბაია უკან დავწიე, ტყვირელებს სათავეში მოვექეცი, ფალავნობა ხელში ვიგდე და ასე შევეტაკეთ ჩვენ, ეს ორი ბებერი მელა, მე,—ბათა ქექია, და ჩემი მოწინააღმდეგე, კაჟნა ესაკია ერთი მეორეს.

ნაესაკოველების ფალავანმა კაჟნა ესაკიამ რომ დამინახა, ერთი პირობა წახდა ყაძახი, მაგრამ უცებ გამოერკვა, ტყვირელებს მოუბრუნდა და გადასძახა:

— თქვენ რომ რაიმეს მაქნისი იყოთ, არც ამ ორპირულ ზუთხს მომიყვანდით დასამარილებლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩემს მიმართ განჩურად გამოტყორცნილი სიტყვა ჰაერში დაკიდირე და უკანავე გაუბრუნე:

— რას იზამ, ჩემო კაჟნა, ეს ჩემი დედული ნამეტანი ამბარტავლია, კაი თქვენთან საყაშმიროდ ვერ გამოიმეტეს,—არამიაო, მაგათთვის ქვეყნის გლახაც კმარაო და მე გამომგზავნეს. დამარილებას რას მემართლები, შეკაცო, თუ ამდენი მარილი გაქვს, მარილი ხვადაგს უხდება და მაგ შენ მეზობლებს რომ ატლეკიო, ის გირჩევნია, შაქრად შეერგებათ!..

— ჰაიტ, შე ხრონცო, შენ!..—შემომიტია კაჟნამ.—შენ რომ რომ ჭკუის პატრონი ყოფილიყავი არც იმ თხას მოგპარავდა ის ხუცესი. რომ დაჯექი და შენი თხის ხორცით სხვის ოჯახში დრო ატარე, რა იფიქრე?—თქმა და ნაესაკოველების ხარხარი ერთი იქნა. იცინოდა ყველა, დიდიან-პატარიანად, ატყდა ერთი ამბავი.

— ე, ბათა, შეკაცო, არ დაგვღუპო! ამ კუთხე-მიდამოში არ გამოგვწყვიტო! ერთი მაგათ ოხტში ამოგვიყვანე და რაც გინდა ის გვთხოვე მერე!—მემუდარებიან ტყვირელები, მაქეზებენ და თან მუჯლუგუნის კვრით გვერდები ამომანაყეს.

თხის გახსენებამ სულ მთლად გამამწარა კაცი, ცოტა წინ წავიწიე და ისე შემოუტატანე:

— ჰაი-ტა-ტა!.. რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, ის ჩემი ცოდვით სავსე ხუცესი შენ გეძებდა თურმე, შეეშალა და ჩემი თხა მოხვდა ხელში, სუფრაზე რომ მოგვართვეს, მეც შენ მეგონე და ავყვირდი:—არ ჭამოთ, არ ჭამოთ, თხა არ გეგონოთ, კაჟნაა, ესაკია მეთქი! თურმე, ჩემი თხა იყო და რა ვიცოდი.

— ეგ კაი, მარა ის ვინ იყო ასი ურემი ლახანა და პატრიჯანი რიონში რომ ჩაყარეს და ზედ იმდენივე მარილი და ძმარი დაახვავეს, დიდმარხვისთვის დამჟავდება და მთელ სოფელს გვეყოფაო?

— ის ვინ იყო?—შემოუბრუნე სიტყვა კაჟნას.—ნაესაკოველმა თხა რომ იაფად იყიდა, მერე დაფიქრდა ძაღლი იქნება, თვარა ასე იაფად რავა მომყიდიდენო. გზაში ღორი დაინახა, თხა ზედ მიუტია და, რომ არ გამოენთო, გული მოუვიდა, თქვა: „ფუი, მოგიკვდა გამომყიდველი, ძაღლადაც არ ვარგებულხარო!“. გზაში ტყვირელი შემოხვდა, იფიქრა: ტყვირელს მაინც მოვაღორებო და თხა ძაღლად შეატყუა ხელში.

— ის ვინ იყო? ტყვირელს თურმე ყანაში სადილობის ხანს ლობიის ქოთანში ხვლიკი ჩაუვარდა, დასტაცა ხელი, პირში გამოისვა და ისე გაუშვა! შენი არაფერი მინდა და ჩემსასაც არაფერს გაგატანო!

— ის ვინ იყო?—ორი ნაესაკოველი სენაკში მიდიოდენ. გზაში გაიგეს სენაკამდე ათი ვერსიაო და შუაში გაიყვეს: ხუთს მე გავიარ, ხუთს შენ და იოლად გამოვალთ, არ დავიღლებითო.

ასე ვდავობდით ჩვენ და, კარგა რომ შეეხურდით, ისეთ ამბებს უგონებდით ერთი მეორეს, რომ ქაღალდზე არ დაიწერება.

მართალი გითხრათ, არც იმათი ფალავანი იყო ჩემზე ნაკლებ ენაგატლეკილი. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა რომ ტყვირელებმა სამარცხვინოდ მოვჯაყეთ ნაესაკოველები. ისინი გაგულისდენ და, აქამდე მიწაზე რომ ისხდენ, ახლა ქეჩოაყრილ მგლების ჯგროსავით წამოიგრუზენ. მე, ცოტა არ იყოს, შევფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიანდი. მეზობლებთან ჩხუბი და ყაილა არ მეხალისებოდა, ამიტომ, შევატყე თუ არა, რომ მეტი ხუმრობა არ ივარგებს,—გავჩუმდი.

— ავაი, ღმერთო მოგვკალი, და რავა თუ ასე საქვეყნოდ გამოგვაჭენეს ამ ყრუალა ტყვირელებმა!—შესძახა ვილაცამ გულფიცხად უკანა რიგებში და მერე აყვირდა:—გამიშვით! გამიშვით, მაგ ენაგატლეკილ ყაძახთან, გამიშვით, ენა მივათალო ძირში!..

მას სხვებიც აყვნენ, ხანჯლებს, ტუკებსა და წალდებს ხელი შეავლეს, მაგრამ მარჯვე მეზობლები შუაში ჩავარდენ და გაგვაზავეს. სანამ გაგვაშველებდენ, ჩვენც ცოტა გავიქაჩეთ, წავიწიეთ, წამოვიწიეთ, ავყაყანდით, მუშტები მოვიქნიეთ, მაგრამ მალე ისევ დავშოშმინდით.

ხალხი ისევ ედინებოდა. ახალთაობის კაცებს ყრილობის გახსნა არაფრის დიდებით არ უნდოდათ, სანამ მთელი ამ არე-მარისა და მისი მიმდგამი სოფლები თავს არ მოიყრიდენ და, აბა ერთი თქვენ თვითონ მითხარით, რა გამაჩერებდა მე მოსვენებით, როცა აქ ეს ამოდენა ოლქა ხალხი იყო თავმოყრილი? მეც ავდექი და არ გავჩერდი. მაშ რა ჯანდაბისათვის მინდოდა ეს თვალები, ეს ყურები და ეს ენა, თუ ასეთ მოხერხებულ დროს არ გამოვიყენებდი? მეც ვისარგებლე დროით. არაფერი ჩემ ყურებსა და თვალებს არ გამოჰპარვია, რომ არ დამენახოს, გამეგონოს და არაფერი ჩემს ენას არ დარჩენია უთქმელი. არც ჩემ ფეხებს დაადგა კაი დღე!—სადაც ჩხუბის, სიცილის ან სიმღერის ხმა გაისმოდა, იქ მე ვიყავ თავი და დამწყები, ამიტომ ჩემი მონახვა ამ მილეთის ხალხში არც თუ ისე ძნელი იყო.

ნაესაკოველებთან ყაყანით გული კარგა რომ ვიჯერე, წელში ამაყად გავიმართე და ასე მამალი ინდაურივით ამპარტავანმა და გადიდგულებულმა ეს ბანაკად დაყრილი სოფლები ყველა სათითაოდ ჩამოვიარე და, სადაც დამინახავდენ, ხალხი მხიარული ყიჟინით მეგებებოდა.

— გამარჯობა თქვენი, მეზობლებო!—ვესალმებოდი მე მათ.—გამარჯვება თქვენი, მარნელებო! გიხარიათ ხომ, მეზობლებო, ხემწიფობა რომ გადავარდა? ვაი დედიმისის ღმერთს, რომ მის მაგიერ მე არ დამაჟინეს, თვარა მე ვიცოდი როგორ აგიჭრელებდით მაგ ზურგს მათრახებით! ეგ ოხერი თავები რომ დაკლულებივით დაგიკიდიათ, რას ფიქრობთ თუ იცით? თავი მაღლა აიღეთ, ყაძახებო, იმხიარულეთ, იმღერეთ!

ბოლოს, მაჭრის სმაში შესულ ილორელებს რომ მიუახლოვდი.—

— ჰაუუ, ბათას გაუმარჯოს, ბათას!..—ატყდა სხრიალი და ხელში ღვინით სავსე კათხა შემომაჩეჩეს. მეც მადლობის ნიშნად თავს მოწიწებით უკრავ. გალოცვის შემდეგ სიამოვნებით ვსვამ და, ცარიელი კათხა რომ გადავაგდე, ახლა ქათმის ბარკალი მომცეს ხელში. მე არც ამაზე გავაწბილე ისინი, კბილი გავკარი და თან ვოხუნჯობ და, რომ ვიცინოდით, დალესილი კბილები ცეცხლის სინათლეზე მტრის გულის გასახეთქად გვიელავდა და კბილებთან ერთად ბრწყინავდენ ჩვენი ფილთა თოფების, შტუცერებისა და სპილოს ძვლის დუმიანი ტამბაჩების ზარნიშიანი ლულები და სადაფით მოჭედილი კონდახებ. და ასე, ამ ღამეს რომ გახედავდი, ბნელი ირხეოდა და მის ტურლუნციან სილრმეებში ტახის ჯაგარივით იყო აძაგრული ეს უთვალავი ტუკები, წალდები, თოხები და ცე-

ლები, ზოგ მათგანს, რომელიც ყველაზე ბრიყვი იყო და წინდახედული, ხურ-ჯინები და ტომრები წამოელო ალაფისათვის, ზოგს საქიანი ბაწარი [illegible] საერთო გუგუნში მიდიოდა გულჩათხრობილი დუდუნით რიონ[illegible] ეს ქრიამული ეწრებში, ჩქონებში, ტყეებში და იქ, დასაკარგავში, ზღვას უერთებდა.

ყველაზე გვიან გულუხეთელები მოვიდნენ. მე მათი ჯინი მქონდა და, დავინახე თუ არა, გავიქეცი და წინ შევეგებე. მე აქაური ვიყავ და, როგორც მასპინძელმა, ყველაზე მშრალი ადგილი მოუნახე ამ რიონის დაბლობში და, რომ დაბანაკდენ, ჩემ ქვისლ ბასკან უჩარდიას დუს ცეცხლით განათებულ სახეში ჩავხედე და ისე შევეკითხე:

— თქვენი ხეისთავი ვინაა?

— მე ვარ!—სთქვა მან, თოფი დუმით მიწას დაარტყა და ლულის პირს ნიკაპით ჩამოეყრდნო.

— კაია, კაი, სიკეთე ნუ მოგეშალოსთ! ცოლის და რავა მყავს?—მოვიკითხე სიდუ დანელიხე კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

— რა უჭირს, კარგათაა!—დიდათ არ გამიბა მან ლაპარაკი, არც მე გაუგრძელე სიტყვა, შემოვბრუნდი და ყოველი მათგანი სათითაოდ ჩამოვიარე, მივესალმე, მოვიკითხე და თან ვხედავ რომ, ხეისთავისა და ორიოდე კაცს გარდა, ყველა ტუკებითაა შეიარაღებული, წალდიც ვერ გამოუმეტებიათ წამოსაღებად, ალბათ, არ დაგვეკარგოსო, სამაგიეროდ ბაწრები, ტომრები და ხურჯინები ბლომად მოუტანიათ დავლის დასატაცებლად. ყოველ მათგანს ხელში ანთებული დუს ჟინჟღილი უჭირავს და გადაბდღიალებულია ეს კუთხე-მიდამო. მე გამეღიმა, ბასკან უჩარდიასთან მოველ, მის გვერდით გავჩერდი და ისე გადავძახე გულუხეთლებს:

— დიდებულია, დიდებული, გულუხეთლებო, მარა ერთი მაინც მიკვირს, საკალანდოდ ხომ არ მოდიოდით, ჟინჟღილებით რომ წამოსულხართ და თან ლორის თავის მაგიერ ეს ვირის თავი რომ წამოგიყვანიათ?—ბასკან უჩარდიამ იწყინა, ავარდა, დავარდა და ყიჟინით ჩემკენ გამოქანდა. მას ეს უტუს ჯარიც აჰყვა, ახუვდენ და ცოცხლად გამფატრავდენ, რომ გასაზავებლად მოხვავებულ ხალხს ფეხებში ვირთხასავით არ გავძრომოდი.

თავი სამშვიდობოს რომ დავიგულე, ნელი ღიღინით, სანამ ეკლესიასთან მივიდოდი, ხაბოზე შევდექ და ამ მოზღვავებულ ხალხს ზემოდან გადავხედე. მთელი ეს რიონის დაბლობი ქოთქოთობდა, ცეცხლები, ჟინჟღილები, სიმღერა, ყაყანი, ყიჟინა და ცხენის ჭიხვინი აყრუებდა ღამეს და გულს ნათელი მომეფინა, გამარჯვების იმედი მომეცა, რომ ჩვენი საქმე წინაა და ვინ რას შემოგვბედავს, თუ ასე ერთად ვიქნებით ძნასავით შეკრული?

და ასე, ოცნებად რომ ვიყავ წასული, უეცრად ეკლესიის ეზოდან აყალმაყალის ხმა შემომესმა, ყველა იქით მირბოდა.

— რა ამბავია, ტაგუია, რა მოხდა?—შევეკითხე მე ტოჩი ძველაიას ბიჭს, ახლოს რომ ჩამომიქროლა, მაგრამ მან ხმა არ გამცა, დრო არ ჰქონდა და ეკლესიისაკენ გაიქცა.

მეც იქით გავიქეცი. ეკლესიის ეზოსთან რომ მივირბინე, ქვითკირის გალავანზე ხვლიკივით შევფორთხდი და, რომ გადავხედე, ვხედავ ... ბოლობს და არის ერთი აურზაური. გულმა არ მომითმინა, გალავნიდან ... ტა და, ადგილზე რომ მივიჭერი, ვხედავ ჩვენი მამასახლისი და ხუცესი წაკიდებულან, ერთი მეორეს გამწარებული აგინებენ, პირიდან დორბლი სცივათ და საჩხუბრად მიიწევენ, მაგრამ გამზავებელები არ უშვებენ.

მათ ჩხუბს რომ შევხედე გამეღიმა,—ის ორთავიანი არწივი გამახსენდა, ჩვენი სოფლის კანცელარიის აბრაზე რომ ეხატა, და ახლა, ამ სიბნელეში, არ სჩანდა. თუ აქამდე, ამ არწივის ორივე თავი აქეთ-იქით უტევდენ ვიღაცას (ალბათ, ჩვენ) და ქვეყანას შეჭმით ემუქრებოდენ, ახლა ისინი ერთი მეორეს მისტევებოდენ და საკუთარ გულმკერდს იწიწკნიდენ. ალბათ, ბრაზით რომ გათავდა მათი ზღაპარი. მეც ჩემი ანგარიში გავიხსენე და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი რომ ეს ანგარიში ლარივით სწორი იყო. როცა მგლები ჩხუბობენ, ცხვარი სუქდება, და ახლა, ეს ხუცესი და მამასახლისი ერთი მეორეს რჯულსა და ბალანს რომ აგინებდენ, მივხვდი, რომ დადგა დრო ჩვენი გასუქებისა და კუნტრუშისა.

ჩვენ რომ ასე ზღვასავით ავდექით, ისინი თურმე შიშით გათავებულიყვნენ. ეფიქრათ, ესაა დადგა დღე ჩვენი აღსასრულისა და ტყავს თუ არ უშველეთ, წახდა საქმეო. ამიტომ ისინიც, ერთი მეორის ნამალავად, აქეთ წამოსულიყვნენ, ხალხში შემოპარულიყვნენ და გველის წიწილებივით დასისინებდენ და თავმთსაწყლებულნი ერთი მეორეს აბრალებდენ თუ რამე უბედურება დაეტეხათ ჩვენ თავს.

ხუცესი მამასახლისის ნამალავად, ქრისტიანობრივი სათნოებით აღსავსე სიტყვებს ასისინებდა:

— მე რა შუაში ვარ, ჩემო მრევლო, ქვეყნის საქმეებს მე ვინ მეკითხებოდა, ახლა რომ პასუხი ვაგო? მე სულის მოძღვარი ვიყავ და საერო საქმეებში ხელი არ მქონდა. რომ მნდომებოდა კიდეც, არავინ გამრევდა. თქვენ არ იცით, მოყვასნო და ძმანო ჩემო საყვარელნო, ის სულძაღლი პრისტავი და მამასახლისი სულს რომ გხდიდათ, მე მაშინ ეკლესიაში შავის ცრემლებით ვსტიროდი და თქვენს სულს მამა ღმერთს ვავედრებდი. ნამეტანი შემტკიოდა გული თქვენთვის, მაგრამ რა მექნა? მე ღვთის კაცი ვარ და ჯვარისა და სახარების მეტი არაფერი გამაჩნდა. მე თქვენი სულისთვის ვზრუნავდი და ხორცის საქმეები არ მეკითხებოდა. ხორცს, ის წუპაკი მამასახლისი იყო რომ გაგლეჯდათ და, ცოცხლად რომ შეეჭამეთ, არ ენაღვლებოდა. იმან დააქცია, იმ სულძაღლმა დაამხო თავუკულმა ეს საათივით აწყობილი ქვეყანა. ის რომ არ ყოფილიყო, რა გვიჭირდა, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!

არც მამასახლისი ჰკარგავდა დროს უქმად. ხალხში აქეთ-იქით დაძვრებოდა და ეს ამსიმაღლე ყაძახი არშინივით ოთხად მოკეცილიყო და ისე ეციცქინებოდა ხალხს:

— მე სამსახურის კაცი ვიყავი, მეზობლებო, და, რასაც უფროსები მიბრძანებდენ, იმას ვაკეთებდი. დღე და ღამე თქვენთვის ვზრუნავდი, გზა თქვენთვის გამყავდა და სამართალზე თქვენთვის ვწუხდი, მარა ის სულწაწყმედილი ხუცესი საშველს არ გვაძლევდა. სულს რომ გხდიდათ, გეუბნებოდათ, სულისთვის

ვზრუნავო. ფუი, მაგენის რჯული და მასაფი არ იქნა ამ ქვეყანაზე! ომათ არიეს ეს ქვეყანა, თვარა ისე რა გვიჭირდა. ხუცები რომ არ ყოფილიყვენ, მაშინ ჩვენ აქ რა გვინდოდა ამ შუაღამით? ეხლა ჩვენ ჩვენს ოჯახში ვიქნებოდეთ ბედნიერები და გულდაგულ გვეძინებოდა.

და ასე რომ აბეზღებდენ ისინი ერთი მეოთეს, გლეხები ყურს უგდებდენ, თავს უქნევდენ და ფიქრობდენ თავისთვის:

— კი, ბაბა, კი! ორივე ცამდის მართალი ხართ. და რახან მართალი ხართ, ამიტომ გვაპატიეთ, შეგვინდეთ რამენაირად, თუ არც ერთი გვინდოდეთ და არც მეორე. მოგვეცით ნება, ამიერიდან ჩვენ თავს ჩვენვე უპატრონოთ. ჩვენ ტკივილს ჩვენზე უკვეთ ვინ მიხვდება? და, თუ საშველს მაინც არ მოგვცემთ, თოფის წამალში გაგხვევთ თაგვებივით და ასე აგაფეთქებთ რომ თქვენი მურუჟიც არ დარჩეს ამ ქვეყანაზე.

ისინი ასე რომ დაძრწოდენ მთელი ღამე, იმდენი იწანწალეს და იქაქანეს, სანამ ერთი მეორეს პირისპირ არ შეეჩეხენ.

ხუცესი რომ გულდაგულ ქადაგებაში იყო შესული, უეცრად თავს მამასახლისი წამოადგა შეუმჩნევლად. ერთხანს უსმინა მის ბეუტურს, უსმინა და, ბოლოს, სულიერმა მამამ ნამეტანი რომ აიგდო თავი და საზღვარს გადააცილა, მამასახლისმა ვერ მოითმინა და აყაყანებული მჯიღების ქნევით მისკენ გაექანა. საბალია მიხვდა რომ საქმე წაუხდა და, თუ მტერს მტრულად არ დახვდებოდა, ეს რჯულძაღლი შუაში გაგლეჯდა. ანაფორა უცებ მოიძრო, იქით მიაგდო და ასე სულის მჭამელმა ხორცის მჭამელს შეუტია.

— ერთი ამ არამზადას დამიხედეთ, ა!..—აყვირდა მამასახლისი და გაპოტიკებული ულვაშები ბრაზით ჯორის ყურებივით აქეთ-იქით გააცმაცუნა.—ურჯულო და თათარი რომ არ იყო, არც ამ შუღლსა და უთანხმოებას ჩამოაგდებდი!.. გველის წიწილივით რომ დასისინებ და ხალხს ურევ, ეს გასწავლა შენ მამაღმერთმა? გეყო რაც ქვეყანა ატყუე და ჭამე!.. გეყო!..

ხუცესი გამწარდა.

— ჩემი შენ გითხარიო, სწორედ ესაა!..—აღმოხდა მას.

ის ფიცხი იყო, ეს სიტყვები რომ სთქვა, გულს ცეცხლი მხოლოდ მაშინ შემოენთო გაგანიასავით. სიმწრით ერთი ლეკვივით დაიწკმუტუნა და მისკენ გაექანა, მაგრამ ხალხმა რომ არ გაუშვა, ბრაზით სულ თითები დაიკბინა და ყმუოდა, კვნესოდა სულშეიწრებული:

— გამიშვით, გამიშვით, მაგ კაცის ხორცის მაჭამელთან, გამიშვით, ნუ მაკავებთ და მე ვიცი მერე მაგის ამბავი!.. ერთი მაგის სისხლი დამალევინეთ და მერე მომკალით თუ გინდა!.. ჰაიტ, შე სისხლის მსმელო შენ!.. გეყო, ბიძია, გეყო რაც გვანი და სისაძაგლე ჭამე, აწი მეც მიყურე რავა უნდა ჭამა!..—ყვირის ხუცესი და ხალხი იხოცება სიცილით.

ყაყანზე მეც იქვე გავჩნდი, ფეხი რაღაცას წამოვდე, ავიღე, ვხედავთ ანაფორაა, ცოტა გრილოდა და ზედ ჩავიცვი. და, ისინი ერთ ამბავში რომ არიან, მე ანაფორაში შემოსილი, ციდან ჩამოფრენილი მშვიდობიანობის ანგელოზივით ხან აქეთა ვარ და ხან იქით. ხან ხუცესს ვამხედრებ მამასახლისი წინააღმდეგ, ხან მამასახლისს და ისინი, ერთი კიბესავით აყუდებული და მწევარივით გაწურული, მეორე, დაბალი და ბურთივით მრგვალი, ასკდებიან ერთი მეორეს.

სიცილი რომ შესწყდა და ცოტა მყუდროება ჩამოეშვა, აღმომხდა:

— ავაი, ჯიმა ღურელი!.. ღმერთო მომკალი, და, მე რომ ანთიმოზი ვიყო, ამას არაფრის დიდებით არ შევარჩენდი!.. ხედავ ამ გასაპარსავს რაებს ეტეკავს მამასახლისს, ა?..—ვამბობ განჩურად, ისე რომ მამასახლისმა გაიგონოს.—რა მყრალი რამე ყოფილა, ხალხნო, ეს ხუცესი, ა?—ვკვირობ მე.—თხა ხომ შემიჭამა, ახლა გვანსაც მოსდგა!..—ხალხი ხარხარობს და ეს ხარხარი გამოძახილის გამოძახილებად მიდის ამ რიონის ჭალებში.

მამასახლისი ისეა ბრაზით ტვინდაბნეული, რომ ვერაფერს მამჩნევს და ყვირის აბორგებული:

— გამიშვით! გამიშვით, მაგ ქურდი ხუცესთან!..

— გამოუშვით, გამოუშვით!..—ყვირის ხუცესი.—გამოუშვით მაგ ძაღლის გვანი, გავგლიჯო შუაში!..—მაგრამ ხალხი არ უშვებს და ორივე გაკავებული ჰყავთ.

მე გული მომივიდა. ანაფორის კალთები ამოვიკარწახე, გამზავებლებთან მივიჭერ და ვეხვეწვები:

— გაუშვით, მეზობლებო, გაუშვით, გაგლიჯოს შუაზე. ეგ კაცი არ ერიდება და თქვენ რაღას ისვრით ხელს? ასეთი უქნიათ რომ დაუჭამიათ ერთი მეორე, თქვენ რა გენაღვლებათ, არ ვიცი! ხომ ხედავთ, ერთიც გვანი ყოფილა და მეორეც. თუ მაგათ არ დაჭამეს ერთი მეორე, მერე ჩვენ გაგვიხდებიან შესაჭმელი და რათ შვრებით ამ საქმეს?—მაგრამ არ დამიჯერეს. ერთი ერთ მხარეს წაიყვანეს, მეორე მეორე მხარეს და ისე გააწყნარეს.

და ჩვენ რომ ასეთ ამბავში ვიყავით და ირგვლივ გნიასი კორიანტელივით იდგა, სოფელში იბჟუტებოდა ჩვენი კერიები და კერიის ირგვლივ შემომსხდარ ჩვენ ცოლშვილს არ ეძინა, ყურს გვიგდებდა ღამეში, თუ რას სჩავდიოდით ჩვენ, მათი ქმრები, მამები, ძმები და კეთილ-მეზობლები.

სოფლებიდან ისევ აწყდებოდა ხალხი თავყრილობას და ასე, აბობოქრებული და ამდგარნი გადავყიოდით მთელ საქორთოს, ჩვენ ხმასაც ვაწევდით საერთო საქმეს და ფიცს ვდებდით, რომ მათთან ერთად ვართ, მათი ძმობა გვწყურია, ერთობა და სიხარული.

ბუკი ისევ ხროტინობდა და ზარავდა ღამეს, ეს ცაცხვის ძელიც გუგუნობდა და გულს ამცირებდა, ზარები რეკდენ და ამ ღრიანცელში ცაცხვებთან, ცეცხლის სინათლეზე, უეცრად აფრიალდა წითელი დროშა და ბნელში ისე ირხეოდა, თითქოს ღამეზე სისხლი გადაელვაროს ვინმეს. ეს სისხლი ჩვენი გულიდან იყო გადმონთხეული, დროშა გულში გვეხეთქებოდა და სისხლთან ერთად გადმოვანთხიეთ:

ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს!...

და ეს სიმღერა სიმღერა კი არა, მუქარა იყო, ბრძოლის ყიჟინა და იერიში.

შვიდობით ახლა თქვენ, ჩვენო ბატონებო, მემამულეებო, ბუჯუებო და ხუცებო! გათავდა, ბოლო მოეღო თქვენს ლხინსა და დიარს! გვეყო! მერე რა უყოთ, თუ ლხინში და სიმთვრალეში ზოგი თქვენგანი ხელში წიწილივით შემოგვაკვდება? რა უყოთ, საცა ლხინია და დღეობა, იქ ჯამ-ჭურჭელიც იმტვრევა, ჩვენც ავიღებთ ამ ჯამ-ჭურჭელს და თავზე დავიმტვრევთ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ტიციან ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი კოლხიდა *)

(სუბტროპიკული პოემა)

II. კოლხიდის ჭაობის ამოშრობა

კოლხიდამ ძველი სახელი მდიდარი ქვეყნისა, რომელიც ყოველი მხრიდან იწვევდა კოლონიზატორებს, დიდი ხანია დაკარგა.

როგორც მოვიხსენეთ, ჯერ კიდევ დე-მონსპერო დასტიროდა ამ გაპარტახებულ ქვეყანას, რომელსაც არავითარი ნიშან წყალი არ შერჩა ოქროს მდინარეებისა.

უფრო საგრძნობი შეიქნა კოლხიდის მეურნეობის დაცემა, რევოლუციის წინა ხანებში. რაღაც ბედის ირონიით ქუთაისმა მაინც შეირჩინა ძველი გერალდიკა და ქალაქის გერბს მაინც ამკობდა ბოლო ხანამდე ოქროს ვერძი—მაგრამ ეს ამ ხანად უფრო დაცინვას წააგავდა ისეთი იყო მეურნეობის განადგურება და ხალხის გაღარაბება. აშკარა იყო მეორე ბუნება კოლხიდისა, როგორც ჭაობიანი და ჟამიანი ქვეყნისა, როგორც ტროპიკულ მალარიის ბუდობისა უფრო მტკიცდებოდა და ქვეყანას გადაშენებით ემუქრებოდა. ამ მეორე ბუნების გადალახვა, კოლხიდის ჭაობების ამოშრობა და მეორენეობის ახალ ნიადაგზე დაყენება თავის ამოცანად დასახა საბჭოთა ხელისუფლებამ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში.

ამ ნაირად კოლხიდის პრობლემა ჩაიჭედა ხუთწლიან გეგმაში.

უეჭველია შეუძლებელი იქნებოდა კოლხიდის პრობლემის ცალკე გამოყოფა—ის უნდა შეზრდოდა საერთოთ საბჭოთა კავშირისა და კერძოთ ამიერ კავკასიის სახალხო მეურნეობის გეგმას.

თავისი მდგომარეობით და გამოჩენილ პერსპექტივებით კოლხიდა უნდა გამხდარიყო ერთი სექტორი სოციალისტური მეურნეობის მთლიანი გეგმის ფარგლებში.

უამისოდ მას არ მიეცემოდა მასშტაბი და არც სახსარი გამოჩნდებოდა მის გარდაქმნისთვის.

აქ კოლხიდის პრობლემა ეყდრნობა ტეხნიკურ კულტურათა განვითარებას, და თავის თავად შედის დიდ ორბიტოში, რამდენადაც ცნობილია შავი ზღვის სანაპიროები, სადაც მოქცეულია კოლხიდა ერთად-ერთი სუბტროპიკულია კუთხეა საბჭოთა კავშირში.

პროფ. ა. კრასნოვი უდიდესი ენტუზიასტი და დაუცხრომელი მკვლევარი კოლხიდის ბუნებისა, რომელიც დასაფლავებულია თავის მიერ გაშენებულ ბა-

*) იხ. „მნათობი“ № 3.

თუმის ბოტანიკურ ბაღის შუაგულში, გარემოცული სუბტროპიკულ მცენარეთა ტყეებით, თავის წიგნში „სამხრეთი კოლხიდა ერთად-ერთი სუბტროპიკული მხერეა რუსეთში“—ასე ათავებს თავის გამოკვლევას: „მსგავსად ეულკანურ კუნძულის ნიადაგისა, რომელიც გაჩნდა ოკეანეს ფსკერიდან ბათომის სანაპიროებს არ ქონდა თავისი მცენარეობა, არამედ მიიღო მეზობელ კავკასიის უფრო მაღალ ადგილებიდან, სადაც ყინულის პერიოდიდან დარჩენილი იყო უმცირესი პროცენტი სუბტროპიკულ მესამე ფაზის ფორმებიდან. როგორც ცნობილია, ევროპაში განადგურებული ისინი შეინახეს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ადგილებში გაბნეული, ამიტომ გამოუყენებელი დარჩა ჰავის მხრივ უპირატესი მდგომარეობა ახალ ხმელეთისა სამხრეთზე. ადამიანის დახმარებით მათი დამკვიდრება შეეძლო მხოლოდ კავკასიის ფლორის ელემენტებს. აქ მათ შეეძლოთ გაფურჩქნილიყვენ, მაგრამ ახალი სახის მიღებას ვერ მოასწრებდენ. სამაგიეროთ ახალი ხმელეთის უპირატესობა ისეთი აღმოჩნდა, რომ მათთან დაბრუნება ადამიანის საშუალებით შეეძლო სხვა სუბტროპიკულ მხარეთა მცენარეებს, რომელიც ნაწილობრივ ევროპაშიც ცხოვრობდენ შორეულ გეოლოგიურ წარსულში. დაბრუნებული და დამკვიდრებული სამხრეთ კოლხიდაში ისინი აძლევენ მის მცენარეობას აშკარად გამოჩენილ სუბტროპიკულ ხასიათს, რომელიც განირჩევა სხვა დანარჩენ კავკასიის სანაპიროებიდან. ყველაფერი ეს ნებას გვაძლევს მივიჩნიოთ სამხრეთი კოლხიდა სხვა ბიოლოგიურ ქვეყნის კუნძულად და ერთად ერთ სუბტროპიკულ პატარა კალონად მთელ რუსეთში“. ამნაირად, თუ კოლხიდის ჭაობის ამოშრობას, როგორც ქვევით დავინახავთ, შეუძლიან მისცეს დასავლეთ საქართველოს 200 ათას გექტარამდე ახალი მიწა, რომელიც წინათ გამოუყენებელი იყო და მხოლოდ ჰაერს ალპობდა, ამას ისიც უნდა მიემატოს, რომ ეს მიწა გამოსაყენებელია, როგორ სუბტროპიკების ზონა ტეხნიკურ კულტურათა განვითარებისათვის. ამიტომაც კოლხიდის ჭაობის ამოშრობის მნიშვნელობა ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ დასამუშავებელ მიწის მომატება.

უმთავრესად ეს უდევს საფუძვლად კოლხიდის აღორძინებას. უეჭველია, ეს გრანდიოზული პრობლემა არ დაისმებოდა, რომ არ ყოფილიყო მშრომელი მასების ამოძრავება და პროლეტარული რევოლიუციას ძირიან ფესვიანად არ შეეცვალა ეკონომიური პირობები.

ამას ვერ ამჩნევდა ევროპიელი ფილისტერი ჰ. უელსი, როცა სწერდა წიგნს „რუსეთი ნისლში“, სადაც მოთხრობილია მისი შეხვედრა და საუბარი ლენინთან. ბნელით მოცულ ქალაქში, ლენინი ოცნებობდა ელექტროფიკაციაზე, რასაკვირველია, უელსს ეს ეჩვენებოდა ფანტასტიურად და მთელი გეგმა ქიმერიულად, მაგრამ ფანტაზიამ სულ მოკლე ხანში ხორცი შეისხა და დღეს პიონერსაც შეუძლია დარწმუნდეს რამდენათ თხუნელას ხედვა აქვს ლენინთან შედარებით უელსს, თუნდაც ის ასე ცნობილია, როგორც სოციალურ უტოპიების ავტორი.

ბევრათ ადრე სანამ რეალურად დაისმებოდა კოლხიდის პრობლემა, ლენინი სჭვრეტდა იმის აუცილებლობას, რომ შეუძლებელია საქართველოს და ამიერ-კავკასიის განვითარება, თუ სამეურნეო კითხვები არ იქნება დროზე დასმული და გადაჭრილი. თავის ისტორიულ წერილში აზერბეიჯანის, საქართვე-

ლოს, სომხეთის, დაღესტანის მთის რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებისადმი ლენინი სწერდა: „ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს [illegible]ებისა და მესაქონლეობის განვითარებას. რაც არ უნდა დაგვიჯღეს, მიწის მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა, ყველაზე უფრო გარდაქმნის ქვეყანას. ააღორძინებს, დამარხავს მის წარსულს და გააძლიერებს სოციალიზმში გადასვლას". ასევე ითქმის ჭაობების ამოშრობაზეც.

ეს სიტყვები სატევარივით ურტყამს საფეთქელში ყველას, ვინც ეხლა მუშაობს ბამბის ავრალზე, ვინც მისევია კოლხიდის ჭაობის ამოშრობის სამუშაოს და ვინც ამზადებს სოციალისტურ გიგანტებისთვის ტეხნიკურ კულტურათა ნედლეულს.

როგორც ირკვევა, საქართველოს წყლის მეურნეობისაგან შეკრებილ მასალებიდან და კოლხიდის ჭაობების ამოშრობის თათბირების ოქმებიდან, კოლხიდის ჭაობების ამოშრობის საკითხი ჯერ კიდევ ომის წინათ მდგარა, მაგრამ ამ საკითხის დასმას არც მაშინ და არც გასაბჭოების პირველ პერიოდში არ ქონია მიცემული გეგმიანი ხასიათი.

კოლხიდის ჭაობებს იხილავდენ ცალ-ცალკე სხვადასხვა განკერძოებულ ადგილებზე. გამოკვლევა, რომელსაც აწარმოებდენ უფრო კერძო ინიციატივით, არაფრით არ გავდა სახელმწიფო გეგმიან მუშაობას, მხოლოდ უკანასკნელ დროს მთელი სიგანით დაისვა კოლხიდის პრობლემა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის პერიოდთან დაკავშირებით.

მრეწველობის განვითარების ტემპები, კერძოთ საფეიქრო მრეწველობისა, რომელიც მოითხოვს საკუთარ ნედლეულით უზრუნველყოფას და სხვა მტკივნეული მეურნეობის საკითხები, როგორც მიწის სივიწროვე, სახალხო ჯანმრთელობის დაცვა და სხვა, დღის წესრიგში სვამს მსხვილ სამელიორაციო პრობლემებს და ერთი ასეთი პრობლემათაგანია კოლხიდის ჭაობის ამოშრობა.

ეხლა უკვე სწარმოებს გეგმიანი კვლევითი მუშაობა და კოლხიდის მელიორაციისა და სუბტროპიკულ კულტურათა საცდელი სადგურები მტკიცე ნიადაგზე დგანან.

ყველაფერი ეს გულისხმობს, რომ ჩაედგა საძირკველი იმ შენობას, რომელიც სულ მოკლე ხანში უნდა აშენდეს უდაბურ და ჭირიან ჭაობების ამომშრალ მიწაზე.

1929 წელს შესდგა ფოთში საცდელი სადგურის ორგანიზაციის მოსაწყობად თათბირი, ჩვენ მოვიყვანთ ზოგიერთ რეზოლიუციებს, რომ შემდეგ საშუალება გვქონდეს გავარკვიოთ, როგორი ტემპით მიდის მუშაობა დღეს და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას.

კოლხიდის საცდელ სამელიორაციო სადგურთან მოწყობილი თათბირი აუცილებლად სცნობს კოლხიდის ჭაობის ამოშრობის დაჩქარებას, რადგან ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთო საბჭოთა კავშირისთვის და კერძოთ საბჭოთა საქართველოსთვის. კოლხიდის დაბლობის მელიორაციასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს მნიშვნელოვანი პრობლემების მთელი რიგი, ასე საბჭოთა კავშირისთვის მთლიანად ან და ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვნად გადაწყვეტილი იქნება შემდეგი საკითხები:

ტერიტორიის სივრცის გადიდება, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას როგორც სუბ-ტროპიკული ჰავის ზონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთისა და სუბტროპიკულ კულტურათა ბაზის შექმნა.

ვალიუტის ეკონომია ხსენებულ ნედლეულობის ბაზის განვითარებასთან დაკავშირებით.

საკურორტო მშენებლობის განვითარება (საზამთრო კურორტებისა კოლხიდის სანაპიროებზე).

საქართველოსთვის გადაწყვეტილი უნდა იქნას შემდეგი პრობლემები:

სახალხო ჯანმრთელობის დაცვა, მალარიის მოსპობით, როგორც კოლხიდაში, ისე მოსაზღვრე რაიონებში.

რესპუბლიკის კულტურულ მიწის გადიდება საერთოდ და კერძოთ სუბტროპიკულ ჰავის ზონაში 200-ათასს გექტარამდე.

ხალხის აგრალურ ზედმეტ მოსახლეობის სიმწვავის შემცირება განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც ყველაზე უფრო საგრძნობია მოსახლეობის სიჭარბე.

მრეწველობის განვითარება ნედლეულობის ბაზის შექმნასთან დაკავშირებით.

განვითარება რკინის გზისა, წყლისა და მდინარის ტრანსპორტისა.

ინტესიფიკაცია და რეკონსტრუქცია კოლხიდაში სასოფლო მეურნეობისა და მისი საქონლიანობის საგრძნობლად განვითარება.

სოციალისტური სექტორის განვითარების ფართო პერსპექტივები კოლხიდის ტერიტორიაზე.

აღნიშნავდა რა კოლხიდის ჭაობის ამოშრობის ასეთ იშვიათ მნიშვნელობას თათბირი ამტკიცებდა, რომ არ არის საკმარისი შეკრებილი სტატისტიკური ეკონომიური და ბუნებრივ-ისტორიული მასალები, რომ ამ მასალების უქონლობის გამო ძნელი ხდება სასოფლო სამეურნეო პერსპექტივების საორგანიზაციო ვარიანტების შედგენა. ამ პროექტის შედგენის დროს უნდა გამოყენებული იქნას კოლხიდის სპეციფიური, ბუნებრივი —ისტორიული პირობები. აგრეთვე ნედლეული ბაზა, რომელიც ეყრდნობა სამხრეთის სუბტროპიკულ კულტურებს. ამასთან ერთად მებოსტნეობა, მესაქონლეობის წვრილი დარგები. მეღორეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა და პროდუქტიანი, სხვილრქიანი მესაქონლეობა და საკურორტო მშენებლობა.

საქართველოს წყალთა მეურნეობის მიერ შემუშავებული სადგურის ორგანიზაციის გეგმა მოწონებულ იქნა, ხოლო საჭიროდ დაინახეს ხაზი გაესვათ იმისთვის, რომ მთელი სახალხო მეურნეობისა და სოციალურ ეკონომიურ ცხოვრების რეკონსტრუქცია საბჭოთა კავშირში, მუშაობის ტემპი როგორც ჰიდრო ტეხნიკური ისე სამეცნიერო კვლევისა, რომელიც მიმართულია კოლხიდის დაბლობის, როგორც მთელ კავშირში ყველაზე უფრო სუბტროპიკულ სარტყელის მასივისა, უნდა გაძლიერებულ იქნას. მოინახოს საჭირო თანხები და საშუალებანი სამრეწველო სუბტროპიკულ ნედლეული ბაზის გასაფართოვებლად და უზარმაზარი მალარიით შეპყრობილი კოლხიდის რაიონის მოსახლეობის გასაჯანსაღებლად.

ამის შემდეგ ორი წელი მიდის.

აქ წელი უწინდელ საუკუნეს უდრის, ეხლა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლება ითქვას, რომ კოლხიდის პრობლემა მთლიანად იყოს მომწყვდეული ხუთწლედის ჩარჩოებში, ან და სავსებით გადაწყვეტილი იქნას ამ პერიოდში, მხოლოდ ეს არი რომ როგორც თავიდანვე იყო საქმის მეთაურთაგან გათვალისწინებული ცხოვრება ფაქტიურად წინ უსწრებს კოლხიდის ჭაობების ამოშრობის ტემპებს, და ამ ჟამად მთელი რიგი ორგანიზაციებისა მოედვენ ჯერ კიდევ ამოუშრობელ ჭაობებს, რომ გააშენონ კანაფისა და რამის პლანტაცია.

ამის გარდა თვითონ კოლხიდის რაიონი, ჭაობების გამოკლებით, შეიქნა სუბტროპიკულ კულტურათა ბაზა და აქ გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს.

ამიტომ ჩვენი წიგნი არ შეეხება მარტო კოლხიდის ჭაობების ამოშრობას და მომავალ სასოფლო სამეურნეო პერსპექტივის მუსიკას, აქ აგრეთვე აწერილი იქნება, ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს საერთოდ შავი ზღვის სანაპიროებზე ტეხნიკურ კულტურათა განვითარებისთვის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში.

ერთი მხრივ აწერილი იქნება ის მუშაობა, რომელიც დღეს წარმოებს კოლხიდაში, რაც სიმინდის რესპუბლიკას აქცევს უმდიდრესს სუბტროპიკულ ძვირფას მცენარეთა კულტურის ქვეყანად და მეორე მხრივ, ამის გაგრძელება, როცა ამ ზონას მოემატება 200 ათასი გექტარი ახალი მიწა, რომელიც სოციალისტურმა შრომამ უნდა წაართვას ურჩ ბუნებას და გახადოს ხალხის კეთილდღეობის საფუძვლად.

აქ ურყევი ფაქტები, მოცემული და გაკეთებული საქმე შეეწონება მომავლის მუსიკას და შესაძლებლობის ფარგლებს, რომ მთლიანად წარმოვიდგინოთ ახალი საბჭოთა კოლხიდა.

III. ნაოსნობა რიონზე

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია წარმოუდგენელია ტრანსპორტის გარდაქმნის გარეშე.

ტრანსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა დღეს და დამკვრელ ამოცანად არის გამოცხადებული ტრანსპორტზე ჩამორჩენისა და გარღვევის ლიკვიდაცია. მეტი მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე წყლის ტრანსპორტს. საკავშირო მთავრობამ გამოჰყო კიდეც წყლის გზათა მიმოსვლა, საზღვაო ტრანსპორტი და პორტის მეურნეობა ახალ წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატში.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. სტალინი და საკავშირო სახ. კომისართა საბჭოსი — ამხ. მოლოტოვი ა/წ 5 თებერვალს აქვეყნებენ თავიანთ მოწოდებას წყლის ტრანსპორტის შესახებ. ყველა პარტიულ, საბჭოთა სამეურნეო, წყლის ტრანსპორტისა, პროფკავშირებისა და კომკავშირის ორგანიზაციების მიმართ.

მოწოდებაში ნათქვამია:

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ზრდა მოითხოვს მდინარის ტრანსპორტის, მისი მუშაობის ძირეულ გარდაქმნას, გაშლილი სოციალისტური რეკონ-

სტრუქციის ტემპებთან შედარებით. ამავე დროს მდინარის ტრანსპორტი აქამდე ვერ გარდაიქმნა და მისი დახასიათება რომელიც მოცემულია ცეკას ანგარიშებში მე-16 ტე ყრილობაზე, დღემდე რჩება ძალაში. სამეურნეო-მეგრელოობა მდინარის ტრანსპორტისა ვერ აკმაყოფილებს სახახლო მეურნეობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებას წყლის ტრანსპორტისადმი.

წლიდან წლობით მეორდება საწარმოვო პროგრამის შეუსრულებლობა, აქამდე ვერ შეუდგენ რეკონსტრუქციას, დიდია ავარიის პროცენტი, არ არის შესრულებული ცეკას დირექტივა ერთმართველობის შესახებ, სუსტად გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა.

უწევს რა ანგარიშს ყველაფერს ამას საკ. კომ. პარტიის ცეკა და საბჭოთა კავშირის კომისართა საბჭო აუცილებლად სთვლიან ცხოვრებაში გატარებულ იქნას შემდეგი ზომები და ჩვენ ვიცით, რომ პრესაში და ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში ამუშავებენ ამ ზომებს.

ამ მხრივ მეტი მნიშვნელობა ეძლევა რაიონის მდინარის ტრანსპორტს და ერთ აქტიურ საკითხად დგება.

ამასთან ერთად იზრდება რიონ—პორტის როლი კოლხიდის ჭაობის დაშრობასთან დაკავშირებით და საერთოდ სუბ-ტროპიკულ კულტურათა განვითარების ფონზე.

რიონი, ანუ, როგორც ცნობილია ძველი საბერძნეთისა და რომის მწერლობაში ფაზისი—ძველადვე ითვლებოდა სანაოსნო მდინარეთ. ზოგიერთ მწერალთა ცნობით გემები ქუთაისამდეც მიდიოდნენ.

დავა სად გამოვიდენ არგონავტელები: ქუთაისში, თუ ფოთში? ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

უდავოა, რომ რიონი ძველად განთქმული იყო თავის ვაჭრობით და საქონლის გადაზიდვა ხდებობა გემებით.

წარსულ საუკუნის მესამოციანე წლებშიაც იყო ცდა რიონზე გემების მიმოსვლის აღდგენისა. ამის შესახებ შენახულია ბევრი მოგონება, მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ ორ მათგანს, ერთი ეკუთვნის კორ. ბოროზდინს „Закавказския воспоминания" (Мингрелия и Сванетия) და მეორე სახელგანთქმულ საფრანგეთის რომანისტ ალექსანდრ დუიმას, რომელმაც იმოგზაურა სამოციან წლებში ჩვენ ქვეყანაში.

კ. ბოროზდინი ასე აგვიწერს ორპირში პირველ გემის „აკერმანი"-ს შემოსვლას. ბოროზდინი სტუმრად არის ორპირში პოლკოვნიკ გეგიძესთან, რომელიც ითვლებოდა „სკაპცების" ბატალიონის უფროსად, და რომელსაც ებარა სანაოსნო პუნქტი მარანში.

— „ამ ნაირად, მაისში, როცა მე გეგიძესთან ვიყავი სტუმრად 23 რიცხვში მისტერა საზე იჯდა რამდენიმე მგზავრი, რომელნიც ფოთში მიიჩქაროდა, საუბარი შეეხებოდა დილისთვის ნავების დაქირავებას.

უცებ შორი ახლო გაისმა ზარბაზნის გასროლა—ეს რას ნიშნავს? რა უნდა აქ ზარბაზანს? მცირე სიჩუმის შემდეგ ვიღაცამ სთქვა—ეს ალბათ თოფის გასროლის ხმა იყო და თუ ასეთი ძლიერი ხმა იყო ეს ალბათ იმიტომ, რომ წყალში იყო გასროლილი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ზარბაზანის ხმა განმეორდა და ეზოში ატყდა ხმაურობა. გაისმა ხმა.

— გემი, გემიო!

იმ წამში ჩვენ ნაპირზე გავჩნდით და დავინახეთ პირველი, სრულიად მოულოდნელი გემი რომელიც აპობდა რიონის ზვირთებს.

აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. გემიდან ერთხელ კიდევ გაისმა სალიუტი და ნაპირიდან ვაშას ძახილი. მალე ნავთსადგურთან აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, გადმოაგდეს ტრაპი და ნაპირზე გამოვიდა კაპიტანი.

კაპიტანი მიიღეს, როგორც ძვირფასი სტუმარი და მალე მან გადმოგვცა შემდეგი დაბეჭდილი განცხადება:

— კავკასიის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისთვის შავი და აზოვის ზღვათა სხვადასხვა ადგილებში, რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოებამ გადაწყვიტა გახსნას გემების მიმოსვლა რიონზე, ფოთიდან სამტრედიამდე. ამ მიზნით შეუკვეთა ინგლისში გემი, რომელიც უნდა ჩავიბაროთ პირველ ივნისს ახალი სტილით, ახლა კი ნაოსნობის დასაჩქარებლად, რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების მთავარ კანტორის განკარგულებით რიონში მოვიდა გემი „აკერმანი“, რომელიც დაიწყებს მოქმედებას ინგლისში შეკვეთილ გემის მოსვლამდე.

ამიტომ იმ პირთ, ვისაც სურთ მიიღონ სამგზავრო ბილეთები, შეუძლიათ მიმართონ ფოთში და სხვა პუნქტებში გემის კაპიტანს“...

ამ ნაირად გემი „აკერმანი“ მხოლოდ წინამორბედი იყო ნამდვილი რიონის გემისა. საზოგადოებამ მიიჩნია მისი პირველი რეისი სახიფათოდ და ხელმძღვანელობა მიანდო გამოცდილ კაპიტანს ბ. ზაბოლოტნის, რომელიც გამოვიდა ფოთიდან დილის 9 საათზე, გამოიარა სიფრთხილით ყველა ჯილოებით და ხრეგებით გადაღობილი ადგილები და ორპირში ჩამოვიდა საღამოს 7 საათზე.

შემდეგ ბოროზდინი განაგრძობს რომ „აკერმანის“ მოსვლამ დიდი ფაცაფუცი და ალიაქოთი გამოიწვია მიყრუებულ კუთხეში, ყოველ მხრივ აწყდებოდა ხალხი ორპირს რომ დაენახა გემი. რაღაცა ახალმა სიომ დაბერაო, ამბობს ავტორი, რომელიც დიდი მოამაგეა ძველი რუსული ბიუროკრატობისა, რაღაც ცივილიზაციის სამყაროს ნიშანი ვიგრძენითო, გემის მოსვლა ჩვენ გვაერთებდა ახლად ჩასახულ სავაჭრო გზასთანაო.

კაპიტანი ზაბოლოტნიც თავაზიანი კაცი აღმოჩენილა და არავის უშლიდა თურმე დაეთვალიერებინა გემი. ცნობის მოყვარე ხალხი კი ბევრი მოაწყდა.

ერთგვარ ინტერესს არც ის არის მოკლებული, რომ ამ კაპიტანთან გემის სანახავად თავისი აუარებელი ამალით ჩამოსულა კნეინა მენიკა დადიანი, მფლობელი თავადი შერვაშიძის გაყრილი მეუღლე, ახირებული და ნახევრად გიჟი დედაკაცი. დაუთვალიერებია გემი და თავის თარჯიმანის პირით უკითხვას კაპიტანისთვის:

— კითხეთ მაგას, რომელი უფრო ოსტატია, რომელმაც ეს ორთქლის, მანქანა გააკეთა, თუ ის რომელიც საათებს აკეთებსო.

კაპიტანმა ვერ მოასწრო თურმე ეპასუხა ამ კითხვაზე, რომ კნეინამ განაცხადა სურვილი ეყიდა ეს მანქანა და გადაეტანა ქვაშიხორში.

კაპიტანი დაპირდა თურმე სწორედ ასეთი მანქანის გამოწერას.

უეჭველია დღეს აქაურ გლეხობაში რიონის გემები არ იწვევს ასეთ გაკვირვებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაური გლეხები უკვე საკმაოდ იცნობენ ზღვის ტრანსპორტს: როგორც ბათომში ისე ფოთში.

უფრო საინტერესოა ალექსანდრ დიუმას მოგზაურობა ამ ადგილებზე სწორედ იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ბათომის და ფოთის რკინის გზა და არც ორპირის გემები. აქ, გამოჩენილ რომანისტს მართლა იშვიათი ჭკუამახვილობით აქვს აწერილი სამეგრელოს „კოსმიური ტალახი".

— „ვისაც ეს სამეგრელოს ტალახი არ გამოუცდია, მას საერთოდ არაფერი გამოუცდიაო, იწყებს ა. დიუმა.

— ერთი საათი არც კი გასულიყო რომ დაემგვანა მღელვარე ჭაობს, რომელშიაც ეფლობოდა ჩემი ცხენი, ჯერ ჩლიქების ზევით, მერე მუხლამდის და ბოლოს მკერდამდე ჩაეფლა.

ამ ჭაობს უერთდებოდა ნიაღვარი, რომელშიაც დაცურავდა ცხენიცა და მარხილიც. რაღაც დაუდევრობით ერთი წამი შეეჩერდი ერთ ფონზე და საკმაო იყო ცოტა ხანი დავრჩენილიყავი ამ ადგილას ცხენი ტალახში დაიყურა.

რამდენი არ დავაპირე ცხენის ტალახიდან ამოყვანა, ვერაფერი გავაწყე სანამ ზედ ვიჯექი, მალე ჩამოვხტი და მუხლამდი ტალახში ჩავეფალი, მერე ცხენს დავცხე მათრახი, რომ ამოცურებულიყო ამ ტალახის ზღვიდან.

როგორც გვითხრეს ასეთი მოგზაურობა მარანში ჩვეულებრივი ამბავია.

შემდეგ აწერილია ცხენის წყალის შესართავი რიონთან, იგივე „სკაპცების" პოლკოვნიკი გეგიძე და მერე ამ „სკაპცების" მოგზაურობა ნავებით ფოთამდე.

— გადავწყვიტე დილას ადრიანათ გავსულიყავით გემით, მაგრამ პოლკოვნიკმა, რომელიც ინცობდა თავის ხალხის ზნესა და ჩვეულებას, გაგვაფრთხილა

იმედი არ გვქონოდა 8 საათამდე გასვლისა.

სკაპცები ქალებს იმითაც გვანან, რომ ძალიან ძნელია მათი ლოგინიდან აყენება, თუ ლოგინი დაერქმევა იმ ფიცრებს რომელზედაც ისინი წვანან.

დიდი ვაივაგლახით, უსმელ უჭმელი, ძილ გატეხილი ორი დღე მიდიოდა ამ სკაპცების არგოთი თავისი მხლებლებით ფოთამდე ა. დიუმა.

დიუმას მართლაც სამართლიანად ეეჭვებოდა, რომ ასეთი დავიდარაბა გადაეტანათ არგონავტელებს თავიანთი საგმირო ექსპედიციის დროს.

ორი დღის უსმელი ფრანგი მგზავრები იხვებზე ნადირობით ირჩენდენ თავს. ზარმაცი ან უილაჯო სკაპცები ზლაზნვითა და ზმორებით აგვიანებდენ და გზას ბოლო არ უჩანდა. მაგრამ როგორც იყო იმათ მიუღწევიათ ფოთამდე და ნავი მიდგომია ნაპირს, ერთი მენავე გადასულა მიწაზე, მოუწევია ბაწრით ნავი და მგზავრები ისევ მუხლამდე ჩაფლულან ტალახში, ეს მოგზაურობა ა. დიუმას მართლაც იშვიათი კომიკური ჟანრით აქვს გადმოცემული. უეჭველია ბევრიც რომ იყოს აქ ეგზოტიკისთვის ჩამატებული, მაინც გასაგებია რა საძნელო იქნებოდა ამ გზით მოგზაურობა და რამდენათ ეხლაც, როცა არსებობს კიდეც რკინის გზა, მაინც საჭირო ხდება რიონზე გემების მიმოსვლის აუცილებლობა.

ჩვენ რასაკვირველია თავს ვიკავებთ ამოვწეროთ ეს ადგილები, თუმცა ამას ძალიან დამაჯერებელი გავლენა ექნებოდა ჩვენი მოთხრობისათვის. ეს ისტორია პირდაპირ ემთხვევა დღევანდელ სინამდვილეს და კონტრასტი—ასევე ზოგიერთ ანალოგიებს. ჩვენ თავს ვანებებთ აგრეთვე იმასაც, როგორ მართავდა დიუმა ბანკეტს ბანკეტზე თავისი ნანადირევით, ზოგს შემთხვევაში შეუძლებელია აქ არ იყოს გადამეტება. აგრეთვე იმას თუ როგორ გაურიგდა მებადურებს თევზის საჭერად პალიასტომში და ორ საათში იმდენი თევზი დააჭერია, რამდენიც მათ თვეობით არ დაუჭერიათ, იმასაც თუ როგორ ილლიტებოდენ ფოთის სასტუმროს პატრონები, როგორც იაკობია, მომავალი გ. წერეთლის ბახვა ფულავას პირველი პორტრეტი, იაკობის სასტუმროში ზევით იდგენ უცხო სტუმრები, ქვევით კი ლორები ბუნაგობდენ. ჩვენ თავს ვანებებთ მოვიგონოთ აგრეთვე მონობით ვაჭრობის ბაზრების აწერა და გემ „დიდ მთავარ კონსტანტინეზ"-ზე ყაბარდოელთა აჯანყება, შარიატის მოთხოვნით, კაპიტანის მიერ მათი ცხელი წყლით დამდულრა და დამორჩილება.

უფრო საინტერესოა მოგონება, თუ როგორ გამოცხადდა ა. დიუმას იქ ყოფნის დროს ფოთი ქალაქად.

აქ აწერილია რუსის მოხელის მიერ ფოთის ქალაქად გამოცხადების პროცედურა—„ფოთი, 1859 წელს პირველ იანვრიდან გამოცხადებულია ქალაქად, ორი წლის წინად ნავთსადგურად. ჩვენ ვნახეთ ეს რა პორტია. ვნახოთ რა ქალაქი გამოვა ფოთიდან ორი წლის შემდეგ... მაგრამ მე ყველაზე უფრო მაინტერესებდა ის კაცი, რომელიც ასეთი რიხით აცხადებდა ფოთს ქალაქად.—სამან ის მიდიოდა ტალახში და ჩერდებოდა, არა უშავდა რა, ზოგ ადგილზე დაყრილი ქვები და პატარა ფიცრები ნებას აძლევდა, როგორც იყო დიდი წვალებით ფეხი მოეკიდებია და ეს კაციც აწევდა იმ ადგილამდე, საიდანაც უნდა წაეკითხა თავისი პროკლამაცია.

მაგრამ როგორც კი გაჩერდებოდა და კითხვას დაიწყებდა, თან და თან ჩადიოდა ტალახში და ალბათ სულ ჩაინთქებოდა ამ ტალახში, რომ ბარაბანს არ მიყრდნობოდა. მაშინ უახლოვდებოდენ ამ დიდ მოამბეს და ზოგი ხელით, ზოგი ჯოხით და ზოგი ბაწრითაც სცდილობდა მის ტალახიდან ამოყვანას. ცოტა ხნის შემდეგ ერთ ადგილიდან ამომძვრალი განაგრძობდა გზას და სხვა კვარტალებში კითხულობდა თავის განცხადებას...

* * *

მე წინდაწინ მომზადებული ვიყავი ასეთი განწყობილებით, როცა ბათომიდან მივდიოდი ფოთში.

ფოთში მე წინადაც ვყოფილვარ—მაგრამ მაშინ უფრო უზრუნველი მგზავრი ვიყავი და ნარკვევების წიგნზე არ ვფიქრობდი.

მაშინ ბევრის არც შემჩნევა შემეძლო ალბათ, როგორც უკვირდებოდი ეხლა საკუთარ თავს. ეს არის რომ ჭალადიდისა და პალიასტომის ბაყაყები მაგონებდენ ლოტრეამონის გომბეშოს მონოლოგს, რომელიც ქართულად ვთარგმნე კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მგონია მთელ მსოფლიო პოეზიაში ლოტრეამონის გომბეშოს დიალოგზე უფრო სასოწარმკვეთი სტრიქონები არც კი მოიპოვება.

აქ მორალური ქვეყანა ქიმიურად არის დახსნილი.

ყველა ეს ალბინოსები, აკვარიუმის სასწაულები, ჯილეზე ბიმპალი დამხვჩალი ძაღლები, წურბელები, ყველაფერი რაც ძილის მომგვრელია და ანემიური, რომელიც ბორკავს ნებისყოფას და გადაშენებით ემუქრება სამყაროს...

უეჭველია დაეთანხმები ლოტრეამონს:

როცა ხედავ ამ უმსგავსოების და უწმინდურობის ბუდეს საჭიროა რაღაც რეაქცია.

მაგრამ წინათ ამ რეაქციაზე მე არც კი ვფიქრობდი. ეხლა თვით ცხოვრებამ, ჯანსაღმა ადამიანურმა ინსტიქტმა, რომელიც მოყვება წელმაგარ ხალხს, თვითონ მაჩვენა ამ უწმიდურობის საწინააღმდეგო გზა.

უკეთესს ანალოგიას კაპიტალისტურ ქვეყნის დახსნისა, კრიზისისა და გადაგვარებისას ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს, როგორც ლოტრეამონის ნახევრად გიჟური სტრიქონებია, აქ ვერაფერს შველის ამერიკის სტაბილური კაპიტალიზმი, რადგან ისიდორ დუკასსი—ლოტრეამონი.

სწორედ ამერიკიდან მოევლინა საფრანგეთს და მისთვს გზა მონტე-კვიდეოდენ პარიზამდე—ერთი განუწყვეტელი რგოლია.

ეს საწინააღმდეგო გზა არის სოციალისტური მეუუნეობის რეკონსტრუქცია, რომელსაც ეხლა ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ.

ფოთში ღამე მივედით გემით.

ჩვენ გემს „კრეჩეტს“ დააგვიანდა და ნავთსადგურში ტრანსპორტის ნასახიც არ სჩანდა.

ერთად ერთ „ლინეიკას“ ხელათ გაუკეთა რეკვიზიცია იმ სამხედრო კომისიამ, რომელიც ბათომიდან გამოგვყვა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ კომისიის თავმჯდომარე ალბათ ამ დანჯღრეულ ეტლზეც თავის დელფინის კონსერვებს აქებს, იმდენად არის გატაცებული ამ ახალი წამოწყებით და იმდენათ მოელის ამისგან საქმელის რევოლიუციას; მთელი გზა გემზე ამაზე ლაპარაკობდა და დაუზოგავათ აქებდა დელფინის კონსერვებს, რომელიც მისთვის მიუციათ სანიმუშოთ—უკეთესს ხელობას ალბათ კაცი ვერ მოიგონებდა.

ვარჩევდი გამეგრძელებია ეს საუბარი ამ „ლინეიკაზე“—მაგრამ მე მარტო დავრჩი ამ უდაბურ პორტში, და ხორციელი არ ჩანდა, მხოლოდ შემდეგ შევამჩნიე კიდევ სხვა მგზავრები, რომელნიც ელოდენ ტრამვაის.

მე ჯერ არ მახსოვს, რომ ფოთში ჩავსულიყავი და უცაბედი რამ არ შემთხვეოდეს, ყოველ შემთხვევაში წვიმა აუცილებლად უნდა მოსულიყო და ფოთის წვიმა მართლაც რომ დამაფიქრებელია.

იშვიათი კაცი იქნება გული არ შეუღონდეს და რაც არ უნდა იყოს ურწმუნო. ბიბილურ წარღვნის განმეორებამ არ შეაშინოს. იძულებული შევიქენით გვეცადა „კონკისათვის“.

ფოთის „კონკა“, კარიკატურაა ინდუსტრიის ქარცეცხლში და რეკონსტრუქციის პერიოდში.

მაგრამ მაინც გულზე მომეშვა, როცა შევხედე გადატყაულ ცხენებს და როცა მომესმა ეჟვნების ჟღარუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ უკვე ვიყავით სასტუმრო „კოლხიდა“-ში და ხვალინდელ მაშრუტზე ვმსჯელობდით.

წვიმა გადაულებლად ასხამდა და ეს ქალაქი, თითქოს შეუერთდა ამ ზღვას და მელანქოლიულად ქანაობდა.

მომაგონდა, რომ ამ ცამეტი წლის წინათ, ჩვენ პირტიტველა ენტუზიასტები აქ ვმართავდით პოეზიის საღამოებს; და ამ ციებ-ცხელებაში ვატანჯულ ხალხს ვუკითხავდით მალარმეს სონეტებს.

ბევრი რამ მოსანანიებელი უნდა ითქვას ამ ცხოვრებაზე ახლად თვალ გახილულ ადამიანებისაგან, მაგრამ ეს პოემა არ არის მარტო აღსარება დაბნეულ სულის, ეს არის ფიზიკურად მეორედ შობილი ადამიანის ახალ ცხოვრების ხელშეხება:

აქ მონანიებაც ზედმეტია.

დილას წვიმამ გადაიღო და ტფილისიდან გამოტანებულ მისამართებით დავიწყეთ მარშუტის მოგვარება.

ჩვენი მიზანია ფოთიდან გავყვეთ გემს ორპირამდე.

როცა რიონის ნავთსადგურში მოვედით, გავიგეთ, რომ გემი „შალვა ელიავა“ უკვე გასულიყო.

გემით წავიდა საქართველოს წყლის მეურნეობის ადმინისტრაცია მუშებისათვის ფულის დასარიგებლად, გემი უკანასკნელ პუნქტამდე მივიდოდა, მგზავრები არ წაუყვანია.

მეორე რეისს უნდა ველოდეთ ორი დღის შემდეგ, როცა გემი დაბრუნდება.

მეორე გემი „ეგნატე ნინოშვილი“ დაზიანებულია და რიონში არ გადის.

პორტის უფროსი ამბ. კრილოვი ძალიან ცდილობს როგორმე დაგვეხმაროს, ის ჯერ აქ ახალი კაცია, როსტოვიდან გადმოუყვანიათ, ტიპიური ყუბანელია.

შემდეგ გავიგე, რომ ის აქ გადმოუყვანიათ დაქვეითებით, მას ჰქონია ერთი ცუდი ზნე, რომელიც ძალიან ვნებდა.

ერთ თვეს შეეძლო ფხიზელი ყოფილიყო, მაგრამ ერთი დათრობით სულ გაანადგურებდა თავის მთელი თვის სიფხიზლეს—ეს ალბათ ამ ადამიანის სენი იყო, სიმთვრალის დროს პაროქსიზამდე დადიოდა, ეხლა კიდეც გადაუყვანიათ აქედან დაბალ სამუშაოზე. საერთოდ ალკოგოლი როგორც გვითხრეს, სენია აქაურ ტრანსპორტზე მომუშავეებისათვის, ფოთის ბუნება თითქოს ხელს უწყობს ამ სენის გავრცელებას, მაგრამ პროფორგანიზაციები გააფთრებით ებრძვიან ამ სენს და სცდილობენ მის აღმოფხვრას და საგრძნობლადაც შეუმცირებიათ კიდეც.

მეორე ჩვენი მისამართია—ექვთიმე გაგუა—ძველი წყლის ტრანსპორტის მუშა, ეხლა დაწინაურებული, რომელიც სულია და გული ამ სამუშაოსი, და რომელმაც ყოველი წვრილმანი ისე იცის, თითქოს ამ რიონში დაბადებულიყოს. როცა ამბ. ექვთიმემ გაიგო რომ ჩვენ ძალიან გვაინტერესებდა გზა ფოთიდან ორპირამდე და აგრეთვე კოლხიდის ჭაობის ამოშრობისათვის გაყვანილი არხების მდგომარეობა, ყოველი ღონე იხმარა გზა გაეხსნა ჩვენთვის და არ დავეყოვნებიეთ - მაგრამ ორპირამდე ჩასვლა შეუძლებელი შეიქნა, ეს მისი სიტყვით არც იყო ისე საინტერესო, ჩვენ გავიართ ნახევარ გზას და მთავარ სამუშაოებს დავათვალიერებთო.

წყალთა მეურნეობას გემების გარდა აქ ყავს კატერები. ერთი ამათგანი „რუძუტაკი“ დაგვითმო ექვთიმემ და თანაც თვითონ გამოგვყვა ადგილების დასათვალიერებლად. ეს კატერი ამხ. რუძუტაკს გამოუგზავნია წყალთა მეურნეობისათვის, შარშან თვითონ დაუთვალიერებია ეს ადგილები. ექვთიმე ამბობს მუხლებამდე ტალახში იდგა რუძუტაკი დაგვაკვირვებდა საქმის ცოდნით და სიყვარულით, აქაურ მუშებზე დიდი გავლენა მოუხდენია ამხ. რუძუტაკის მგზავრობას, საკავშირო მთავრობამ თავის თვალით ნახა, როგორ სჭირია ჩვენ ქვეყანას ჭაობების ამოშრობა, რა დიდებული მომავალი ექნება ამ მხარეს—თუ საჭირო თანხები მოინახა და მუშაობას სისტემატიური ხასიათი მიეცა. კატერ „რუძუტაკს“ გამოჰყვა ახალგაზრდა მეზღვაური მიხა დავითჩენკო. ექვთიმე ამბობს: მშვენიერი მეზღვაურია და კარგი ბიჭიაო, ამას წინათ თურმე ძალიან ისახელა თავი. გემი „პესტელის“ ავარიის დროს. აუარებელი ხალხი გადაურჩენია, ბევრი საჩუქარი მიუციათ და ჯილდოებიც.

მშვენიერად ლაპარაკობდა ქართულს. ეტყობა ფოთშია დაბადებული. ისევაც მკვირცხლი და მარჯვე ახალგაზრდაა, მაგრამ ექვთიმეს ქებამ და ჩვენმა გამოკითხვამ და ცნობის მოყვარეობის გამოჩენამ, კიდევ მეტი სიყოჩაღე მისცა და მართლაც უამისოდ ჩვენ ვერ მოვაწყობდით ამ მგზავრობას. ამხ. კრილოვმა ჩამოგვიტანა კოლხიდის დაბლობისა და მდინარე რიონის ქარტა და ჩვენი თავი ექვთიმეს ჩააბარა.

რიონი შავი ზღვის შესართავთან თითქოს ზღვის უბეა—თვალი ვერ გადაწვდება.

გვინდოდა ზევიდან შემოვსულიყავით რიონში—მაგრამ როგორც დავითჩენკომ სთქვა და სხვა მეზღვაურებმაც დაუმოწმეს, წუხელის აქ ყოფილა ზღვის ფურთუნი (зыбь) რაც ძალიან სახიფათოა მგზავრებისათვის.

გაუდექით ისევ ზევით გზას ჭალადადისაკენ.

გზა და გზა გვხვდებოდენ აუარებელი უზარმაზარი ნავები, ზოგი შეშით იყო დატვირთული, ზოგი კიდევ ბრუნდებოდენ შეშის გამოსატანად. შეშით დატვირთული ნავები არც კი მოსჩანდენ—თითქო შეშა თავისით მოსცურავდა მდინარეზე. ექვთიმე გაგუა გვიხსნის, რომ ეს შეშა მოდის ჭალადიდიდან, რომ თუ ეს ნავები არა, შეშის გამოტანა არც კი შეიძლებოდა, რომ აქ უდიდესი მარაგია შეშის და ჩვენი რესპუბლიკა მთელი წლეობით ვერ გამოზიდავს ამ მარაგს.

მართლაც, როგორც შენიშნავს, აგრონომი ნ. კანდაუროვი:

— თითქმის მთელი კოლხიდა, მხოლოდ ძვირფასს კულტურის მცენარეთა მცირე სივრცის გამოკლებით, ერთი მთლიანი ტყეა—დაახლოვებით 60% უჭირავს ჭაობიან ტყეებს, თბილი და სველი ჰავა, ნიადაგის ზედმეტი სინედლე ხელს უწყობს ხის მცენარეთა ზრდას, მიუხედავათ იმისა, რომ მოსახლეობა დაუნდობლად ეკიდება ტყეს. უკანასკნელი მაინც პირდაპირ ზღაპრულად იზრდება და ხელმეორედ იპყრობს გაჩეხილ სივრცეს.

საკმარისია 2—3 წელი დაასვენო გაჩეხილი მიწის ნაჭერი, რომ ველურად ამოვარდება ეწერი. უმთავრესად აქ იცის თხმელის ჯიში, რომელიც ეხლა თითქმის ავსებს კოლხიდის ტყეებს. დანარჩენ ჯიშიდან რცხილა, კოპიტი, მხოლოდ მეჩხრათ იზრდება მუხა.

პროფ. ფლეროვი ჩერდება რა, კოლხიდის თანამედროვე მცენარეულობაზე და აღნიშნავს რა მის შემადგენლობაში ბზას, ლეღვს, დაფნას, ... -ბროწეულს, კოლხიდის ფშატს და სხ. მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჩამოთვლილი ... ამტკიცებენ კოლხიდაში მთელ რიგ სამხრეთის სუბტროპიკულ კულტურათა შესაძლებლობას. სპეციალისტების აზრი ჯერ კიდევ არ არის დიდიხნის გამოცდილებით დამტკიცებული, მაგრამ საერთოდ უნდა მიღებულ იქნას პროფ. სელიანინოვის დასკვნა: რომ ბუნება ძალიან სასტიკ შერჩევას აწარმოებს და ადამიანისთვის ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ერთხელ საუკუნეში რომელიმე მცენარის დაღუპვა სამუდამოთ შლის მას ადგილობრივ ფლორის სიებიდან, მაშინ როცა ნამდვილად 20 წელშიც დაღუპვა რომელიმე მცენარისა არ რიცხავს მის კულტურის შესაძლებლობას.

ჩვენი კატერი გულდაგულ მიარღვევს რიონის ტალღებს.

ამ ადგილას რიონს დაუკარგავს თავისი სიჩქარე და მდორეა როგორც ტბა.

ნაპირზე აუარებელი საქონელი—მეჯოგეებს გაუშლიათ ფარები.

ეს ადგილი ცენტრი იქნება მესაქონლეობის, ხშირად სჩანს კამეჩიც, რომელიც საერთოდ იმერეთში იშვიათად იცის.

აქ ჯერ კიდევ არ იციან კარაქის კულტურა, ნიგვზის ზეთი თითქოს სწევს მის მაგიერობას—სამაგიეროთ აქაური მეგრული სულგუნი მთელ საქართველოშია ცნობილი. ექვთიმე გვიყვება ერთ ასეთ საბჭოთა მამულის შესახებ, კარგი იქნებოდა დაგვეთვალიერებია, მაგრამ ამის დრო აღარ არის.

ჩვენი ყურადღება ექვთიმემ მიაქცია ერთ ახალ სოფელს, რომელიც ეხლა ხან შენდება. აქ ჩამოსულან ყუბანიდან ყაზახები—უმთავრესად მისდევენ მესაქონლეობას. თურმე გარშემოთ არც კი იციან გლეხებმა როდის გაჩნდა აქ ახალი კოლონია—ამ ადგილებს ხალხი ვერ წვდება—ეს მხოლოდ მეჯოგეების სამეფოა.

ექვთიმე გვიჩვენებს გაუჩეხავ ტყეს. ამ ტყეში ხის მოჭრა ორ შეიძლება, ეს ქალაქის ტყეა—ქარისაგან იფარავს ფოთსო.

წამდაუწუმ ჩაიქროლებს უზარმაზარი ნავი და ისმის სხაპა-სხუპით მოწყვეტილი მეგრული დიალექტი.

ექვთიმეც ეხმაურება მენავეებს, ის ალბათ ყველას იცნობს და მენავეებიც დიდი მორიდებით აძლევენ პასუხს.

აქ შეშას ამზადებს გლეხკომი—თითო ნავი ათ საჟენ შეშას იტევს.

რიონის ორივე ნაპირზე ითესება სიმინდის ყანები—მაგრამ ეტყობა მდინარის ახლოს, რადგან უფრო შორს დიდი ჭაობებია.

უეცრად ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა ხაბოზე მობმულმა პატარა ნავმა, რომელზედაც ეწერა „Отчаянная Соня, из Синдиката„.

მართლაც სად არ მიაღწევს მცოცავი ობივატელური უგემურობა.

ფოთიდან ორპირამდე 106 კილომეტრია. გემი ერთ დღეს ჩადის. „რუძუტაკის“ ჩქარი სვლა აქვს, მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ არ წავსულიყავით ორპირამდე,—გვენახა მხოლოდ არხები ჭალადიდის ზევით.

შორიახლო მოყვინთავენ იხვები.

უფრო შორს დაბაჯბაჯებენ ყანჩები.

და ბაყაყებისა ხრიალი მეორეთ მოსვლის მუსიკას ემსგავსებოდა.

მიუახლოვდით ამ არხებს.

იქ დაგვხვდა კაპიტანი პანამაროვი, რომელიც ამ სადგურის უფროსია და მეგაქანე ანდრო ფალავა წყლის მზომელი.

ექვთიმე მიესალმა დამხდურებს, რომელთაც მიემატა ძველი მეზვაური ვიქტორ მაგილესი და დავიწყეთ არხის დათვალიერება. ამ სამუშაოს უფროსი ინჟინერი მ. კუზნეცოვია, მხოლოდ ამ ჟამად აქ არ არის. მაგრამ მისი სისტემა დაყვანილია ყველა სამუშაოს მონაწილემდე, და აქ ისინი გვიწერენ მის მუშაობას.

ამ ადგილას ხდება ჭაობის დასაშრობი კოლმატაციის ცდა. კუზნეცოვი ითვლება კოლმატაციის სისტემის მომხრეთ და მისი სიტყვით მას ამისთვის მთელი რიგი საფუძვლიანი მოსაზრება აქვს.

ნიადაგის ზევით აწევა საჭიროა, რომ მივიღოთ ისეთი ნიადაგი, რომელიც გამოდგება სუბტროპიკულ კულტურისათვის, ზოგი სპეციალისტების გამოანგარიშებით რიონისგან დატოვებული შლამი უკეთესია ნილოსის შლამზე. უკვე სამ წელზე მეტია აქ სწარმოებს მუშაობა და საგრძნობი შედეგებიც სჩანს.

უკვე ამომშრალია 3—ათასამდე გექტარი—ეს არის პირველი ცდა და ამ ცდაზე ბევრია დამყარებული. ეს ისე ვთქვათ პირველი ფრონტია, აქ გამარჯვებას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. საერთოდ კუზნეცოვს შედგენილი აქვს ჭალადიდის აგარაკის ამოშრობის პროექტი—18 ათასს გექტარისა.

ამ პროექტმა გაიარა საკავშირო წყალთა ყველა ინსტანციებში, და დამტკიცებულია სამუშაო გეგმა.

უკანასკნელი ექსპერტიზა ინჟ. კუზნეცოვის კოლხიდის ჭაობის ამოშრობის პროექტს მისცა იტალიელმა ინჟინერმა ომედეომ, რომელიც ითვლება საერთაშორისო ავტორიტეტათ მელიორაციის საკითხებში. თავის დროზე საბჭოთა პრესამ ომედეოსაგან ინჟ. კუზნეცოვის პროექტის მოწონება აღიარა საბჭოთა მეცნიერულ აზრის დიდ გამარჯვებათ.

მაგრამ კოლხიდის პრობლემა ისეთი მასშტაბით არის განზრახული, რომ ჯერ კიდევ ბევრი სახსარი, ბევრი კვლევა ძიება და მუშაობაა საჭირო, რომ კოლხიდის ჭაობის დაშრობა ჩადგეს მკვდიდრ კალაპოტში და საბოლოოთ გადაწყდეს.

რიონზეც გემების მიმოსვლა დაკავშირებულია კოლხიდის ჭაობის ამოშრობასთან.

რამდენადაც ინტენსიური იქნება სასოფლო მეურნეობა, იმდენათ რიონპორტს მიეცემა მეტი აზრი და გამართლება.

როცა უკან ვბრუნდებოდით, ჩვენ სხვანაირათ დავათვალიერეთ ფოთი—განსაკუთრებით მისი ნავთადგური, რომელიც საუკეთესოდ ითვლება მთელ შავ ზღვაზე.

ფოთი მზად არის გარდაქმნილ კოლხიდისათვის. შეიძლება ცოტა ხანში—რიონის გემების „პრისტანიც“ ისევე მონუმენტალური იყოს, როგორც ფოთის ნავთსადგურია, ჩვენ ამ ტემპებს მივეჩვიეთ. ამაზე ფიქრით ჩვენ უკვე ავტომობილით მივედით პალიასტომის სათავესთან, სადაც უფრო მოსახერხებელი იყო წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჭაობის დასაშრობათ წარმოებული მუშაობის დათვალიერება.

აქ უკვე გამოუცდელი კაციც მიხვდება, როგორი ტემპით სწარმოებს მუშაობა, დავყურებდით ფოთის გარშემო მოვლებულ ზვინებს [illegible] სახეს იღებდა.

ეს არ იყო ალ. დიუმასაგან აღწერილი სასაცილო დაბა, რომელიც ქალაქად გამოაცხადეს, ფოთი ემზადება ამომშრალ კოლხიდის სატახტო ქალაქად იქცეს, როცა ვათვალიერებდით ფოთის შესანიშნავ კანდელს—სწორედ ეს აზრი დაგვტრიალებდა.

ეხლა ხსენება არ იყო დიუმას აწერილ „სკაპცებისა"—ამ გადაშენებულ სოფელს მხოლოდ ქოსნატი ჰქვია—ალბათ ქოსა ხალხმა შეარქვა „სკაპცებს"—და მათ ნასოფლარს კიდევ ქოსნატი.

1 მაისის მოედანზე, სადაც ჩვენ გავიარეთ და აქაურებმა გვიამბეს, თუ როგორი ჯირითობა და ბურთის თამაში იყო წინათ აქ განთქმული, ეხლა კომკავშირელები თამაშობდენ ფუტბოლს და თავდაცვა ავიოქიმის რაზმები ვარჯიშობენ. ეს არის ის ხალხი, რომელიც დაეპატრონება ამ ამომშრალ ჭაობებზე აყვავებულ ქვეყანას.

არ იყო შემთხვევითი, რომ სწორედ კომკავშირმა აიღო შეფობა კოლხიდის ჭაობის ამოშრობაზე, და გადაუდებელ ამოცანად გამოაცხადა საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღების მობილიზაცია კოლხიდის პრობლემის გარშემო. და აქ უნებლიეთ გამახსენდა ერთი შემთხვევა.

როცა ორი წლის წინათ საბჭოთა მწერლების ფედერაციამ მოიარა მეზობელი რესპუბლიკები ინტერნაციონალური კავშირის გაბმისათვის, ჩვენ ჩავედით ბაქოში—იქ გვიჩვენეს ახალი ნავთის ბუდობები, რომელიც მუშებს წაურთმევიათ კასპის ზღვისათვის, ზღვა ამოუშრიათ რომ მის ძირიდან ამოეღოთ ნავთი.

ამ ადგილს ჰქვია „ილიჩის ბუხტა". ამას წინათ ბაქოს პროლეტარიატმა იდღესასწაულა თავისი გმირული გამარჯვება 5 წლიანი გეგმის 2 ნახევარ წელში შესრულება. „ილიჩის ბუხტა" საგრძნობლად მოემატა გეგმის ასრულებას.

აქაც მუშათა კლასი ებრძვის პალიასტომის და ჭალადიდის ტბას და უთვალავ ჭაობებს წაართვას და მოტაცოს მიწა, ძვირფასს ტეხნიკურ კულტურის განვითარებისათვის.

აქაც გამარჯვება აუცილებელია—აქაც სტიქია დაძლეული იქნება, რადგან ფოლადის სიმტკიცე აქვს იმ კლასს, რომელიც იბრძვის ახალ ყოფის დადგენისათვის.

ამ მაჯის ცემას უფრო გრძნობს ადამიანი, რომელიც პირისპირ ხედავს ადამიანისა და ბუნების შებმას.

— კარგი საქმეა, კარგი ამხანაგებო, გვეუბნება ჩვენი ექვთიმე გაგუა—ეს მართლა ზღვის კაცი, ღარიბი ხალხია ჩვენი ხალხი, შრომა არ ეზარება, მაგრამ გაჭირვებიდან ვერ ამოდის. ეხლა კი კარგი პირი უჩანს საქმეს.

დასწერეთ ძამია, სთქვით რამე, სხვა ხალხმაც გაიგოს რა კეთდება ჩვენს კუთხეში.

დაწერა ადვილი საქმეა, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო ექვთიმე, ძნელია თქვენი საქმე, რომ წყალში და ჭაობში დგეხართ, და გააფთრებით ებრძვით ბუნებას ახალ მომავლისათვის—ძნელი საქმეა მაგრამ სიძნელის დაძლევით იკაფავს გზას გამარჯვებული მუშათა კლასი...

IV. ზღვის კურორტი ანაკლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუბტროპიკული კულტურის განვითარების გეგმა დასავლეთ საქართველოში სხვათა შორს მიზნათ ისახავს შავი ზღვის სანაპიროების ერთ მთლიან კურორტად გარდაქმნას.

ვინც ამ გეგმას გაეცნობა და დაათვალიერებს, რაც ხდება ეხლა შავი ზღვის სანაპიროზე, ის გაიგებს ხუთწლიან გეგმის გრანდიოზულ ბუნებას.

რამდენიმე წლის წინათ ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა, ეხლა საკმაოა ელაპარაკო რომელიმე ენტუზიასტს, რომელ სამეურნეო ფრონტზეც გინდათ, რომ კონკრეტიულათ შეიგნო და განიმეტვალო აღმშენებლობის პათოსით და წინ გადაგეშალოს ენტუზიასტების ანთებული გზა.

კოლხიდის აგრო-ინდუსტრიალური სუბტროპიკულ კომბინატის დაარსების იდეამ პირველათ გადაშალა ჯერ უცნობი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერსპექტივა.

ჩაი და რამი—არის უმთავრესად კოლხიდის აგრო-კომბინატის საფუძველი, მაგრამ ყოველი დღე თანდათან აფართოებს ძვირფას მცენარეთა კულტურის ბაზას.

პირდაპირ გეცოდება საკუთარი თავი, როცა ელაპარაკები შავი ზღვის სანაპიროებზე მომუშავე აქტივისტებს.

თითქო ვიღაცამ მართლა ორმოდან ამოგვიყვანა და ახალ ცხოვრებაზე გაგიხილა თვალი.

ყველა ჩვენგანი უთუოდ კითხულობს გაზეთებში და უსმენს მოხსენებებს ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის შესახებ, მაგრამ პოეტის ფანტაზია უძლურია წარმოიდგინოს ის, რაც ხდება ეხლა სამეურნეო ფრონტზე.

საჭიროა საკუთარი თვალით ნახო, ებაასო და გამოკითხო ამ ახალ ადამიანებს, რომელთა არსებობაც ბევრმა თბილისელმა არც კი იცის, რომ იგრძნო უდიდესი დანაშაული ჩამორჩენისა და თავის კანში ჩაკეტვისა, რომ იგრძნო როგორ მოწყვეტილი ხარ ამ სოციალისტურ აღმშენებლობას, რომელიც ძირიან-ფესვიანათ სცვლის ცხოვრებას, ანადგურებს ძველ ყოფას და ჟრუანტელის მომგვრელ ტემპით ჰქმნის მომავლის სახეს.

აქ რომელიმე აგრონომი, რომელსაც სულ 1925 წელს გაუთავებია თბილისის უნივერსიტეტი, თავის მიწასთან ახლოს ყოფნით მთელი თავით მაღლა სდგას, ვიდრე მწერალი, რომელსაც პრეტენზია აქვს ამ ცხოვრების ასახვისა და რომლის ანალიზი ყოველთვის ყალბი იქნება, თუ საკუთარი თვალით არ ნახა ამ ფრონტზე გაჩაღებული მუშაობა.

მზე ხარბათ ეტანება სახეს და ცხუნვარეთ სწვავს.

მაგრამ არა ნაკლები ცეცხლია ჩაქვის მამულის წარმოების დირექტორის ამხ. დ. ცქიტიშვილის თვალებში, როცა ის გვათვალიერებიებს და გვიხსნის ჩაქვის მამულში ჩაის საქმეს.

ასე მგონია ყოველი ჩაის ბუჩქი ამ კაცის ტანში იშლება და მის ძარღვებს ეზრდება.

ერთი თვე მე ყოველ დღე ვნახულობდი ასეთ ახალ ადამიანებს.

კოლხიდის დაბლობის ამოშრობა შავი ზღვის სანაპიროებს აქცევს ერთ მთლიან კურორტათ.

როგორც ირკვევა სტატისტიკურ მასალებიდან, რომელთა დაგროვება ახლა იწყება კოლხიდის პრობლემასთან დაკავშირებით, 1925 წელს მალარიით ავად ყოფილა 540.000 კაცი, უმთავრესათ დასავლეთ საქართველოში, მხოლოდ მუშა-ხელის გაცდენა ამ ავადმყოფობიდან ერთ წელში გამოიხატება 5 მილიონ მანეთის ღირებულებაში. ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი სოფლები ჩვენი თვალის წინ გადაშენდენ და გაჰქრენ, როგორც ორპირი, დაფნარი, ციცი და სხვა.

ეს საშინელი სენი, თუ ისე განვითარდა, როგორი ტემპიც მას აქამდე ჰქონდა, გადაშენებით ემუქრება ნახევარ იმერეთს, ამიტომ არის, რომ კოლხიდის დაბლობის ამოშრობა პირველ რიგში დგას ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქციის დროს და უკვე საგრძნობელი შეიქნა გარდატეხა ამ ფრონტზე.

ამ მხრივ სრულიად ახალი პერსპექტივა იშლება სუბტროპიკული კულტურის განვითარებით.

მარტო ბათომიდან სოხუმამდე ორას კილომეტრზე მეტი სანაპიროს გადაქცევა შეიძლება კურორტათ და ადვილი წარმოსადგენია, რა მნიშვნელობა ექნება ამას ჩვენი ქვეყნისათვის.

ამიტომ მე მინდა აქ ანაკლიის მაგალითზე ვაჩვენო, როგორი იქნება მომავლის მუსიკა, როცა ხუთწლიანი გეგმა შეასრულებს მთავარ სამუშაოს.

ანაკლია მხოლოდ ერთი რგოლია ამ ფრონტზე.

ამ დღისთვის ზუგდიდის მაზრის პარტკომის მდივანი ამხ. **ისაკი ყვანია** აპირობდა ანაკლიაში წასვლას.

ჩვენ სიხარულით მივიღეთ მისი წინადადება წავსულიყავით მასთან ერთად, მართლაც უკეთესად ვის შეეძლო ეჩვენებინა ეს მხარე.

ზუგდიდიდან ანაკლიამდე 30 კილომეტრი იქნება.

იშვიათი ლამაზი გზაა. საერთოდ სამეგრელოს ეტყობა, რომ გზის კეთებას დიდი ყურადღებით ექცევიან.

მახსოვს, როცა დავსწრებივარ საქართველოს საბჭოების ყრილობას, პროვინციიდან ჩამოსული დელეგატები ერთხმად ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ:

გზა უნდა შევაკეთოთ, გზა უნდა გავიყვანოთ, ხიდები და გზები, ერთბაშათ შეთქმულებივით გაიძახოდნენ ყველა კუთხის წარმომადგენლები.

გზა ზუგდიდიდან ანაკლიამდე მაინც იშვიათი სილამაზისაა, ასეთი გზატკეცილი მე არ მინახავს ბათომიდან სოჭამდე.

გზას ორივე მხრივ არტყია ალვის ხეების განუწყვეტელი ხეივანი.—ხეივანიც ისე სიმეტრიულად არის დარგული, რომ ერთ თვალუწვდენ პარკის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ორივე მხარეს შემჭიდროებული მოსახლეობაა.

კოინდარით ამწვანებული მობიბინე ეზოები.

ყველგან მაღალი ოდები ზოგან ყავრითა და ზოგ ნ კრამიტით დახურული.

შუა სამეგრელოში პირველად ვარ და მრცხვენია ყველაფრის გამოკითხვა, მაგრამ მაინც დავსძლიე უხერხულობა, მით უმეტეს, რომ ჩვენი თანამგზავრი იშვიათი თავაზიანი კაცია.

— ამხ. ისაკ, ეს მეგრული ნაქები ისლით დახურული ფაცხები სადღა არიან, აქ სულ ოდები ჰქონიათ წამოჭიმული.

— ფაცხებში ეხლა მხოლოდ მეჯოგეები ცხოვრობენ მთებში, აქ კი უმთავრესად ასეთი სახლები აქვთ; ეს რაიონი მაინც ერთ-ერთ მდიდარ რაიონათ ითვლება. ბევრი სიმინდი მოდის და თხილსაც ბევრს ყიდიან.

მართლაც ეზოებში ყველგან თხილის ხეების ტყეებია. თხილიც საუკეთესოა, ეგრ. წოდებული „ქალის თითები".

— ანაკლიას ეხლა ჩვენ ზღვის კურორტად ვაკეთებთ. მივალთ და ნახავთ, როგორ ზედ გამოჭრილია საბავშო კურორტისათვის.

ალბათ გემახსოვრებათ ერთმა ამერიკელმა, გვარად, მგონი გიბსონმა, საბჭოთა კავშირს შესწირა რამდენიმე ათასი დოლარი საბავშო კურორტის მოსაწყობათ.

ჩვენ შევუთვალეთ მოსკოვში დაათვალიერონ ანაკლია, იმედი გვაქვს, რომ თუ კომისია ჩამოვიდა, უთუოდ მოიწონებს ამ ადგილს.

ანაპის გარდა, მთელ შავ ზღვაზე არ არის ასეთი პლიაჟი. უპირატესობაც აქვს. ანაპაში ერთი მწვანე ხე არ მოიძებნება, აქ კი შეიძლება ულამაზესი პარკის გაშენება.

მართლაც მთელ სამეგრელოში პალმებისა და მაგნოლიების ტყეებია.

ყოფილი სამეგრელოს მთავრის დადიანის პარკი ზუგდიდში მთელ საბჭოთა კავშირში საუკეთესო პარკათ ჩაითვლება.

ეს პარკი ყირიმის ომის შემდეგ არის გაშენებული, ჯერ ასი წლის არც კი არის და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ გაუჩეხიათ თათრებსა და არც ადგილობრივ მკვიდრთ დაუკლიათ ხელი, მაინც იშვიათ სანახაობას წარმოადგენს.

თუმცა, რასაკვირველია, ატყვია იმ პერიოდის გავლენა, როცა უძველესი ჭანდრისა და მაგნოლიის ხეები და პალმები გლეხებს შეშისთვის გაუჭრიათ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სუბტროპიკული ბაღი ზუგდიდში სილამაზითა და სიმდიდრით, როგორც იტყვიან, ერთ სახელმწიფოთ ღირს.

მაგრამ ჩვენ ანაკლიისაკენ მივდივართ.

ანაკლიის გზა აწერილი აქვს ლეო ქიაჩელს თავის ნოველაში „თავადის ქალი მაია".

ეს ნოველა გარდა მხატვრულ ღირებულებისა იშვიათ ეტნოგრაფიულ მასალასაც შეიცავს და ბევრი დამახასიათებელი მომენტია გამოყენებული.

მაგონდება ქიაჩელის მოთხრობები, სადაც მთავარ გმირებათ გამოყვანილია: ენგური, ტეხურა, და გაუტეხავი ტყე.

ანაკლიისაკენ ერეტის გზით მიდის თავადის ქალის მაიას ურემი.

ზღვაზე საბანაოთ ეჩქარება, მას იქ პაემანი აქვს დანიშნული, მე თითქო ვხედავ ახალ ცხოვრებით აცახცახებულ მეურმე ბოლშევიკ ამბაკოს და მეოცნებე დაფინოს ზღვის ფერ თვალებს.

და აი გამოჩნდა კიდეც ანაკლია:

— „შავი ზღვის ნელი სუნთქვა ზაფხულის მიწურულში. სამეგრელოს ნაპირების ლურჯი ქარგები და შორეული ჰორიზონტების მიბნედილი სიმყვიდე. საღამოს მოახლოვება—ლურჯი ქვიშა და ლურჯი ზღვა. ლურჯივე ცა და ამავე ფერის ტყეები. შორს კიდევ ზმორებით გადმომცქერალი ნისლიანი ლანდები და მათ შორის დაკარგული ლურჯი ზღაპრის მოზმანება. ზღვის ნაპირის ნააბანოებ მოაგარაკეთა ერთი ჯგუფის მიწურული დღის სითალხეში გახვეული მდუმარება. ორიოდე ბალღი ქვიშაზე და მოშორებით ფინია, რომელიც სადღაც შორს ღრუბელის უცნაურ სახეს უყეფს...

ეს ამონაწერი ადგილი „მაიდან“ იმასა ნიშნავს, რომ ანაკლია წინათაც ყოფილა ზღვის პრიმიტიული კურორტი და საბანაოთ აუარებელ ხალხს იზიდავდა მახლობელ კუთხეებიდან.

ასე რომ ანაკლიას კურორტად გარდაქმნა უცებ არ მოსვლიათ თავში ხელისუფლების მესვეურთ.

საერთოდ ანაკლიას, ისე როგორც სხვა ეხლა მიყრუებულ ადგილებს შავი ზღვის სანაპიროებზე, უდიდესი წარსული და ისტორია აქვს.

ამის შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი, ანაკლია წინათ იყო ბერძნების ახალშენი „ჰერეკლეა“.—ანაკლია საშუალო საუკუნებში ცნობილი იყო, როგორც მონებით ვაჭრობის პუნქტი.

ეს ბარბაროსული ჩვეულება მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე შეირჩინა სამეგრელოს ფეოდალიზმა.

მთელი ლეგიონები იყო წარსულში კაიროში, ალექსანდრიაში, და სხვა მახლობელ აზიის ცენტრებში გაყიდულ მონებისა, რომელთაც მამელუკები ერქვათ.

ბედის ირონიით, ზოგი მათგანი სახელგანთქმულ ნაპოლეონსაც ებრძოდენ ეგვიპტეს დაპყრობის დროს.

ერთი ასეთი მამელუკის საოცარი თავგადასავალი ნაამბობი აქვს **უიარალოს** თავის ყოველმხრივ შესანიშნავ მოთხრობაში—„**მამელუკი**“.

ეს მოთხრობა ჯერ კიდევ არ არის ისე დაფასებული, როგორც ერგება ამ პატარა შედევრს. საჭიროა ეს წიგნი ცალკე გამოვიდეს, რომ დღევანდელმა ახალმა მკითხველმა იგრძნოს ფეოდალიზმის უკუღმართი ისტორია.

ამ მხრივ ეს მოთხრობა შეიძლება შეუდარებელიც იყოს ახალ ქართულ მწერლობაში.

ფრანგი მოგზაური კავალერი შარდენი, რომელსაც სპარსეთში უმოგზაურია სამეგრელოდან. სადაც დიდი გაჭირვება გამოუვლია, იგონებს ასეთ ამბავს:

როცა თურმე ერთმა თავადმა გადაწყვიტა ცოლი შეერთო, დაიწყო ქორწილისათვის მზადება.

უეჭველია ქორწილი ჩინებული უნდა გადაეხადა და ამისათვის მიუხედავათ ნატურალურ მეურნეობისა, მაინც ფულები დასჭირებია, ამ დროს თურმე ანაკლიას პორტს მოადგა უცხოელი ხომალდი და თავადი რის თავადი იყო, თუ ხომალდის მოსვლას არ გამოიყენებდა და გადაუწყვეტია თავისი ყმების გაყიდვა.

მაგრამ გლეხებსაც კარგათ ცოდნიათ თავიანთი საზიზღარი პატრონის ბინძური ჩვეულება და ცოლშვილიანათ, დედაწულიანათ მთებში გახიზნულან.

ფეოდალის გულის წყრომას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მთებში გასულ ხალხს რას დააკლებდა.

მაშინ თურმე თავადმა გადაწყვიტა ასეთი ოინის გაკეთება.

მოიმიზეზა ახლად გარდაცვალებული მამის სულის ხსენება და გადაწყვიტა წირვის გამართვა.

დაუძახა თორმეტამდე მღვდელს, მაგრამ წირვა ჯერ შუამდე არ მისულიყო, რომ სტაცეს ხელი, სათითაოდ გაპარსეს და გაყიდეს „წმინდა“ მამები ოსმალეთში მონებათ.

აღვილი წარმოსადგენია, თუ სამღვდელოებას ასე ექცეოდა, რა ხელს დააყრიდა თავის ყმებს ეს გულზვიადი მებატონე.

ქართულ კლასიკურ მწერლობაში ჩვენ უკეთესი ადგილიც მოგვეპოება ამ სამარცხვინო ადამიანის ვაჭრობის შესახებ. ეს არის უმთავრესად „კალმასობა“ უდიდესი ეპოპეა მე-18 საუკუნის ფეოდალურ საქართველოსი, სადაც პირველად გაისმა ბატონყმობის წინააღმდეგ ხმა ქართული მწერლობაში. „კალმასობა“-ს იმ ადგილს, სადაც მოთხრობილია ბერი იოანე ხელაშვილის მოგზაურობა იმერეთში, ჩვენ ასეთი ეპიზოდი გვხვდება: გურიის მთავარს, გურიელს საუბარი აქვს იოანე ბერთან აღებმიმცემობასა და ვაჭრობის შესახებ.

მთავარს სამარცხვინოთ მიაჩნია ვაჭრობის ხელობა.

გურიელს უზარმაზარი ჯოგი ჰყავს ჯიშიანი ცხენებისა, მაგრამ ერცხვინება გაყიდვა, ეს არ შეშვენის კეთილშობილ გვარსო.

მაშინ ბერი იოანე მიმართავს მრისხანე თავადს და პირში მიახლის—როგორ არის, რომ ამ თავადებს ცხენების გაყიდვა სამარცხვინოთ მიაჩნიათ და თავიანთ ყმებს, ადამიანის შვილებს ასობით ყიდიან ურჯოლოებზე, განა ადამიანები ცხენებზე უფრო გასამეტებელიაო? ეუბნება ის მონებით მოვაჭრეს.

არც ისე შორს არის ის დრო, როცა ადამიანებს ძაღლებზე ცვლიდენ, როცა ცხენების გაყიდვას თაკილობდენ ღა ადამიანებს კი დაუნდობლად აშორებდენ თავის ქვეყანას და უცხოეთში მონებათ ჰკარგავდენ, სატანჯავათ და საწამებლად.

და ანაკლიას ზემო ციხეს კიდეც ქვია „სატანჯიო“.

ეს იყო უმთავრესი სტრატეგიული პუნქტი გლეხებზე სანადიროთ და მონებათ დატვირთულ გემების რეზერვუარი.

თითქო ზღვის ზვირთებში კიდევ ისმის ძუძუმწოვარა ბავშვებისა და უცხოეთში გასაუპატიურებლად გაყიდულ ქალ-ვაჟთა გამწარებულ დედების ყრუ-ქვითინი.

და როცა ამ მოგონების შემდეგ თვალს ავლებ ახალ სოციალისტურ მშენებლობას, რაღაც არაადამიანური ჟრუანტელი გივლის ტანში.

ამხ. ისაკი ჟვანია გვიყვებოდა ამ ამბებს მთელ გზაზე—ანაკლიამდე.

ავტომობილი პირდაპირ მიადგა ენგურის ბორანს.

აუარებელ ხალხს მოეყარა თავი.

ალბათ ელოდენ ჩვენ მისვლას.

ყველაზე უფრო ჩემი ყურადღება მიიქცია გრძელწვერიანმა რუსებმა. ჩასუქებული უკვე მზით გამურული რუსის მუჟიკები დიდი ალამ-სალამით შეესალმენ ისაკის.

ეხლა კი მართლა დაიჩრდილა ისაკის ეგზოტიური წვერ-ულვაში, მაგრამ „ხოდოკებთან“ ერთად თავი მოიყარეს მეგრელებმაც.

იმპროვიზაციით პატარა მიტინგი მოეწყო.

პირდაპირ გაიმართა საუბარი საჭირ-ბოროტო საქმეებზე, ეს ასე ვთქვათ, გაერთიანებული პლენუმია მთხოვნელებისა.

ირკვევა, რომ აქ შაბათობა ყოფილა მოწყობილი ზღვის ნაპირის გასაწმენდათ, ამიტომ ყოფილა ამდენი ხალხი შეკრებილი. ნაწილი ელოდა ბორანით მეორე ნაპირას გადასვლას, ნაწილი კიდევ გალმა მუშაობდა.

ამ სამუშაოს დასათვალიერებლად მივდიოდით ჩვენც.

როგორც გამოირკვა 40-მდე ყუბანელ რუსს უთხოვია აქ დასახლება. ადგილობრივ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს წააქეზოს მეთევზეობა ამ კუთხეში და ამიტომ დაურთავს ნება რუსი მეთევზეებისათვის აქ დასახლებისა.

აქ მიწა ბევრია, მაგრამ საჭიროა დიდი კულტურა, რომ გამოსადეგი გახდეს. უმთავრესად, რასაკვირველია, მალარიაა ამ ადგილის მუსრის გამვლები.

ისე ბევრია აქ გამოსადეგი ადგილი, რომ ერთმა სოფელმა არც კი იცის მეორე სოფელში ვინ ესახლება: ასე იყო ჭალადიდშიც.

იმერეთში კი ერთი ნაჭერი მიწისთვის, წინათ მაინც, ძმა-ძმას თავს გაუპობდა.

როგორც განზრახულია იმ ტემპით რომ წავიდეს აქ ჩაისა და სხვა ძვირფასი მცენარეთა კულტურის გაშენება, არავითარი ეჭვი არ არის, რომ მუშახელით მდიდარი დასავლეთი საქართველო სანახევროდაც ვერ აწვდება მუშახელის მოთხოვნილებას.

განსაკუთრებით დიდი შრომაა საჭირო ჩაის მომზადებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ეგუება შრომის მექანიზაციას.

ამ ადგილას მე პირველად ვნახე ენგური. ენგურზე კი ბევრი რამ უცხო და ფანტასტიური მსმენია.

უთქვამთ თერგი ტბორია ენგურთან შედარებითო. ამიტომ ენგურის ნახვას მოუთმენლად მოველი.

მაგრამ აქ ენგური შავ ზღვას ერთვის და მთის მდინარის ყველა თვისება დაკარგული აქვს, არავითარი გარჩევა არ იყო ჭალადიდის რიონისაგან.

მეგონა კიდეც ეს რიონია და მხარი მეცვალა.

აქ ენგურს მეორე ნაპირს თვალს ვერ გაუწვდენ, ისე ფართო აქვს კალაპოტი, უნდათ კი ამ ადგილას საცალფეხო ხიდი ააგონ.

წინათ ეს იქნებ შეუძლებელი იყო, მაგრამ, როცა აკვირდები გარშემო მშენებლობის ტემპებს, უკვე შეუძლებელი არაფერია.

ნაპირზე აუარებელი ბადეებია გაშლილი, ზოგი შრება, ზოგს კიდევ აკერებენ და ლამბავენ. ბადეებიც სხვადასხვანაირია, ზოგი ჩემთვის უცნობია, ზოგი კი ბავშობიდან მინახავს, როგორც „ხოლოხი“ ბადე და „ზუთხის საჭერი კვახიანი ბადეები.

ასეთ ბადეებს ორპირში ხმარობენ ზუთხის საჭერათ.

ნაპირზე პატარა ხომალდებია მომდგარი და აუარებელი ნავები.

ნავებში გაირჩევა მეგრული ბაიდები.

ზევით უფრო მკაფიოთ მოსჩანს ციხე ანაკლია.

იმ ადგილს, სადაც ენგური უერთდება ზღვას, ჩნდება ნახევარკუნძული.

სწორედ ამ ადგილზეა განზრახული კურორტის გაშენება.

ჩვენც უნდა გავიდეთ გალმა.

მოაცურეს ნავები: „გედი“ და „მეომარი“. მომაგონდა როცა ფოთში ვიყავი და პალიასტომის ტბაში უნდა შევსულიყავით, ყველანი დაფიქრებული იყვნენ, არ გვირჩევდენ ზღვაზე გასვლას, ძალიან სახიფათოა, წუხელის ღელვა იყო ღა „ტბორია“-ო.

იმდენი ხანი იმეორეს მაშინ ეს სიტყვა, თანაც ისეთი დაშინებული ხმით ძალა უნებურად მეც გადამედო მათი შიში.

აქაც ხომ ზღვის შესართავია და ენგურიც რაც არ უნდა იყოს ენგურია, თვინიერი კია, მაგრამ ალბათ ერთი შეხედვით.

ვინ იცის ძნელი სანდობია ეს თვალუწვდენი ენგური.

ამის გარდა მე უკვე დიდი ხანია არ მიცხოვრია ორპირის რიონთან, და შეიძლება ვერც კი მოვიგონო ცურვა, თუმცა ბავშობისას არავისზე ნაკლები ცურვა არ მცოდნია.

ამის გარდა ჩვენი კინო ექსპედიციის ჯგუფის მეთაური რეჟისორი ქალია და ამ შემთხვევაში რაინდობა სავალდებულოც არის, მაგრამ, როცა შევავლე თვალი რამდენიმე მენავეს, რომელნიც საჭეს თასმასავით გაკროდენ, გული დამიმშვიდდა.

ისე კი მართლა კაცს გული შეუღონდება ამ ნავში.

მივადექით ერთ ადგილას, ნავი სილაზე გარიყა, გალმიდან გამოვიდენ მეგრელები და როგორც იყო გაგვიყვანეს მეორე ნაპირას.

ჩვენ თვალის წინ გადიშალა თვალწარმტაცი სურათი.

ეჭვი არ იყო ნამდვილი პერუს ლანდშაფტი წარმოსდგა ჩვენ წინ, გგონია თითქო ტყიდან გამოვა „პერუს მოთხრობების“ ავტორი მექსიკანელი მწერალი გარსია ვენტურა კალდერონი, რომელიც სიამაყეა ლათინურ ამერიკის ახალი მწერლობისა.

ეს კალდერონი ჩემი უკანასკნელი გატაცებაა, მისი ოფორტები მოთხრობებით უფრო მეტყველია, ვიდრე ზოგიერთი ტრაქტატები ტროპიკებზე.

აქ მართლაც სუბტროპიკების ზენიტია.

ამ კუნძულზე ძველიდან დარჩენილი თათრებია დასახლებული.

ეხლა მათთვის სხვაგან მიუციათ სამოსახლო ადგილები, აქედან კი აყრილან, რადგან კუნძული უნდა გაიწმინდოს.

ზოგ სახლებს ეხლა იღებენ. მაგრამ ამ სახლებს მხოლოდ სახელი ქვიათ სახლებისა, ისე ფაცხებია ჭუჭყიანი და ჭვარტლიანი. სახლების უკან მიმდგარია გაუტეხელი ტყე, წინ ალვის ხეებითა და ვერხვებით დაბურული ეზოებია.

იშვიათი პლიაჟია.

ნაპირის ქვიშა მაგარია, მაგრამ ფოთოლივით ნედლი, გეგონება/ სველ აბრეშუმს ეხები.

ზღვის ნაპირზე წყალი არ არის ღრმა, ზოგან რამდენიმე კილომეტრზე კაცი არც კი დაიყურება.

ამ ადგილს ორი მხრიდან ხვდება ქარი.

თუ წარმოიდგენთ, რომ ანაპამდე შავ ზღვაზე არ არის საბავშო კურორტი, მაშინ ადვილი იქნება იმ ენტუზიაზმის გაგება, რომლითაც აღტაცებულია ამ საქმის მესვეური ხალხი.

ყველაფერს აბრკოლებს უსახსრობა, მაგრამ უსახსრობას კიდევ გაუძლებს კაცი, ეხლა მეტი საშუალება გვაქვს გავაჩაღოთ ახალი წამოწყება, ზოგჯერ უფრო ძნელია ცენტრში აუხსნა ადგილობრივი საჭიროება. უნდა თვალით ნახოს კაცმა რიდან რა საქმე გამოვა.

ეხლა აქ შაბათობა არის, ხალხი თვითონ გამოვიდა სამუშაოთ. ცოტა ხნის შემდეგ რომ მოსულიყავით და გენახათ ბევრათ აჯობებდა. ზოგი სამუშაო გაკეთებული იქნებოდა, ბაღსაც გავაშენებდით, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის აყვავებული.

ეს უნდა ნახოთ მაისის ბოლოს—სილამაზეა თვალის მომჭრელი.

მაგრამ ჩვენთვისაც ადვილია იმის წარმოდგენა. რომ ეს სილამაზე მართლა ზღაპრულია.

დიდი ენტუზიასტია ამ შაბათობის მომწყობი თემალმასკომის თავმჯდომარე აქვსენტი ყორშია.

აქვსენტი მეგრულად აბარებს ისაკის პატაკს.

ისმის სხაპა-სხუპით ლაპარაკი. გარშემო მეგრელებიც ერევიან ლაპარაკში.

იწონებენ აქვსენტის ნალაპარაკევს, ალბათ პირობას იძლევიან მალე მოათავონ სამუშაო. საერთოდ დიდი იმედი აქვთ ამ კურორტის, ამას მალე შეიტყობ და იოლადაც მეგრული რომ არ იცოდე.

სიტყვაზე უფრო მეტყველია მათი სახე.

ყველაფერს ამბობენ გაბრწყინებული, გახარებული და დაიმედებული გლეხის თვალები.

მაგრამ, როგორია კლიმატიური პირობები?.. ვეკითხებით ჩვენ ისაკის.

აქ კი ვერ მოვასწარი ჩამეწერა ერთი მეათედიც.

ამხანაგი ისაკი ლაპარაკობდა: ქართულად, მეგრულად, რუსულად.

პროფესორ ვორონინის დასკვნით, 24 წლის გამოცდილებით, ხალხის დაკვირვებით, მისი საკუთარი მოსწრებითა და გამოკითხვით, მერე სხვადასხვა ექსპერტებისა და მედიცინის ავტორიტეტების დასკვნით, ეს ადგილი სწორეთ გამოჭრილია საბავშო კურორტისათვის. მე თავში მიტრიალებდა ანტიური და თანამედროვე მედიცინის მამათმთავრის წყეული ჰიპოკრატეს მომაკვდინებელი დახასიათება ამ კოლხიდისა და მისი მალარიის დიაგნოზი.

მაგრამ ისაკიმ აქაც უარჰყო ყოველივე ხსენება კოლოებისა და მალარიისა და საერთოდ ყველა ასეთი „მავნებლებისა“.

ყოველ შემთხვევაში, როცა მოთავდება კოლხიდის დაბლობის ამოშრობა, ანაკლიის საბავშო კურორტი მთელ კავშირში გაითქვამს სახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე გადაგვიარა გარეულ იხვების გუნდმა. ეხლა ჩვენ ვისმენთ, როგორია საერთოდ ანაკლიის მიდამოების სამეურნეო პერსპექტივები.

სიმინდი და თხილი: აქედან უნდა გაიტანონ ხე-ტყე. ამ რაიონში უთვალავია და ზევით ენგურიდანაც ჩამოაქვთ, აქ კარგათ დაწვდება გზა, ახლო შენდება უზარმაზარი შამგონის ქაღალდის ქარხანა, არა მარტო საქართველოსათვის, მთელი ამიერ-კავკასიისათვისაც.

მესაქონლეობის მომავალი უზრუნველყოფილია.

რამდენიმე ათასი ჰექტარი ეხლაც დათესილია თუთუნი.

მეაბრეშუმეობით განთქმულია ეს კუთხე, ეხლა ჩაის პლანტაციების და რამის თესვასაც შეუდგენ.

მაშინ ძველი ანაკლიის სახელოვანი პორტის სახელიც აღდგება, მართლაც პორტი აქ მხოლოდ უკანასკნელად იმპერიალისტურ ომის დროს გაუქმებიათ. ეხლა მხოლოდ სანაპირო ჯარის ნაწილების სადარაჯო პუნქტია.

უკან დაბრუნებისას უფრო დიდი გვეჩვენა დაბა ანაკლია:

ფოსტა-ტელეფონის კანტორას რადიო მიემატა.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას—სუბტროპიკული, აგროინდუსტრიალური ტექნიკუმი.

ბადეების ახლო თითქო დელფინების ქარხანაც გაჩნდა.

მაგრამ პირველ ყოვლისა და უმთავრესად ჩვენ გონებას ეხატებოდა:

ანაკლიის პლიაჟზე „სატანჯიოს“ დაბლა გაიშლება პიონერების ბანაკები.

პატარა საყვირები და დაფდაფები შეუერთდებიან ენგურის ზვირთებს და ათასობით მზით დარუჯული გოგო-ბიჭები საბავშო მოედნებზე ტანს გაიმრთელებენ და ჯანსაც მოიმატებენ.

ენგურზე გაჩნდება წაქცეულ ეიფელის კოშკის მაგვარი საცალფეხო ხიდი, გაიშლება საბავშო სანატორია და კულტურისა და დასვენების პარკი და იმ „სატანჯიოს“—მაგიერ, როცა ფეოდალიზმის შავბნელ დროს დედებს გულიდან უსინდისოთ სტაცებდნენ ძუძუმწოვარ ბავშებსაც კი, და როცა ქალვაჟებს თხების ველად ძოვება არ შეეძლოთ, მოიტაცებდენ და სათათრეში მონებათ გაჰყიდდენ, ეხლა აგუგუნდება ახალი ცხოვრება, ადგებიან ახალი კადრები, ახალი წყობილების განსამტკიცებლად.

ზღვის კურორტი ანაკლია პირველი უჯრედია შავი ზღვის სანაპიროების მთლიანი კურორტისა, რომელიც ორას კილომეტრზე გაიჭიმება ბათომიდან სოხუმამდე, სადაც იქნება მუშებისა და გლეხების უმთავრესი „ჯანმრთელობის სახელოსნო“.

მე მჯერა არ გავა რამდენიმე წელი და ზღვის კურორტი ანაკლია ყველას ეცოდინება.

ჩვენ დავესწარით პირველ „შაბათობას“, პირველ აგურის ჩადგმას და საძირკველის ჩაყრას, და მიხარია, რომ პირველს მიხდება წერა ამ დიდი გამარჯვების შესახებ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

პროფ. კორნ. კეკელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა

ვეფხისტყაოსანი ჩვენი ძველი მწერლობის სიამაყედაა აღიარებული; სამწუხაროდ, რამდენადაც დიდია მნიშვნელობა და ღირებულება ამ მართლაც და საამაყო ნაწარმოებისა, იმდენად შეუსწავლელია ჯერ-ჯერობით ის. ჩვენ ისეთი კარდინალური საკითხებიც კი არ გვაქვს ჯერ გადაწყვეტილი, როგორიცაა საკითხი პოემის ავტორისა და დაწერის დროის შესახებ. აიხსნება ეს იმით, რომ ჩვენ არ მოგვეპოება ფაქტიური მასალა უცილობელი დასკვნებისათვის და ამის გამო მკვლევარნი იძულებულნი ხდებიან მიჰმართონ ხოლმე სხვადასხვა ჰიპოთეზებს. სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნული იქნეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ახლო მისულან სიმართლესთან, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეუცვნიათ ის და, როგორც თვალახვეულთ, გვერდი ჩაუვლიათ მისთვის. ეს იმიტომ, რომ, ფაქტიური მასალის უქონლობის გარდა, მათ არც მეთოდი ჰქონიათ ყოველთვის ობიექტური და სწორი. ჩემი წინანდელი ნარკვევები ვეფხისტყაოსნის გარშემო (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია II, 78—141, ჟურნალი „მნათობი" 1927 წ. № 2 და № 5—6) მიზნად ისახავდენ ამ ჰიპოთეზების კრიტიკულ მიმოხილვას და შეფასებას, წინამდებარე ნარკვევი კი პოზიტიური ხასიათისაა, მე მინდა დაინტერესებულ პირთ გაუზიარო ჩემი საკუთარი შეხედულება თემაში წამოყენებული საკითხების შესახებ.

I

ჩვენში მტკიცედ ფეხგადგმულია შეხედულება, რომ ავტორი ვეფხის ტყაოსნისა არის შოთა რუსთველი; დღეს იმდენად მტკიცეა ეს რწმენა, რომ სხვაგვარი აზრი ზოგიერთ ზომადაკარგულ მამულიშვილს ეროვნულ და პირად შეურაცყოფადაც კი ეჩვენება ხოლმე. ეს მაშინ, როდესაც სახელწოდება „რუსთველი ჩნდება მხოლოდ მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში [1]), არას ვამბობ „შოთა" სახელის შესახებ, რომელიც პირველად გვხვდება მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, თეიმურაზ მეორის „იოსებ-ზილიხანიანში" (კეკელიძე, ქართული ლილერატურის ისტორია II, 95—97).

---

[1]) იოსებ ზილიხანიანის თარგმანში, რომელიც შემოუნახავს წერა-კითხ. ხელნაწერს № 1223 ს. კაკაბაძე ამ თარგმანს წინათ (პოემის პირველი გამოცემა გვ. 28—29) მე-16 საუკუნის პირველს ნახევარს აკუთვნებდა, მეორე გამოცემაში კი (გვ. 2—21) ის მას მე-14 საუკუნის ნახევარში გადააქვს მაგრამ მსი უკანასკნელი მოსაზრება და საბუთები რომ მცდარია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული თარგმანი, რამდენადაც მისი ფრაგმენტალური ხასიათი ნებას გვაძლევს დავასკვნათ, მომდინარეობს აბდარ-რაჰმან ჯამის († 1492 წ.) რედაქციიდან (იხ. ქართული ტექსტი გ. ჯაკობიას გამოცემაში: იოსებ ზილიხანიანის ქართული ვერსიები, გვ. 3—98, შეად. Hammer, Geschiehte der schönen Redekünste Persiens, S. 325—334).

საიდან გაიგეს მე-16 საუკუნის კალმოსნებმა, რომ ავტორი პოემისა არის რუსთველი? ეს მათ გაიგეს იმ სტროფებიდან, რომლებიც დართული ჰქონდა, როგორც პროლოგი და ეპილოგი, მათ დროს პოემას. პროლოგში ნათქვამია:

1. მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი
ვის მორჩილობს ჯარი სპათა მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი.
2. დავჯე რუსთველმან გავლექსე მისთვის გულ-ლახვარ-სობილი
აქამდის ამბავ ნათქვამი აწ მარგალიტად წყობილი.

ხოლო ეპილოგში:

3. ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა.
4. ტარიელ მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა.

ამაზე უკეთესი წყარო რაღა უნდა იყოსო გვეუბნებიან ჩვენ; მართალია, ავტორი პოემისა არ აღნიშნავს, რომ მას „შოთა“ ეწოდება, სამაგიეროდ ხაზგასმით ამბობს რომ ის რუსთველია, აქედან, მაშასადამე, ეს ცნობა გაიგეს მე-16 საუკუნის მელექსეებმაცო. რომ მე-16 საუკუნის მელექსეებმა აქედან გაიგეს პოეტის რუსთველობა, ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ დასახელებული, რუსთველობის შემცველი სტროფები რომ თვით პოემის ავტორს ეკუთვნის, ეს მართალი არაა. უკანასკნელი ნათლეია იმათთვისაც კი, რომელნიც თავგამოდებით იცავენ პროლოგის საერთოდ ორიგინალობას. ი. აბულაძე, მაგალითად, ამბობს: „შესავლის ორი ხანა, სადაც რუსთველი თვით გვიამბობს თავის თავზე, ახალი ენით არის დაწერილი და ამასთან სწორედ იმგვარივე თვისებების მქონე სტილით და ლექსით, როგორც არის ვინმე მესხის ბოლო მინაწერი ხანები“ (მერე მოჰყავს ამისი საბუთები; იხ. პოემის მისი მეორე გამოცემა, LXVIII-LXIX) აი ერთ-ერთი ხანა ან სტროფი ვინმე მესხის მელექსისა:

გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა.

ეს სტროფი გაუგიათ ძველათ (სამწუხაროდ, არა მარტო ძველათ) როგორც ბუნებრივი დასკვნა მთელი პოემისა და ქმნილება მისი ავტორისა, ამიტომ „ვინმე მესხი მელექსე რუსთავისა დაბისა“ მიუღიათ მთლიანი პოემის ავტორად. მაგრამ ეს რომ მართებული არაა, შემდეგიდანა ჩანს: პოემა თავდება მოთხრობით იმის შესახებ, რომ ტარიელმა და ავთანდილმა მიახწიეს თავის მიზანს, შეუუღლდენ თავიანთ სატრფოს და დაიპყრეს არაბეთის და ინდოეთის ტახტი; ისინი ჯერ არამც თუ არ მომკვდარან („გარდახდეს, განვლეს სოფელი“), პირიქით, ეხლა იმყოფებიან ბედნიერების ზენიტში, ამიტომ ზედმეტია და უაზრო მოწოდება: „ნახეთ სიმუხთლე ჟამისა“! მაგრამ ეს სტროფი სრულიად ბუნებრივია და თავის ადგილზედაც არის ტარიელ-ნესტანის, ავთანდილ-თინათინის და ფრიდონის გარდაცვალების შესახებ მოთხრობის ბოლოში (მართლაც, ექვსი ხელნაწერიდან, რომლებშიაც ეს სტროფი იმყოფება, ხუთი მას ათავსებს გმირების გარდაცვალების შემდეგ, წერა-კითხ. № 4999, 5006, საისტ. № 757, 461, 54), ვინაიდან პოემის ბოლოში მოხსენებული „ვინმე მესხი მელექსეთ—რუსთველი მთელი პოემის ავტორად მიიღეს, შესაფერი ცნობები პროლოგშიაც შე-

უტანიათ, რის გამო „რუსთველობას“ იქაც უჩენია თავი. კონტექსტის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ „რუსთველობის“ შემცველი სტროფები თავდაპირველად არ ყოფილა პროლოგში, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს უკანასკნელი, ამ ადგილას ისინი გადმოტანილნი არიან პოემის დამატება-გაგრძელებიდან, რომლებზედაც საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ.

პოემას სამი მთავარი დამატება აქვს: 1) ინდო-ხატაელთა ამბავი, 2) ტარიელის დასნეულება და ხვარაზმაშას სისხლის საძიებლად მოსვლა, 3) სამ ძმადნაფიც გმირთა გარდაცვალება (იხ. ს. კაკაბაძის პირველს გამოცემაში სტროფ. 1528—1584, 1611—1756). სამივე დამატება ერთსადაიმავე ავტორის კალამს უნდა ეკუთვნოდეს[1]); ეს ავტორი საძებნელია მესხეთში, ამას ადასტურებს: მაწყვერელის დაპირისპირება კათოლიკოზისათვის პირველს დამატებაში (სტრ. 1543). სარგის თმოგველის ხსენება მეორეში (სტრ. 1612, 1720) და ვინმე მესხი-მელექსეს თვითმოწმობა მესამეში (სტრ. 1756[1]). მეორე დამატების წყაროს თვით მელექსე უჩვენებს: ეს არის პროზაული ამბავი, რომელიც სარგის თმოგველს დარჩენოდა ლექსთა შეუწყობლად და რომელიც, მისი ხელში ჩაგდების შემდეგ, მას გაულექსია ვიღაც „გმირთა რაზმთა მწყობლის“ ბრძანებით. მეორესა და მესამე დამატებაში პოეტი უაღრესად სევდიანი კილოთი მოგვითხრობს ჯერ ტარიელის დასნეულებას და მერე მისი და მისი ძმად-ნაფიცი მეგობრების გარდაცვალებას. ეხლა განვიხილოთ პროლოგის „მორუსთველო“ სტროფები.

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი...
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

—

მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი
ვის მორჩილობს ჯარი სპათა მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი.

ეს სტროფები რომ თავდაპირველად პოემის ბოლოში იყო და არა დასაწყისში, ამას გვაფიქრებინებს სიტყვები: „დავჯე, რუსთველმან გავლექსე“, ავტორი ლაპარაკობს უკვე შესრულებულს, გათავებულს საქმეზე და არა ისეთზე, რომელსაც ის ეხლა იწყებს, ამ მომენტში ჰკიდებს ხელს. მეორე—პოემის ავტორს მიზნად აქვს დასახული აგვიწეროს—როგორ მიახწია ტარიელმა, მართალია—ბევრი გარჯის შემდეგ, თავის მიზანს და ბედნიერების უაღრეს საფეხურს; განა შეეძლო მას შესავალში დაეწყო წუწუნი და ეთქვა: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“? რისთვის გვდის? იმიტომ, რომ მან ბოლოსდაბოლოს მიზანს მიაღწია და ბედნიერებას ეზიარა? ასეთი რამ პოეტს შეეძლო ეთქვა, თუ ტარიელი თავის მიზნის უშედეგო და უაზრო მსხვერპლი გახდებოდა, მაგრამ პოემაში ასეთს რამეს ადგილი არ აქვს. ეს სიტყვები და „გულ-ლახვარ-სობილობა“ სავსებით ბუნებრივია იქ, სადაც პოეტი იწყებს ლაპარაკს ტარიელის დასნეულებისა და აუცილებელი სიკვდილის შესახებ, მაშასადამე, ეს სტროფი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მეორე დამატებასთან. ამას ზედმეტად გვაფიქრებინებს შემდეგი სიტყვები: გავლექსე

[1]) ს. კაკაბაძეც იმ აზრისაა, რომ სამივე დამატება ერთს ავტორს ეკუთვნის (იხ. მისი გამოცემა პოემისა, 1927 წლისა, გვ. XV).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთველმა „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“: ეს სიტყვები განმეორებაა მეორე დამატების დასაწყის-დაბოლოებისა:

ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით!
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,
ლექსი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენით.

—

ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად...
მან მიბრძანა—ლექსად თქვიო, მჭევრ-ქართულად დაუშრობლად.[1])

სიტყვები: „ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“ და „ჩემმან ხელმქნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზმანები“ განმეორებაა მეორე დამატების სიტყვებისა: „მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად, მან მიბრძანა—ლექსად 'თქვიო, მჭევრ-ქართულად, დაუშრობლად“.

ამნაირად, პროლოგის სტროფები, რომლებშიაც „რუსთველობაზეა“ ლაპარაკი, დაკავშირებელია მეორე და მესამე დამატებებთან და გულისხმობენ ამ დამატებებში მოთხრობილ ამბებს და არა მთელ პოემას.

ვინ არის ეს რ უ ს თ ვ ე ლ ი ან „მესხი ვინმე მელექსე“, რომელსაც დაუწერია არა მთელი პოემა, არამედ მისი დამატება—გაგრძელებანი მხოლოდ?

ამის გამორკვევა და სწორი გაგება მოითხოვს შემდეგი ტაეპების გარკვევასა და სწორ გაგებას:

1) მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი.
ვის მორჩილობს ჯარი სპათა მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი.
2) ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველისა დაბისა.

პირველ ტაეპში გასარკვევია ორი რამ: ა) „ხელობითა“ თუ „ჰელობითა“? ბ) რას ნიშნავს „ამადარი“?

ამ ტაეპში ყველა გამომცემელი და მკვლევარი ჰკითხულობს „ხელობითა“ და ჰგულისხმობს „ხელს“, აქედან „ხელობას“, ესე იგი—გიჟს და გიჟობას: მე, რუსთველი, გაგიჟებული, გაშმაგებული, გახელებული, ვიქმ საქმესო. მეორე ტაეპის „მისთვის ვხელობ“ ესმისთ როგორც „მისთვის გახელებული, გაგიჟებული ვარო“. არც ავტორი პოემისა, თუ ამ ტაეპს მას მივაკუთნებთ არც დახელოვნებული მიმბაძველი მისი, თუ ავტორს არ მივაკუთნებთ მას, ერთსადა იმავე ადგილას ერთისადაიმავე მნიშვნელობის სიტყვას არ იმეორებს, ამიტომ პირველ

[1]) ამასთან დაკავშირებით, აქედანვე, დამატებიდან, უნდა იყოს პროლოგში გადმოტანილი ცნობილი სტროფი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“, რომელიც თავდაპირველად ჰგულისხმობდა ხვარაზმელთა ამბის პროზაულ თარგმანს, რომელიც სარგის თმოგველს ჰქონებია ხელთ (მეორე დამატება) და რომელიც შემდეგ მთელი პოემისათვის მიუკუთვნებიათ. ეს ასეც რომ არ იყოს აღნიშნული სტროფი ჩვენი პოემის „სპარსულობას“ ვერ დაგვიმტკიცებს, ვინაიდან ის მაჩვენებელია მხოლოდ ძველი ქართული ჩვეულებისა, რომლის მიხედვით ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა უთუოდ „უცხო“ ხილი უნდა იყოს ჩვენში. ასე, მაგალითად, ყუთლუ—არსლანის ცნობილ-პოლიტიკურ-მოთხოვნილებას თამარის დროისას („ისნის კარავის“ შესახებ) ისტორიკოსი უწოდებს „წესსა რასამე სპარსთაგანისსა“ (მარიამ დედოფალი გვ. 406), თუმცა, როგორც პროფ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა გაარკვია (ქართული სამართლის ისტორია II, 2, გვ. 182), სპარსეთში არავითარ ამის მსგავს წესს ადგილი არ ჰქონია.

ტაეპში ლაპარაკი უნდა იყოს არა „ხელობაზე“—გიჟობაზე, არამედ „ელოობაზე“—მოხელეობა—თანამდებობაზე, მეორეში კი ლაპარაკია „ხელობაზე“ ან გიჟობაზე.

ბიბლიოთეკა

რაღაა „ამადარი“? ვახტანგი, ბროსე, ქართველიშვილი, კარიჭაშვილი, აბულაძე, კაკაბაძე, აქ ჰკითხულობენ ერთ სიტყვას „ამადარი“, რაც თითქოს ნიშნავს—ამისათვის, ამიტომ, ამნაირი, ასეთი (ი. აბულაძემ მის მეორე გამოცემაში ეს სიტყვა ორად გააყო: „ამად არი“, იმავე მნიშვნელობის დატოვებით). ნ. მარრი (Вступительн. и заключ. строфы) ჰკითხულობს: „ამა დარი“ და უნდა ჰგულისხმობდეს—ამის დარი, ამის მსგავსი. ამგვარი წაკითხვა ამ სიტყვისა საეჭვო და გაუმართლებელია; აქ ჩვენ უნდა გვქონდეს არა ორი („ამა დარი“ და „ამად არი“), არამედ ერთი სიტყვა, მაგრამ არა „ამადარი“, არამედ შემდეგში გადამწერთა მიერ წარყვნილი და დამახინჯებული „ალამდარი“. რაც მედროშეს, მებაირაღეს ნიშნავს.

ასეთი ინტერპრეტაციის შემდეგ ზემონაჩვენები სტროფი პროლოგისა შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: „ვიქმ საქმეს მე რუსთველი, რომელიც ვარ ხელობით ან თანამდებობით ალამდარი, ესე იგი—მედროშე, მებაირაღე იმისა, ვისაც მორჩილობს ჯარი სპათა და ვისთვისაც გაგიჟებული და მკვდარი ვარო“. შეიძლება ასეთი გაგების ნიადაგზე აღმოცენებულიყოს ცნობა, რომელსაც თავი უჩენია არჩილ მეფის „თეიმურაზიანში“ და რომელიც გადმოგვცემს, რომ შოთა რუსთველი იყო სამხედრო პირი და თანამონაწილე თამარ მეფის ომიანობისაო.

მეორე ტაეპში საცილობელია მისი ბოლო. ამ ტაეპის წაკითხვაში მკვლევარნი და გამომცემელნი ვერ შეთანხმებულან. ბროსე ჰკითხულობს: „რუსთველისა დაბისა“, ქართველიშვილი—„რუსთავისა დაბისა“, კაკაბაძე—(პირველს გამოცემაში)—„რუსთველისად ამისა“ (1527[18]), რუსთველისა თემისა (1756[1]), რუსთველი სადამისა (გვ. 28, 62), რუსთველისა დამისა“ (უკანასკნელი გამოცემა), დ. კარიჭაშვილი „რუსთველისა დამისა“ (1920 წ. გამოც.), ი. აბულაძე—„რუსველისად ამისა“ (პირველი გამოცემა), „რუსთაველი... სად ამისა“ (მეორე გამოცემა); ნ. მარრი თავდაპირველად ჰკითხულობდა, თუმცა დაეჭვებული—„რუსთავისა დაბისა“ (Вступительн. и заключит. строфы), შემდეგ კი „რუსთავისა დამისა“ (Грузин. поэма Витязь в барсовой шкуре, 38). არც ერთი ეს წაკითხვა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს, ის ჰღალატობს ან ლოგიკას ან სტილს, ან პროსოდიას. აქ უნდა იყოს არა „რუსთველი, რუსთველისა, რუსთველისად“, არამედ „რუსთავისა“, და არა „დაბისა, თემისა, დამისა, სადამისა, სად ამისა“, არამედ „ამისა“; ამ წაკითხვაში ჩვენ პოემის ერთი იმ შემთხვევათაგანი გვაქვს წინ, როდესაც სტროფში ერთერთი ტაეპი თავდება ისეთი სიტყვით, რომელიც რითმადაა გამოყენებული მთელს სტროფში. ბოლოსდაბოლოს ტაეპი ასე უნდა წავიკითხოთ:

„ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა ამისა“, ესე იგი, ამ დამატებას ვსწერ მე, ამ რუსთავის მელექსეო!

ერთი სიტყვით, ვიღაც მესხეთის რუსთავიდან წარმოშობილი თუ რუსთავში მცხოვრები მელექსე, რომელიც ყოფილა მედროშე—მებაირაღე რომელი-

ღაც „სპათა ჯარის“ უფროსის ან „გმირთა რაზმთა მწყობელისა“ და რომელსაც გაულექსია პოემის დამატებანი, შემდეგდროის გადამწერთა თუ რედაქტორთა ხელში და შეგნებაში ქცეულა მთელი პოემის ავტორად. ნამდვილად კი ავტორი პოემისა არც რუსთველი ყოფილა და არც მით უმეტეს შოთა.

შესაძლებელია, დაახლოვებით მაინც გარკვეულ იქნეს ამ მესხი—მელექსე—რუსთველის დროც. დამატების დასაწყისში, რომელსაც ინდო-ხატაელთა ამბავი ეწოდება, როგორც მე ერთხელ უკვე აღვნიშნე (ქართ. ლიტ. ისტორ. I, 218), ლაპარაკია მაწყვერლის, მცხეთის კათოლიკოსთან დაპირდაპირებით, სწორუფლებიანობისა და სწორპატივიანობის შესახებ, რასაც მე-16 საუკუნის დამდეგამდე ადგილი არ ექნებოდა; ამასვე ადასტურებს მეორე დამატების—ხვარაზმთა ამბის, დასაბუთებული დათარიღება, რომელიც ეკუთვნის ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე ს (იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის, ტფ. უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს მ ო ა მ ბ ე—ტ. მე-9-ე, გვ. 121-131). ამისდა მიხედვით, ის „გმირთა რაზმთა მწყობელი“, რომელსაც „მორჩილობს ჯარის სპათა“ და რომელმაც უბრძანა მესხ-მელექსე-რუსთველს პოემის დამატებათა დაწერა და გალექსვა, შეიძლება იყოს სამცხე-კლარჯეთის ათაბაგი მზე-ჭაბუკ დიდი (1502-1516 [1]).

II

მე შევეცადე დამენახვებია დაინტერესებულთათვის, რომ შ ო თ ა რ უ ს თ ვ ე ლ ს არ დაუწერია ვეფხისტყაოსანი. მაშ ვინაა ავტორი ამ პოემისა, ნუთუ ის სამუდამოდ დაკარგულია ისტორიისათვის? ვიდრე ამ საკითხზე პასუხს გავცემდე, საჭიროდ მიმაჩნია წარმოვადგინო ცდა მისი დაწერის დროის გარკვევისა.

საკითხი იმის შესახებ, თუ როდისაა დაწერილი ჩვენი პოემა, როგორც ვიცით, თავსამტვრევ საკითხადაა ქცეული, ის ჯერაც არაა გარკვეული. ზოგი მკვლევარი მისი დაწერის დროდ სთვლის მე-12-ტე საუკუნეს, ზოგი მე-13, ზოგი მე-14, ზოგი კიდევ მე-15. პირველს შეხედულებას დღეს უფრო მეტი მიმდევარი ჰყავს, რადგანაც უკანასკნელად მას მოემხრენ ისეთებიც კი, რომელთაც მისი დაწერის დრო მეთოთხმეტე-მეთუთხმეტე საუკუკნეებში გარდაჰქონდათ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ ერთ დროს პოემაში დაცული ლექსიური მასალებისა და ყოველდღიური ცხოვრების რეალიების გათვალისწინებით მოინდომა მისი დაწერის დროის გარკვევა. რამდენად მოლიპული გამოდგა აღნიშნული გზა, ეს, თუ გნებავთ, შემდეგიდან ჩანს: რადგანაც ეს მასალა და რეალიები ჯერ ისტორიულად შესწავლილი და ამოწურული არაა, ს. კაკაბაძე მათ აიძულეს პოემა ჯერ მე-15 საუკუნეში გადაეტანა, (პირველი გამოცემა პოემისა), თუმცა შემდეგ (მეორე გამოცემაში) ხელი არ შეუშალეს ის მე-12 საუკუნეში (1196-7 წლები(

[1]) ი. აბულაძე ფიქრობს, რომ ავტორი პოემის დამატებათა არის არა შოთა რუსთველი, არამედ ნანუჩა ციციშვილი, რომლის შესახებ არჩილი ამბობს: „ნანუჩას რუსთველის ნმთქვამში ბევრი რამ ჩაურევია, საბრალოს ვერ შეუწყვია. წმინდა რამ აუმღვრევია“ (მეორე გამოცემა პოემისა გვერ. XXV). მაგრამ არჩილის სიტყვები: „ნათქვამში ჩაურევია“, „წმინდა აუმღვრევია“, იმის მაჩვენებელია რომ ნანუჩას დამატება და გაგრძელება კი არ დაუწერია, არამედ შიგ პოემაში ჩაურთავს აქა-იქ თავისი საკუთარი სტროფები.

ბიბლიოთეკა

დაებრუნებია მას. პოემის დაწერის გარკვევის მიზნით ჩვენ სხვა რეალიები უნდა ვეძიოთ იმაში; ამ მხრივ პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ ზოგიერთ იდეოლოგიურ ფაქტებს.

როგორც ვიცით, „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას"; ამ დებულების მიხედვით ჩვენ უნდა შევამოწმოთ, შესაძლებელია თუ არა პოემა დაწერილი ყოფილიყო მეთორმეტე საუკუნეში—თამარის დროს, როგორც უმრავლესობას ჰგონია დღეს?

ჩვენ კარგად ვიცით დღეს „მდგომარეობა" და აქედან გამომდინარე ფსიქოლოგია ქართველი ერისა, განსაკუთრებით პოემაში ასახული ფეოდალურ-არისტოკრატიული კლასის უმაღლესი ფენისა, რომელიც იბრძოდა ჩვენი ცხოვრების მესვეურობისათვის თამარის დროს და რომლის წიაღიდან, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, გამოსულია ავტორი პოემისა.

პოლიტიკური და კულტურული ძლიერება საქართველოსი თამარის დროს შედეგი იყო ბოლოსდაბოლოს მისი ეკონომიურად გამტკიცებისა და განვითარებისა. ფაქტორები ჩვენი ქვეყნის შედარებითი ეკონომიური კეთილდღეობისა ამ დროს იმდენად ცნობილია, რომ მე მხოლოდ ზოგადად შევეხები მათ.

ქვეყნის ნივთიერ დოვლათიანობას ხელს უწყობდა, პირველ ყოვლისა, ინტენსიური (მაშინდელი მასშტაბით) მეურნეობის განვითარება, რომელსაც ფრთებს ასხამდა სახელი ეთეროვანი თამარისა, როგორც ამას მოწმობს ისტორიკოსის შემდეგი სიტყვები: „ყრმანი მემროწლენი განპებასა შინა ორნატისა თამარის ქებათა მელექსეობდიან" (მარიამ დედოფ. გვ. 533, შენიშვნა). შესაფერისად განვითარებული იყო წარმოებაც; ამას ხელს უწყობდა კარგად გაწვრთნილი კადრი კვალიფიციური ხელოსნებისა, რომელსაც ვხვდებით როგორც თავისუფალთა წრეში, ისე ყმებში: თვითეული მემამულე სცდილობდა თავის მამულში ჰყოლოდა სხვადასხვა დარგის ხელოსანი [1]).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ვაჭრობის განვითარება: მოზღვავებულმა სავაჭრო კაპიტალმა, რომელმაც ხელი შეუწყო საქალაქო ცხოვრების განვითარებას, გადალახა საქართველოს საზღვრები და ჩვენი ქვეყანა უშუალოდ ჩაება მაშინდელი მსოფლიოს სააღებ-მიცემო ურთიერთობაში. ჯვაროსნობის ომების პროცესში დასავლეთი ევროპა, იტალიის ქალაქების სახით, ინტენსიურ ვაჭრობას აწარმოებს მახლობელ აღმოსავლეთთან, მე-12 საუკუნიდან კი ის კავშირს ამყარებს კასპიის ზღვას გაღმა მხარესთან და ინდოეთთანაც. ამ შემთხვევაში საქართველო გახდა პირდაპირი შემაერთებელი ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რამაც ძალზე გააცხოველა მასში აღებ-მიცემობა, გაბმული იყო სავაჭრო კავშირი ჩრდილოეთის ქვეყნებთანაც და ხუმარ-მაჯარის სატრანზიტო ტრაქტთან, რომელიც დღევანდელი სოხუმიდან იწყებოდა, კლუხორის უღელტეხილით გადადიოდა ჩრდილოეთ-კავკასიაში და თერგის გასწვრივ მიემართებოდა იტილის ან ვოლგის შესართავისაკენ, საიდანაც ცენტრალურ აზიაში გადადიოდა. დიდ-ვაჭრის ზანქან ზორობაბელის საქმიანობა და ჩრდილოეთთან მისვლა-მოსვლა თამარის დროს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ამ ტრაქტთან.

[1]) ერთერთი დარგი ხელოსნობისა, ფეიქრობა, პოეტსაც მოუხსენებია. „კაცი ჯაბანი რა ია სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა"? (683).

ვაჭრობა-მრეწველობისა და მეურნეობის გარდა ქვეყნის ნივთიერ კეთილდღეობას ჰქმნიდა დაპყრობილი ქვეყნებიდან შემოსული ხარკი, რომლის წლიური რაოდენობა 75 მილიონ დირჰემზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ გვ. 51, 52). მაგრამ ყველაზე უფრო საგრძნობი და მნიშვნელოვანი წყარო ქვეყნის გამდიდრებისა იყო სამხედრო ალაფი; ლაშქრობა, ომიანობა შემოსავლის წყაროდ იქცა იქამდე, რომ მეფეს პირდაპირ ეუბნებოდენ ხოლმე: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“ (მარ. დედოფ. გვ. 382), ყველა ამის წყალობით საქართველო დაიფარა გზების, არხების, ხიდების, ქარვასლების და სასტუმროების ქსელით და ქვეყანაში დოვლათიანობამ იჩინა თავი. „შეუძლებელ არს მოთხრობად“, ამბობს ისტორიკოსი, „თუ ვითარ ბედნიერებასა, სვიანობასა, და დღეკეთილობასა შინა“ იყო სიქართველო თამარისა და დავით სოსლანის დროსო (გვ, 432-3). „გააზნაურდეს ქვეყნისა მომქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფედეს დიდებულნი მეფობასა შინა თამარისა“, რომელმან „ღონიერ ყვნა გლახაკნი და მდიდარ ღონიერნი“, შენიშნავს ის (გვ. 411, 404).

ასეთმა მდგომარეობამ წარმოშვა შესაფერისი საზოგადოებრივი ფსიქოლოგია. თამარის დრო წარმოადგენს განუწყვეტელ ზეიმს და ტრიუმფს ქართული სახელმწიფოებრივობისას. „ამას შინა იხარებდეს და იშვებოდეს ყოველნი“, ამბობს იგივე ისტორიკოსი, „ნადირობდეს და მხიარულებდეს“ (გვ. 419). მოლაშქრე ყმათათვის იყო, „მარჯუება, სიხარული, სიყვარული, შვება და ნადირობა მთათა და ბართა“ (გვ. 429). „ერთბაშად ძოვდეს ლომი და ხარი და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხოვართა თანა“ (გვ. 443), ასრულებს ის თავის სურათს[1]).

ერთი სიტყვით, ლაშქრობა, ნადიმობა, ბურთაობა, მიჯნურობა, ასპარეზობა, სახიობანი, ზმა მგოსანთა და მუშაითთა,—აი ყველაფერი ის, რაშიაც

---

[1]) აბსოლუტურად აღებული ეს სურათი ისტორიკოსისა სინამდვილეს არ შეეფერება, ინტერესების ასეთს ჰარმონიას თამარის დროსაც არ ჰქონდა ყოველთვის ადგილი. მე არას ვამბობ იმ წინააღმდეგობათა შესახებ, რომელიც, როგორც მუდამ, უეჭველია ეხლაც, არსებობდა თავადებსა და გლეხებს (რომელნიც პოემაში არ ჩანან) შორის, ასეთი ჰარმონია არ არსებობდა თვით ფეოდალური არისტოკრატიის წრეში, რომელიც ასახულია პოემაში და რომელსაც ეკუთვნის პოეტი. თამარის მეფობის დასაწყისი ხანა დიდი პოლიტიკურ-სოციალური დუღილის ხანაა. „სიმდიდრით აღზეებული“ დიდგვარიანი ფეოდალური არისტოკრატია თავგამოდებით ებრძვის, ერთის მხრივ, აბსოლიუტურ მონარქიას, მეორე მხრივ კი „უგვარო“ ხელისუფლებს და მათ მოადგილეებს. მაგრამ ამას ყველაფერს ადგილი ჰქონდა 1184-1192 წლებში, როდესაც ჩვენი პოემის ჯერ ჩანასახიც კი არ იყო ვიკიმეს თავში, შედეგი ამ ბრძოლისა იყო ის, რომ თამარი იძულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო და საერთო ენა გამოენახა დიდგვარიან აზნაურებთან მოხელეობაში მათი კანდიტატების გაბატონებით და მართვა-გამგეობაში მათივე „თანადგომობის“, „გამორჩევის“ და „ერთნებობის შემოღებით, რაც არსებითად, როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, შეზღუდული მონარქიის დამყარებას უდრიდა ჩვენში (ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე; გვ. 181). ისტორიკოსის ზემომოტანილს სურათში წარმოდგენილია მდგომარეობა, რომელიც დამყარდა ჩვენში ამ „დათმობის“ შემდეგ. მეც, როდესაც თამარის დროს შესახებ ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს სწორედ „დათმობის“ შემდეგი დრო თამარის მეფობისა.

ჰპოულობდა გამოხატულებას საზოგადოებრივი ფსიქოლოგია ქართველი ერის იმ ზედაპირისა თამარის დროს, რომელიც ასახულია პოემაში და რომლიდანაც გამოსულია პოეტი.

შესაძლებელია თუ არა საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ასეთს ატმოსფეროში დაწერილიყო ჩვენი პოემა, რომელშიაც თავიდან ბოლომდე ისმის პესიმისტური ჰანგები, უფრო მწვავე და სევდიანი, ვიდრე ეს შეეძლო გამოეწვია, თუ გნებავთ, თანამედროვე სპარსულ სუფიზმს, რომლის გავლენას თამარის დროის ქართულს ცხოვრებასა და მწერლობაში ჩვენ ვერ ვხედავთ.

საჭიროდ ვსთვლი მოყვანილ იქნეს პოემიდან შესაფერისი ადგილები [2])

როსტევანი:

ბრძანა: ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება,
ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანაღვლება;
სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უც განკურნება;
მასვე მადლი ასე იყო წადილი და მისი ნება. (61);

———

ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,
დამავიწყდა, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს;
ყოველმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარავინ მინეტარნეს,
სადამდისცა დღენი მესხნეს, ველარამან გამახარნეს. (72)

ტარიელი:

თქვა: ცოცხალ ვარ, საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლნი ხვრიტნა (410)
ვა. სოფელო უხანოო, რად ჰხი სისხლთა ჩემთა ხვრეტად? (440)
საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია,
ძველი წესია სოფლისა, არ აბლად მოსასმინია (798).
კაცმანცა სოფელს ვით ჰპოვა, რაც არა საქმე ზენია? (1192)

ავთანდილი:

ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასვა ცერმთა დენად (595).
იტყვის: ვერ გაძღა სოფელი, ვა სისხლთა ჩემთა ხვრეტითა! (606).

თინათინ!

საწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი უხდების;
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების (600)

ნესტან-დარეჯანი:

მისგან ტყვე-ქმნილსა სოფელმან რა მიყო, ამას ხედაო! (1142)
„ჰხედვაცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით. მათგან საწუნელია“ (1151)
„აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების“ (1154)
„აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მიმისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალგვართა“ (1155).

---

[2]) სტროფები ყველგან, აქაც და ქვემოთაც, ნაჩვენებია ი. აბულაძის მეორე გამოცემით.

შეიძლება, მე მითხრან: აღნიშნულ პირთა პესიმისტური განწყობილება ბუნებრივია, ვინაიდან პოეტმა ისინი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომელსაც სწორედ ასეთი სიტყვები და ზრახვები უნდა გამოეწვია მათგან. მაგრამ ეს საკითხის ახსნა არაა; საძიებელი სწორედ ის არის, თუ რატომ ჩააყენა პოეტმა ისინი ასეთ მდგომარეობაში? როგორი იყო ის ობიექტურ-სუბიექტური სინამდვილე, რომელმაც მისი შემოქმედება ისე წარმართა, რომ ის იძულებული გახდა ასეთ მდგომარეობაში ჩაეყენებია თავისი გმირები? ამასაც რომ თავი დავანებოთ, რა იყო მიზეზი იმისა, რომ პოეტი, რომელიც არ იმყოფება თავის გმირების მდგომარეობაში (იმედია, ამ შემთხვევაში არავინ დაიწყებს სერიოზულად მტკიცებას, რომ იმასაც ჰყავდა ხელმიუწდომელი სატრფო თამარ მეფის სახითო), იძულებულია თქვას:

„ვჰგმობ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა“ (827)
ვა, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნე რა ზნე გვპირსა?!
ყოვლი შენი მინდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“. (830)

„ვა, საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე,
შენი ვერავინ ვერა სცნოს, შენი სიმუხთლე სად არე:
პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სადარე?
მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი, სადა რე“. (1074)

„იგი მიენდოს სოფელსა ვინცა თავისა მტერია“! (1201).

როგორც ვხედავთ, პოემაში მძლავრად ისმის გმობა და მდურვა წუთისოფლისა და საჩივარი იმის შესახებ, რომ ის არის სისხლის მსმელი, უხანო, ცრემლთამდენი, ცვალებადი, დაუნდობელი, მუხთალი, ცრუ, მტერი და გაუტანელი. როგორ შევათანხმოთ ასეთი აზრები და შეხედულებანი წუთისოფლის შესახებ თამარის დროის ლაღს, ცხოველმყოფელს და ოპტიმისტურ მსოფლმხედველობას, როდესაც ყველა [1]) თავს ბედნიერადა სთვლიდა, ყველა შესტრფოდა ცხოვრებას, ყველა ჰმადლობდა თავის ბედს, ყველგან ისმოდა ქება თამარისა? ვერაფრით! დასკვნა თავისთავად ცხადია: პოემა დაწერის თარიღით არ ემთხვევა თამარის დროს.

მეორე იდეოლოგიური ფაქტი. ჯერ კიდევ თამარის დროს ცნობილი მწერალი ნიკოლოზ გულაბრიძე, სხვადასხვა ეროვნებათა დახასიათებისას, ქართველების შესახებ ამბობდა, რომ ისინი „მკლავისა თავისა მოსავნი“ არიანო (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 328). ეს დებულება სავსებით გამართლებულია თამარის დროით, თანამედროვე ისტორიკოსები ამბობენ, რომ ქართველები მართლაც თავისი მკლავით, მხნეობით, მამაცობით და უტეხი ნებისყოფით სჭედდენ თავის საკუთარ ბედს. „მკლავითა აქილევიანითა“ (გვ. 397), იმ ენტუზიაზმით, რომლის წყალობით „უსწრებდა ბერი ყრმასა და ყრმა ბერსა, პატრონი ყრმასა და ყრმა პატრონსა“ (მარიამ დედოფალი, გვ. 421), მათ,

[1]) როდესაც მე ვამბობ „ყველაო“, სახეში მყავს უმაღლესი არისტოკრატიულ-ფეოდალური წრე, რომელ ც ასახულია პოემაში და რომლიდანაც გამოსულია პოეტი. ამ წრის განწყობილება კი 1192 წლიდან მაინც ასეთია.

ქართველებმა „სიმხნითა იპყრნეს“ უზარმაზარი ქვეყანა „ზღვით პანტოსით ზღვამდე გურგანისა და სპერითგან დარუბანამდის და ყოველნი კავკასიის იმერნი და ამრენი ხაზარეთამდის და სკვითთამდი“ (გვ. 412). ამ მხრივ ისინი, როგორც თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვებიდანა ჩანს, გარკვეულად უპირისპირებდენ თავიანთ თავს იმ „წარმართებს“, რომელნიც „ბედსა ოდენ მინდობილ იყვნენ“ (გვ. 424).

როგორ უნდა შეუთანხმოთ ასეთ საქმიანობას, მოქმედებას და რწმენას თამარის დროისას ის პირწავარდნილი ფატალიზმი, რომელიც პასივობამდეა დაყვანილი პოემაში? მართლაც ტარიელი ამბობს:

„განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვემცა სადა დავიმალე!“ (352)

ნესტანი უპასუხებს მას:

„ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა“. (1155).

მართალი გითხრათ, ტარიელს მე მაინცდამაინც აქტიურ პიროვნებად არ ვთვლი, სხვებთან შედარებით, მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ისეთი მტკიცე ნებისყოფის კაცი, როგორიც ავთანდილია, შემდეგს გვეუბნება:

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“ (678).
„არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“ (680).
„არ თუ იცი. უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების“ (783)
„რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვსცდების“, (902).
„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებნეს ხმელთა სპანი.
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის გზანი“ (906).

პოეტი შემდეგი სიტყვებით ბანს აძლევს მას:

„კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოკვეხ ვითა მთვრალი,
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი“ (912).

რასაკვირველია, თამარის ლაღი და აქტიური დროის ამსახველად ვერ ჩაითვლება ისეთი პოემა, სადაც ამგვარ აზრებს აქვს ადგილი.

ამნაირად, პოემის პესიმისტური სულსკვეთება და ფატალისტური განწყობილება მაჩვენებელია იმის, რომ ის თამარის დროს უშუალოდ არ ეკუთვნის [1]).

ზემოამოწერილი, პესიმიზმისა და ფატალიზმის დამადასტურებული ადგილები მოწმეა იმის, რომ პოემა ისეთ დროსაა დაწერილი, როდესაც, როგორც ისტორიკოსი ამბობს, „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა“ (გვ. 533 შენიშვ.), როდესაც, მისი პოეტური სიტყვები რომ ვიხმაროთ, „დღემან იწყო მიდრეკად და მზემან დასვლად და ჰაერმან სხვაფერად უფერულობა და ცისკარსა

[1]) პესიმისტურ-ფატალისტური მოტივი მთლად უცხო არაა წინადროის ჩვენი მწერლობისათვის, ის მძლავრად ისმის ისეთს თხზულებაში, როგორიცაა ვ ი ს რ ა მ ი ა ნ ი, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვისრამიანი არის ნათარგმნი თხზულება, ის შემოსულია ჩვენში მაჰმადიანურ-სპარსული მწერლობიდან, რომელშიაც ასეთი მოტივი ბუნებრივი და აუცილებელია. როგორ გაბატონდა ეს მოტივი ისეთს ორიგინალურს ქართულს პოემაში, როგორიცაა ვეფხისტყაოსანი? ალბათ მიგვითითებენ გავლენაზე, მაგრამ ეს სწორი არ იქნება. საქმე ისაა, რომ ვისრამიანში სხვა მოტივებიცაა, მაგალითად, მახდეისტური, რატომ მათ არ იჩინეს თავი ჩვენს პოემაში? ეს ერთი. მეორე: ვეფხისტყაოსნის პესიმიზმი და ფატალიზმი სხვაა, ვისრამიანის სხვა, პირველი უშუალოდ სოციალ-ეკონომიურ ბაზაზეა დაშენებული, მეორე კი ამ ბაზას ემთხვევა მაჰმადიანური რელიგიის მეშვეობით.

დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა“ (გვ. 531 შენიშ.) ყველაფერი ეს მაჩვენებელია იმის, რომ ქართველთა ცხოვრებაში, ფეოდალურ-არისტოკრატიულ წრეში განსაკუთრებით. მომხდარა რაღაც ანაზდეული, ისეთი რამ, რასაც ისინი არ მოელოდენ იმ ცხოვრებისაგან, რომელსაც ასე განებივრებული ჰყავდა ისინი, რომ ამ ცხოვრებამ არ გაამართლა ის იმედი, რომლითაც მას შეჰყურებდენ, იმაში შეიჭრა რაღაც გარეშე, მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი ძალა, რომელმაც სულ სხვაფრივ წარმოუდგინა მათ მისი აზრი, მნიშვნელობა და ღირებულება.

მე ვფიქრობ, ეს მოულოდნელი რამე იყო ხვარამზელების შემოსევა და მისი მომდევნო მონღოლთა ბატონობის დამყარება ჩვენში. მართლაც, თანამედროვე ქართველებს, და თვით მათს საუკეთესო წარმომადგენლებს, პოემის ავტორს, არ შეეძლოთ გარკვეულიყვნენ „მდგომარეობაში“ და მოეცათ სწორი მისი შეფასება, მათ არ იცოდენ, რომ ის ცხოვრება, რომლის მთავარ ეკონომიურ ბაზას წარმოადგენს სხვების, შინაურების და მახლობელი თუ შორეული მეზობლების რბევა და ამ გზით გამდიდრება (ჩვენ ვიცით, რომ ასეთი იყო უმთავრესად ეკონომიური ბაზა თამარის დროისა), არ შეიძლება იყოს მტკიცე, ურყევი და ბედნიერი, რომ ის მანამდისაა ბრჭყვიალა, სანამ გამოჩნდება მეორე, შენზე უფრო ძლიერი მეტოქე, რომელიც შენ თვითონ გაგხდის რბევის და აწიოკების ობიექტად. და როდესაც ასეთმა ძალამ თავი იჩინა ჩვენში ხვარამზელებისა და განსაკუთრებით მონღოლების სახით, ქართველები დაიბნენ, მათ მეტი არა დარჩენოდათ რა, რომ გაემეორებიათ პოემის ზემომოყვანილი ადგილები, რომლებიც ბოლოსდაბოლოს იმავე აზრისა და განწყობილების შემცველია, როგორისაც—„ჟამთა აღმწერელის“ სიტყვები: „იქმხა მოწევნა სრულიადისა ღმრთისა რიცხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩვენთასა... აქა ჟამამდი სვიანი იყო ბრძოლა შინა დროშა დავითიანი და გორგასლანი, ხოლო ამიერითგან იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა“ (გვ. 560-1), ვინაიდან „დაუდგრომელ არს მინდობა სოფლისა ამისა ამაოისა“ (გვ. 591).

ასე და ამრიგად, აღნიშნული იდეოლოგიური ფაქტების მიხედვით, ჩვენი პოემა არ შეიძლება დაწერილი იყოს უადრეს მონღოლთა ბატონობის დამყარებისა ჩვენში. ამასვე გვიდასტურებს ჩვენ პოემის წმინდა ისტორიული რეალიებიც.

III

ვეფხისტყაოსანში ხშირად იხსენიება „ქაჯი“, რომელიც, ავტორის გაგებით, არის არა მარტო მითოლოგიური, ზღაპრული, არამედ რეალური, ნამდვილი არსება—ადამიანი, მართლაც, როდესაც ავთანდილმა გაიგო ფატმანისაგან, რომ ნესტან-დარეჯანი ქაჯების ხელში იმყოფება, ის ეუბნება ფატმანს: [1])

[1]) ი. აბულაძე პოემის მეორე გამოცემის (1926) წინასიტყვაობაში ამბობს, რომ დიალოგი ფატმანსა და ავთანდილს შორის, რომელიც ქაჯთა შესახებ ცნობებს შეიცავს (სტროფი მისი გამოცემისა 1104-1110), ეკუთვნის არა პოემის ავტორს, არამედ ვიღაც რესტავრატორს (გვ. LXXXVIII). ამ დებულების გამართლებას ის სცდილობს ერთს სტროფში (1114) სტილის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრა საქმე ქაჯეთისა გამაგონე უთრო მრთელად:
ქაჯნი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?

—

მის ქალისა სიბრალული ამანთებს და მიდებს ალსა,
მაგრა ქაჯნი უხორცონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა? (1106, 1107).

„არ ქაჯნია, კაცნიაო“ (1107), უპასუხებს ფატმანი;

ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი (1108),
თვარემ იგინიც კაცნია, ჩვენებრვე ხორციელანი (1110).

ფარსადანის ქვრივი დაი დავარი, აღმზრდელი ნესტან-დარეჯანისა, ქაჯეთს იყო გათხოვილი (253), და ის მონები, რომელთაც მან გაატაცებინა მამის სახლიდან ნესტანი, იყვნენ „პირითა ქაჯები“ (489). ქაჯი იყო ფატმანის ორი მონა (1099), ერთი მათგანი, თანახმად ავთანდილის თხოვნისა, მან მეორედ გაგზავნა ქაჯეთს და წერილი გაატანა ნესტანთან.

უკანასკნელ ხანებში, მაჰმადიანური სექტების შესწავლის მიზნით, მე მიხდებოდა გაცნობა სამეცნიერო ლიტერატურისა აღმოსავლეთის ისტორიაში კარგად ცნობილის ისმაილიტ-მოლიდების ან ასასინების შესახებ [1]). ამ შტუდიების დროს ჩემს წინაშე უნებლიეთ წამოიჭრა საკითხი: ჩვენს პოემაში ქაჯების სახით მოლიდ-ასასინებზე ხომ არ არის ლაპარაკი? დაინტერესებული ამ საკითხით, მე შეუდექი ქართულს წყაროებში მოლიდების შესახებ ცნობების კრებას და მოვძებნე ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ის ადგილი, სადაც ნათქვამია:

„თქვენგან ქურუმთა
მყის აქ ურუმთა
მოლიდთა ცუდ ყვეს
ბომონთ მოთხრობა (ნ. მარრი „Древнегруз. одописцы“, 79).

ტური და არითმეტიკული ვითომცდა შეუსაბამობის აღმოჩენით. აქ, პირველ ყოვლისა, ნახმარია, ამბობს ის „მოყმე პირნასები“ (1104) და არა „მოყმენი პირნასები“-ო, თითქოს ასეთი შეთანხმება, რითმის მოთხოვნილებით გამოწვეული, პირველი იყოს პოემაში; იხ. მაგალით., „სიტყვა მჭევრები“, „წყარო ბევრები“ (1190) „სიტყვა ასები“ (1215) „იგი (და არა იგინი) წავიდეს“ (847) და სხვ. მეორე, აქ ერთს ტაეპში ამბობს მკვლევარი, გვირაბის კარს სცავს ათი ათასი ჭაბუკი, მეორეში კი სამსავე კარზე დგას „სამათას-სამათასები“, ე. ი. არა ათი, არამედ ცხრა ათასი. ვისაც არ უნდა დაეწერა ეს სტროფი, ყველას ეცოდინებოდა, რომ სამჯერ სამი არის ცხრა და არა ათი, ამიტომ ასეთი ანგარიშით ვერაფერს დავამტკიცებთ. მცველთა რიცხვი მართლაც ათი ათასი იყო, როგორც ეს სხვა ადგილებიდანაც ჩანს (იხ. სტრ. 1237), მხოლოდ ამ რიცხვის სამ კარზე განაწილებისას პოეტმა ლექსისა და რითმის მოთხოვნილებით, აიღო მთელი რიცხვი (სამი ათასი და არა წილადი 3333$^1/_3$). ამ დიალოგის ბუნებრივობას, აუცილებლობას და, მაშასადამე, პოეტისადმი კუთვნილებას ამყლავნებს შემდეგი გარემოება: ფატმანი ეუბნება ავთანდილს, რომ ნესტანი ქაჯებს ჰყავთ შეპყრობილიო, ავთანდილს, რომელსაც ქაჯები ზღაპრულ, უხორცო არსებად ჰყავდა წარმოდგენილი, უეჭველად უნდა ეკითხა მისთვის: „ქაჯი ყელა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად, ქაჯნი უხორცონი რას აქნევენ ქალსაო“? ამაზე კი ფატმანს უნდა მიეცა ის პასუხი, რომელიც აღნიშნულ დიალოგშია წარმოდგენილი.

[1]) ასეთია პირველწყაროები: 1) ისტორიკოსი ჯოვეინი (1226-1283); მისი შრომიდან, რომელსაც ეწოდება—„ისტორია ქვეყნის დაპყრობისა ჩინგის-ხანის მიერ“, ცნობები ასასინ-მოლიდების შესახებ ამოკრიფა და თარგმნა ფრანგულად Defrèmery-მ Histoire des Ismaèliens de la Perse, plus connus sous le nom d' Assassins, Journal Asiatique, 1856 (სექტ. ოქტომ.) და 1860 (თებ. მარტი). 2) ისტორიკოსი რეშიდ ედდინ (1245-1318), რომელსაც ეკუთვნის „მატიანეთა კრებული“, საიდანაც ცნობები ასასინების შესახებ თარგმნა

„მოლიდთა“ სიტყვის განმარტების ძებნისას მივმართე, სხვათა შორის, აღნიშნული თხზულების გამოცემას, რომელიც ეკუთვნის მ. ჯანაშვილს, და აქ გავიგე, რომ ვეფხისტყაოსნის ქაჯებში ჩვენს მხცოვან მკვლევარსაც „მოლიდები“ ესახებოდა, თუმცა მისი დაკვირვება პოემიდან ამოღებულ ანალოგიებსა და ფაქტებს არ სცილდებოდა (იხ. მისი „აბდულ-მესიანი“ პირვ. გამოცემა, გვ. 72, მეორე გამოც. გვ. 53, უფრო ვრცლად გაზეთი „ტრიბუნა“ 1924 წ. № 481). გამხნევებული იმით, რომ ასეთი აზრი ჩემს გარდა სხვასაც მოსვლია თავში, მე განვაგრძე ძიება და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ქაჯებად ჩვენს პოემაში მართლაც მოლიდები, resp. მულიდები იგულისხმებიან.

ამ რწმენას უფრო აძლიერებს ჩემში თვით პოეტი, რომელიც ფატმანის მიერ გაგზავნილი ქაჯის შესახებ ამბობს: „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედან ტანსა“ (1133). რა არის მოლი?

თეიმურაზ ბატონიშვილს ვეფხისტყაოსნის კომენტარიებში აღუნიშნავს, რომ „მოლი“ არის ნაბდის მსგავსი მწვანე წამოსასხამიო (აქედან ეს განმარტება იხ. ს. კაკაბაძის მეორე გამოცემაში). ამ სიტყვის განმარტება არ მოეპოვება არც ვახტანგს, პოემის პირველ გამომცემელსა და კომენტატორს, არც სულხან-საბა ორბელიანს; როგორც გამომირკვიეს, წამოსასხამის მნიშვნელობით ამგვარი რამე არც სპარსულ-არაბულში. აქედან ცხადია, თეიმურაზს ასეთი მნიშვნელობა ამ სიტყვისათვის მიუცია კონტექსტის მიხედვით: ქაჯმა ტანზე წამოისხა „მოლი“, მაშასადამე, „მოლი“ რაღაც წამოსასხამია ნაბდის მსგავსი, (მით უმეტეს, რომ მომდევნო სტროფში ქაჯი წოდებულია „ტან-ნაბდიანად“), მხოლოდ მწვანე ფერის, რადგანაც ქართულში „მოლი“ ნიშნავს ახალ ბალახს, მწვანეს და მით შემოსილ მინდორს. (ამ უკანასკნელი მნიშვნელობით თეიმურაზი ამ სიტყვას ვერ მიიღებდა, რადგანაც ბალახის, მით უფრო მინდორის, წამოსხმა ტანზე ქაჯსაც არ შეუძლია). მაგრამ თეიმურაზი შემცდარია: „მოლი“ არ შეიძლება „წამოსასხამს“ ნიშნავდეს, ისიც მწვანე ფერისას, ვინაიდან ფატმანის ქაჯი, პოეტის ტენდენციით, ყოველგან და ყოველთვის არის „შავი“ (1099), „შავი მართვითა ყორანი“ (1126), „ზანგი პირშავი“ (1135). მე ვფიქრობ, რომ თავდაპირველს ტექსტში იყო არა „მოლი“ (გრამატიკული დამატება), არამედ

E. Browne-მ Journal of the Royal Asiatic Society-ში 1899 წ. აპრ. 3) ჰემდალაჰ მოსტოვფი ყაზვინელი (XIV ს.), რომელსაც დაუწერია „რჩეული მატიანე“, საიდანაც ცნობები ასასინების შესახებ თარგმნა Defrèmery-მ: Histoire des Seldjoukides et de Ismaeliens ou Assassins de l'Iran, Journal Asiatique 1848 (აპრ. მაის. სექტ. ოქტომბ.) და 1849 (ივნ.) 4) ისტორ. მირჰონდი (1433-1498), მისი თხზულებიდან, „სიწმინდის ბაღიდან“, ცნობები ასასინების შესახებ ამოკრიფა A. Jourden-მა, იხ. მისი Le jardin de la purite, Notices et extraits des manuscripts, t. IX (1813) გვ. 143-248. დამხმარე წყაროები: I. Hammer, Geschichte des Assasinen 1818, Lebeau, Histoire du Bas-Empire, t. XVII, 465-6; Weil, Die Assasinen. Histor. Zeitschrift 1863. Guiard, Fragments relatifs a la doctrine des ismaéliens II, 1874. R. Dozu, Essai sur l'histoire de islamisme 1879. P. Horn, Geschichte Irans in islamitischen Zeit (Grundriss, II, 568-570). E. Browne, A Literary History of Persia from the Earleiest Times until Firdawsi, 1919, 390-415; მისივე, A Literary History of Persia from Firdawsi to Sa'di, 1915, 190-211. Encyclopaedia Britanica vol. I-II, 774-775, მეცამეტე გამოცემა. Мюллер, История Ислама II, 287-292, III. 117-118, IV, 246-250. И. Гольдцигер, Лекции об Исламе, пер. Черновой, 1912 г.

„მოლიდ“ (შეკვეცილი ფორმა მოთხრობითი ქვემდებარისა): „მან გრძნეულმან „მოლიდ რამე წამოისხა ზედან ტანსა“, ესე იგი... მან გრძნეულმა „მოლიდმა, ტანზე რაღაც წამოისხა“. შემდეგი დროის უვიცმა გადამწერლებმა, რომელთაც ვერც „მოლიდ“ სიტყვის მნიშვნელობა შეიგნეს, ვერც მისი შემცველი ტაეპის კონსტრუქციას აუღეს ალღო, „მოლიდ“-ისაგან, ნებსით თუ უნებლიეთ, გამოიყვანეს „მოლი“, წამოსასხამის მნიშვნელობით.

პოემის „ქაჯებში“ რომ მოლიდებია ნაგულისხმევი, ეს ნათელი ხდება უკანასკნელთა ვითარების გათვალისწინებით.

მოლიდები ან მულიდები წარმოადგენენ მაჰმადიანთა სექტის, ისმაილიტების, ერთ-ერთ შტოს, ისინი ცნობილნი არიან ისტორიაში აგრეთვე „ასასინების“ სახელით. ეს თავდაპირველად სარწმუნოებრივი სექტა შემდეგში იქცა სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელიც ჩამოყალიბდა 1081 წლის მახლობლად, პირველ ყოვლისა სელჩუქიან მეფეთა წინააღმდეგ საბრძოლველად „ქვეყანა ალმუთისა“, როგორც ჟამთა აღმწერელი უწოდებს მას (გვ. 585), იყო ნესტან-დარეჯანის სიტყვით (სტრ. 1143), „ერთი სამეფო“.

როგორც სარწმუნოებრივი სექტა და ამავე დროს სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მატარებელნი, ერთად მცხოვრები მოლიდები შეადგენდენ საიდუმლო საზოგადოებას, რომელიც, თავისთავად იგულისხმება, განცალკევებული იყო დანარჩენ მაჰმადიანთაგან. ამიტომაც შეეძლო ფატმანს ეთქვა, რომ „ქაჯნი არიან ერთად კრებულნი“ (1108), რომ ამ არაჩვეულებრივს ადამიანებს „გარეშემონი ყოველნი“ ქაჯად უხმობდენო (1110).

მიუვალს მთებში, სალს კლდეებსა და ნაპრალებში, ასასინებს ჰქონდათ თავიანთი ციხე-სიმაგრეები, სადაც ისინი თავს აფარებდენ და საიდანაც ავრცელებდენ თავიანთ გავლენას; ამ ციხე-სიმაგრეებით დაფარული იყო მთელი ირანი და სირია, ისტორაში ცნობილია ორმოცამდე ასეთი ციხე-სიმაგრე. ცენტრად სექტისა, სადაც ცხოვრობდა მათი მეთაური, ითვლებოდა ა ლ ა მ უ თ ი (რაც „არწივის ბუდეს“ ნიშნავს) ჩრდილოეთ სპარსეთში, ყაზვინის მახლობლად მდებარე, რომელიც მათ დაიპყრეს 1090 წელს. ეს იყო ქალაქი, გაშენებული მიუვალ ციცაბოებსა და ნაპრალებზე, რომელშიაც შესვლა გვირაბებითა და ხვრელებით შეიძლებოდა მხოლოდ. სელჩუქიანთ სულტანებმა მთელი თავისი ღონე და ენერგია შეალიეს მას, მაგრამ აღებით მაინც ვერ აიღეს, იმდენად ძლიერი და მიუვალი იყო ის; თუმცა ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ასასინები, დარწმუნებულნი იმაში, რომ ისინი ემსახურებიან ღვთის საქმეს, არ ერიდებოდენ არვითარ ხიფათსა და განსაცდელს, სიხარულით ეგებებოდენ სიკვდილსაც კი, ამიტომ მათთან ბრძოლა მეტად ძნელი საქმე იყო. ამას ზედმიწევნით უდგება ყველაფერი ის, რაც პოემაში ქაჯეთის შესახებაა ნათქვამი. ქაჯებიო, ამბობს ფატმანი, „მინდობიან კლდესა სალსა“ (1107), მათი ქვეყანა, ფრიდონის სიტყვით, „ყოვლგნით კლდეა გარეშემო, მტერი ვერა მოადგების“ (1233). ამ ქაჯებს აქვთ ქალაქი, რომელსაც ასე აგვიწერს ფატმანი:

ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია,
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძვრომელი ხვრელია (1103)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ციხე-ქალაქში ჰყავდათ მათ ნესტანი, რომელიც ტარიელს სწერდა:

ციხეს ვზი ეზომ მალალსა, თვალნი ძლივ გადასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან (1156).
ნუთუ ისინი გეგონნეს სხვათა მებრძოლთა წესითა? (1157)
ყოველთა კაცთა მავნებნი, იგი ვერვისგან ვნებულნი,
მათნი შემბელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი",

ამბობს ფატმანი. (1108).

ასასინები მეტად მოხერხებული ადამიანები იყვენ: არ იყო ისეთი დაბრკოლება, რომელიც მათ არ გადაელახათ, თავიანთი მიზნის განხორციელებისას, არ იყო ისეთი საქმე, რომელიც მათ არ სცოდნოდათ მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან, არ იყო ისეთი საჯარო ადგილები და დაწესებულება, სადაც ისინი შეუმჩნევლად, როგორც უხილავი სული და გრძნეული არსება, არ შეპარულიყვნენ და ისიც არა ღამით მარტო, არამედ დღისითაც. ისინი მიდიოდენ ხოლმე შორს, ცხრა მთას იქითაც, რათა სასიკვდილო დანა ჩაეცათ ძლევამოსილ მტრისათვის მისი ჯარის თვალწინ, ძლიერი სულტნისათვის ფხიზელ დარაჯთა გარშემორტყმულ სასახლეში და გავლენიანი მოხელისათვის მის გარშემო შემოკრებილ მდივანთა წრეში. ეს თვისება აქვს მათი ფატმანს მხედველობაში ალბათ, როდესაც ამბობს, რომ ქაჯნი „უჩინოთ წავლენ წამოვლენ მათითა ხელოვნებითა" (1099), რომ ისინი არიან

კაცნი გრძნებისა მცოდნენი, ზედან გახელოვნებულნი (1108),
იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ (1109).

მართლაც, ფატმანის მიერ ქაჯეთს გაგზავნილმა მონამ, „უჩინოთ შევლო სიმრავლე მოყმისა, კარგა მცველისა" (1134), „ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი (1135).

ერთი სიტყვით, პოემის ქაჯები, მათი ყოფა და ხასიათი ზედმიწევნით გვაგონებს იმას, რაც ჩვენ მოლიდების შესახებ ვიცით. ეს უკანასკნელნი თავზარსა სცემდენ მთელი აღმოსავლეთის მეფე-ბატონებს, აგრეთვე ჯვაროსანთა რაინდებს. ისინი შეუმჩნევლად, როგორც ვთქვით, შეეპარებოდენ ხოლმე ღამით დასაძინებელ ოთახში თავის მოპირდაპირეს და წუთისოფელს გამოასალმებდენ მათ. ამიტომაა, რომ ჩვენი ჟამთააღმწერელი ამბობს: „ალმუთელნი არიან კაცისა მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან" (ქარ. ცხ-ბა მარიამ დედოფლისა გვ. 624). მისი სიტყვით, „დღესა ერთსა წარმოგზავნეს ალმუთელთა მულიდი ერთი ხელოვანი, მოვიდა ღამით და შემოეპარა მცველთა ჩაღატა ნინისათა, შევიდა კარავსა მისსა, მძინარისა, დასდვა დანა გულსა მისსა და მოკლა იგი, რომელი ვერავინ ცნა" (იქვე გვ. 624).

ასასინების ამ თვისებას თავი უჩენია პოემის მთავარ გმირთა ქცევაში: ამავე ხერხით უსწორდებიან თავიანთ მოწინააღმდეგეებს ტარიელი და ავთანდილი. ტარიელმა, ნესტანის კარნახით, გადასწყვიტა თავისი კონკურენტის, ხვარაზმშას შვილის მოკვლა:

შევსხედით, გავვლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით;
კარავსა შეველ, სასიძო, ვითა წვა, ზარმცა ოქმა ენით,
უსისხლოდ მოვკალ იგი ყმა, თუმცა ხმდა სისხლისა დენით.
ყმასა ფეხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შეუტაკე (467-498),

ამბობს ტარიელი.

ბიბლიოთეკა

თანახმად ფატმანის წინადადებისა, ავთანდილი იძულებული ხდება თავიდან მოიცილოს ჩაშნაგარი; მან გაიგო უკანასკნელის ბინა და [illegible] მისკენ:

> კარსა შინა დარაჯანი ორნი უწვეს მას გლახ-ყმასა;
> ყმა გავიდა, გაეპარა, დააგდებდეს ვირე ხმასა,
> ივითო ხელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა ხდასა,
> თავი თავსა შეატაკა, გაურივა ტვინი თმასა (977)
>
> — —
>
> იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა,
> ხელსისხლიანი ავთანდილ შესდგა ტანითა ჯანითა;
> ველარ აესწრა, იდუმალ მოკლა, ვერცა თუ ეცანითა,
> ხელი მოჰკიდა, მიწასა დასკვნა, დაკლა დანითა (977).

ამ საქმის ასე მოხერხებულად შესრულებით გაკვირვებულია თვით პოეტი, რომელიც ამბობს:

> „ხმა მათისა დახოცისა არ გაისმა არსით არა,
> ესე მიკვირს, სისხლი მისი ასრე ვითა მოიპარა (980).

პოემაში თავი უჩენია აგრეთვე ისმაილიტ-მოლიდების მოძღვრების ზოგიერთ მხარესაც:

იმამატის თეორიასთან დაკავშირებით, ისმაილიტებს, განსაკუთრებით მათ შტოს — ასასინებს, დიდად სწამდათ ავტორიტეტი, ეს რწმენა მათ შორის უკიდურესობამდე იყო დაყვანილი და განვითარებული ინდივიდუალური კვლევა-ძიების ხარჯზე. ყოველი მათი სიტყვა და ნაბიჯი აწონილ-დაწონილი იყო იმისდამიხედვით, თუ რამდენად ეთანხმებოდა ის ამათუიმ ავტორიტეტად ცნობილი პირის შეხედულებას. ავტორიტეტით ხელმძღვანელობის ტენდენციას ვამჩნევთ ჩვენ ვეფხისტყაოსნის მომქმედ პირებსაც; ასეთი ავტორიტეტია აქ, მაგალითად, პლატონი (674), ბრძენი დივნოს (1328), ბრძენი ეზროს (125), ჩინეთის ქვის წარწერა (736), მოციქული (676), მეცნიერი (699, 911), განსაკუთრებით კი ბრძენი კაცი საზოგადოდ (674, 757, 766, 1178, 1376).

ისმაილიტ-მოლიდები სარწმუნოებრივი ცოდნის წინაშე უპირატესობას ანიჭებდენ ფილოსოფიურ ცოდნას; თავისებური კვალი დასტოვა მათს მსოფმხედველობაში განსაკუთრებით ნეოპლატონიზმმა. ამასვე ვამჩნევთ ჩვენ ჩვენს პოემაშიაც. მე არ მინდა ამით ვთქვა, რომ ნეოპლატონიზმის ნაკადი, რომელიც ვეფხისტყაოსანში ნათლადა ჩანს (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 106-107), შემოვიდა აქ დასახელებული წყაროდან, ამისათვის ადვილი მისაგნებია უშუალო, პირდაპირი გზები, მაგრამ ყველა ის შემთხვევა, როდესაც პოემის მოქმედი პირები „ბრძენთა“ თქმულებით, აზრებით და აფორიზმებით ხელმძღვანელობენ, როდესაც მათ დაუსახელებიათ „ფილოსოფოსთა ბრძნობა“ (675) და „სწავლულობა“ (782), ხოლო არც ერთხელ პირდაპირ რელიგიურ დოღმატზე და დებულებაზე არ მიუთითებიათ, მაჩვენებელია იმის, რომ რელიგიურ ცოდნას ისინი იმდენ მნიშვნელობას არ აძლევდენ, რამდენსაც ფილოსოფიურს.

ისმაილიტების შეხედულებით, რელიგიაში მნიშვნელობა აქვს შინაგანს, მისტიურ მხარეს, მისი წესები და ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებანი

ბიბლიოთეკა

უბრალო ფორმალობაა, ისინი საჭიროა მხოლოდ მდაბიოთათვის, რომელთაც ძალა არ შესწევთ შეიგნონ მისი სიმბოლიური მნიშვნელობა. ასეთი შეხედულება დაყვანილია აქ პოზიტიური მორალის უარყოფამდე.

როგორც ცნობილია, ისლამის მორალური კოდექსის მოთხოვნილებას შეადგენს: მარხვა, ლოცვა, ჰაჯი ან პილიგრიმობა მაქაში, ქველმოქმედება, სიმართლე ან გულწრფელობა და მრუშობისაგან თავის შეკავება. ისმაილიტები ყურანის ამ მოთხოვნილებათ ალეგორიულ-სიმბოლიურად განმარტებენ და ამგვარი განმარტებისას ხშირად მათ უარყოფამდე მიდიან. აღნიშნულ მოთხოვნილებათადმი გულგრილობას, რომელიც უარყოფამდე მიდის, თავი უჩენია აქაიქ ჩვენი პოემის მაჰმადიან—გმირთა ქცევაშიაც, როგორც ამას ქვემორე ანალიზი დაგვანახვებს.

ისლამი მოითხოვს მორწმუნეთაგან მარხვას, ესე იგი—ღვინის ხმარებისა და ზედმეტი ჭამა-სმისაგან თავის შეკავებას. მაგრამ ღვინის სმა, ისიც ხშირად დოსტაქანით (402, 1027), ქეიფი, შექცევა და, წარმოიდგინეთ, მთვრალობაც კი (26, 397, 990 და სხვ.)—ეს ხომ პოემაში გამოყვანილ მაჰმადიანთა ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია! თუ ვისმესთვის სავალდებულოა აქ ღვინის უსმენლობა, ეს მხოლოდდამხოლოდ უბრალო და ჯაბანი ვაჭრებისათვის, რომელნიც, რასაკვირველია, შორს არიან რელიგიის მისტიური შინაარსის შეგნებისაგან და რომელნიც ერთს შემთხვევაში ამბობენ:

... ჩვენ ვართ მობაღდადენი ვაჭარნი,
მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს გვისმან მაჭარნი (898)

რაც შეეხება ზედმეტი სმვა-ჭამისაგან თავის შეკავებას, ეს მოთხოვნილება სავსებით მიჩქმალულია პოემაში, პირიქით—როსტევანის პირით აქ ასეთი ლოზუნგია წამოყენებული: „სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია“ (19).

პოემაში არც ლოცვაა დაყენებული ყურანის მოთხოვნილების სიმაღლეზე; მუყრნი, მულიმნი, საზოგადოდ—სამღვდელოება, მათი მუსაფი (ყურანი) და ლოცვა აქ გაქირდულია და სახელდებულია, როგორც „ჩმახვა“; მაგალითად, ტარიელი ეუბნება ავთანდილს, რომ, როდესაც ის, მიჯნურობისაგან დაბნედილი, უსულოდ ეგდო,

სრულნი მუყნი და მულიმნი მე გარეშემო მცვიდიან,
მათ ხელთა ჭქონდა მუსაფნი, ყოველნი იკითხვიდიან,
მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი—რას ჩმახვიდიან (270)

არც ჰაჯის, ან მაქაში პილიგრიმობის, მოტრფიალენი ყოფილან ყველა აქ გამოყვანილი პირები. ფატმანი უყვება ავთანდილს, რომ უსენმა, ნესტან-დარეჯანის გაცემით, დაარღვია მოცემული სიტყვა და ფიცი. სინდისის მხილებისათვის ამის გამო მას თითქოს ასე უპასუხნია: „რა მუსაფნი, რა მაქანიო?“ (1027), ესე იგი—მას სავალდებულოდ არ მიაჩნია არც მუსაფი და არც მაქა.

ისლამის ერთერთი მთავარი მოთხოვნილება არის ქველმოქმედება, მოწყალების გაცემა, სიუხვე, ღარიბთა, გლახაკთა და ობოლთა შეწყალება. პოემაში გამოყვანილნი არიან ამ მცნების ზუსტად შემსრულებელნი; მაგალითად, როსტევანი თვით „უხვი“ (1), თავის ქალს თინათინს ეუბნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების;
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების,
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.

მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია,
უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია...
რასაცა გასცემ შენია, რაც არა—დაკარგულია (18-19).

თინათინმაც, თანახმად მამის ბრძანებისა, „გასცა უზომო, უანგარიშოულევი“ (21). მაგრამ ვეზირი მეფისა, სოგრატი, არ თანაუგრძნობს ამ პრინციპს, ის უარისმყოფელია მისი; მართლაც შენიშნა რა დაღრეჯა და მოწყენილობა მეფისა, ის მივიდა და უთხრა:

დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო!
მართალ ხარ, წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო:
ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო.
ყოლამცა მეფედ ნუ დასვი, თავსა რად უგდე ჭირიო!.. (27).

წარმოიდგინეთ, ავთანდილიც კი, რომელიც თითქოს აპოლოგეტია ამ მცნებისა, როგორც მისი ანდერძის სიტყვებიდანა ჩანს:

მიეც გლახაკთა საჭურჭლე. ანთავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები (687),—

ეს ავთანდილიც კი ნამდვილად უარყოფს მას, როდესაც ქველმოქმედების მოტივად აყენებს ეგოისტურ მოსაზრებას: „მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“-ო (687), და როდესაც ასეთ რამეს ამბობს:

რაცა თქვნთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა გასადებლად (688),

ესე იგი—გაეცი მხოლოდ ის, რაც შენთვის გამოსადეგი არ იყოსო; კარგი ქველმოქმედებაა!!

ისლამის მოთხოვნილებაა აგრეთვე სიმართლე და გულწრფელობა; პოემაშიაც, პლატონის პირით, აღიარებულია, რომ „სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (674). თანახმად ამისა, ნესტანიც აცხადებს: „მამაცისა სიცრუვესა ნეტარ სხვანი რამცა ჰგვანდეს?“ (437). მაგრამ, ჩანს, ყოველთვის და ყველასათვის ეს სავალდებულო არაა. ზოგიერთი აქ გამოყვანილი პირი, თავისი, მართალია, საპატიო მიზნის მისაღწევად, არ ერიდება სიცრუვეს; ასე, მაგალითად, ავთანდილიც კი, რომელიც ტარიელის საძებნელად წასვლის წინ აცხადებს: „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრისა დასაჭრელად“-ო (133), როსტევანს სიმართლეს არ უმჟღავნებს და ეუბნება:

მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო,
მორჩილ-ქმნილი გავახარო, ურჩი ყოველი ავატირო (96).

აგრეთვე გულან-შარო ქალაქში ის შედის ვაჭრულ ტანისამოსში, როგორც ვაჭარი, და ფატმანსაც კი არ უმჟღავნებს დიდხანს თავის ვინაობას. ტარიელი, რომელიც გაგიჟებულია ნესტან-დარეჯანის სიყვარულით, თანახმად მისი კარნახისა, ფარსადანს უთვლის:

„მე თქვენმან მხემან მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა“ (473)
„შენი ქალი არას მინდა, გაათხოვე, გამარიდე“ (476).

ყურანში სასტიკად აკრძალულია მრუშობა (XXIV, 2), მაგრამ პოემის ზოგიერთ პირს ეს ხელს არ უშლის „გული მისცეს თმობა-ქმნათა აუბისა საკრძალველად“ (288), მოვიგონოთ, მაგალითად, ტარიელის განზრახვა, რომელსაც ამხანაგებთან ქეიფის დროს მას აუწყეს ვიღაც პირდაბურული ქალის მოსვლა (286-291), ანდა ავთანდილის კავშირი ფატმანთან. მართალია, ისინი ჯერ ფაქტიურად არ შეერთებიან თავიანთ სატრფოს, მაგრამ გრძნობით და სიტყვით შეერთებულნი არიან, ყოველ შემთხვევაში, ამასაც რომ თავი დავანებოთ, ფატმანიც საკმარისია ამის საილუსტრაციოდ, ის ფატმანი, რომელიც ერთის მხრით ავთანდილს ეხვევა, მეორეს მხრით კი მოსთქვამს: „მოვკალ, ჰაი, ქმარი, ამოვწყვიდენ წვრილნი შვილნი“-ო (966).

ყველა ამით მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ავტორი ჩვენი პოემისა იყო ისმაილიტ-ასასინი ან მოლიდთა ორდენის წევრი, არც იმის, რომ პოემაში გამოყვანილი პირები არიან ასასინ-მოლიდები. არა! პოეტმა თვალწინ გადაგვიშალა ვრცლად აღმოსავლურ-მაჰმადიანური სამყარო XII-XIII საუკუნეებისა. ამ სამყაროში კი ერთერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ასასინ-მოლიდობა, რომლის წინაშე ძრწოდა მთელი წინა-აზია თითქმის ორასი წლის განმავლობაში. პოეტს არ შეეძლო გვერდი აევლო ასეთი მოვლენისათვის და არ მიეჩინა მისთვის გარკვეული ადგილი თავის მხატვრულ ტილოზე. ამიტომ მან გაკვრით ასასინ-მოლიდებიც მოიხსენია და ამათუიმ პირის სიტყვასა და ქცევაში მათი დამახასიათებელი აზრებიც შეიტანა.

დასასრული შემდეგ №-ში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲐᲤᲘᲔᲚ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ

რ. ერისთავი თავისი სოციალური წარმოშობით, საზოგადოებრივი მდგომარეობით, ოჯახური ტრადიციებით და აღზრდით ეკუთვნოდა ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლეს წრეს. მამა მისი დავითი იყო ცნობილი და შეძლებული თავადიშვილი, ხოლო დედა—ნინო—ავთანდილ ამილახვრის ასული—მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის შთამომავალი.

რ. ერისთავის კლასიური შემეცნების ფორმაცია მიმდინარეობდა ფეოდალური არისტოკრატიის სამყაროში. იგი დაიბადა და აღიზარდა ბატონყმური ურთიერთობის დროს, ეპოქაში როდესაც გლეხი ჯერ კიდევ შეადგენდა თავად-აზნაურობის სრულ საკუთრებას. პოეტს ზრდიდენ პრივილეგიურ პირობებში.

რ. ერისთავის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანია, იგი იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი *). მან შეადგინა ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან.მას აქვს ეთნოგრაფიული ხასიათის მიმოხილვა თუშ-ფშავ-ხევსურის, სვანეთის და სამეგრელოს შესახებ. მან სთარგმნა კრილოვის იგავ-არაკები. აგრეთვე სთარგმნა პუშკინის, ოგარიოვის მიცკევიჩის, ლერმონტოვის, ტიუტჩევის, გრეკოვის, მაიკოვის, კოლცოვის, ბერანჟეს და სხვ. ლექსები. მისი რედაქციით გამოვიდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და სხვ.

რას წარმოადგენდა საზოგადოებრივი კლასები იმ დროს როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რ. ერისთავი.

სამოქმედო ასპარეზზე მაშინ გავლენა ჰქონდა მხოლოდ თავად-აზნაურობას. მას ჰქონდა დიდი უფლება და უპირატესობა, მისთვის ადვილი იყო წარჩინება სახელმწიფოებრივ სამსახურში, მის ხელში იყო გლეხობის ბედ-ილბალი და სხვ.

როგორც ვხედავთ მთელი რიგი პირობებისა ხელს უწყობდა თავად-აზნაურობას, რომ იგი მტკიცედ მდგარიყო ფეხზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მისი მდგომარეობა ამ დროს უკვე შერყეული იყო. ეს წოდება დაცემისა და გადაგვარების გზაზე იყო დაქანებული.

რუსეთთან შეერთების შემდეგ თავად-აზნაურობამ ჩვენში დაჰკარგა სახელმწიფოებრივი-პოლიტიკური მნიშვნელობა. იგი თანდათან გადასწიეს სახელმწიფოებრივ მართველობის ასპარეზიდან. ამ მდგომარეობას ისინი ვერ ურიგ-

(* რ. ერისთავს დაწერილი აქვს ხუთმეტიოდე დრამატიული ნაწარმოები: „ადოკატები“, „ბრილიანტები“, „იპვიანი“, „ჯერ დაიხოცენ მერე დაქორწილდენ“. „სადილი მარშლისას“, „ბიძისთინ გამოხუმრება“, „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა ულელ ხარს თან გაიტანს“, „სკოლის მასწავლებელი“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდენ, ისინი იბრძვიან თვიანთი დაკარგული მდგომარეობის დასაბრუნებლათ, აწყობენ აჯანყებებს და შეთქმულებებს, მაგრამ ყველაფერი ამაოდ ხდება მათი დამარცხებით. თავად-აზნაურობის ძველი დიდება უკვე ფერფლია.

რაღა დარჩენოდა ამის შემდეგ ქართველ თავად-აზნაურობას?

თავად-აზნაურობაში შემდეგ პროცესს აქვს ადგილი როგორც სწერს ერთი მკვლევარი... „უმრავლესობას... სულ გადაავიწყდა ყოველი და აღარაფრის შეგნება აღარა ჰქონდა, აღარავითარს მოვალეობას ქვეყნის წინაშე აღარა ჰგრძნობდა. მისი იდეალი და სატრფიალო იყო ჩინ-ორდენები, სახელმწიფო „პენცია“, თავის გამოჩენა მთავრობის წინაშე, ან ოთხად მოკაკვა მისი შიშით, მაბეზღარობა და სულ-მდაბალი ღალატი მოძმეთა, ან და... ქეიფი, ლხინი, ხელგაშლილი ცხოვრება ფუფუნება-განსვენებაში, ზარ-დამცემ უსაქმურობა—მცონარეობაში“ („მოამბე„ 1895 წ. № 10).

თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი იცვლის ფრონტს, უახლოვდება რუსეთის თვითმყრობელურ მართველობას, ურიგდება თავის მდგომარეობას, რის მაგივრადაც იგი ღებულობს ჩინ-ორდენებს და ჯამაგირს. მეორე ნაწილი თავად-აზნაურობისა, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენდა, მოქმედების სხვა თავისებურ გზას ისახავს. იგი ურიგდება რუსეთის თვითმყრობელობას და საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას, მაგრამ არ ეტანება სამსახურს. იგი გატაცებული იყო მხოლოდ, ქეიფით და დროს გატარებით. ეს იყო მისი იდეალი.

ამავე ხანებში საზოგადო ასპარეზზე გამოდის თავად-აზნაურობის ახალი თაობა. მის წარმომადგენლებს სწავლა-განათლებაც აქვთ მიღებული. მათში არსებობდა სხვადასხვა შეხედულებების ხალხი. ასე, რომ ეს ახალი თაობა რამდენიმე ჯგუფისაგან შესდგებოდა. ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენდა ის ახალგაზრდობა, რომელიც როგორც სწერს ამხ. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე „ძველი თაობის მსგავსით ლხინის და ქეიფის მოტრფიალენი იყვნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამათ ლხინს და დროის ტარებას უფრო ევროპიული გემო ჰქონდა და ამიტომ უფრო ძვირათაც უჯდებოდათ. ყმების და მამულის დაგირავება და გაყიდვა ამათში უფრო ხშირი მოვლენა იყო, ვინაიდან მათი ევროპიულ გემოზე ცხოვრება უფრო მეტ ხარჯს ითხოვდა. უმთავრეს შემთხვევაში ესენი მსახურებოდენ სხვადასხვა ადმინისტრატიულ და სამოქალაქო დაწესებულებებში. თავად ალ. ჭავჭავაძის პოეზია იყო იმათ შორის ყველაზე უფრო პატივცემული. თქმა არ უნდა, რომ „ესენი ყველა ბატონყმური ურთიერთობის ერთგული მომხრენი იყვენ და შესაძლებელია მხოლოდ, არ თანაგრძობდენ ისეთ მებატონეთ, რომლებიც მეტად სასტიკათ და მხეცურათ ექცეოდენ თავიანთ ყმებს“ (იხ. თხზულებათა კრებული. ტ, V, გვ. 131—132).

რ. ერისთავი თავისი ამ დროის შეხედულებით და მისწრაფებებით უნდა მივაკუთნოთ თავად-აზნაურობის ამ ახალი თაობის ჯგუფს.

როგორი იყო ამ დროის გლეხობის მდგომარეობა?

გლეხობის მდგომარეობა ამ პერიოდში მეტად მძიმე და აუტანელი იყო. მისი ცხოვრება ხშირად პირუტყვის მდგომარეობაზე უარესი. იყო ყმა-გლეხების გაყიდვა, გაჩუქება, შეურაცხობა, ცემა ჩვეულებრივ მოვლენათ იყო გადაქცეული. ყმების ოჯახს უბრალო საბაბის გულისათვის სპობდენ, ანა-

დგურებდენ და ავიწროვებდენ თავად-აზნაურები. პირველი საჭიროებისთანავე ჰყიდდენ ყმა-გლეხებს, აშორებდენ ოჯახის წევრებს ერთმანეთს. ყმების გაყიდვის შესახებ მრავალი ცნობები არსებობს (იხ. „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“).

ამ დროს ჩვენს ცხოვრებაში დიდ გარდატეხას აქვს ადგილი. რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ზეგავლენით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ღრმა ცვლილებები ხდება. ამ დროს საგრძნობია ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესი და ახლად ჩასახული კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდა. ნატულარული მეურნეობის დაშლა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან იწყება. 30-იან წლებიდან საგრძნობი ხდება სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთან და რუსეთთან. 1812 წ. ერთ-ერთ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ალექსანდრე I მეფობის დასაწყისიდან საქართველოს ვაჭრობა ყოველ წლობით იფურჩქნება და ეს ქვეყანა ისეთ ფართო აღებ-მიცემას აწარმოებს, რომლის მსგავსი არას ოდეს არ ყოფილა საქართველოს მეფეების დროს“ („Акты“, ტ. V). 1817—1827 წლებში საქართველოს ვაჭრობა უცხოეთთან შემდეგ ციფრებში გამოიხატებოდა: ყოველწლიურად საქართველოში შემოჰქონდათ საშუალოდ 805,315 მან. საქონელი. ამავე დროს გაჰქონდათ აქედან საშუალოდ ყოველწლიურად 166,767 მან. საქონელი. შემდეგ წლებში ეს ციფრები თანდათან იზრდება, როგორც სწერს ამხ. ფ. მახარაძე „ორმოციან და ორმოცდაათიან წლებშა მარტო რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის ღირებულება წლიურად, საშუალო რიცხვით 5 მილ. მანეთს აღემატებოდა... მატულობდა და იზრდებოდა აგრეთვე ადგილობრივ დამზადებული საქონლის რაოდენობაც... უკვე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ადგილობრივათაც დიდძალი ნაწარმოები ხდებოდა ყიდვა-გაყიდვის საგნად“ (იხ. „მნათობი“ 1926 წ. № 3).

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მკვეთრ ხასიათს ღებულობს ძველი წოდებრივ ურთიერთობის კრიზისი. ფეოდალური არისტოკრატია ჰკარგავს წინანდელ სოციალურ წონას.მის მაგივრად ასპარეზე გამოდის ახალი კლასი.

ასეთ საზოგადოებრივ ატმოსფერაში მოუხდა რ. ერისთავს სამწერლო ასპარეზე გამოსვლა.

რა ხასიათის პოეტური შინაარსი მოგვცა რ. ერისთავმა თავის პოეზიაში? რა ხასიათის თემები გადმოგვიშალა მან მხატვრულ სახეებში?

რ. ერისთავის ძირითადი მოტივებია: ქალი და ტრფიალება, ღვინისა და ქეიფის კულტი, პატრიოტიზმი, გლეხთა ცხოვრება, სასულიერო—რელიგიური განწყობილებანი და ბუნების სურათები.

საერთოდ რ. ერისთავის პოეტური მოღვაწეობა იყოფა ორხანად: პირველი ხანა—1844 წლიდან 1880 წლამდე, მეორე—1880 წლიდან 1901 წლამდე, ე. ი. გარდაცვალებამდე.

რ. ერისთავის სამწერლო აზროვნების განვითარება და ჩამოყალიბება პირველ პერიოდში მიმდინარეობდა რომანტიზმის ბატონობის დროს ჩვენს ლიტერატურაში. ამ ხანაში ჩვენი მწერლობის ტონის მიმცემნი იყვნენ: ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ვახ. ორბელიანი და სხვ. გარკვეულ

სოციალ-კლასიურ ინტერესების საფუძველზე ჩვენს მწერლობაში და უპირველეს ყოვლისა, პოეზიაში მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის „მანძილზე“ ფართოდ იყო შეპრილი რომანტიზმი. ახალი წარმოებითი ძალების და თეიმყრობელური რუსეთის შემოსვლით დამარცხებული ფეოდალური არისტოკრატიის მწერლები რომანტიულათ ააჟღერებდენ პოეტურ ქნარს.

რ. ერისთავი თავის სამწერლო მუშაობას პირველ პერიოდში რომანტიზმის ნიშნის, გავლენის ქვეშ აწარმოებდა, მისი ამ დროინდელი ლექსები რომანტიული პოეზიის შემადგენელ მოტივებს შეიცავდა. ამ დროს მან თავის ლექსებში გამოგვიხატა მხოლოდ პირადი გრძნობა-განწყობილებები, პირადი განცდები. საზოგადოებრივი საკითხები, საერთო იდეები არავითარ ინტერეს არ იწვევდენ პოეტში. მისი პოეზიის ძირითადი თემა იყო—ქალი და ტრფიალება, ღვინო და ქეიფი. მისი ლექსების მხოლოდ სათაურებსაც ჩამოთვლაც ნათელჰყოფს ზემოთ ნათქვამს. აი, მისი ლექსების სათაურები: „თვალები“, „პეპელა“, „ყვავილს“, „სიყვარული“, „ჩვიდმეტი წლის ქალს“, „სინანული“, „ალბომში“, იქვიანი“, „რისთვის მიყვარხარ“, „თ—ს“, „ყანწი“, „ვარსკვლავს“, „ღვინო“, „ფერხულის ხმაზე“, „დამივიწყეო“, „ვერ დაგივიწყებ“, „ვინ შევიყვარო“ და სხვ.

ეროტიული ხასიათის ლექსებში რ. ერისთავი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ქალის გარეგან სილამაზეს, სიმშვენიერეს. აქ მას ყველაფერი გადაჭარბებით მიწიერად. ხორციელად აქვს მოცემული. პოეტი გრძნობათა უშუალო შეჯახებას ეტრფის. იგი მოწადინებულია „მშვენიერსა თვალი“ თვალსა გაუყაროს, თავი თავსა, თმა დალალსა, მკერდი მკერდსა დაამყაროს, ტუჩი ტუჩსა შეაწებოს. გულით სული გაახაროს, დავიწყებას თავი მისცეს, ნეტარების ცრემლი ღვაროს“ და სხვ.

რ. ერისთავის იდეალი ლამაზი ქალია. იგი გატაცებულია ქალის გარეგმობით. თვალების დანახვა მასში იწვევს გრძნობების არევას, განწყობილებათა გადასხვაფერებას:

ვეტრფი შავსა თვალებსა, ვეტრფი სხივებს ძალებსა,
სიყვარულით სავსეთა, ელვა არ მაკმარესა;
დახე მათთა კაშკაშთა, ჭკრთიან შავთა წამწამთა.—
ისარი მკრეს მე გულსა, დღენი გამიმწარესა!
მე არ მიყვარს თვალები, თუ რომ იყვნენ აწვანენი,
ეშმაკობით სავსენი ქაჯთა დასახმარენი,
მე გულს შემიხმუჭვიან, ვერას გავიხარენი,—
ნაბერწკალი არ იხრწნის მათში ბრწყინვალებისა!
ნაცრის ფერი თვალები, გრილნი, მეტად მკრთალებიი,
ტყუილათ კი არა სთქვეს,—ფიჩხულთ დასაგვანები...
რამწავ მათ დავინახავ,—როგორ არ გებრალები—
ჟრჟოლას ვიწყებ, მომივა მე დრო გაციებისა!

და სხვ.

(„თვალები“)

რ. ერისთავი ქალის ლამაზი თვალების მთელ კულტს ქმნის:

ვნახე თვალები- როგორც ისარნი,
ვითა მახვილნი განგებისახი!..
რა მწველებია, რა ძალებია,
რა თვალებია, რა თვალებია?!!

(„თვალები“)

აღსანიშნავია, რომ რ. ერისთავი ამ პერიოდში აგრეთვე უმთავრესად სთარგმნიდა ისეთ ლექსებს, რომლებიც ეროტიული ხასიათისა იყო (გრეკოვის „იპვიანი“, იურკევიჩის „სოფ. მელ-სახ.“, ოგარიოვის „Она никогда не любила“ და სხვა).

სატრფიალო—სამიჯნურო ხასიათის ლექსებს გარდა რ. ერისთავი პირველ პერიოდში დამღეროდა აგრეთვე ქეიფსა და ღვინოს.

ღვინის პოეტი მთელ ჰიმნს უძღვნის (იხ. ლექსი „ღვინო“). ღვინო პოეტის გაგებით „სუფრის ჯილაა“, „მეფეა“, „სიყვარულია“, „გამბედაობაა“. ღვინო აბედნიერებს და აამაყებს ადამიანს. ღვინო უქარწყლებს ადამიანს ჯავრს, მხდალს აგულადებს და ა. შ.

მეორე ლექსში—„ყანწი“ რ. ერისთავი შეჰხაროდა ყანწს. მისთვის ყანწი იყო თავდავიწყებითი ქეიფის და დროს გატარების სიმბოლი:

ყანწი მიყვარს მე, სპეტაკათ თლილი,
ტურფათ მოხრილი, ბოლოში წვრილი;
ყანწით მიყვარს სმა ძველებურათა:
ლხინით, ღიღინით, ტკბილათ, ძმურათა!...
— — — —
რათ მინდა თასი, ანუ ბადია?
ღვინის ჭურჭელი, რაც მაბადია,
სულ ენაცვალს მოჭედილს ყანწსა,
უხვსა, ბოლომდის ჩვენსა გამტანსა!

რ. ერისთავის პირველი პერიოდის ლექსები ძველი პოეტების მიბაძვაა. აქ არ მოსჩანს ორგინალობა, გრძნობის სიღრმე და სიძლიერე. „ვარდ-ბულბულიანის“ და ლხინის პოეზია რ. ერისთავზე უფრო ადრე და უკეთესად ჩვენს პოეზიაში სხვებმა მრავალჯერ მოგვცეს (ბესიკი, ალ. ჭანჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხვ.) ასე, რომ ამ სფეროებში მას ახალი და თავისი არაფერი უთქვამს...

ეროტიკა, ღვინის და ქეიფის კულტი, უდარდელობის აპოლოგია და დეკადანსის სხვა მოტივები საზოგადოთ ამა თუ იმ კლასში, წრეში იკიდებს ფეხს, მაშინ, როდესაც იგი დაცემისაკენ მიემართება. რ. ერისთავი ამ დროს, როგორც დანარჩენი ჩვენი რომანტიკოსების პოეზია გამოხატავდა სიკვდილის გზაზე დამდგარ ფეოდალურ არისტოკრატიის განწყობილებებს.

როგორც ვიცით 60-იან წლებში მოხდა ჩვენში ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ცნობილია ძველი და ახალი თაობის, „მამათა“ და „შვილთა“ შეტაკების სახელწოდებით. რ. ერისთავი ამ დროს განზე იყო გამდგარი. ის შეტაკებები, რომელიც „მამათა„ და „შვილთა“ შორის ხდებოდა მასში არავითარ ინტერეს არ იწვევდა.

50-60-იან წლებში რუსეთის და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბატონყმობის საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით იყო დასმული. საზოგადოების მოწინავე ნაწილი მწერლებიდან ბატონყმობის მოსპობისათვის იბრძოდენ. ყველაფერი ეს რ. ერისთავის პოეტურ თვალთახედვის გარეშე იდგა, მასში. არავითარ ყურადღებას არ იწვევდა. ამ პერიოდში მან ერთი სიტყვაც არ სთქვა ბატონყმურ ურთიერთობის ბორკილებზე, რომლითაც შემოჯაჭვული მაშინ იყო გლეხები. ამ პერიოდში რ. ერისთავი თითქოს ვერც კი ამჩნევდა ბატონ-

ყმობას (მხედველობაში სერიოზულად არ შეიძლება მიღებული იქნას მის მიერ 1857 წ. დაწერილი ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“. ეს ლექსი ბატონიერთს მიაჩნია ბატონყმობის მძლავრ დაგმობათ. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ლექსში არსად არ სჩანს ბატონყმურ სისტემის დაგმობა. არსებითად ამ ლექსში „კეთილი“ ბატონი თეორიაა განვითარებული). ამ დროს იგი ნამდვილი შვილი იყო თავისი ხანისა და თავისი წრის. მაშინდელი ჩვეულებრივი საშუალო თავადისაგან იგი არაფრით განირჩეოდა. მისი იდეალი იყო შავი თვალები და ჩინოვნიკობა (ერთ-ერთ პატარა ლექსში, რომლის სათაური იყო „ერთი კაცის სურათი“ რ. ერისთავი ვიღაცას ამხელდა „დიდ დანაშაულში“: „არ მსახურებს, შესცქერის მამა-პაპის კერასა“-ო და სხვ.).

ბატონყმობის გაუქმებამაც—ამ უდიდესმა ისტორიულმა ფაქტმა, რ. ერისთავის წინაშე შეუმჩნევლად ჩაიარა. იგი ამ დროსაც სიყვარულით და ქალით იყო გატაცებული (იხ. ლექსი „წრეს გადასული წრეში შემოსულს“) *).

1863 წელს რ. ერისთავმა დაწერა ლექსი, რომელიც თავის იდეოლოგიური ხაზით გრიგოლ ორბელიანის „ცნობილი“, მიძღვნის ალექსანდრე მეფისადმი, („სადღეგრძელოდან“) თანამოაზრეს წარმოადგენს. როგორც ვიცით 1862 წელს მეფის მოადგილედ კავკასიაში დანიშნული იქნა მიხაილ ნიკოლაევიჩი — მეფე ალექსანდრე მეორეს ძმა. რ. ერისთავმა მას მოუძღვნა ლექსი ამ ლექსში რ. ერისთავი მოუწოდებდა თავად — აზნაურულ ახალგაზრდობას, რომ' აღფრთოვანებული შეხვედროდენ მეფის მოადგილეს, რომელიც თითქმის ააგებს სკოლებს, აჯანყებულ მთიულებს დაიპყრობს, ააყვავებს საქართველოს და სხვა.

რ. ერისთავს ამ ლექსში თვითმყრობელურ და იმპერიალისტურ რუსეთის აგენტი წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც საქართველოს განმაახლებელი, მისი წინსვლისათვის მებრძოლი, როგორც ქართველი ხალხისათვის თავდაბული და ა. შ.

რის შესახებ ლაპარაკობს ეს ლექსი? — იმის შესახებ, რომ რ. ერისთავი ამ ლექსში გამოხატავდა თავად — აზნაურობის იმ წრის მისწრაფებებს, რომელიც მონარქისტულად იყო განწყობილი და თვითმყრობელობის წინაშე ქედის მოხრით, მის წინაშე ხოხვითა და ლაქუცით ცდილობდა წარმატების მიღწევას. ამ ლექსში თავად — აზნაურულ წოდების გარკვეული ფენის მისწრაფებები იყო გადმოცემული.

აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი რ. ერისთავს შემდეგში არ შეუტანია თავის ნაწერების გამოცემაში.

---

*) მხოლოდ უფრო მოგვიანებით, საგლეხო რეფორმის შემდეგ რ. ერისთავი ბატონყმურ ურთიერთობის შესახებ ანვითარებს „მამაშვილურს“ დამოკიდებულების თეორიას:

„... ბ ა ტ ო ნ ი ყ მ ა ს ა ჰ მ ა მ ო ბ დ ა
ყ მ ა - შ ვ ი ლ ი ც ა ხ ლ ა ს ვ ი ა ნ ი..,

(„მგზავრები“)

ეს მოსაზრება, ხომ სინამდვილეს არ შეეფერება. იგი ხომ სინამდვილის დამახინჯებაა!.. ალბათ რ. ერისთავი ბატონყმობის დროსაც ასე ფიქრობდა და ამიტომ მას არ შევძლო დაეწერა ბატონყმობის სისასტიკეზე!..

შ. რ.

ასეთი იყო რ. ერისთავის პოეზიის ხასიათი 1844—1880 წლებს შორის. შემდეგ მის პოეზიაში ახალი მოტივი ჩდება—გლეხობის ცხოვრების ასახვა-დახასიათება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ. რომ რ. ერისთავის ამ მოტივზე გადასვლას ხელი შეუწყო ე. წ. „წვრილ-ბურჟუაზიულ სოციალიზმის სასოფლო გამოცემა“—ხალხოსნური მიმართულების წარმოშობა—განვითარებამ, რომელიც ჯერ რუსეთში წარმოიშვა და შემდეგ ჩვენშიც გავრცელდა.

სანამდე ნათელვყოფდეთ ეს მართლა ასეა თუ არა, მანამდე საჭიროა ზოგათათ დავახასიათოთ ხალხოსნობა, ხალხოსნური მიმართულება.

ხალხოსნები საერთოდ წარმოადგენდენ წვრილ მწარმოებლის იდეოლოგებს. ლ ე ნ ი ნ ი ხალხოსნურ მიმართულებას ახასიათებდა, როგორც მსოფლმხედველობის არა მუშურს, არა პროლეტარულს, არა'ედ—წვრილ-ბურჟუაზიულს. ლენინის გაგებით ხალხოსნობა ეს იყო წვრილ-ბურჟუაზიული, გლეხური იდეოლოგია. „გლეხური სოციალიზმი“, „გლეხობის წვრილი მწარმოებლის ინტერესების წარმომადგენლები„, „გლეხური დემოკრატია“—ასეთია ლენინის განსაზღვრა ხალხოსნობის კლასიური შინაარსისა. ლენინი თავის ყველა წერილებში ხალხოსნობის შესახებ განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ხალხოსნების ასეთ გაგებას.

რა სამოქმედო პროგრამაა, რა იდეები წამოაყენეს ხალხოსნებმა?

მესამოცე წლებიდან რუსეთის ინტელიგენციაში ყალიბდება ხალხოსნური მოძრაობა. მისი გამოჩენა ცხოვრებაში გამოიწვია ახალ სოციალ-ეკონომიურმა პირობებმა. ამ მოძრაობის ლოზუნგათ ხდება სიტყვა: „ხალხში!“

ხალხოსნების ერთი ნაწილი ხალხში ეძებდა დასაყრდენს თავის ოპოზიციონურ მისწრაფებებისათვის, მეორე ნაწილი კი ხალხში ხედავდა ისეთ ფენას, რომელთანაც შეიძლებოდა ცხოვრება და მუშაობა. ორივე მიმართულებისათვის საჭირო იყო ხალხის გაცნობა, გლეხობასთან დაახლოება. ხალხოსნები მიდიოდენ ხალხში, გლეხობაში.

ხალხოსნები გლეხობის ნიშნის ქვეშ ადგენდენ თავის სამოქმედო პროგრამას, აკრიტიკებდენ სინამდვილეს, გლეხობის ცხოვრების საფუძველზე უნდოდათ ხალხოსნებს აეგოთ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა—თემური წესწყობილება.

ხალხში სიარულის იდეია რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სამოქმედო პროგრამა იყო რუსეთის ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის.

ხალხოსნების სოციალ-ეკონომიურმა იდეალებმა უდიდესი გავლენა იქონია მხატვრულ ლიტერატურაზედაც. წარმოშვა ძლიერი ხალხოსნური მიმართულება ლიტერატურაშიაც, რუსეთში სამწერლო ასპარაზზე გამოვიდენ ხალხოსანი—მწერლები. ნ. უ ს პ ე ნ ს კ ი, ნ ა უ მ ო ვ ი, ზ ლ ა ტ ო ვ რ ა ტ ს კ ი, რ ე შ ე ტ ნ ი კ ო ვ ი, კ ა რ ო ნ ი ნ ი, და სხვ. მათ მიზნად დაისახეს, წერა ხალხზე. მის მდგომარეობაზე, ბატონ-ყმობის ბოროტებაზე და სხვ.

ხალხოსნურ მოძრაობას გავლენა ჰქონდა არა მარტო რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებასა და მწერლობაზე, არამედ მან საკმაოდ ძლიერი გამოძახილი ჰპოვა რუსეთის იმპერიის ფარგლებში შემავალ სხვადასხვა ერების საზო-

გადოებრივ აზროვნებასა და მწერლობაზე. ხალხოსნურმა მოძრაობამ გაიტაცა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა და მწერლობის წარმომადგენლებიც.

ხალხოსნები ჩვენში სცემდენ საკუთარ ბეჭედითი ორგანოს—თვიურ ლიტერატურო-საპოლიტიკო ჟურნალს—„იმედს“.

რას ამბობდენ, რის შესახებ სწერდენ ჩვენი ხალხოსნები?

ხალხოსნებმა გაბედულად განაცხადეს, რომ გლეხობა საქართველოში ყოველთვის ყოველ მხრივ დაჩაგრული იყო. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგაც მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. გლეხობა კვლავ დაჩაგრული დარჩა, განსაკუთრებით ეკონომიურად. აი, ამ დაჩაგრული და შეიწროებული გლეხობის დაცვა იკისრეს ხალხოსნებმა, მათ მიაპყრეს თავიანთი გულისყური.

ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი—ჩვენი ხალხოსნების ერთ-ერთი წარმომადგენელი სწერდა: „ჩ ვ ე ნ ს ს ა მ შ ობ ლ ო შ ი გ ლ ე ხ-კ ა ც ი ი ზ ი დ ა ვ ს ე ხ ლ ა ს უ ლ ს და გ უ ლ ს პ ა ტ ი ო ს ა ნ ი კ ა ც ი ს ა ს. ევროპაშიაც მწერლობა დ ა ბ ა ლ ხ ა ლ ხ ს, ს ო ფ ე ლ ს კ ა რ გ ს ა დ გ ი ლ ზ ე ა ყ ე ნ ებ ს, უ ქ ა დ ი ს მ ა ს ნ ა ყ ო ფ ი ერ და ს ა ს ა რ გ ებ ლ ო მ ო ს ა ვ ა ლ ს? რისთვის? მისთვის, რომ ევროპაში მაღალიწოდება წვრილმანდება, უძლურდება. თვითგანვითარებული ბურჟუაზია, გაფუქსავატების გზას დაადგა. ნიშნები მისი გამოაშკარავდენ... უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ დ რ ო შ ი ე ვ რ ო პ ა შ ი დ ი დ ი ყ უ რ ა დ ღ ებ ა მ ი ა ქ ც ი ე ს დ ა ბ ა ლ ხ ა ლ ხ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა ს. ჩ ვ ე ნ შ ი ა ც, ვ გ ო ნ ებ ა ნ ა ლ ო გ ი უ რ ი მ ო ვ ლ ე ნ ა ი შ ვ ა, თუმცა ეს მოვლენა ჩვენში ისე აშკარად არ გამოხატულა, როგორც ევროპაში: ჩვენშიაც მაღალი წოდება ნელ-ნელა ფუქსავატდება, უძლურდება, ოდესმე ძლიერი და ამაყი თავადობა დაძაბუნდა. ეს გახლავთ ნამდვილი ფაქტი, ყველასათვის ცხადი, ვინც კი ჩვენს ცხოვრებას აკვირდება, სწავლობს“ („იმედი“—1881 წ. № 11—12—კურსივი ჩვენია. შ. რ.).

ხალხოსნები მოითხოვდენ ცხოვრების შეცვლას, მის გარდაქმნას ახალ ურთიერთობის ნიადაგზე. მათი აზრით ამ გარდაქმნილ ცხოვრების ბურჯად უნდა გამხდარიყო გლეხობა; ხალხოსნები თემურ წყობილებისათვის იბრძოდენ და აქედან, ისინი უარყოფიდად უყურებდენ საზოგადოების კაპიტალისტურ განვითარებას. იგივე ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი სწერდა: „მ ა ი ნ ც უ ნ დ ა ი თ ქ ვ ა ს რ ო მ ჩ ვ ე ნ შ ი მ ო მ ა ვ ა ლ ი გ ლ ე ხ-კ ა ც ო ბ ა ს გ ა ნ ა ვ ი თ ა რ ებ ს. დ ა ბ ა ლ ი წ ო დ ებ ა უ ნ დ ა შ ე ი ქ ნ ა ს კ ე თ ი ლ ც ხ ო ვ რ ებ ი ს ბ უ რ ჯ ა დ. ამას გრძნობს ყველა, ამას ღაღადებს მთელი ჩვენი მწერლობაც“ („იმედი“ 1892 წ. № 11—12 კურსივი ჩვენია. შ. რ.)

ხალხოსნებისათვის გლეხ-კაცობის ცხოვრება იყო მომავალი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის სიმბოლო. ამ მომავლის შენებას ხალხოსნების აზრით საფუძვლად დაედვას გლეხთა ცხოვრების და დამოკიდებულების წესები.

ხალხოსნები შეუდგენ გლეხ-კაცობის ცხოვრების შესწავლას. ისინი ერთის მხრივ ამხეურებდენ გლეხობის ცხოვრების ნაკლოვანებებს: ეკონომიური გაჭირვება, გაუნათლებლობა და სხვ., ხოლო მეორეს მხრივ—გვიჩვენებდენ გლეხობაში არსებულს დადებით, მიმზიდველს, რაც მომავალი ახალი ურთიერთობის თესლად მიაჩნდათ. „თუმცა საზარელია ჩვენი გლეხის ცხოვრების სურათი,—სწერდა სტ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი,—მაგრამ გლეხის პატიოსნება, ნამუსი, სიტყვაში სიმაგრე,

მოწყალეობა, სიყვარული, შებრალება და სხვა ზნეობითი ღირსებანი ბევრით მაღლა დგანან თვით ჩვენში განათლებული საზოგადოების თვისებებთან" („იმედი" 1881 წ. № 9).

ხალხოსნები მწერლობას უტილიტარულად უყურებდენ, მას პრაქტიკულ-საზოგადოებრივ ვალდებულებებს იკისრებდენ.

ასეთი იყო ხალხოსნობის სამოქმედო პროგრამა, მოძრაობის საერთო გზა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხოსნობა არ წარმოადგენდა ერთ მთლიან მიმართულებას. მასში ადგილა ჰქონდა სოციალურ-პოლიტიკურ იდეალების სიჭრელეს, სხვადასხვაობას.

როგორც რუსეთში, ისე ჩვენში ხალხოსნურ მოძრაობას განსაზღვრულ წლების განმავლობაში დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებრივ აზროვნების ყველა სფეროებში, მათ შორის მწერლობაზედაც. ჩვენს ლიტერატურაში ხალხოსნური მხატვრული მწერლობის წარმომადგენლებში იყვენ: ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ლ ო მ ა უ რ ი და სხვ.

როგორც ურთიერთობაში იყო რ. ერისთავი ხალხოსნურ მოძრაობასთან?

უკანასკნელ დრომდე ჩვენს ნაციონალისტურ-იდეალისტურ კრიტიკაში და ლიტერატურის ისტორიაში გავრცელებული იყო ის აზრი თითქოს რ. ერისთავი იყო დიდი ხალხოსანი მწერალი. ეს მოსაზრება ჩვენ სადაოთ და არა მართებულათ მიგვაჩნია.

რ. ერისთავი არ იყო არა თუ დიდი, არამედ ჩვეულებრივი რიგითი ხალხოსანიც. იგი მხოლოდ შორეულად და მეტად მკრთალად განიცდიდა ხალხოსნების გავლენას.

ხალხოსნების გავლენა რ. ერისთავის შემოქმედებაზე არ იყო არსებითი, თორემ მაშინ იგი უსათუოდ სხვა ხასიათის სამოქმედო პროგრამას დაისახავდა. რ. ერისთავი გლეხობას მონურ მოთმინებას და თავის დადებას უქადაგებდა, ხალხოსნები კი მთელ თავის იმედს ამყარებდენ გლეხთა მასების უკმაყოფილებაზე და რევოლიუციონურ ინსტიქტებზე. ხალხოსნებისათვის დადებითი გლეხები იყვენ ისინი, რომლებიც ებრძოდენ უსამართლობას, არსებულ წყობილებას. რ. ერისთავისათვის კი,—რომლებიც მონურათ ითმენდენ ყველაფერს.

ეს ძირითადი განსხვავება განისაზღვრება პრინციპიალურ სხვაობით, რომელიც არსებობდა ხალხოსნების და რ. ერისთავის შეხედულებს შორის.

ეხლა საჭიროა შევეხოთ რ. ერისთავის იმ ლექსებს რომელშიაც დახასიათებულია გლეხობა, მათი ცხოვრება და საქმიანობა.

გლეხობის მდგომარეობა ბატონ-ყმური ურთიერთობის მოსპობის შემდეგაც ჩვენში მეტად მძიმე იყო. გლეხობა განიცდიდა მიწის დიდ სიმცირეს. მას აგრეთვე სულს უხუთავდა სახელმწიფო აპარატი, მრავალგვარი სახაზინო გადასახადები, ჩარჩ-ვაჭრები და სხვ.

თავიანთ მძიმე მდგომარეობის შესახებ ამ ხანებში გლეხები მღეროდენ:

ჩვენ ულვთო შრომით ღონე აღარ გვაქვს.
მის ნაყოფით-კი სხვები ჰსტკბებიან;
ამაზე კრინტსაც თუ ვინმე დასძრავს,
„წესსა არღვევსა" ეუბნებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო! ნეტავი როს გვეღირსება,
რომ ყველა თავის ღვაწლით ჰსტკბებოდეს
და ამოდენი მუქთად მყლაპავნი
ჩვენის ოფლითა არ სარგებლობდეს.

თავიდი შემოქმედების ობიექტათ მეორე პერიოდში რ. ერისთავმა გაიხადა მიწად-მომქმედ გლეხობის წრე. მან დაგვისურათა უმთავრესად ღარიბი გლეხობის ცხოვრება. ამ ხასიათის ლექსებში მან ერთი და იგივე თემა მრავალი ვარიაციებით გადმოგვცა.

აღსანიშნავია, რომ რ. ერისთავი გლეხობის კონკრეტიულ ცხოვრებას გვიხატავდა, როგორც არამიმზიდველს: გლეხობა ეკონომიურად დიდათ გაჭირვებულია, გლეხობა განუწვეტლივ მუშაობს, მაგრამ მაინც შეიწროეაულია, მას ყველა სჩაგრავს—დაწყებული მამასახლის—მღვდლით და გათავებული ჩარჩ-ვაჭრებით, გლეხობა სწავლა-განათლებითაც მეტის-მეტად ჩამორჩენილია, გლეხის ცხოვრებისათვის პატარა რაიმე უბედურებასაც (მაგ. ხარის სიკვდილს) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და სხვ.

რ. ერისთივი მხატვრულ სახეებში იძლეოდა ღარიბ, დაბეჩავებულ გლეხობის მხოლოდ ერთ ნაწილს,—იმ ნაწილს, რომელიც გრძნობდა ცხოვრებაში გამეფებულ წინააღმდეგობეებს, მაგრამ უსიტყვოთ ურიგდებოდა, არ ებრძოდა მას. რ. ერისთავი იძლეოდა რუს პოეტ ნიკიტინის სიტყვებით, რომ ვსთქვათ „бедность несмелая, бедность забытая“. რ. ერისთავი ვერ ამჩნევდა გლეხობაში არსებულ დიფერენციაციას.

ღარიბი გლეხები გრძნობენ, რომ ცხოვრებაში გამეფებულია სოციალ-ეკონომიური ხასიათის უთანასწორობა, რომ მათი ცხოვრების მთავარი წყარო—მიწა სხვას ეკუთვნის, რომ ისინი გამხდარან სხვის საექსხლოატაციო ობიექტებათ.

ბერუასათვის მიწა გამხდარა საოცნებო საგნათ. იგი ხედავს, რომ მიწა სხვას ეკუთვნის, შრომა და ჯაფა კი მას. მისი იდეალია, რომ სასყიდლათ არ ჰქონებოდა მიწა, ვინაიდან თავის ბედნიერებას იგი მასში ხედავს:

ე, როგორ არი, ვერ მივხვდი, როგორი განაჩენია?..
მიწა სხვისია, ვქირაობ, შრომა კი—მარტო ჩემია...
როცა მღალატობს მზე-წვიმა და მომიცდება ყანები,
უფლის ნებაა, რა ვუყო, მე იმას ვეთაყვანები;
მაგრამ რომ ღალა მიწისა არ ასცილდება მთესველსა?
სად რა ვიშოვო, საბრალომ, ვინ მომაშავებს ბედ-შავსა?
ე შავი მიწა მაინცა რომ სასყიდლათ არა მქონოდა,
შავ სამარემდიე—რა ვიცი—მე რაღა დამაღონებდა?

სესიაც თავის მძიმე ცხოვრებაზე მოსთქვამს. მისთვის მიწა გამხდარა ცხოვრების სიმბოლოთ. მისთვის მიწაა დედ-მამა, და, ძმა. იგი იბრძვის ცხოვრებაში, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს. ყველა მას შრომას შეჰყურებს—მიწის პატრონი, მოხელე, მღვდელი და სხვები:

მიწა ვარ ნიადაგ მენა, ბეჩავი, გლეხად შობილი.
მიწაა ჩემი დედ-მამა, ჩემი და, ჩემი ძმობელი...
ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა, ე შრომა მაინც ფუჭია.—
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძღე კუჭია...
მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჭინჭველაც ჩემი მტერია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხელე, მღვდელი და ერი—ყველა მე შემომცქერია...
ნეტავი გამაგებინა: როდისღა მომასვენებენ?
ვერ შავესწრები, მგონია, მინამ არ წამასვენებენ!
(„სესიას ფიქრები").

ბერუაც, სესიაც და მათი მსგავსნი, თანამოძმენი მრავალნი მოსთქვამენ იმაზე, რომ მათი არსებობის მთავარი პირობა—მიწაა, მაგრამ იგი სხვის საკუთრებას შეადგენს. ღარიბ გლეხობას მხოლოდ შრომა რჩება, ნაყოფი კი სხვას მიაქვს. და ერთი კრიტიკოსის სამართლიანი თქმისა არ იყოს რ. ერისთავის „გლეხი და მისი გრძნობა, აზროვნება, იდეალი, ნატვრა და იმედი გადამეტებით მიწიერია, მიწის სული უდის, თითქმის მცენარეულია. მგოსნის გლეხი მიწას ჩასჩერებია, მას ჩაჰკვრია გრძნობა-გონებით, მაღლა ის არ იხედება, წარსულს არ იგონებს, მომავალს მხოლოდ ფიზიოლოგიურის თვალსაზრის უყურებს; მას თითქმის დავიწყენია, რომ „არა მარტო პურით ცხონდების კაცი". სულ ყველაფერი ის, რაც ხვნა-თესვის მექანიკურ პროცესს, მოსავალ-მოუსავლობას და სმა-ჭამას გასცილებია, მას აზროვნებას არ უმოძრავებს".

გლეხობას ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა უხდება. მას ბევრი მტერი ჰყავს. მტერია მისი ჩარჩ-ვაჭრებიც. გლეხი დემეტრე („დემეტრეს ჩივილი") ხედავს თავისი ეკონომიური დაბეჩავების მიზეზს—ვაჭარს, რომელიც „შემოპარვია ნათლიად" და რომელსაც მისი სახლკარი გაუხდია „სალაშქროდ, სანადიროდ". დემეტრე გრძნობს ვაჭრის ბოროტებას, მის გაუმაძღრობას. მან ვაჭარს თავის დროზე გადაუხადა თავნი და ვახში, მაგრამ ეს უკანასკნალი მაინც არ ეშვება, სურს მეორედ გადაახდევინოს ვალი.

მაშინდელი ადმინისტრაციაც სარგებლობდა გლეხობის სისუსტით.

ბერუა მოსთქვამს თავის გასაჭირზე რადგანაც ყველა მას ჩამოეკიდა და ავიწროებს:

ყველა მე ჩამომეკიდა: მამასახლისი, გზირია,
როგორ არა ვთქვა, ბეჩავმა, მე ჩემი გასაჭირია?
. . . . . .
გეო ვაჭარი ჩემს სახლში ნავარდობ, როგორც ქორია.
გზირიც, არყისგან დამთვრალი, გორაობს როგორც ღორია
რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, რით მოვიშორო ჭირია!..
ყველა მე ჩამომეკიდა,—სოფლის მოხელე გზირია!..
(„ბერუას ჩივილი")

გლეხის ცხოვრებისათვის ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. ოჯახის მომუშავე წევრის გამოკლება ან ხარის სიკვდილი ან ბუნების სისასტიკ მთელ უბედურებას უქმნის გლეხს.

თანდილას დარდი და უბედურება შეუქმნა გიშერას სიკვდილმა. მანამდე იგი ამაყობდა ცოლით, ამაყობდა შვილით და ამაყობდნ იმით, რომ ჰქონდა ბევრი „ნამკალი", მაგრამ ეხლა მისი მდგომარეობა შეიცვალა—ირმას აღარა ჰყავს ცალი. თანდილა მოსთქვამს, რომ აწი მისთვის ძნელია ქვეყნისათვის გაძღოლა, ცოლ-შვილის რჩენა („თანდილას დარდი").

სიკვდილს გლეხის ოჯახი გაუნადგურებია. „სესია კარგი მეურმე, მომკალი", დედის დამრჩენი და ჯერის გადამდი სიკვდილს მოუტაცნია („დედაბერის მოთქმა"). დედა მოსთქვამს შვილის დაღუპვას, ოჯახის განადგურებას.

ავადმყოფობაც მტერია გლეხის, რადგანაც მას მოუმკალი რჩება ყანა („მოუმკალი ყანა“).

ხშირად ბუნებაც მტერია გლეხის („შიმშილი“)). სეტყვა, გვალვა და სხვ. შიმშილში აგდებს გლეხს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რ. ერისთავი გლეხს განკერძოებულათ ხატავდა. აქ არ მოსჩანდა კოლექტივი, მასა. რ. ერისთავი ყურადღებას აქცევდა მხოლოდ რაღაც „განკერძოებულ“ გლეხს, რომელიც განუწყვეტლივ მუშაობდა, ოფლს ღვრიდა. რ. ერისთავის გლეხის მხიარულება და მწუხარება მხოლოდ მისი საკუთარი, ინდივიდუალური იყო.

როგორც ცნობილია, მწერლის კლასიური არსი განისაზღვრება არა იმით თუ რომელ ყოფას სახავს იგი, არამე დ იმით თუ როგორ სახავს ამ ყოფას, რომელი თვალსაზრისით აშუქებს მას. ასევე უნდა მიუდგეთ რ. ერისთავსაც.

გვიხასიათებდა რა რ. ერისთავი გლეხობის ცხოვრებას როგორც მძიმეს, იგი მას ბუნებრივ და ლოგიკურ დასკვნას არ უკეთებდა, არამედ სრულიად მიუღებელ და უაღრესად კონსერვატიულ შეხედულებებს ასკვნიდა.

ჩვენ დავინახეთ, რომ გლეხობის ცხოვრება, როგორც ის აგვიწერა რ. ერისთავმა მძიმეა, აუტანელია. საჭირო იყო გლეხობისათვის მითითება ამ მდგომარეობიდან გამოსავალ გზაზე. ასეთი გზა უსათუოდ აქტიურ, რევოლიუციონურ მომენტს უნდა გულისხმობდეს. მაგრამ რ. ერისთავი სრულებით ასე არ მოქმედობდა. იგი პირიქით რეაქციონურ მოსაზრებებს ანვითარებდა გლეხობის ბუნების შესახებ.

რ. ერისთავი იქაც კი, სადაც ბოროტებისა და საშინელები მეტი არაფერი მოსჩნდა, ეძებდა სიკეთეს და ჰარმონიას. იმის მაგიერ, რომ მას ღარიბი გლეხობისათვის გადაეშალა მეტად მძიმე ცხოვრება, მდგომარეობა, და ამით აღეძრა მასში მისწრაფება საუკეთესო მომავლისაკენ, უკეთესი პირობებისაკენ, იგი განზრახ ცდილობდა ასეთი მისწრაფების ჩახშობას გლეხში. რ. ერისთავს უკიდურესი ტენდენციური, კონსერვატიული აზრებით უნდოდა მშრომელი გლეხობისათვის გულის სიმაგრე და სიძლიერე შეემატა უბედურებისა და გაჭირების ასატანათ: „შფოთს ნუ აუტეხ ნურავის, ყველგან იყავი ძმურადა“. ყოველგვარ უბედურების ატანა მორჩილად, უმოძრაობა, მონურა თვისების გამოჩენა, სრული აპატია—აი რას უქადაგებდა რ. ერისთავი ღარიბ გლეხობას.

რ. ერისთავი აიდეალებდა პლატონ კარატაევის ტიპის გლეხებს, რომლებიც სრული კმაყოფილი იყვენ თავიანთი ბედით, ყველა იარეშეთი, რომელთაც უყვარდათ ყველა და რომლებიც ყველაფერს გულგრილათ უცქერდენ; რ. ერისთავი აღფრთოვანებული იყო გლეხობის „სიმშვიდით“.

რ. ერისთავი მსგავსად ლ. ტოსტოისა, გლეხობაში აფასებდა არა ბრძოლის უნარს და მისწრაფედას უკეთესი მომავლისაკენ, არამედ მის სიბეცეს, მის თვისებებს, მოთმინებას და უსაზღვრო მძიმე შრომას, მცირედით დაკმაყოფილებას და რელიგიურ-ქრისტიანულ სიმშვიდეს; რ. ერისთავი გლეხობას უქადაგებდა, რომ ბოროტებას არ უნდა გაუწიოთ წინააღმდეგობა.

რ. ერისთავის შეხედულება გლეხობაზე ყველაზე უფრო რელიეფურად გამოთქმულია ლექსში „ღმერთი დიდია ღარიბო!“. ამ ლექსში მოცემულია ის საზომი, რომლითაც რ. ერისთავი უდგებოდა გლეხობას.

რ. ერისთავს აზრადაც არ მოსდიოდა თავის დროინდელ ცხოვრებისადმი პროტესტი ან ამ ცხოვრების უარყოფა და მისდამი რევოლიუციონური-დაპირისპირება. ეს მას შეუძლებლად მიაჩნია. „რაც დაგდო ბედმან ვალადა, თავის დროზე აძლიე, სათემო სამსახურები არ შეირჩინო,—დასძლიე“. თუ მამასახლისი რასმეზე აგიხირდება „ღმერთი დიდია ღარიბო—გული ნუ შეგიშინდება“-ო, თუ მლვდელს დაწესებულ საქორწინოს, საკუთხს და სხვებს ამისთანებს მიართმევ, საქებარი იქნები და თუ მაინცა და მაინც კიდევ მეტი მოითხოვოს ისევ „...ღმერთი დიდია ღარიბო- გული ნუ შეგიშინდება“-ო და სხვ.

სამართლიანად შენიშნავდა ამ ლექსის („ღმერთი დიდია ღარიბო!“) შესახებ ა. ხახანაშვილი: „უთხრათ გლეხს, რომ მან ყოველგვარი გაჭირვება ითმინოს, ნიშნავს იმასვე, რომ ავადმყოფს ურჩიოთ ითმინოს თავისი ავადმყოფობა და არ უწამლოს მას“ (იხ. „Очерки по истории Груз. слов. გამ. 4. გვ. 214). ასეთი ტოლსტოვისებური თეორია, რომ არ ეწინააღმდეგო ბოროტებას, მიუღებელი და რეაქციონური მოსაზრებაა.

რ. ერისთავს თედუა იმიტომ მოსწონდა, „ცის რისხვას, ბატონის წყრომას, ქედ-მოხრით ემორჩილება“.

„კითხვა-პასუხში“ გლეხის მწუხარება, გაჭირვება და უკმაყოფილება შერიგების, შეჩვევის განწყობილებით აქვს გამოთქმული რ. ერისთავს. გლეხი გრძნობს, რომ იგი ხნავს და თესავს, მაგრამ სხვას მიაქვს. თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ მისი ნაუშევარი სხვამ არ წაიღოს ამაზე იგი არ ფიქრობს.

ბერუა („ბერუას ჩაფიქრება“) გაჭირვების, უბედურეზის დროსაც ღმერთს მიმართავდა. „როცა მლალატობს მზე-წვიმა და მომიცდება ყანები, უფლის ნებაა, რა ვუყოთ, მე იმას ვენაცვალმბი“.

რ. ერისთავი ხედავდა, რომ მშრომელი და ღარიბი გლეხობა უზომო შრომით წელში წყდებოდა, ხნავდა, თესავდა, ნაყოფი კი სხვას მიჰქონდა, მაგრამ მაინც ალაპარაკებდა გაურკვევლად თუ ამ მდგომარეობის შესახებ ვისთვის ეთქვა სამდურავი.

რ. ერისთავი იმიტომ ეტრფოდა გლეხს, რომ ეს უკანასკნელი მშვიდი ბუნებისაა, კმაყოფილია თავისი მდგომარეობით და გულაუმღვრელათ ამბობს: „რაც ვიყავ ისევ ისა ვარ, მიდგას მე კარგი ყანები, გლეხად დამბადა მე ღმერთმა—იმასაც ვენაცვალები“.

რ. ერისთავს გაიდეალებული აქვს გლეხის მძიმე და აუტანელი მდგომარეობა. იგი ცდილობს მოგვაწონოს გლეხი, რომელსაც მხოლო „მჭადი და ჯყალი“ გააჩნია, რომელიც ამბობს: მიწას გამალებით ვებრძვი, მაგრამ მაინც „ვერ გადვირჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძღე კუჭია“.

როგორც ვხედავთ, რ. ერისთავის მიერ დახასიათებული გლეხები უფრო წუწუნებენ, ვიდრე მებრძოლ განწყობილებებს ამჟღავნებენ. ისინი უფრო კვნესიან და არ იბრძვიან, სჩივიან და არ ღელდებიან. სინამდვილეში გლეხობის ბუნების დამახისიათებელ თვისებას არ წარმოადგენს ქედ-მოხრილობა ყველაფრისადმი და ყველასადმი. ბატონ-ყმობის დროსაც და შემდეგაც დიდი ადგი-

ლი ეჭირა გლეხობაში პროტესტს, მღელვარებას.*) იგი არ არის ყველაფრის კმაყოფილი და მომთმენი. თუ ზოგჯერ სდუმს გლეხი ამის მიზეზი უნდა ეძიოთ მის შეუგნებლობაში.

ბიბლიოთეკა

რ. ერისთავი თუ მშრომელ გლეხობას გვიხატავდა როგორც თვინიერ, უპროტესტო არსებათ, ასე არ იქცეოდენ ჩვენი სხვა მწერლები. აქ გარკვეული კლასიური თვალსაზრისი მოქმედობდა.

დიდი განსხვავებაა ე. ნინოშვილის და რ. ერისთავის მიერ დახატულ გლეხებს შორის.

ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი ს ღარიბი გლეხები მებრძოლი, პროტესტანტული სულით გაჟღენთილი ხალხია. სამაგალითოა ამ მხრივ „გოგია უიშვილი“ და „სიმონა“.

სიმონა ძალაძე, რომელიც მშრომელი, ღარიბი და პატიოსანი გლეხი იყო, ებრძოდა თავის მტერს—ბობოლა დავით დროიძეს. ამ უკანასკნელს სურს გასრისოს და შეავიწროვოს სიმონა, მოსპოს მისი ოჯახი. ამ განზრახვის შესრულება მან შესძლო. ამის გამო სიმონა ყაჩაღათ გავარდა. ამის შემდეგ სიმონას ამოქმედებდა მხოლოდ ერთი სურვილი: გაენადგურებია და მოესპო თავისი დამლუპველი დროიძე, რაც მან კიდეც შესძლო. მოუსმინოთ თითონ სიმონას: —„რა გიშავდა დავით, ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაში მეც მეცხოვრა და შენც! ორივე დავეტეოდით. ჩ ე მ ი გ ა ს ა რ ე ს ა, რ ო მ მ ო ი ნ დ ო მ ე, ა რ ი ც ო დ ა მ ე ც ს ა მ ი გ ი ე რ ო ს გ ა დ ა გ ი ხ დ ი დ ი!“ (კურსივი ჩვენია. შ. რ.) მშრომელი გლეხობა სიმონას სახით ბრძოლის და წინააღმდეგობის ფონზე დაუპირისპირა ე. ნინოშვილმა თავის მჩაგვრელებს.

„გოგია უიშვილშიც“ ასეთივე პროტესტანტი გლეხი მოგვცა ე. ნინოშვილმა.

რ. ერისთავთან შედარებით თვით ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ მოცემულა გლეხებიც კი უფრო რევოლიუციონერებათ გამოიყურებიან. მას „ღამის მეხრე ცეცო“-ში გამოყვანილი ჰყავს ღარიბი გლეხი, რომელიც ქედს კი არ უხრის ცდოვრებას, ცხოვრებაში გამეფებულ უსამართლობას, არამედ ენერგიულათ ებრძვის მას. ასეთივე მებრძოლი გლეხი ჰყავს გამოყვანილი ს. მგალობლიშვილს მოთხრობა „ჯორ-ზაქარა“-ში.

რ. ერისთავში ძლიერი იყო ბატონის, თავადის ფსიქოლოგია, ამიტომ იგი გლეხობას არა ბუნებრივ პოზაში და არა ბუნებრივი შეხედულობით იძლეოდა. აქ ნათლად მეღავნდება რ. ერისთავის კლასიური ფსიქოლოგია. მისი სუბექტიური შეხედულება განზოგადოებულ სახეს ღებულობს, რის გამოც ლ ე ნ ი ნ ი ს გამოთქმა, რომ ვიხმაროთ იგი გამოდიოდა „ს ი მ ა ხ ი ნ ჯ ი ს მ ო ქ ა დ ა გ ე თ“.

ამგვარათ, კლასიურმა ფსიქოლოგიამ და მსოფლმხედველობამ რ. ერისთავს

*) მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენში გლეხთა უკმაყოფილება არსებული ცხოვრებით ფართო ხასიათს ატარებდა. სვანეთის გლეხთა აჯანყება 1875—6 წლებში, სამეგრელოს გლეხების—იმავე წლებში, ქიზიყის გლეხების—1878 წელს და სხვ. ნათლად ამტკიცებს, რომ უფლებრივათ და ეკონომიურად შევიწროებული გლეხობა უსიტყვოთ მონურად კი არ ითმენდა თავის მძიმე მდგომარეობას, არამედ აქტიურად მოქმედებდა და იბრძოდა მისგან თავის დასაღწევად.

შ. რ.

უკარნახა, რომ მას ერთგვარი ტენდენციით შელამაზებული და იდეალიზაციაქმნილი წარმოედგინა გლეხობა, მისი ცხოვრება და მისწრაფებანი.

როდესაც ვიხილავთ მწერლის მთლიან შემოქმედებას, აუცილებელია ყურადღება მივაქციოდ ყველა ელემენტებს, რომლისგანაც შესდგება მხატვრული „ორგანიზმი". ერთი რომელიმე რგოლის გამოტოვებით ჩვენ ვარღვევთ მთლიანობას და ამით ხელს უშლით საერთოდ შემოქმედების კანონზომიერების გაგებას.

ამიტომ როდესაც ვეხებით რ. ერისთავის შემოქმედებას, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ბუნებას, პეიზაჟს, რომელსაც იგი იძლევა თავის პოეზიაში.

აღსანიშნავია, რომ რ. ერისთავი ადამიანის და ბუნების დამოკიდებულებას იძლეოდა პრიმიტიულ ფონზე. მასში არ არის მაგალითად ფილოსოფიური ელემენტი. ასევე, რ. ერისთავი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ბუნების რომანტიულ მხარეს. მას ნაკლებად აინტერესებდა თავის ლირიკულ განცდათა გადმოშლა ბუნების მეშვეობით, ბუნებაზე საუბრის სახით. იგი უფრო უბრალოთ და პირდაპირ უდგებოდა საკითხს, მას უფრო მეტად აინტერესებდა გლეხის და ბუნების დამოკიდებულება.

ბუნების როგორ სურათებს იძლეოდა რ. ერისთავი თავის შემოქმედებაში? 1) ბუნება მშრომელი ხალხის მეგობარი, დამხმარე, 2) ბუნება მშრომელი ხალხის მტერი, გაიძანადგურებელი და 3) ბუნების საერთო-განყენებული სურათები.

გლეხი და ბუნება? როგორ დამოკიდებულებაში არიან ისინი? რა შეხედულება აქვს გლეხს ბუნებაზე?

როგორც ცნობილია გლეხი უდიდესი პრაქტიკოსია. ყოველივეს მისთვის იმდენათ აქვს მნიშვნელობა, რამდენათაც სასარგებლოა. ასევე უტილიტარულათ უყურებენ რ. ერისთავის გლეხები ბუნებასაც. ბუნებაზე გლეხის ცხოვრებაში ბევრი რამ არის დამოკიდებული. ბუნების მოვლენების სხვადასხვა ხასიათს არსებითი გავლენა აქვს გლეხის ცხოვრებაზე. ყინვა, სიცივე, გვალვა, წვიმა სხვადასხვა გვარათ მოქმედობს გლეხის ცხოვრებაზე.

გლეხი ტეტია მოსთქვამს:

ნეტა რა წყალში ჩავვარდე, რით გამოვკვებო ცოლ-შვილი?
ი დასაქცევმა სეტყვამა კარს მოააყენა შიმშილი!..
რას ვიფიქრებდი, ბეჩავი?—ცა კაშკაშებდა ლურჯადა..
სამი დღის ყანა, სამკალი, ზედ კარზედ მედგა ბურჯადა,
უცებ გამოჩნდა პაწაწა, მუშტის ოდენა ღრუბელი,
მერე გადიდდა... იგრგვინა—და წამოვიდა სულ ბნელი...

. . . . . .

ისროდა მუშტის ოდენას და გრიალებდა წყეული...
მირეგვ-მორეგვა ხეხილი, გაწყალდა ანაზდეული!..
ყანა წამიხდა, რა ყანა, ავ თვალს არ ენახვებოდა:
თავთავს ქვეშ იხნიქებოდა, სიმძიმისაგან წვებოდა!..
და სხვ.

(„ტეტიას მოთქმა")

გოლვაც, სიცხეც განმანადგურებელია გლეხისათვის: პაპანაქება, ბუღი დგას, უჭირს საბრალო ყანას... დაშრა წყლები, გახმა და დასკდა მიწები... გლეხი შეწუხებულია ამ მდგომარეობით. მშველელს და დამხმარეს იგი მხოლოდ ღმერთში ხედავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნება გლეხის მეგობარიც არის. ღამის მეხრე იმედით შეჰყურებს მზის ამოსვლას.

ვმაგრობ და ვფხიზლობ, თავს ვიჭერ, თან დავლიღინებ ...
შევხედამ, ხარი პარიამ ლამაზად გამოანათა!..
მერე აღარა მიჭირს-რა, გატყდება ღამე და ძილი,
მრავალიც გადექანება, დიდი არ რჩება მანძილი...
მასუკან დილის რიჟრაჟი ცას განმინათებს და გულსა,
ტოროლაც შეინავარდებს, ძირს ველარ ვნახავ ნაბულსა!..
მზე ყურს ამოყოფს, გუთნეულს დავირეკ შესაბმელადა...
ორი დღის ალო მერგება, გადამიხნავენ ხელადა.

(„ღამის მეხრე")

რ. ერისთავს თავის ლექსებში ბუნების ცალკეული სურათებიც აქვს მოცემული („გაზაფხულდა", „მაისი", „ყვავილების სიმღერა", „ჩანჩქარი" და სხვ.).

რ. ერისთავს პატრიოტული ხასიათის მხოლოდ რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი. მათგან განსაკუთრებით ცნობილია „სამშობლო ხევსურისა". ამ ლექსში ხევსური დაჟინებით იმეორებს: „არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა" და ა. შ. რას ამტკიცებს ეს სიტყვები, ეს სტრიქონები?— ის ამტკიცებს ხევსურის (და მასთან ერთად მისი ავტორის) შეხედულების სიღარიბეს და ჩამორჩენილობას. საბოლოო ანგარიშში საზოგადოებრივი რეზონანსის თვალსიზრისით „სამშობლო ხევსურისა"-ში მოცემულია ნაციონალისტური კარჩაკეტილობის აპოლოგია.

პატრიოტული ხასიათის მოტივია მოცემული აგრეთვე „დედა-ენა"-ში, „ნეტა რას სტირი, დედილო" და „ასპინძის ომში"... *)

რ. ერისთავის პოეზიაში სასულიერო-რელიგიური ხასიათის მოტივსაც საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამ თემაზე მას საგრძნობი რაოდენობის ლექსები აქვს დაწერილი. ამათგან უმეტესობა საეკლესიო-საკალენდრო სასიათისაა („ბზობა", „აღდგომა", „მეკვლე" და სხვ.). მას აქვს აგრეთვე მრავლად გალექსილი ლოცვებიც რომლებიც ღმერთისადმი არიან მიძღვნილი („ღმერთო გვიშველე", „ღმერთო მაშორე" და სხვ.).

როგორც აღვნიშნეთ, რ. ერისთავი პირველ პერიოდში უმღერდა: ქალის სილამაზეს და უდარდელ ცხოვრებას. მის ასეთ განწყობილებასთან მთლიანად

---

*) ეროვნული საკითხის, პატრიოტიზმის გაგების მხრივაც საგრძნობი განსხვავებაა რ. ერისთავსა და ჩვენს ხალხოსნებს შორის. ხალხოსნები ცდილობდენ ინტერნაციონალიზმის დროშით გამოსულიყვენ. მათ ორგანო „იმედში" ვკითხულობთ: „...ტყულათ კი არ არის ნათქვამი—ერთი ჭკუა ჭკუა არისო და ორი უკეთესიაო. აქედან, რამდენი ბევრი ჭკუა შეერთდება ერთად, ბევრი ხალხი და ფეხი, ზურგი და წელი მიეცემა ერთ საყოველთაო შრომას, რაც დიდათ ეყვარება ყველას ერთმანეთი, მით უფრო ბევრი საქმე გაკეთდება, მით უფრო მომეტებული დღეგრძელობა და ბედნიერება ჩამოვარდება კაცობრიობაში. ვისაც მართლა თავისი ხალხი უყვარს, იმას იმავე სიყვარულით უნდა უყვარდეს მთელი ქვეყნიერებაც, რადგან მისი ხალხისა თვ-ს საჭიროა ქვეყნიერების დახმარება და ქვეყნიერებისათვის კიდევ მისი ხალხისა. აი ნამდვილი პატრიოტობა და მამულის სიყვარული ეს არის". (ტ ა ტ ა ლ ა „პოლიტიკა" ჟურ. „იმედი" 1881 წ. № 2). როგორც ვხედავთ აქ წამოყენებული იდეა ერთა შორის თანამშრომლობის და სოლიდარობის სრულიად არ გავს რ. ერისთავის მიერ „სამშობლო ხევსურისა"-ში წამოყენებულ იდეიას კარჩაკეტილობისა და კუთხურობისა.

შ. რ.

შეეხამებოდა ამ პერიოდის შემოქმედების ფორმალური მხარეც. ეს პერიოდი ხასიათდება რომანტიული სტილით. როგორც ცნობილია რომანტიულ სტილში განწყობილებების, ცნებების გამოწვევა უფრო ბგერით ხდება, ვიდრე სიტყვების აზრით, სიტყვები მხოლოდ ბუნდოვანად აღნიშნავენ რამდენიმე საერთო და განუსაზღვრელ მნიშვნელობას, სიტყვათა მთელ ჯგუფს ერთი და იგივე აზრი აქვთ. ასეთ გამოსახულებას საზღვრავს საერთო ემოციონალური „ფერები“.

რ. ერისთავი ხშირად მიმართავს თავის ლექსებში ეპიტეტებს. იგი ამით ხაზს უზვამს უფრო ნათლად ამა თუ იმ საგნის ნიშნებს:

შენ გინდა ცელქი ბავში გეტრფოდეს
შავთა თვალთაგან ცეცხლსა აფრქვევდეს,
ტკბილის ლიღინით გულსა გილხენდეს,
თავს გევლებოდეს და გაცოცხლებდეს
(„წრეს გადასული წრეში შემოსულს“)

რამ მომიღურბლა ბედი წყეული?
რათა ვარ მარტო როგორც ეული?
(„კითხვა“)

რ. ერისთავი თავის ლექსებში საკმაოდ ხმარობდა სახეებს. ეს სახეები უმეტესად უარყოფითი ხაზით ვითარდებიან. პოეტი სახეებში საწინააღმდეგო დაპირისპირებებს მიმართავდა:

არა ვარ კატა ღმერთმან იცის,
არც ის თაგვად მეგულვება,
რომ ვისკუსო, კლანჭი გავკრა,
მივაყენო რამე ვნება.
(„17 წლის ქალს“)

რ. ერისთავის ამ პერიოდის პოეზიაში ვხვდებით მეტეფორებსაც ე. ი. ამა თუ იმ სიტყვას მხატვრულ ნაწარმოებში ხმარობდა საგნის და მოვლენის გადატანით მნიშვნელობის აღსანიშნავათ. მაგრამ საერთოდ რ. ერისთავს არ ახასიათებს მეტაფორების სიმრავლე. მისი მეტაფორები უმეტეს შემთხვევაში მეტად პრიმიტიულია, მათ აკლია მხატვრული სიძლიერე და სიღრმე.

რ. ერისთავი ხშირად ხმარობდა ანაფორიებს ე. ი. ერთდაიმავე სიტყვების გამეორებას, რათა უფრო მეტი ეფექტით წარმოგვიდგინოს ესა თუ ის მომენტი.

ბზობა არის, ბზობა არის! წიმო ვანო საყდარშია,
იქ ლაპლაპებს კელაპტრები, ნათელა და კაშკაშია...
(„ბზობა“)

ღვინოა ჩვენი სიცოცხლე, ძალა,
ღვინოა მეფე და სიყვარული,
ღვინოა, რომ ჯანს უმატებს ჩვენს მკლავს...
(„ღვინო“)

რ. ერისთავის პირველი პერიოდის შემოქმედება საერთოდ უმნიშვნელოა, როგორც შინაარსის ისე ფორმის მხრივ.

მდგომარეობა იცვლება მეორე პერიოდში. რომანტიული სტილი თანდათან ადგილს უთმობს რეალისტურ სტილს. ამ ხანის ლექსებში რ. ერისთავი უფრო ორგანიულათ ეხება მოვლენებს, მიმართავს რეალურ—საგნობრივ პრინციპს, ხმარობს სიტყვებს სრული საგნობრივ-კონკრეტული აზრით.

სასაუბრო ენა, რომლითაც შლის თავის შემოქმედებას რ. ერისთავი არის ხალხური. აქ პირველ პლანზე ქართლული დიალექტი თავისი თავისებურობით: სისადავე, ფრაზის შექმნაში ყოველგვარ, სირთულის თავიდან აცდენა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ფორმის მხრივ რ. ერისთავს ახალი არაფერი შეუტანია ჩვენს მწერლობაში. იგი უკვე სხვების მიერ გაკაფულ გზას მიჰყვებოდა.

ეხლა საერთო დასკვნა რ. ერისთავის შემოქმედების შესახებ.

ამბობენ რომ თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში თითქოს რ. ერისთავმა ზურგი შეაქცია თავად-ზნაურულ იდეოლოგიას. მაგრამ ეს არ არის მართალი. რ. ერისთავს თავად-აზნაურულ იდეოლოგიისათვის არასდროს არ შეუქცევია ზურგი. მან შესძლო მხოლოდ წოდებრივი კარჩაკეტილობის გარღვევა.

მარქსიზმის კლასიკოსები განსაზღვრულ შემთხვევაში სცნოდენ, რომ ამა თუ იმ კლასის მწერლისათვის მისაწვდომია სხვადასხვა კლასის ფსიქოლოგია. კ. მარქსი ბალზაკს უწოდებდა სოციოლოგს სწორედ იმისათვის, რომ მან გადმოგვცა მემამულეების, ბურჟუების და გლეხების ტიპების მთელი რიგი ობექტიური თვისებები. ლენინი კი აღნიშნავდა მ. გორკის შემოქმედების ობიექტურ პროლეტარულ ფუნქციას.

ამავე სახით უნდა გავიგოთ რ. ერისთავის პოეზიის ის მოტივიც, რომელიც გლეხობას და მის ცხოვრებას შეეხება. რ. ერისთავმა თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში მხოლოდ რამდენიმეთ ჩასწვდა გლეხობის ცხოვრებას თავად-აზნაურულ იდეოლოგიის სიმაღლეებიდან. სხვა მოტივები კი მას ისევ ძველი, თავად-აზნაურული დარჩა.

ბ. ბუხნიკაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკრაინის კულტურის დეკადა საქართველოში

უკრაინის კულტურის დეკადა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლებაა ჩვენს მიმდინარე მუშაობაში. დეკადის საშუალებით ჩვენ უფრო მტკიცეთ დაუკავშირდით უკრაინის პროლეტარიატს.

დეკადის ჩატარების ინიციატივა ეკუთვნის უკრაინის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს. უკრაინის კულტურის დეკადა პირველ ხანებში არ იყო მოფიქრებული ასეთი ფართო მასშტაბით, მაგრამ შემდეგ გეგმა თანდათანობით გაფართოვდა. მასშტაბის ფართო გაშლა მოითხოვეს უკვე საქართველოს ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა, ვინაიდან საჭირო იყო ამომწურვად გავცნობოდით ერთმანეთის კულტურას მთლიანად.

საქართველოს სახკომსაბჭომ დაამტკიცა უკრაინის კულტურის დეკადის ჩამტარებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ა. კვირიკაძე (თავმჯდომარე), ბ. ლიშვილი, ე. ბედია, ს. კაიტანჯიანი, შ. დუდუჩავა, დ. დიასამიძე, გ. ბუხნიკაშვილი, შ. რადიანი, ბ. ბუაჩიძე, ს. ჩიქოვანი, პ. იაშვილი, ა. ახმეტელი, ტ. ტაბიძე, კ. ჩხარტიშვილი, ნ. კიკნაძე, დ. შევარდნაძე, პროფ. ნუცუბიძე, კ. მარჯანიშვილი და ჯანუაშვილი.

კომიტეტი ივნისის დასაწყისიდან უკვე შეუდგა სამზადისს. კომიტეტის რამდენიმე სხდომაზე დამუშავდა მთლიანი გეგმა, დანაწილებულ იქნა წევრების შორის მუშაობა.

დელეგაციის ჩამოსვლა.—19 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა დელეგაციის ნაწილი—პროფ. კრიჩევსკი, პროფ. ერნსტი, მელლერი, რუდიაკოვი და სხ. სტუმრებს სადგურზე შეხვდა სხვადასხვა კულტურულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს იყო ჯგუფი მომუშავეების, რომლებსაც წინასწარი მუშაობა უნდა ჩაეტარებიათ დეკადის მოსაწყობად, კერძოდ მოეგვარებიათ გამოფენის საკითხი.

27 ივნისს ჩამოვიდა თეატრი „ბერეზელი"-ს მთელი შემადგენლობა რესპულიკის სახალხო მსახიობის ლეს კურბასის მეთაურობით.

1 ივლისს დღის 3 საათზე ტფილისში ჩამოვიდა ძირითადი დელეგაცია ამხ. პოლოცკის (დელეგაციის თავმჯდომარე), მაზურნეკოს, კრიხის, მიკიტენკოს და ბურკოვიჩის და სხ. შემადგენლობით.

ტფილისის საბჭოთა საზოგადოებრივობამ დელეგაციას დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყო. სადგურზე დელეგაციას დახვდა მრავალი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიტინგზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. კვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკაძე, ბუაჩიძე, ჩიქოვანი, დრობინსკი („ბერეზილი"-ს წარმომადგენელი) და სხ. საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. პოლოცკი და მიკიტენკო.

უკრაინის დელეგაციის შესახვედრად და დეკადაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა სომხეთიდან ჩამოვიდა სპეციალური დელეგაცია.

ტფილისის საბჭოს საზეიმო სხდომით ამხ. ორჯონიკიძის კლუბში 1 ივლისს, ოფიციალურად დაიწყო უკრაინის კულტურის დეკადა საბჭოთა საქართველოში. სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მელაძემ და თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა დეკადის პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა. მისალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ს. ს. ს. რ. სახკომსაბჭოს და განსახკომის სახელით ამხ. კვირიკაძე, საქ. პროფკავშირთა საბჭოს—ამხ. ანთიძე, საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის—ამხ. ბუაჩიძე, საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის—ამხ. ტაბიძე, სომხეთის კულტდელეგაციის სახელით ამხ. ალაზანი, რკინის გზის სარემონტო—ქარხნის მუშების—ამხ. ლორთქიფანიძე, 26 კომუნარების ქარხნის—ამხ. კონნი, განათლების მუშაკთა პროფკავშირის—ამხ. მახათაძე, მბეჭდავი მუშების—ამხ. მარქაროვი, დამკვრელ მუშების და შრომის გმირთა—ამხ. დოლიძე, საზღვ. გარეთ. კულტ. კავშირის საზ-ბის—ამხ. ნუცუბიძე, სამეცნიერო მუშაკების—ამხ. ვაშაყმაძე, საზ. „სარმა"-ს—მირზოევი. ორატორები გამოსთქვამდენ სიხარულს, რომ საბჭოთა საქართველოს ეწვია მოძმე რესპუბლიკის დელეგაცია თავისი მიღწევების სადემონსტრაციოდ.

საპასუხო სიტყვით და საბჭოთა უკრაინის მიღწევების შესახებ მოკლე ინფორმაციით გამოვიდა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. პოლოცკი.

ამხ. პოლოცკიმ აღნიშნა, რომ საქართველოს და უკრაინის მშრომელთა წარსულ ცხოვრებაში ბევრია საერთო. რევოლიუციამდე ორივე რესპუბლიკები კოლონიებად იყვნენ ქცეული, ორივე მწვავედ განიცდიდა მონარქიზმის და ბურჟუაზიის მძიმე ექსპლოატაციას და ეს მდგომარეობა ძირს უთხრიდა ნაციონალურ კულტურის განვითარებას.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ მისცა საშუალება საქართველოს და უკრაინის მშრომელთ გაენვითარებინათ ფორმით ნაციონალური და შინაარსით პროლეტარული კულტურა.

საბჭოთა უკრაინას დიდი მიღწევები აქვს ეკონომიურ ფრონტზე: დნეპროსტროი, ტრაქტორსტროი, და სხვ. სოფლის მეურნეობის 70% კოლექტივიზაცია და მრავალი სხვა მიღწევები ეკონომიურ ფრონტზე ცხადყოფენ კულტურულ განვითარებასაც.

ამხ. პოლოცკი აღნიშნავს დაწვრილებით საბჭოთა უკრაინის დღევანდელ მდგომარეობას კულტურულ ფრონტზე და ადარებს მას წარსულს. ძველად უკრაინის მშრომელთ არ ქონდათ არც ერთი საშუალო ან უმაღლესი სასწავლებელი უკრაინულ ენაზე. უკრაინის ტერიტორიაზე იყო მხოლოდ 29 რუსული საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი. დღეს უკრაინაში არის 100 ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი და 250-ზე მეტი საშუალო. უმაღლეს სასწავლებელში 200.000 პროლეტარული სტუდენტობაა. უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლების

80% მუშებია ან მუშის შვილები. სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში—60% კოლმეურნენი ან კოლმეურნეთა შვილებია.

უკრაინაში ასამდე სამეცნიერო-საგამომკვლევო დაწესებულებაა და ამათში 3000 სამეცნიერო მუშაკია.

კულტურული ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პერიოდიული ბეჭდითი ნაწარმოების ტირაჟის ზრდა. ძველად უკრაინული გაზეთი არ გამოდიოდა ლეგალურად. 1926 წელს უკრაინაში გამოდიოდა 70-მდე გაზეთი 600.000 ტირაჟით. 1931 წელს ჩვენ უკვე გვაქვს 219 გაზეთი 5 მილიონი ტირაჟით და გარდა ამისა 304 მრავალ ტირაჟიანი გაზეთი წარმოებებში 830.000 ტირაჟით. ამ გამოცემებიდან 94% უკრაინულ ენაზეა.

დიდი მიღწევებია ხელოვნების დარგში (თეატრი, სახვითი ხელოვნება, მუსიკა). უკრაინაში ამ ჟამად 100 სახელმწიფო თეატრია.

მომხსენებელმა ცხადყო, რომ უკრაინაში შენდება ნაციონალური ფორმით და პროლეტარული შინაარსით—კულტურა, რითაც ხორციელდება ჩვენი პარტიის ამოცანები ნაციონალურ საკითხებში. დიდი ყურადღება ექცევა კულტურულ მუშაობას ეროვნულ უმცირესობათა შორის და აქაც მიღწევებიც დიდია. ეროვნებანი, რომელთაც უწინ დაწყებითი სკოლაც არ ქონდათ თავის საკუთარ ენაზე, დღეს მათ უმაღლესი სასწავლებლებიც კი აქვთ. პოლონურ, გერმანულ და ებრაულ სახელმწიფო თეატრებს დიდი მიღწევები აქვთ.

კულტურულ მშენებლობაში ნაკლოვანებაც ბევრია. ნაკლის ერთ-ერთ მიზეზი არის გამოცდილების უქონლობა. ამიტომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკები მოვალენი არიან გადასცენ ერმანეთს თავიანთი მუშაობის გამოცდილება სოციალისტურ მშენებლობის ყველა დარგში. ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ—ვაშენებთ სოციალიზმს—ამბობს მომხსენებელი. ისტორიამ ჩვენ დიდი ამოცანები დაგვაკისრა. საქართველო არის პროლეტარული რევოლიუციის ავანპოსტზე აღმოსავლეთით, უკრაინა—დასავლეთით. ჩვენი მიღწევები—ეს მიღწევებია ჩვენი საზღვარის იქით ბურჟუაზიის კლანჭებში მყოფ მშრომელებისაც, დაჩქარებაა პროლეტარული რევოლიუციის იქ. ეს მდგომარეობა ჩვენ დიდ ამოცანებს გვაკისრებს. ჩვენ შევასრულებთ ბოლშევიკურად ამ ამოცანებს, რისთვისაც საჭიროა მჭიდრო კავშირი ძმურ რესპუბლიკების შორის.

უკრაინის კულტურის მუშაკთა დელეგაცია, რომელშიაც შედიოდენ: ამხ. პ ო ლ ო ც კ ი (დელეგაციის თავმჯდომარე—უკრაინის განსახკომის მოადგილე), მ ა ზ ურ ე ნ კ ო (უცხოეთთან კულტ-კავშირის უკრაინის საზოგადოების თავმჯდომარე), მ ი კ ი ტ ე ნ კ ო (უკრაინის პროლეტ. მწერალთა ასოციაციის მდივანი) და გ რ უ დ ი ნ ა (მეცნიერების მუშაკი), 3 ივლისს ეწვია საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე ს და ცაკის მდივანს ამხ. ს. თ ო დ რ ი ა ს.

დელეგაციას ახლდა საქართველოს განათლების სახ. კომისარი ამხ. ა. კ ვ ი რ ი კ ა ძ ე, საქ. და ა. კ. პროლეტმწერალთა ასოციაციის მდივანი ბ. ბ უ ა ჩ ი ძ ე და საქ. და ა. კ. დრამკომის მდივანი გ. ბ უ ხ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი.

ამხ. ფ. მახარაძე დელეგაციის სახით მიესალმა უკრაინის პროლეტარიატს, ღარიბ-საშუალო გლეხობას და მშრომელ ინტელიგენციას. დელეგაციის წარმომადგენლებთან ხანგრძლივ საუბარში ამხ. ფ. მახარაძემ ხაზი გაუსვა უკრინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკადის დიდ პოლიტიკურ-კულტურულ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ დაახლოების ასეთი გზა წარმოადგენს ერთ მთავარ საშუალებას ლენინურ-ინტერნაციონალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის.

დელეგაციის სახელით ილაპარაკეს ამხ. პოლოცკიმ და მიკიტენკომ, რომლებიც დაწვრილებით შეეხენ უკრაინის კულტურის დეკადის და მასთან დაკავშირებით, დელეგაციის ამოცანებს. ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ეს დეკადა არის საქმიანი კულტურული კავშირის მხოლოდ დასაწყისი. უკრაინის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციების სახელით ამხანაგებმა სთხოვეს ამხ. ფ. მახარაძეს საქართველოდან ასეთივე დელეგაციის უკრაინაში გააზავნა. ამხ. მიკიტენკომ განაცხადა, რომ საბჭოთა საქართველოს და უკრაინას შორის კულტურულ კავშირის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, უკრაინაში, მომავალ სეზონში მოწვეული იქნება ერთ-ერთი ქართველი რეჟისერი. აგრეთვე უკრაინის თეატრების რეპერტუარში შეტანილი იქნება ქართული ორიგინალური პიესები კერძოთ უკრაინის ოპერის თეატრებში დაიდგმება ფალიაშვილს ოპერა „აბესალომ და ეთერი" უკრაინულ ენაზე. ამხ. მაზურენკო შეეხო უკრაინულ და, ქართულ სამეცნიერო დაწესებულებათა გამოცდილებების გაცვლის საჭიროებას განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის დარგში.

ამავე დღეს დელეგაცია ეწვია საქ. კ. (ბ) ცეკას მდივნებს ამხ. ს. მამულიას და გ. დევდარიანს, რომლებთანაც დელეგაციის წევრებს ქონდათ ხანგრძლივი საუბარი.

შემდეგ დელეგაცია ეწვია ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მამია ორახელაშვილს, რომელმაც ძმური სალამი გადასცა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის სახელით სოციალისტურ კულტურის ფრონტელებს. ამხ. მ. ორახელაშვილმა აღნიშნა, რომ როგორც უკრაინის, ისე ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა სდგას სოციალიზმის მშენებლობის დიად ამოცანების განხორციელების ერთ მაგისტრალზე. ამიერ კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებმა და უკრაინამ რუსეთის გმირული პროლეტარიატის დახმარებით, შექმნეს ეროვნულ კულტურის განვითარების მტკიცე საფუძველი და მთელ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად თავდადებით იბრძვიან და იბრძოლებენ ლენინიზმის ცხოვრებაში გასატარებლად.

ამხ. მ. ორახელაშვილმა დელეგაციის წევრებს დაწვრილებით გააცნო ამიერ-კავკასიაში მრეწველობის, კოლექტივიზაციის და მთელი სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. შემდეგ ამხ. ორახელაშვილმა დელეგაციას განუმარტა ის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ახასიათებენ ამიერ-კავკასიას და რომელსაც წარსულში ჯერ მონარქიზმი ღრღნიდა და ავიწროვებდა პოლიტიკურად და ეკონომიურად, ხოლო შემდეგში მთელი ამიერ-კავკასია დღითი-დღე ნადგურდებოდა დაშნაკების, მუსავატელების და მენშევიკების პოლიტიკის წყალობით.

შემდეგ დელეგაციამ ინახულა ა. კ. ცაკის მდივანი ამხ. გ. სულთანოვი.

უკრაინის კულტურის ერთ-ერთი დიდი მიღწევათაგანი არის თეატრი „ბერეზილი". თეატრმა მონაწილეობა მიიღო უკრაინის კულტურის დეკადაში.

„ბერეზილის“ თეატრს აქვს თავისი მოკლე, მაგრამ მდიდარი ისტორია. 1916 წელს უკრაინის თეატრის ენტუზიასტთა ჯგუფმა ლ ე ს კ უ რ ბ ა ს ხელმძღვანელობით დაარსა ახალი თეატრის სტუდია. სტუდია ოქტომბრის რევოლიუციის დღეებში უკვე თეატრად გადაიქცა. თეატრი უშუალო მონაწილეობას იღებს სამოქალაქო ომში. წითელი არმიის მე-45 დივიზიასთან ერთად იგი მუდმივად სამოქალაქო ომის ფრონტზეა. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ლეს კურბასის ჯგუფი მარტის 1922 წელს კიევში აარსებს მუდმივ თეატრს. მას სახელად ეწოდა „ბერეზილი“ (უკრაინულად ბერეზენი—მარტი).

თეატრის პირველივე წარმოდგენებმა გვიჩვენეს, რომ იგი მტკიცეთ იდგა ახალ თეატრულ გზაზე. თეატრი ქმნის ახალ სცენიურ ტეხნიკას. სინტეტიურად აშენებს წარმოდგენას. იგი ემყარება აქტიორის თამაშის ახალ სისტემაზე. უარყოფილია „პრემიურობა“ და მტკიცედაა დაცული კოლექტიური პრინციპი. თეატრის ლოზუნგია: „თეატრი—სოციალური ფაქტორია, თეატრს მაყურებლის ფსიხიკა მიჰყავს რევოლიუციონურ ეპოქის გზაზე“. თეატრმა ამ გზით მიაღწია დიდ მხვატრულ მწვერვალებს. მის ცხრა წლის მუშაობაში ცხადია იყო შეცდომებიც, მაგრამ მთლიანად იგი საუკეთესო და მოწინავე რევოლიუციონური თეატრია უკრაინაში. თეატრი იბრძვის იმისათვის, რომ გაამართლოს ერთად-ერთი სწორი ლოზუნგი ჩვენი კულტურული წინსვლის: „ნაციონალური ფორმა—პროლეტარული შინაარსი“. თეატრმა გაზარდა საუკეთესო აქტიორული და რეჟისორული ძალები (ბ უ ჩ მ ა, კ რ უ მ ე ლ ნ ი ც კ ი, გ ი ხ ნ ი ა კ და სხ.), თეატრში მუშაობენ საუკეთესო მხატერები (პ ე ტ რ ო ც კ ი, მ ე ლ ლ ე რ ი). თეატრის ირგვლივ შემოკრებილია უკრაინის ავტორთა საუკეთესო პროლეტარული ნაწილი (მ ი კ ი ტ ე ნ კ ო, კ უ ლ ი შ და სხ.). თეატრი მჭიდროთ არის დაკავშირებული მუშათა და წითელ-არმიელთა მასებთან და მათთან ერთად ქმნის სოციალისტურ კულტურას.

„ბერეზილი“ თბილისში ჩამოვიდა 27 ივნისს. საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრივობამ მას ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყო. სადგურზე თეატრს შეხვდენ განსახკომის ამხ. კ ვ ი რ ი კ ა ძ ი ს მეთაურობით თითქმის ყველა ჩვენი მუშათა და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენელნი, ხელოვნების მუშაკნი და აუარებელი ხალხი. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდენ ამხ. კ ვ ი რ ი კ ა ძ ე, ს ა ნ დ რ ო ა ხ მ ე ტ ე ლ ი, კ ო ტ ე მ ა რ ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, პ რ ო ფ. ბ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, თბილისის მუშების სახელით ამხ. ლ ე ვ ჩ ე ნ კ ო, საპასუხო სიტყვით გამოვიდა „ბერეზილი“-ს ხელმძღვანელი ლ ე ს კ უ რ ბ ა ს ი, რომელიც დაბოლოს გამარჯვებას უსურვებს მოძმე ერების დაკავშირებას, ჩვენს პარტიას, რომელიც უდიდესი ენერგიით აშენებს ახალ კულტურას, გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა საქართველოს.

თეატრის მთელი შემადგენლობა გაემართა რუსთაველის თეატრისაკენ. თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა „ბერეზილის“ და რუსთაველის თეატრის მთელი შემადგენლობის. სიტყვებით გამოვიდნენ ს ა ნ დ რ ო ა ხ მ ე ტ ე ლ ი, ლ ე ს კ უ რ ბ ა ს ი, პ რ ო ფ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე; ა კ ა კ ი ვ ა ს ა ძ ე, „ბერეზელის“ მსახიობი ბ ა ლ ა ბ ა ნ ი, პ. ი ა შ ვ ი ლ ი და სხვანი.

28 ივნისს რუსთაველის თეატრმა „ბერეზილის“ საპატივსაცემოდ გამართა საზეიმო წარმოდგენა. ნაჩვენები იქნა „ანზორ“ ს. შანშიაშვილის. წარმოდგენის

წინ სიტყვა წარმოსთქვა ს. ახმეტელმა. დიდი ოვაციებით შეხვდენ მაყურებელნი ლეს კურბასის საპასუხო მისასალმებელ სიტყვას.

30 ივნისს მეორე სახელმწიფო თეატრის მიერ „ბერეზილის“ საპატივსაცემოდ გამართული იქნა საზეიმო წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო „არსენა“ და ორი სურათი პიესა „როგორ“-ის. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა კოტე მარჯანიშვილი. საპასუხო სიტყვთი ლეს კურბასი.

„ბერეზილის“ წარმოდგენების საზეიმო გახსნა შესდგა 2 ივლისს რუსთაველის თეატრში. პირველ წარმოდგენაზე ისე როგორც შემდგომ, დიდძალი მაყურებელი დაესწრო. წარმოდგენის დაწყებამდე შესდგა უკრაინის დეკადის ჩამტარებელ კომიტეტის საზეიმო სხდომა. კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბენ. ბუაჩიძემ. მან აღნიშნა უკრაინის კულტურის დეკადის დიდი პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობა და კერძოდ „ბერეზელის“ ღირსშესანიშნავი ადგილი დეკადის ჩატარების დროს. შემდეგ სიტყვით გამოვიდა უკრაინის განსახკომის ხელოვნების განყოფილების გამგე ამხ. ბენკოვიჩი. მან გააცნო მაყურებლებს უკრაინის ხელოვნების ყველა დარგის მდგომარეობა და მიღწევები ხელოვნების ფრონტზე. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა „ბერეზილის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ლეს კურბასმა. მან გააშუქა „ბერეზილის“ მხატვრულ-იდეოლოგიური პოზიციები და თეატრის პერსპექტივები.

გასტროლები გაიხსნა უკრაინის საუკეთესო პროლეტარული მწერლის ამხ. ი. მიკიტენკოს პიესით „დიქტატურა“ (დადგმა კურბასის, მხატვრი მელლერი. მუსიკა მეიტუტის). პიესის შინაარსი მეტად აქტუალურია. მასში გაშლილია უკრაინის მუშების და გლეხების ბრძოლა სოციალიზმისათვის. პიესის ძვირფასი გაფორმება და აქტიორების შეუდარებელა თამაში ქმნიან საუკეთესო შთაბეჭდილებას. აღსანიშნავია როგორც ამ წარმოდგენაში, ისე შემდგომ უკრაინის ეროვნული კოლორიტი და სპეციფიურობა ფორმაში. თეატრმა ამ წარმოდგენით შესძლო დაძლევა და გამართლება პარტიის ლოზუნგის „ნაციონალური ფორმა—პროლეტარულ შინაარსი“.

თეატრმა თბილისში სულ გამართა თერთმეტი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა „დიქტატურა „მიკიტენკოს“, მინა მაზაილო“ კომედია 4 მოქმედ. მ. კულიშის, დადგმა ლ. კურბასის, მხატვარი მელლერი, მუსიკა მეიტუსის; „კადრები“—პიესა 4 მოქ. ი. მიკიტენკოსი, დადგმა ლ. დუბოვსკის, მხატვრები—ვლასიუკ და ტოვბინი, მუსიკა მეიტუსის, „გაიდამაკები“ პოემა ტარას შევჩენკოსი 3 მოქ., დადგმა ლ. კურბასის, მხატვარი მელლერი, მუსიკა მეიტუსის; „პროლოგი“ 3 მოქმ. კომპოზიცია ლ. კურბასის და ს. ბონდარჩუკის, დადგმა ლ. კურბასის, მხატვარი შვლიაევი, მუსიკა მეიტუსის.

ნაჩვენები ხუთი პიესით განისაზღვრება „ბერეზილის“ გასტროლები. ეს საკმარისია, რომ მთლიანი აზრი გამოვიტანოთ თეატრზე. „ბერეზილი“—ეს ერთ-ერთი დიდი მოვლენაა საბჭოთა კავშირის თეატრალური კულტურის, როგორც შედეგი ჩვენი სწორი ლენინური ნაციონალური პოლიტიკის. მისი მხატვრული იდეოლოგიური სახე სავსებით მისაღებია თანადროულობისათვის. მისი მხატვრული ხელმძღვანელები კურბასი, მელლერი, და სხ. დიდი დიაპაზონი ხელოვანნი არიან, მათში ძლიერი ფანტაზიაა და გაქანება. თეატრს დაძლეული

აქვს შტამპი, ერთფეროვნება. თეატრში გრძნობ ჯანსაღ დინამიკას. აქტიორთა კოლექტივის სახე სრულიად ახალია, მძლავრი. შეუძლებელია ცალკე რომელია მათ შორის საუკეთესო. ამ მთავარი როლების შესრულების მიხედვით, რომლებიც წილათ ხვდათ აქტიორებს ჩამოთვლილ პიესებში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს როლების უდაო ნიჭიერი დაძლევა გირნიაკის, კრუშელნიცკის, ბუჩმას, ჩისტიაკოვის, უჟვის, ხვილიას, დოცენკოს, მარონენკოს, დრობინსკის და რადჩუკის მიერ.

მოხსენებები. მთელი რიგი მოხსენებებით უკრაინის დელეგაციამ გააცნო საქართველოს მშრომელთა მასებს ის მიღწევები, რომელიც ამჟამად აქვს საბჭოთა უკრაინას კულტურულ ფრონტზე. მიღწევები კოლასალურია თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მდგომარეობას, რომ უკრაინა მშვიდობიან მშენებლობას დაადგა მხოლოდ 1920 წლის დამდეგს. ცხადია არავითარი შედარება არ შეიძლება უკრაინის წარსულთან (მონარქიზმი, გეტმანშჩინა) როდესაც სრულიად იჩაგრებოდა უკრაინის მშრომელთა ინტერესები და მისი კულტურული ზრდა შეუძლებელი იყო.

დღევანდელი მიღწევები შედეგია ჩვენი პარტიის სწორი ნაციონალური პოლიტიკის და უკრაინის მშრომელთა შეუდრეკელი ნებისყოფის, რათა განამტკიცონ და გააძლიერონ სოციალისტური მშენებლობა.

მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები:

ამხ. კრიკი. (უკრაინის სახელგამის გამგეობის თავმჯდომარე) მოხსენება გააკეთა გამომცემლობის შესახებ უკრაინაში. ამხ მიკიტენკო (უკრაინის პროლეტმწერალთა ასოციაციის მდივანი) ლიტერატურული უკრაინა. ეს მოხსენებაში: მოსმენილ იქნა ხელოვნების სასახლეში პროლეტმწერლების, საბჭოთა მწერლების, ლიტწევრების, მუშკორების. ჟურნალისტების და ხელოვნების ლიტერატურის სხვა მუშაკთა კრებაზე.

ამხ. ზუბროვსკი (ხარკოვის მუსიკალურ დრამატიულ ინსტიტუტის ლექტორი) და გრუდინა (ხარკოვის ლენინიზმის და მარქსისტების ინსტიტუტის ასპირანტი) მოხსენებები მუსიკალურ ფრონტის და თეატრის შესახებ. მოხსენებებს დაესწრო ხელოვნების მუშაკთა აქტივი (მოხსენებები საქ. მუსიკალურ ინსტიტუტში).

პროფ. მაზურენკო (საზღვარ-გარეთის კულტკავშირის უკრაინის საზოგადოების თავმჯდომარე) და ზაბელსკი (უკრაინის ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრი) მოხსენებები საქ. ლენინიზმის და მარქსიზმის ინსტიტუტში უკრაინის მეცნიერული აზრის საგამომკვლეო დაწესებულებათა განვითარების შესახებ.

ამხ. ჰანდელმანი (უკრაინის პროფკავშირთა წარმომადგენელი) მოხსენებები „პროფკავშირთა მონაწილეობა ეროვნულ-კულტურულ მშენებლობაში" და ვასიუტინსკი (უკრაინის ა. ლ. კ. კ. კ-ს ცეკას წევრი) მოხსენება: მასიური თვითმოქმედი ხელოვნება უკრაინაში, მოხსენებები გაკეთებული იქნა პროფ. კულტ-აქტივის სხდომაზე ამხ. ვოროშილოვის სახელობის კლუბში.

ამხ. კირიაჩენკო (უკრფილმის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე) და ბაჟანი (პოეტი. კინო-მუშაკი) მოხსენებები უკრაინის კინოს შესახებ საქ. კინო-აქტივის ორ კრებაზე.

პროფ. ერნსტი. (კიევის სამხატვრო ინსტიტუტი) მოხსენება უკრაინის სახვითი ხელოვნების განვითარების გზების შესახებ საზ. „სარომ[illegible] [illegible]ებზე.

მოხსენებებმა მრავალი შეკითხვები გამოიწვია და ამ [illegible] [illegible]ისის პროლეტარიატს და მშრომელ ინტელიგენციას სრული საშვალება მიეცა ზედმიწევნით გაცნობოდა საბჭოთა უკრაინის კულტურულ მიღწევებს.

უკრაინის კულტურულ მიღწევათა ზედმიწევნით გასაცნობად ტფილისში, ეროვნულ გალერეიაში, უკრაინის დელეგაციის მიერ მოწყობილი იქნა უკრაინის კულტურის გამოფენა.

გამოფენა გაიხსნა 9 ივლისს. გახსნაზე მრავალმა დამსწრემ მოიყარა თავი. გამოფენის გახსნას დაესწრენ სხვადასხვა კულტურული და სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლები, საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფილ. მახარაძე, გამსახკომი ამხ. ა. კვირიკაძე, უკრაინის დელეგაცია უკრაინის განსახკომის მოადგილის ამხ. პოლოცკის მეთაურობით.

საზეიმო სხდომა გაიხსნა ამხ. ფილ. მახარაძის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით. მომხსენებელმა ფართოდ განმარტა დეკადის მნიშვნელობა, როგორც პრაქტიკული საშვალების ერთი-ერთ შორის მიღწევათა გასაცნობად. დიდი მადლობა უძღვნა უკრაინისს მშრომელებს და ხელისუფლებას, რომ საშვალება მოგვეცა გავსცნობოდით მათ მიღწევებს სოციალისტური კულტურის მიღწევების ფრონტზე. შემდეგ ამხ. ფილიპე მახარაძემ განმარტა გამოფენასთან დაკავშირებით უკრაინის ისტორიის ეტაპები. მოიყვანა კონკრეტიული მაგალითები წარსულში უკრაინის მშრომელთა ბრძოლის გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით შეჩერდა ძველი მებრძოლის პოეტ ტარას შევჩენკოს ისტორიაზე, რომელიც შეურიგებლად ებრძოდა მონარქისტულ რეჟიმს. შემდეგ ვრცლად შეეხო საბჭოთა უკრაინის დღევანდელ უდიდეს მიღწევებს, ეკონომიურ-პოლიტიკურ და კულტურულ ფრონტზე.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ პროფ. კაკაბაძე (პედ. ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი), პროფ. ნუცუბიძე (საზღვარგარეთის კულტკავშირის საქ. და ა. კ. საზ-ბა). საპასუხო სიტყვით „გამოვიდა ამხ. მაზურენკო.

გამოფენამ მიიპყრო დიდ ყურადღება. გამოფენა შეიცავს უკრაინის ისტორიას მეცხრე საუკუნიდან დღევანდლამდე. ექსპონატები დაყოფილია შემდეგ პერიოდებად: კულტურა უკრაინის ადრინდელი ფეოდალიზმის, განვითარებული ფეოდალიზმის, კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის, სამოქალაქო ომის და დღევანდელ უკრაინის. ყველა ეს პერიოდები მოყვანილია სისრულით და ნათლად. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დღევანდელი უკრაინის ნაწილი, რომელიც ნათელ სურათს იძლევა გიგანტიური სოციალისტური მშენებლობისას. ცალკე არის გამოფენილი ლიტერატურა, მხატვრობა, თეატრი, კინო. გამოფენის ეს უკანასკნელი ნაწილები ნათლად აღიარებენ იმ გაშლილ შემოქმედებითი მუშაობას, რომელსაც აწარმოებენ საბჭოთა უკრაინის ხელოვნების მუშაკნი.

7 ივლისს კულტურის და დასვენების ბაღში შესდგა კომკავშირის ტფილისის აქტივის კრება უკრაინის დელეგაციასთან ერთად.

უკრაინის დელეგაციის მხრივ სიტყვებით გამოვიდენ: ამხ. გრუდინა, განდელმანი (უკრ. პროფსაბჭო), ანიკანოვი (მწერლობა), ვასიუტინსკი (უკრ. ა. ლ. კ. კ-ს ცეკა). ამხანაგებმა დაწვრილებით გადასცეს აქტივს უკრაინის კომკავშირის მოღვაწეობა კულტურულ ფრონტზე და მთლიანად სოც. მშენებლობაში. ამხ. ჩუბინიძემ (საქ. ა. ლ. კ. კ-ს ცეკას მდივანი) გააცნო დელეგაციას საქ. კომკავშირის მიღწევები კულტურულ მუშაობის დარგში.

მისასალმებელი სიტყვები წამოსთქვეს 26 კომუნარების ქარხნის სახელით ამხ. კონმა, რკინის გზის სარემონტო ქარხნის კომკავშირელთა სახელით ამხ. ფანცულაიამ და ახალგაზრდა პროლეტარმწერლების სახელით ამხ. ბენაშვილმა. უკანასკნელმა ამხანაგების დავალებით სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია უკრაინის ახალგაზრდა პროლეტმწერლები იმ ამოცანათა უკეთ შესრულებისათვის, რომელთაც პარტია და კომკავშირი აყენებს დღეს მხატვრულ ლიტერატურის და საერთოდ ხელოვნების ფრონტის წინაშე.

5 ივლისს დელეგაციის ნაწილი ეწვია ავჭალის სამხედრო ბანაკს. საღამოს 7 საათზე გაიხსნა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდა №—დივიზიის უფროსი ამხ. ბუაჩიძე, დელეგაციის სახელით—ამხ. პოლოცკი. შემდეგ გამოვიდენ სიტყვებით წითელ-არმიელები: ქართულად—ამხ. კომიაშვილი, თურქულად—ორბელიანი, ოსურად—გაგლოევი, სომხურად დავიდოვი, გერმანულად—ჰეგელი, აფხაზურად—ბერია, რუსულად—კლოჩკოვი და უკრაინულად—ბეკი. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ამხ. კვირიკაძემ და უკრაინელმა პროლეტმწერელმა—ამხ. მიკიტენკომ. შეხვედრა იყო მეტად გულწრფელი. წითელ-არმიელთა მასა დიდის აღტაცებით მიეგება დელეგაციას. დასასრულს გაიმართა კონცერტი უკრაინულ ძალების მონაწილეობით.

დელეგაციის მთელ რიგ მიმდინარე პრაქტიკულ მუშაობაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკრაინის მხატვრული ძალების დემონსტრაცია ტფილისის მუშათა კლუბებში და წარმოებებში და უკრაინის მუშაკთა მოხსენებების დროს. მხატვრული ბრიგადები შემდგარი პროლეტმწერლებიდან, არტისტებიდან (ლიტვინენკო-ოლგემუტ, პატარჟინსკი, კიპარენკო-დამანსკი), ხარკოვის მუსიკალურ დრამატიულ ინსტიტუტის სტუდენტებიდან ფიალკო, რუბანოვიჩი, ვანკოვიჩი, კოსტენკო, გაბრინოვიჩი, შევჩენკო, კოპპ) გამოვიდნენ ხელოვნების სასახლეში, 26 კომუნარების ქარხანაში, № 1 ტყავის ქარხანაში, რკინის გზის სარემონტო ქარხანაში, ტრამვაის მუშათა კლუბში. ამხ. ვოროშილოვის, დერჟინსკის, მაჩაიძის და პლეხანოვის სახელოებების მუშათა კლუბებში.

დელეგაციამ სადემონსტრაციოდ ჩამოიტანა უკრაინის ფილმები „ცხოვრება გვეძახის“ რეჟ. მარიონ, „ადამიანი და მაიმუნი“ რეჟ. ვინიცკი, „არსენალი“ რეჟ. დოვჟენკო, „მიწა“—რეჟ. დოვჟენკო, „უჩვეულო გადასვლა“—რეჟ. კაუფმანი, „პერეკოპი“—რეჟ. კავალერიძე, „ფატა მორგანა“—რეჟ. ტიაგარ, „გეგემონი“—რეჟ. პიკოვსკი, „დნეპროსტროი“ და „მარგალიტი ველზე“. აღნიშნული სურათები ნაჩვენები იქნა სახკინმრეწვის კინოებში, მუშათა კლუბებში და საქართველოს კინო-მუშაკთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელეგაციის კინო-მუშაკებმა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დასდეს საქართველოს კინო-მუშაკებთან.

ასეთივე ხელშეკრულება დასდო საქ. ა. ლ. კ. კ.-ს ცეკამ უკრაინის ა. ლ. კ. კ.-ს ცეკასთან კომკავშირის კულტმუშაობის პრაქტიკულ ამოცანებზე.

დელეგაციამ დაათვალიერა ტფილისის მნიშვნელოვანი წარმოებები, სამეცნიერო დაწესებულებანი, სასწავლო დაწესებულებანი და ისტორიული ნაშთები.

დელეგაციის ნაწილი გაემგზავრა სომხეთში და დაჰყო იქ რამოდენიმე დღე. მათ მოუწყეს ლენინაკანში და ერევანში საზეიმო შეხვედრა. იქაც ჩატარდა მოხსენებები უკრაინის კულტურულ მიღწევებზე. დელეგაცია გაეცნო საბჭოთა სომხეთის მთელ რიგ მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. დასასრულს დელეგაციის ნაწილი გურიაში და აჭარისტანში გაეცნო ჩვენს საბჭოთა მეურნეობის და კოლექტივების მუშაობას.

დეკადამ მიიღო მასიური ხასიათი და მასში ჩაება მშრომელთა ფართო მასა.

დეკადის საშუალებით ჩვენ დაუმტკიცეთ მთელს დედამიწას ლენინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის სისწორე.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა, სწერდენ დელეგაციის წევრები, ჩვენზე დასტოვეს წარუშლელი შთაბეჭდილება.

გაგვაოცა ერევანმა, რომელიც ნანგრევებიდან მალე გადაიქცევა სოციალისტურ ქალაქად.

ბაქოს ქარხნები სამუდამოთ დარჩება ჩვენს ხსოვნაში. ნავთის ქალაქის მუშაკების ენტუზიაზმი ნავთის მეორე ხუთწლედის უმოკლეს ვადაში შესრულების თავდებია.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე ჩაის კულტურის სწრაფი ტემპებით განვითარებამ აჭარისტანში.

დელეგაცია უღრმეს მადლობას უძღვნის ამიერ-კავკასიის მშრომელებს გულთბილი შეხვედრისათვის, რითაც შესაძლებელი შეიქნა დეკადის წარმატებით ჩატარება.

იმედია, რომ საბჭოთა უკრაინაში სულ მალე ვიხილავთ საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის, აჭარისტანის წარმომადგენლებს და კიდევ უფრო გახვამტკიცებთ დეკადის შედეგებს".

არა ნაკლებ დამახასიათებელია ამხ. პოლოცკის წერილი საქ. განსახკომის ამხ. კვირიკაძისადმი:

„პატივცემულო ამხანაგო. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის დელეგ. უკანასკნელი ბრიგადა, სტოვებს რა დღეს საქართველოს და ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფარგლებს გთხოვთ თქვენ, როგორც კომიტეტის თავმჯდომარეს და საქართველოს განათლების სახალხო კომისარს, გადასცეთ საქართველოს მშრომელებს, კომუნისტურ პარტიას, მთავრობას, ქალაქის საბჭოს, პროფკავშირების საბჭოს, კომკავშირს, საზოგადოებრივ ოგანიზაციებს, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიას, პროლეტარულ და საბჭოთა მწერლებს, ხელოვნების, მეცნიერების და კულტურის მოღვაწეებს და თქვენი კომიტეტის

წევრებს ჩვენი გულწრფელი ამხანაგური მადლობა შეხვედრის, მიღებისა და დეკადის ჩასატარებლად ერთად მუშაობისათვის.

ჩვენი დელეგაციის სახელით გთხოვთ გადასცეთ ყველას, რომ ჩვენ ბავსებით კმაყოფილნი ვართ იმ წარმატებით, რომელსაც დეკადამ მიაღწია, განსაკუთრები იმით, რომ დეკადამ მასიური ხასიათი მიიღო და რომ მასში ჩაებნენ საქართველოს მშრომელთა ფართო მასები, აგრეთვე იმით, რომ დეკადამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ ყველა ჩვენ, საბჭოთა რესპუბლიკები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ნამდვილად და მტკიცეთ ვანხორციელებთ ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას და რომ ეკონომიურ მშენებლობაში მიღწეულ უდიდეს წარმატებათა საფუძველზე ჩვენ უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ კულტურულ ფრონტზედაც, მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული ქვეყნები განიცდიან კაპიტალიზმის დაცემის კლასობრივი და ნაციონალური ბრძოლის გამწვავებისა და კულტურის რღვევის ეპოქას.

დეკადამ ჩვენ მეგობარ მუშებს კაპიტალისტურ ქვეყნებში დაანახვა, რის მიღწევა შეუძლია პროლეტარიატს, რომელმაც დაამსხვრია ბურჟუაზიის ბორკილები, რომელმაც მოიშორა მისი ეკონომიური, პოლიტიკური და ნაციონალური ჩაგვრა.

დეკადამ მხოლოდ საძირკველი ჩაუყარა საბჭოთა კოლტურის—ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით პროლეტარულის საერთო მშენებლობას. შემდგომი ნაბიჯი იქნება ჩვენ მიერ ერთად მიღებულ კონკრეტიულ წინადადებათა ცხოვრებაში გატარება და ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა უკრაინაში. გთხოვთ გადასცეთ ეს ჩვენი ამხანაგური მოწვევა. ერთხელ კიდევ გიძღვნით ბოლშევიკურ მადლობას. კომუნისტური სალამით: უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარე უკრაინის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე—კ. პ ო ლ ო ც კ ი. ბათომი 1931 წ. 14 ივლისი".

დელეგაციამ მუდმივი საქმიანი კავშირი დაიჭირა მთელ რიგ სამეცნიერო ლიტერატურულ და თეატრის მუშაკებთან. მოგვარდა საკითხი ნაწარმოებთა თარგმანების, მუშაკთა გაგზავნის შესახებ და სხ. კერძოთ მოგვარდა საკითხი უკრაინის საბჭოთა ენციკლოპედიისათვის საქართველოზე მასალების მიწოდების შესახებ.

დელეგაციას საშუალება მიეცა უფრო დაწვრილებით გაცნობოდა საბჭოთა საქართველოს კულტურულ მიღწევებს მოხსენებების სახით. ვრცელი მოხსენებები გააკეთეს გაერთიანებულ კრებებზე ამხ. ბ. ბ უ ა ჩ ი ძ ე მ (საქართველოს ლიტერატურა) ამხ. შ ა რ ი ა მ (მეცნიერება), ამხ. რ ო ნ დ ე ლ მ ა (კინო), პროფ. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ (მხატვრობა), ამხ. ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე მ (ა. ლ. კ. კ.-ს ცეკა).

პროლეტმწერალთა ასოციაციის საქმიან სხდომაზე დაწვრილებით დამუშავდა მთელი რიგი საკითხები მწერლების ურთიერთ კავშირის განმტკიცების, ნაწარმოებთა თარგმანის და სხვ.

დეკადის შედეგების შესაჯამებლად 10 ივლისს საქ. განსახკომის და დეკადის ჩამტარებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კვირიკაძის თაოსნობით შესდგა საქ. განსახკომის კოლეგიის ხელმძღვანელთა გაერთიანებული სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომამ შეაჯამა მთლიანად დელეგაციის მუშაობა და მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებების.

რეზოლიუციაში აღინიშნა, რომ ის ამოცანები, რომელიც დასახული იყო დეკადის ჩატარებით ძირითადში სრულიად დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული: დეკადა ატარებდა ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკის სისწორით გატარების ხასიათს და გვაჩვენა იმ კოლოსალური მიღწევების ნიმუში, რომელიც აქვს საბჭოთა კავშირის მშრომელთ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტურ მშენებლობის და კულტურული რევოლიუციის ფრონტზე

აღინიშნა დეკადის ჩატარების მასიური ხასიათი, რომელიც გამოიხატა მთელი რიგი მოხსენებებით ფართო მშრომელთა მასების კრებებზე.

დეკადამ საძირკველი ჩაუყარა ორი მოძმე რესპუბლიკების მუშაკთა დაკავშირებას საბჭოთა კულტურის გასავითარებლად (ფორმით ნაციონალურის და შინაარსით პროლეტარულის).

დეკადა ჩატარდა მასების ინტერნაციონალურ აღზრდის ნიშანის ქვეშ და გადაიქცა ამიერ-კავკასიის მასშტაბის ფაქტად.

დადგენილი იქნა ჩატარდეს საქართველოს კულტურის დეკადა უკრაინაში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში.

დამტკიცდა საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმის, მწერალთა ფედერაციის სამდივნოს და უკრაინის მწერალთა გაერთიანებული სხდომის ოქმი, რომელშიაც მოყვანილია პრაქტიკული ღონისძიებები მწერლების ურთიერთ დაკავშირების და მუდმივი კომისიის შექმნის ურთიერთ ნაწარმოებთა თარგმანისათვის.

საპირეთ იქნა ცნობილი მომავალ თეატრალურ სეზონში ორ-ორი საუკეთესო დრამატიული ნაწარმოების და თითო ოპერის გადათარგმნა და დადგმა უკრაინის და საქართველოს სცენაზე, თვითმოქმედ თეატრების გაგზავნა, მხატვრული კადრების აღზრდის გამოცდილების ურთიერთ შორის გაცნობა და სხვ.

დამტკიცდა საქართველოს და უკრაინის კინო-მუშაკთა მიერ დადებული სოც. შეჯიბრების ხელშეკრულება და სამუშაო გეგმა.

სახვითი ხელოვნებაში სასურველად იქნა ცნობილი მხატვრული მიღწევების გაცნობა, თეატრალური დეკორატორების ურთიერთ შორის მივლინება. დაევალა მხატვართა ორგანიზაციას შეიმუშაოს დეტალური გეგმა ურთიერთ შორის კავშირის.

მიღებული იქნა ცნობად საქ. ა. ლ. კ. კ. და უკრაინის ა. ლ. კ. კ.-ს მიერ დადებული სოც. შეჯიბრების ხელშეკრულება.

დამუშავდეს მუსიკალური გამომცემლობის გეგმა და მოეწყოს საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებთა ურთიერთობის გამოცემა.

მოეწყოს რადიო-კონცერტების გადაცემა უკრაინისა და საქართველოს შორის და გამტკიცდეს კავშირი რადიო-მუშაობაში.

მოეწყოს მეცნიერების მუშაკთა გეგმიანი და სისტემატიური მივლინებ ურთიერთშორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარსდეს კომიტეტი, რომელიც ხელს შეუწყობს უკრაინის საბჭოთა ენციკლოპედიის საკითხების მოგვარებას საქართველოში.

მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ქართულ-უკრაინულ სიტყვარის გამოცემა და საკითხის მოსაგვარებლად გამოიყო კომისია.

საქართველოს და უკრაინის პედაგ. ინსტიტუტებში შემოღებულ იქნას უკრაინის და ქართული ენის კურსი.

მივლინებულ იქნან ურთიერთშორის ასპირანტები უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტებში სამუშაოდ.

უზრუნველყოფილ იქნას ურთიერთშორის მივლინება სამეცნიერო ყრილობებზე და სამეცნიერო შრომების და მასალების გაგზავნა და აგრეთვე პედაგოგიურ დოკუმენტების, მეთოდიურ პროგრამების და საგამომცემლო გეგმების გაგზავნა და სხვ.

ჩვენ გვაქვს ორი დოკუმენტი, რომელიც ნათლად გვიდასტურებენ უკრაინის კულტურის დეკადის დაუფასებელ შედეგებს. უკრაინაში გამგზავრების წინ, ბათომში, დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. პ ო ლ რ ც კ ი ნ გაზ. „კომუნისტი"-ს თანამშრომლებთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

„ჩვენ, უკრაინელი ამხანაგები, სავსებით კმაყოფილნი ვართ უკრაინის კულტურის დეკადის შედეგებით. მიზანი მიღწეული იქნა. დეკადის საშუალებით ჩვენ გავიცანით საქართველო და ამიერ-კავკასია და გავაცანით ამიერ-კავკასიის ხალხებს ჩვენი მიღწევები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ნ. მიწიშვილი—„ერთი ღამის ამბავი“ (ნოველები) სახელგამი 1931 წ.

ნ. მიწიშვილი უსათუოდ ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრების მცოდნე მწერალია, ამ მხრივ საყურადღებოა და საკმაოდ ცნობილია მისი ბელეტრისტული ნაწარმოები „ეპოპეია“. ამ წიგნს მართალია, მრავალი შეცდომა ახასიათებს, მაგრამ იგი ძირითადში დოკუმენტალური მასალით—ქართული ემიგრაციის უბადრუკობის მაჩვენებელი წიგნია.

ემიგრაციის საკითხები, უკეთ მისი ყოფა-ცხოვრების მხატვრული ჩვენება ნ. მიწიშვილის შემოქმედების ძირითადი მასალაა. ასეა დაწერილი მიწიშვილის თითქმის ყველა ნაწარმოები. ამ სახითაა დაწერილი კერძოთ „ერთი ღამის ამბავი“-ც, მასში მოთავსებულ რამოდენიმე თავი „ეპოპეიას“ გაგრძელებაა.

ამ ნოველების თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ ემიგრაციის ცხოვრებიდან ცალკე კურიოზები და განწყობილებები დამახასიათებელი მომენტებით აღებული—ოსტატურად აქვს ნაჩვენები მწერალს. ემიგრაცია ჩვენი თანამედროეობის არა აქტიური, მაგრამ უსათუოდ ერთი მეტად საინტერესო საკითხია. იგი ისეთი ჭაობია სადაც მოსჩანს რევოლიუციის კლასიური მტრების, როგორც გაბოროტება, ისე გახრწნა და დაჩაჩანაკება. ხშირად კონტრეევოლიუციონური ემიგრაცია მსოფლიო დიპლომატიისა და პოლიტიკის ტონის მიმცემი ხდება. შეცდომა იქნება იმისი თქმა, რომ ემიგრაცია მთლიანად უვნებელი ჭაობია, პირიქით, ემიგრაცია ხშირად საბჭოთა წინააღმდეგ ჭიანურის პირველი სიმის როლშიაც კი გამოდის. იგი ილებს მონაწილეობას ბურჟუაზიასთან ერთად შხამისა და გესლის ნთხევაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იგი მონაწილეობს ინტერვენციის სამზადისში, შპიონაჟში და სხვა.

განსაკუთრებით ცნობილია ამ მხრივ ქართულ ემიგრაციის ტაკი-მასხრული როლი მსოფლიო დიპლომატიის ხელში. პოლიტიკური მავნებლობის გარდა, ემიგრაცია იძლევა კურიოზებისა და დონკიხოტობის უდიდეს მასალას. რა სასაცილოა, რა ტაკი-მასხრობაა თავის-თავად თუნდაც ისეთი ფაქტები, როცა რევოლიუციით გაბითურებული მეფის რომელიმე მემკვიდრე თავის-თავს ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრედ სთვლის.

ათი წელია რაც საქართველოს მუშათა კლასი აშენებს სოციალიზმს. აღმოფხვრილია მენშევიკური ბატონობის ნაშთები. ნოე ჟორდანია კი არ არსებული დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტად სთვლის—თავს. რა არის იმაზე სასაცილო და უბდრუკი, როგორც წარსულში „ბრწყინვალე“ წოდების ხალხის ევროპის სხვა და სხვა ქალაქების კაფე-შანტანებში ლაქიობა, შანტაჟი, ფუჭსავატობა. ცნობილია ამ მხრივ ქართული ემიგრაციის ყიალი და ლაზღანდარობა ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში, ლეკურისა და თავადური ტრადიციების გზა.

ნ. მიწიშვილი სწორეთ ქართულ ემიგრაციის ამ მხარეს ეხება, ამ ფონზე იძლევა ემიგრანტული წრეების დიფერენციაციას, ზოგიერთების მერყეობას, საშშობლოში დაბრუნების სურვილს, ზოგიერთის პოლიტიკურ სიჯიუტეს, გაბოროტებულ სიძულვილს კომუნისტებისადმი და სხვ. ამ მხრივ საინტერესოა ნოველა „კამათელი და სახარება“. აქ ნაჩვენებია წვრილ-ფეხა ემიგრანტების ფუჭსავატობა, ნარდის თამაში, საქართველო-

დან გატაცებული ქართული სახარების ამ „ქრისტეს ცნების... ჩალის ფასად“ გაყიდვა და ნარდში წაგება და ამ ფონზე შემდეგ პოლიტიკური განწყობილებები, როცა ერთი ფენა საბჭოთა საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრობს, მეორე ხელს უშლის, გზას უბნევს. ამ ნოველის მთელი კვინტესენცია ერთ-ერთი გმირის სიტყვებშია მოცემული „მე რომ ბოლშევიკს დაველაპარაკო, ეს სამშობლოს ღალატია, გიორგი გვაზავა კი ახალ წელიწადს კარპე მოდებაძესთან საელჩოში ტოლუმბაშად იყო და ბოლშევიკებთან ქეიფობდა. მე რომ სახლში დაბრუნებაზე სიტყვა დამცდეს, ჯვარზე გამაკრავენ“. როგორც ეს ნოველა, ისე სხვა ნოველებიც ემიგრაციის ასეთ პოლიტიკურ განწყობილებების ჩვენებას წარმოდაგენს.

რას ამბობს მაგალითად მიწიშვილის მეორე ნოველა „ექვსი გუბერნატორი“. იმას, რომ მონარქისტ ემიგრანტებსა და ქართველ მენშევიკ ემიგრანტებისათვის საბჭოთა კავშირი საერთო მტერია, მაგრამ ძალა-უფლების დაბრუნების შემდეგ მონარქისტები როდი გაუშვებენ თავის ნებაზე მენშევიკებს, რომ მათ საქართველო დამოუკიდებლად გამოაცხადონ და არ აგებიონ პასუხი წარსული „თავხედობისათვის“.

ნოველა „ოცდა სამში ვარ“ უმთავრესად საყოფა-ცხოვრებო [illegible] ანის ყოფითი გაბრწნა, რომლის შედეგია სიტყვები: „და თუ ყველაფერი ჩაობრდა, მოვკლავ კერენსკის და წავალ ბოლშევიკებთან“.

„ალექსანდრია“ ავტობიოგრაფიულ ხასიათისაა. იგი ემიგრაციიდან ავტორის დაბრუნების ისტორიაა, პოლიციის დევნა, წვალება და სხვა, მაგრამ თავის მემარცხენეობას მიწიშვილი იმ გვარად ხატავს რომ თავი თითქმის კომუნისტად მოაქვს, მაგრამ ეს კომუნისტობა უფრო თეატრალურია. მიწიშვილი ხედავს, რომ ევროპის მესშიანებს და წვრილ ბურჟუებს ეშინია კომუნისტების. და მიუხედავათ იმისა რომ მასაც არაფერი სწამს კომუნისტების, გემზე მყოფ წვრილბურჟუების დასაშინებლად თავს თითქმის კომუნისტად აცხადებს. მოკლეთ რომ ვთქვათ ამ მდგომარეობის დახასიათება ასე შეიძლება: წვრილი ბურჟუა აშინებს წვრილ ბურჟუას. ასეთია ნოველა „ალექსანდრიას“ დედა ახრი.

მ. მიწიშვილის ნოველების ეს წიგნი უსათუოდ საინტერესო წიგნია.

ალ. ს—ვა.

ერიხ მარია რემარკ—„დასავლეთის ფრონტი უცვლელია“. სახელგამი, 1931 წ.

დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, მსოფლიო ომის შემდეგ, თანდათან მრავლდება სამხედრო ლიტერატურა. დღითდღე იზრდება ლიტერატურა ომზე (რომანების, პამფლეტები, მემუარები,) უმეტესად ეს ლიტერატურა ომში მონაწილე სამხედრო პირებისა და მწერლების ნაწერებია, რომელთა შორის ბევრი თავისი მხატრული შესაძლებლობით ომის უდიდესი საშინელების ეპოპეიას წარმოადგენს.

ასეთია სწორეთ ერიხ რემარკის რომანი „დასავლთის ფრონტი უცვლელია“. ამ რომანით რემარკმა მსოფლიო სახელი და სიმდიდრე მოიხვეჭა, იგი მილიონიანი ტირაჟით ვრცელდება მთელ მსოფლიოში. რემარკმა ამ წიგნით შეუდარებლად შესძლო მსოფლიო ომის სისხლიანი საშინელების, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის უდიდესი სასაკლაოს კოშმარის გაცოცხლება და ჩვენება. ამიტომ მიიპყრო მან ყურადღებაც.

ავტორი შეუდარებელი ოსტატობით და დამაჯერობლობით ყვება ომის ამბებს იმის შესახებ, თუ როგორ „გაზისაგან მოწამლულები ნელ-ნელა კვდებიან, თანდათანობით არწყევენ პირიდან დამწვარ, დაკუწულ ფილტვებს“, თუ როგორ აუნგრევია სოფლის სასაფლაო ყუმბარებს და ძველი მკვდრები ხელმეორედ დაუხოციათ. „ჩვენ ფეხქვეშ სრიალებს გაგყლეტილთა ხორცის ნაფლეთები, ფეხებით

ვთელავთ ადამიანების სხეულებს, მე ვიღაცას გამოღადრულ მუცელში ჩავარდი... ჩვენ ვხედავთ თუ როგორ ცხოვრობენ თავის ქალა გადაძრობილი ადამიანები, ვხედავთ თუ როგორ გარბიან ფეხებ მოჭრილი ჯაოის კაცები... სისხლიანი ფაღარათი, პარტახტიანი ტიფი, დახრჩობა, დაწვა და მოკვდინება", აი რემარკის მიერ აწერილი სურათები, მაგრამ რემარკის ამ რომანს ერთი უდიდესი ნაკლი, რეაქციონური ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ რამდენათ იგი საუკეთესოდ ხატავს ომის სიველურეს, უდანაშაულოთ დახოცილ მილიონ ადამიანთა კოშმარულ სურათებს, იმდენათ იგი არ იძლევა ამ ომის ნამდვილი ბუნების ახსნას, მის კლასიურ სახეს. არ ხდის ფარდას ომის წარმოშობის საიდუმლობას, არამედ იძლევა ამ ომის და სისხლიანი სასაკლაოს ბრმა, ფატალისტურ, პაციფისტურ წარმოდგენას, თითქოს ეს ომი მილიონ ადამიანთა დაღუპვა რაღაც აუცილებელ ბედის წერას წარმოადგენდა, რომლის ახსნა თითქოს არ შეიძლება და არცაა საჭირო. ამიტომაა სწორეთ ეს რომანი რეაქციონური. იგი გარდა იმისა,რომ დაწერილია უშუალო შთაბეჭდილების რეაქციონური მეთოდით, ბურჟუაზიული ობიექტივიზმის თვალსაზრისით, ამავე დროს ომში მორჩილებისა და ტანჯვის, მონური მოთმინების, ბედის წერასთან მისტიური შეგუების მთელი აპოლოგიაა. ამით აიხსნება უსათუოდ ის ქება-დიდება, რომელიც ერგო რემარკს ბურჟუაზიულ პრესისგან. ბურჟუაზიამ მიიღო ეს რომანი, რადგან მასში დაინახა არა ბრალდება და პროტესტი ამ სასაკლაოს მოწყობისათვის, არამედ გამართლება ახალი ომის სანზადისისათვის. რემარკი აჩვენებს ომის სასიზღარ და საშინელ სახეს, მაგრამ იმ გვარად და ისე რომ იძლევა მისდამი არა რევოლიუციონურ დაპირდაპირებას და ზიზღს, არამედ მის მიღებასა და გამართლებას. რით გავს ამ რომანით რემარკი იმ სხვა მწერლებს, რომელთაც მასავით უკეთ შეიძლება არც აუწერიათ ომის საშინელება, მაგრამ ბურჟუაზიისაგან დევნას და შევიწროებას განიცდიან ომზე სიმართლის თქმისათვის? რემარკს არ სურს ამ სიმართლის თქმა, ამიტომ ამ რომანს ეპიგრაფად ამშვენებს წარწერა: „ეს წიგნი არც განკიცხვაა და არც აღსარება, აქ მოთხრობილია ამბავი იმ თაობისა, რომელიც თუმცა ომბარებს გაექცა, მაგრამ ომის მიერ მაინც მოიხსნა". ამ ეპიგრაფით რემარკი ამ კარად და უსინდისოთ ხელს აფარებს ომის საიდუმლოებას, სდგება ამ სისხლისა და სასაკლაოს მომწყობთა მხარეზე.

თუ გავიხსენებთ იმ ფაქტსაც, რომ რემარკმა არ უპასუხა საერთაშორისო რევოლიციონურ მწერალთა ბიუროს შეკითხვას თუ რა პოზიციას დაიჭერს იგი საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ ომის დროს, აშკარაა თუ რა ტიპის მწერალი უნდა იყოს რემარკი. იგი სიჩუმით უპასუხებს საბჭოთა კავშირზე მოსალოდნელ ომს, რადგან თავისი რომანითაც ხელს უწყობს სწორეთ ამ ომის სამზადისს.

არც ისე დიდი ხანია, რაც გერმანეთის სასწავლებლებში ჩატარებულ იქნა ანკეტა რემარკის ამ რომანის შესახებ და გიმნაზიელთა დიდი უმეტესობამ რემარკის ამ რომანის ზეგავლენით, რემარკის ამ რომანის მოხალისე გიმნაზიელებივით ომში წასვლის და იქ ტანჯვის გადატანის სურვილი გამოთქვა. რას ადასტურებს ეს მაგალითი? რასაკვირველია, ამ რომანის იდეოლოგიურ მავნე მიმართებას. ეს -ავნებლობა კი მის პაციფიზმიდან გამომდინარეობს. რემარკის სახელი უცუდესი და ურეაქციონერესი პაციფიზმის სახეობასთანაა დაკავშირებული—რემარკიზმი მომავალი ომის საუკეთესო მომზადების საშუალებაა. ნიღაბი, რომლითაც ბურჟუაზია ერთი მხრივ მალავს ომის სამზადისს, მეორე მხრივ აღვივებს და აწყობს მას.

პაციფისტურ-რემარკისტული ლიტერატურის გვერდით, როგორც ცნობილია ამ ჟამად, სწრაფად იზრდება ანტი-რემარკისტური, რევოლიუციონური ლიტერატურა ომზე, რომლის დანიშნულებაა ნიღაბი ახადოს ომის საიდუმლოებას, აჩვენოს გზა მსოფლიო მშრომელებს მომავალ ომისაგან გამოსავალი. ამ ამოცანებს ასრულებენ ძირითადში ჩვენში ე. წ. ლოკაფის წევრები.

ქართულ თარგმანს დართული აქვს კ. რადეკის წინასიტყვაობა. გამოცემულია ლამაზად.

სფ.

ალ. დოდე „ტარტარენი ტარასკონი“.—გამ. „ქართული წიგნი“, 1931 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მკითხველები ნაკლებათ იცნობენ „ტარტარენ-ტარასკონი“-ს ავტორს ალფონს დოდეს. ნაკლებათ იცნობენ ამ ნაწარმოებსაც, მაშინ როცა მსოფლიო ლიტერატურაში ეს უკანასკნელი ითვლება საუკეთესო ნაწარმოებათ. ვინ იყო ალ. დოდე და რა ღირებულებისაა „ტარტარენი ტარასკონი“?

ალ. დოდე ეკუთვნის იმ ფრანგ მწერლების რიცხვს, რომელთა შორის ისეთი სახელებია—როგორიცაა ზოლა, ბონკური, ფლობერი. იგი იყო რეალისტი მწერალი და ფრანგულ მწერლობაში ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მის კალამს მრავალი მოთხრობები ეკუთვნის, რომელთა შორის ერთ საუკეთესო მოთხრობათ ითვლება „წერილები ჩემს წისქვილიდან“ ესპატარა ნოველების კრებული ლიტერატურული სტილის შედეგრია. რომანებიდან კლასიკურ ნიმუშებათ ითვლება „ტარტარენი ტარასკონი.“ ამ რომანში აშკარად მოსჩანს პროვანსალიელი დოდეს ჭკუამახვილობა, რომანის თემათ აღებულია საფრანგეთის ერთ-ერთი კუთხის პროვანსალის პროვინციალური ქალაქი, მისი ობივატელი და გაიძვერა მცხოვრებლებით.

„ტარტარენი ტარასკონიდან“ მახვილი სატირაა. თითქმის პამფლეტი სამხრეთ საფრანგეთის ფუქსავატური მცხოვრებლების მიმართ. ტარტარენი ქალაქ ტარასკონის მცხოვრებია. ტრაბახა, ცრუ გმირობისა და განდიდების მანიით შეპყრობილი, უსაქმურობით გაბღენძილი მოქალაქე იგი ტიპიური წარმომადგენელია იმ ქალაქის, რომლის ობივატელურ ჭაობში არა ერთი და ორი პატარა კალიბრის ტარტარენი ცხოვრობს, იგი თავისებური დონკიხოტია და ამავე დროს სანჩო-პანჩოც, როგორც თვით ავტორი ამბობს. ტარტარენი თავისებური ყვარყვარე თუთაბერია. მას თავი წარმოუდგენია დიდ მონადირედ, რატომლაც მის ირგვლივ შექმნილია კიდეც ასეთი წარმოდგენა. იგი დიდ პოპულიარობით სარგებლობს მასავით ცრუ და ტრაბახა ტარასკონელებს შორის, თოფითა და ჯინჯილით შეიარაღებული იგი მის სიცოცხლეში ნადირობს, მაგრამ მისი ნანადირევი არავის უნახავს და აი ერთ მშვენიერ დღეს იგი აფრიკაში მიემგზავრება ლომებზე სანადიროთ. ქალაქისათვის ეს მთელი სენსაციაა. ტარტარენმა ეს ხმები განგებ დაყარა. ამის შედეგად გამოწვეული სენსაციის გავლენით მართლა იძულებული იქნა იგი აფრიკაში წასულიყო, აფრიკიდან ტარტარენი დაბრუნდა გაბითურებული. მაგრამ ტარასკონელებმა იგი მაინც მიღეს, როგორც გმირი და მიუხედავათ იმისა, რომ მას ერთი ლომეც არ გაუთენებია და არ უნდირებია აფრიკაში ლომებზე —მოყვა ჩვეულებრივ ტრაბახს და სიცრუეს.

რომანი იძლევა აგრეთვე საფრანგეთის კოლონიალურ რეჟიმის სურათებს ალჟირში და სხვა. ამ რომანის მთელი სიძლიერე მხატვრულ შესრულებაშია. ტარტარენის ყოველი მოქმედება, მისი ცრუ გმირობა, ალჟირში თავგადასავალი, სიყვარული და სხვა შემთხვევები, ისე ოსტატურადაა ჯდწერილი და მოთხრობილი, რომ მკითხველში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. როგორც მხატვარი, დოდე ერთი უშესანიშნავესი ოსტატია, განსაკუთრებული ირონიის მქონე, რომლის გამო მას ხშირად საფრანგეთის დიკენს უწოდებენ. ზოლასთან შედარებით დოდეს ეს უპირატესობა აქვს, მაგრამ მასთან შედარებით ზოლა ძლიერია სოციალური მოვლენების ღრმა და ეპოქალურ გაგებაში. სწორეთ სატირული და ტარტარენის მოქმედების სასაცილო და მახვილი აღწერა იძლევა იმ უკვდავ სახეს, რომელშიაც ოსტატურადაა განსახიერებული ფუქსავატი, ლაზღანდარა და ტრაგახა ობივატელის ტიპი. ამაშია უსათუოდ დოდეს ამ ნაწარმოების ღირსება.

ვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პ ო ე ზ ი ა

		გვ.
1.	ვალერიან გაფრინდაშვილი—შაბათობაზე	3
2.	კალე ბობოხიძე—ღამე საგუშაგოზე	4
3.	პაოლო იაშვილი—პოეტის საქმე	5
4.	ალ. გომიაშვილი—ნანგრევთა შორის	6
5.	ბრუნო იასენსკი—გალიციური ჟაკერია	11
6.	შალვა შამფრიანი—საბჭოთა მთებში	14
7.	გ. ასათაშვილი—ბაქოს პროლეტარიატს	16

პ რ ო ზ ა

8.	სიმონ წვერავა—გადაჭრილი მუხლი	17
9.	ალ. ქუთათელი—განთიადის წინ	76
10.	დემნა შენგელაია—ბათა ქექია	98
11.	ტიც. ტაბიძე—ახალი კოლხიდა	128

კ რ ი ტ ი კ ა, მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა, პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

12.	პროფ. კორ. კეკელიძე—ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა	152
13.	შ. რადიანი—რაფიელ ერისთავი	172
14.	გ. ბუხნიკაშვილი—უკრაინის კულტურის დეკადა საქართველოში	190

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ალ. ს—ვა—ნ. მიწიშვილი: „ერთი ღამის ამბავი“	193
ხულ.—ერიხ მარია რემაკ:—„დასავლეთის ფრონტი უცვლელია“	204
ვა—ალ. დოდე: „ტარტარენ ტარასკონი“	206

სარედაქციო კოლეგია:

ი. ვაშაყმაძე
გ. დევდარიანი
ს. ეული
შ. რადიანი
გალ. ტაბიძე
ტ. ტაბიძე
ს. ჩიქოვანი

ფასი 2 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა